

# კავკასიის მრავალფეროვნების ინსტიტუტი

მრავალფეროვნების გაშექების  
სახელმძღვანელო



მედიის მრავალფეროვნების ინსტიტუტი, 2004

შედგენილია მედიის მრავალფეროვნების ინსტიტუტის მიერ  
გამოცემასთან დაკავშირებულ წებსიმიერ საკითხზე მიმართე  
მედიის მრავალფეროვნების ინსტიტუტს

100 Park Village East, London NW1 3SR, UK

ტელ: + 44 207 38 00 200

ფაქსი: + 44 207 38 00 050

ელ-ფოსტა: [info@media-diversity.org](mailto:info@media-diversity.org)

ვებგვერდი: [www.media-diversity.org](http://www.media-diversity.org)



ეს დოკუმენტი მომზადებულია ევროგაერთიანებისა და ნიდერლანდებისა საგარეო საქმეთა სამინისტროს  
ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნის მედიის მრავალფეროვ-  
ნების ინსტიტუტს და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს ევროპის კავშირისა და ნიდერ-  
ლანდების საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ მოსაზრებად.

დევილ ტალერი

მრავალფეროვნების გაშექების  
სახელმძღვანელო

წინასიტყვაობა ჯონ ოუენისა

ლონდონი, 2004

მედიის მრავალფეროვნების ინსტიტუტი  
გამოცემულია ევროგაერთიანებისა და  
ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტროს  
მხარდაჭერით

მადლობას ვუხდით მრავალფეროვნების გაშუქების ქსელის პარტნიორებს სამხრეთ კავკასიაში ამ სახელმძღვანელოს მომზადებაში შეტანილი წვლილისა და ხანგრძლივი და კეთილი თანამ-შრომლობისათვის.

აზერბაიჯანის ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეა; ბაქოს პრეს-კლუბი; შავი ზღვის პრესის ასოციაცია; თავისუფლების ინსტიტუტი; უურნალისტთა კლუბი „ასპარეზი“; სტეფანაკერტის პრეს-კლუბი; ერევნის პრეს-კლუბი.

# მრავალფეროვნების გაშუქების სახელმძღვანელო

## სარჩევი

10

პროცედურები

### წინასიმუვაობა

14

IJF & MDI

1.

#### შესავალი

20

შოგალი რჩევები მრავალფეროვნების გასაშუქებლად

21

რჩევები ინფორმაციის წყაროთა მოსაძიებლად

24

რჩევები სხვა ჯგუფების წარმომადგენლებისგან  
ინტერვიუს ასაღებად

26

3.

#### ეონიკური წარმომავლობა

#### სასწავლო მასალა

31

ბოშები ცულებით ესხმიან თავს  
სამხედრო პოლიციის ძალებს

33

ბოშა თავდამსხმელები დასავლეთს ძარცვავენ

35

ერთი ღამის სტუმარი ხელში დანას იღებს

36

თურქეთში დანაშაულად ითვლება, თუ სომეხი ხარ

39

სანამ ჭუბურხინჯში თათბირობენ, ოჩამჩირეში ქართველებს  
ცოცხლად მარხავენ

44

ყარაბაღის განმათავისუფლებელი ორგანიზაცია პროტესტს  
გამოთქვამს სომხების ვიზიტის გამო ჩვენს ქვეყანაში

4.

46

რელიგია

სასწავლო მასალა

50

რა შეიძლება მისცეს აზერბაიჯანს ალტერნატიულმა  
სამხედრო სამსახურმა?

55

სპეციალური ცენტრის შექმნის საჭიროება

57

საქართველოში იელოველებს ამერიკის კონგრესის  
სომხური ლობი მფარველობს

5.

62

გენდერი

სასწავლო მასალა

66

ქუჩის ქალები ვენერიული დაავადებების  
მატარებლებლი არიან

67

ზვიადისტი ქალები „ბურჯანაძე-დემოკრატებს“ დაერივნენ

70

მომავალ 8 მარტს ჩვენს ოჯახებთან ერთად გავატარებთ

6.

72

ინკალიფები

სასწავლო მასალა

76

ინგალიდები ჩივიან

79

შემწვარი გიუები

81

საქმე სიფრთხილეს მოითხოვს

84

აზერბაიჯანში შიდსით დაავადებულთა რიცხვი იზრდება

87

ინგალიდის სავარძელი თეატრში

7.

92

სოფიალურად ღაეფველთა ჭუფები

სასწავლო მასალა

96

მათხოვრები პარლამენტის შესასვლელთან

8.

მოხუცებულები და პენსიონერები

სასწავლო მასალა

ნახევარი საარჩევნო ხმა 60 წელს გადაცილებულებს

9.

ლტოლებილები და ქვეყნის შიგნით იძულებით გადაკურილებული პირები

სასწავლო მასალა

იძულებით გადადგილებულ პირებს იურიდიული დახმარებით უზრუნველყოფენ

ანტისომხური თამაშები სომხების დახმარებით

პოლიცია ჩეჩენი ლტოლვილებისა და ქისტების დევნას უარყოფს

10.

სექსუალური როინჟაცია

სასწავლო მასალა

ტრაგიკომედია ახალი სახით

ლესბოსელის უარყოფამ სისხლისღვრა გამოიწვია

რატომ „დაევასა“ ბისექსუალ ჯაბა ბოჯგუას ბორის წიფურია?

გაზეთ „ირავნუქის“ სვეტიდან

11.

პოლიტიკური რკომიცია და დისიდენტები

სასწავლო მასალა

სულ არ არის აუცილებელი, რომ

ოპოზიციამ შეკრებები მოაწყოს

ჩემი მტრის მტერი ჩემი მეგობარია

12.

ეიმებულური მასალები

13.

სავარჯიშო მოღელები

144

14.

გლოსარიუმი

180

15.

მრავალფეროვნების გაშექების ქსელის სამხრეთ კავკასიის განყოფილება

184

16.

მედიის მრავალფეროვნების ინსტიტუტის შესახებ

186

მრავალფეროვნების გაშუქების  
სახელმძღვანელო

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ  
ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ

## წინასიცუვაობა

**თუ** გინდათ გაიგოთ, რა სახის გამოწვევების წინაშე დგას მედიის მრავალფეროვნების ინსტიტუტი, შეგიძლიათ უბრალოდ გადახედოთ პრესას ნებისმიერ დღეს. გადახედეთ ამ სტატიებს, რომლებიც შეგროვილია ბრიტანული გაზეთებიდან და გაზეთ „ინტერნეიტენელ ჰერალდ ტრიბიუნიდან“ ზაფხულის ერთ დღეს.

\* ახალმა კვლევამ ამსტერდამში აჩვენა ჰომოსექსუალისტების მიმართ „არატოლერანტულობის ტენდენცია“ ნიდერლანდებში.

ეს ის ქვეყანაა, რომელმაც პირველმა მისცა ჰომოსექსუალისტებს ქორწინების უფლება;

\* ბრიტანულ „დეილი მეილში“ დაიბეჭდა სტატია სათაურით „მეჩეთს თავს დაესხა ჰამზას მოძულეთა ბრბო“ და აღნიშნა მისი კავშირი ციხეში მყოფ მღვდელ ჰუკ-ჰენდიდ [ცალხელა] ჰამზასთან და ტერორისტულ დაჯგუფებთან;

\* იტალიის ყველაზე ფართოდ გავრცელებული გაზეთი „კორიერე დელა სერამ“ გამოაქვეყნა 126-გვერდიანი აშეარად ანტიისლამისტური წიგნი, რომელიც ცნობილმა იტალიელმა მწერალმა ორიანა ფალაჩიმ დაწერა;

\* ბრიტანელი უურნალისტი დარკუს ჰოუი „გარდიანში“ წერდა: „შემობრუნება ერთმანეთისკენ: ვის ეძახი „ნიგერს“? ჰოუი ყურადღებას ამაზვილებს ძალადობრივ დაპირისპირებაზე დასავლეთ ინდოელებსა და სომალიელებს, აგრეთვე დასავლეთ ინდოელებსა და პაკისტანელებს შორის.

მედიის მრავალფეროვნების ინსტიტუტის მისიის უმთავრეს ელემენტს წარმოადგენს ის, რომ გვიჩვენოს, თუ როგორ ხდება უურნალისტური დავალების მიცემა, სტატიების დაწერა და რედაქტირება. ინსტიტუტის დამფუძნებელ დირექტორს მილიცა პესიჩს სჯერა, რომ უურნალისტებს ეკისრებათ იმაზე მეტი პასუხისმგებლობა, ვიდრე მხოლოდ ფაქტების სწორად გადმოცემა. მათი სიტყვები პოტენციურ მომაკვდინებელ იარაღს მოგვაგონებს. მათ მძიმე დაღის დასმა შეუძლიათ ადამიანებსა და ზოგადად საზოგადოებაზე. როგორც ეს შემთხვევით შერჩეული მაგალითებიც ცხადყოფს, ზოგიერთი ყველაზე გავლენიანი გაზეთის უურნალისტი გაურკვეველ სტანდარტებსა ამკვიდრებს – დამწყები დემოკრატიის ქვეყნებში. უურნალისტებმა თავიანთი სტატიებისთვის, შესაძლოა, მოდელად ასეთი მაგალითები გამოიყენონ, რაც მედიის მრავალფეროვნების ინსიტუტის ამოცანას კიდევ უფრო ართულებს. პესიჩი თავგამოდებით ამტკიცებს, რომ შესაფერისი მომზადებისა და გადამზადების შემდეგ ახალი თაობის განათლებული და პასუხისმგებლობით აღსავსე უურნალისტები, შეძლებენ სიძულვილით შეპყრობილი საზოგადოების ნაყოფიერ და ტოლერანტულ დემოკრატიულ საზოგადოებად გადაქცევას.

იმისათვის, რომ უურნალისტებს დავეხმაროთ, უკეთ გაიგონ, როგორ გააშუქონ მრავალფეროვნება, მედიის მრავალფეროვნების ინსტიტუტმა სახელმძღვანელო

გამოსცა. ეს სახელმძღვანელო შეიცავს ცუდი, ხშირად უპასუხისმგებლო და ამაზრზენი სტატიების ნაკრებს. ეს სტატიები შეიძლება გამოყენებულ იქნას სასწავლო მასალად, რომ ნათელი გახდეს, თუ რა საზიანო შეიძლება იყოს გაზეთი მკითხველისათვის. ამ გაზეთების რეადაქტორები ექიმები რომ ყოფილიყვნენ, არაპროფესიონალიზმის გამო აუცილებლად ჩამოერთმეოდათ სამედიცინო პრაქტიკის უფლება.

ამავე დროს, წინამდებარე სახელმძღვანელო კონსტრუქციულ რჩევებს აძლევს უურნალისტებს [და ყველას, ვინც შეიძლება დაინტერესებული იყოს უურნალისტური პრაქტიკის გაუმჯობესებით], როგორ ავიცილოთ თავიდან ახალი შეცდომები. ეს სახელმძღვანელო ყველა აქტიური პრაქტიკოსი უურნალისტისთვის სამაგიდო წიგნი უნდა გახდეს, რომ მან საკუთარ თავს დაუსვას კითხვა – აკმაყოფილებს თუ არა მისი დაწერილი და რედაქტირებული სტატია სახელმძღვანელოში ჩამოყალიბებულ მრავალფეროვნების სტანდარტებს.

მრავალფეროვნებასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქების პრაქტიკული მიმართულების გარდა არსებობს გონიერივი მიდგომაც. ეს არის საკითხი, რომელშიც სრულიად ვეთანხმები მიღიცა პესიჩს. მრავალფეროვნება პრობლემას არ წარმოადგენს, ეს არ არის ლოდი, რომელიც ტვირთად აწევს ქანცაგანვეტილ რედაქტორებსა და რეპორტიორებს. ჭკვიანი, მოხერხებული რედაქტორი მიხვდება, რომ მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც უგულებელყოფილია, ან რომელსაც ჯეროვნად არ ემსახურებიან, შეიძლება ახალ მკითხველთა რიგებს შეემატოს. „მრავალფეროვნება კარგად იყიდება“ – ეს ფრაზა ყველა საინფორმაციო სტუდიაში უნდა იყოს გამოკრული.

როჯერ კოენი „ინტერნეიტენენტ ჰერალდ ტრიბუნში“ წამოწყებულ „გლობალისტურ სვეტში“ აღნიშნავდა, როგორ შეძლეს შერიგება ისტორიულად გადამტერებულმა ქვეყნებმა – გერმანიამ და პოლონეთმა. „კი, პოლონეთმა და გერმანიამ შეძლეს შერიგება, იგივე შეუძლიათ ისრაელსა და პალესტინელებს, – წერდა კოენი.

დასასრულ, უურნალისტებს აქვთ განსაკუთრებული ინტერესი, წვლილი შეიტანონ ისეთი მსოფლიოს შექმნაში, რომელიც ზურგს შეაქცევს სიძულვილსა და არატოლერანტულობას. მათ შეუძლიათ პრაქტიკულად განხორციელონ ის, რასაც დიდმა ამერიკელმა მწერალმა და უურნალისტმა უოლტერ ლიპმანმა „სინათლის მაძიებლის როლი“ უწოდა. მათ შეუძლიათ თავიანთი უურნალისტური შუქი მიანათონ იმ მოვლენებს, რომლებიც მორალურად კი არ აკნინებს ადამიანებს, არამედ – შთააგონებს.

## ჯონ ოუენი

სი პი ეს-ის სატელევიზიო ახალი ამბების ყოფილი მთავარი რედაქტორი, თავისუფლების ფორუმის ევროპული ცენტრის დამფუძნებელი დირექტორი და ლონდონის სიტი უნივერსიტეტის უურნალისტიკის ფაკულტეტის მოწვეული პროფესორი



---

მისამართი 1. გესავალი

## შესავალი

**2003** წელს მე გახლდით მწვრთნელი ერთ-ერთ სემინარზე, რომელიც ეძღვნებოდა მე-დიასა და ეთნიკურ უმცირესობებს და რომელსაც ესწრებოდნენ უურნალისტები სამხრეთ კავკასიიდან. ერთ-ერთმა ჩემთა ქართველმა კოლეგამ ეს ღონისძიება შეაფასა, როგორც „მორიგი სემინარი“. მან მოგვიანებით აგვიხსნა, რომ მის ქვეყანაში იმ დროს მიმდინარე პოლიტიკური დაძაბულობის ფონზე ეს თემა მასმედი-ისათვის ნაკლებად საინტერესო იყო.

ახლახანს მან მოწერა, რომ დრო შეიცვალა. სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი საქართველოში პოლიტიკური დღის წესრიგის უმთავრესი ყურადღების ცენტრში მოექცა. „ახლა“, – მწერდა ის, – „მასმედიის საშუალებები ცდილობენ ყურადღება დაუთმონ ეთნიკურ უმცირესობებს და პოსტკონფლიქტურ რეალობაში მათთან ერთობლივ თანაცხოვრებასთან დაკავშირებულ საკითხებს.“

მისი თქმით, „ეთნიკური უმცირესობები სრულიად პასიურები იყვნენ ადგი-ლობრივი და საპარლამენტო არჩევნების დროს. ისინი უბრალოდ ვერ ახდენენ საკუთარი თავის ასოცირებას ამ ქვეყანასთან და ისინი თითქმის არასდროს არიან ახალი ამბების ყურადღების ცენტრში, სიტუაცია კონფლიქტურ მდგომარეობამდე არ არის მისული.“

ბაქოში, მედიის მრავალფეროვნების ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ ღონის-ძიებაზე, მასმედიის ანალიტიკოსმა ასეთივე სიტუაცია წარმოადგინა თავის ქვე-ყანაში: „უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხები არ შუქდება, თუ ამისთვის არ არსებობს რაიმე განსაკუთრებული მიზეზი.“ მან იქ შეკრებილ უურნალისტებს ურჩია: „ეს სამედიცინო პრობლემასთან მიდგომას ჰგავს. უბრალოდ, ყველაფერი უნდა იღონო იმისათვის, რომ ვინმექს ზიანი არ მიაყენო.“

ასევე, სომხეთმაც, ევროპის საბჭოს მონაცემებით, უფრო მეტი უნდა გააკეთოს ეთნიკური უმცირესობებისათვის ისეთ სფეროებში, როგორიცაა განათლება, მას-მედიის ხელმისაწვდომობა და უმცირესობათა ენების გამოყენება.

მაშინ, როდესაც ის მცირეოდენი ყურადღება, რომელიც უმცირესობათა საკითხებს ეთმობა, ძირითადად ეთნიკური უმცირესობებისკენ არის მიმართული, ისიც ნათელია, რომ რეგიონის მასშტაბით მედიის მიერ რელიგიური უმცირესობების, ლტოლვილთა/იძულებით გადაადგილებულ პირთა და უნარშეზღუდულთა შესახებ საკითხების გაშუქება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

პოსტკონფლიქტურ რეალობაში უმცირესობებთან თანაცხოვრება და მათთვის ცხოვრების უფლების მიცემა ის საკითხია, რომელზე მუშაობაც სცადა სამხრეთ

კავკასიაში მედიის მრავალფეროვნების ინსტიტუტმა. მათი უმეტესობა, ვისთანაც შეხება გვქონია, უმრავლესობის წარმომადგენლები იქნებოდნენ თუ უმცირესობისა, არ დაეთანხმებოდა ჩემს ქართველ კოლეგას იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ისინი საკითხს არ უღრმავდებიან. ზედაპირზე მართლაც შეიძლება არსებობდეს „უფრო სერიოზული საკითხები“, ვიდრე ეთნიკურ უმცირესებებთან დაკავშირებული პრობლემებია, თავი რომ დაგანებოთ მარგინალური და დაუცველი ჯგუფების კატეგორიებს. სამხეთ-აღმოსავლეთ ევროპის მსგავსად, ეთნიკურ უმცირესობათა საკითხი მხოლოდ მაშინ ხდება აქტუალური, როცა კონფლიქტი ჩნდება.

ბევრ ჩვენგანს, რომლებმაც სოციალიზმის ეპოქაში გამოვცადეთ ცხოვრება, ალბათ მიამიტურად სჯეროდა, რომ ბერლინის კედლის დაცემა დაამკვიდრებდა პიროვნების პატივისცემასა და იმის უფლებას, რომ იყო განსხვავებული. ჩვენ გვჯეროდა, რომ პოლიტიკურ, რელიგიურ და სხვა განსხვავებებზე დამყარებული შიში გარკვეულწილად გზას დაუთმობდა ახალს და ხელგაშლილად შევეგებებოდით თანაგრძნობისა და ურთიერთგაგების ხანას.

სოციალისტურ ეპოქასთან შედარებით, ბოლო წლების მანძილზე ბალკანეთსა და მთლიანად სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, აგრეთვე ყოფილ საბჭოთა კავშირში, მდგომარეობა გამოსწორდა. მაგრამ ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევები და ეთნიკური დაპირისპირებები ჯერ კიდევ არსებობს. დისკრიმინაცია და არატოლერანტულობა რელიგიური, სქესობრივი, სოციალური სტატუსის, ასაკობრივი, ფიზიკური და ემოციური მდგომარეობის, სექსუალური ორიენტაციის, თუ სხვა ნიშნით, საფრთხეს უქმნის სტაბილურობას ზოგიერთ პოსტკომუნისტურ რეგიონში და ნაყოფიერ ნიადაგს უქმნის ექსტრემიზმის მომზრებებს.

მედიის მრავალფეროვნების ინსტიტუტის მიერ სამხრეთ კავკასიაში დღემდე ჩატარებული სამუშაო ცხადყოფს, რომ ხშირად მასმედიის საშუალებების მიერ არანაირი ინფორმაციის მიწოდება არ ხდება, იმისათვის, რომ მსმენელმა თუ მკითხველმა გაიგოს მათ გვერდით მცხოვრები უმცირესობების უფლებებისა და ტრადიციების შესახებ, გაიგოს, თუ რა აწესებთ მათ. ამის მაგივრად ჟურნალისტები ხშირად ძალიან უარყოფითად, ანდა, უკეთეს შემთხვევაში, ზედაპირულად აშუქებენ მოვლენებს, რაც წინასწარგანწყობასა და შიშის გავრცელებას უწყობს ხელს.

ეს პრობლემა არ არის დამახასიათებელი მხოლოდ გარდამავალ პერიოდში მყოფი რეგიონებისთვის. ბოლო წლების განმავლობაში, უურნალისტებსა და მასმედიაში გადაწყვეტილებათა მიმღებებს დიდ ბრიტანეთში, შეერთებული შტატებსა და დასავლეთის სხვა ქვეყნებში დიდი ძალისხმევა მოუხდათ, რომ გაუმჯობესებულიყო სხვადასხვა უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხებისა თუ მოვლენების გაშუქების პრაქტიკა. ამჟამად დიდ ბრიტანეთში გაცხოველებული დებატები მიმდინარეობს საკითხზე: მეტი მრავალფეროვნება თუ მეტი ბრიტანელობა? კანადაში, ე.წ. „კანადური პარტიკულარიზმი“ – ნახევრად ნაციონალისტური ჯგუფებისადმი ლოიალურობის შენარჩუნება – კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ნიდერლანდებში დგას საკითხი, რამდენად იზიარებენ იმიგრანტები პოლანდიურ ლიტებულებებს.

მაშინ, როცა შედარებით დიდი პროგრესი იქნა მიღწეული ე.წ. „დასავლეთში“, დღესაც

კი, ბევრი ძებნა არ დაგვჭირდება, რომ უურნალისტთა მასალებში ენის, ეთნიკური სტერეოტიპებისა და მიკერძოების შეურაცხმულფელი მაგალითები ვიპოვოთ. მაგრამ ზემოაღნიშნული პრობლემა უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ისეთ ქვეყნებში, რომლებიც ახლახანს დაადგნენ დემოკატიის შენების რთულ გზას. დემოკრატიული პროცესი გულისხმობს ყველა ხალხს სრულ ჩართვასა და ინტეგრაციას ერის ცხოვრებაში. მასმედია ძლიერ სოციალურ იარაღს წარმოადგენს, რომელსაც ძალუძს და მობილიზებული უნდა იქნეს, რომ ხელი შეუწყოს ამ ურთიერთგაების დამყარების პროცესს. ქვეყნებში, რომლებიც დემოკრატიის ჩამოყალიბებისკენ ისწრაფვიან, უურნალისტებს შეუძლიათ უდიდესი როლი ითამაშონ ეთნიკურ, რელიგიურ თუ სხვა ნიშნით განსხვავებულ საზოგადოებებს შორის ურთიერთობების გარდაქმნაში, თუკი ისინი თავიანთი მისიის განხორციელებას საღ აზრზე დაყრდნობითა და მონდომებით შეეცდებინ.

აცნობიერებდა რა მასმედიის ზემოაღნიშნულ პოტენციალს, მედიის მრავალფეროვნების ინსტიტუტმა შეიმუშავა და განახორციელა მრავალფეროვნების გაშუქების ტრეინინგის რეგიონალური პროგრამა. პროგრამის მიზანია პროფესიონალური უურნალისტიკის უმაღლესი სტანდარტების დამკვიდრების ხელშეწყობა და ინსტიტუციონალიზება ტრეინინგის სტრატეგიების შემუშავებითა და მოვლენათა გაშუქების პრაქტიკული გამოცდილების მიღების მხარდაჭერით, ასევე, მასმედიის ძალების მობილიზებით, რომ ხელი შეეწყოს ფართო საზოგადოების მიერ მრავალფეროვნების, უმცირესობების და ადამიანთა უფლებების ღრმა შეცნობას.

გვჯერა, რომ მოვლენათა სამართლიანი, მიუკერძოებელი და ღრმა გაშუქება უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ზემოაღნიშნულის მისაღწევად. იგი არანაკლებ მნიშვნელოვანია წინასწარგანწყობისა და რადიკალური პოლიტიკური მიზნების წინააღმდეგ დაპირისპირების დროს. უფრო მეტიც, დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებასა და მრავალფეროვნების პატივისცემას შორის სასიცოცხლო კავშირია. არ არსებობს სრულიად ერთნაირი საზოგადოება, და დემოკრატიულ მმართველობაზე გადასვლა შეუძლებელია ამ ფაქტის გაცნობიერების გარეშე. თუ უურნალისტიკის ძირითად ფუნქციას საზოგადოების ყველა წევრის საჭიროებებისა და მისწრაფებების ასახვა წარმოადგენს, მაშინ აუცილებელია, რომ უურნალისტებმა გამონახონ გზები და ხერხები, რომ ეს ფუნქცია აღსრულდეს. და არა მხოლოდ თანასწორობის მისაღწევად, არამედ იმისთვისაც, რომ გადაიდგას ნაბიჯი, რომ ყველას ჰქონდეს შესაძლებლობა, გაიზიაროს მოქალაქედ ყოფნის ტვირთიცა და სარგებელიც.

მრავალფეროვნების გაშუქებაზე მხოლოდ იმის გამო კი არ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ ის სამაგალითო უურნალისტიკის ელემენტს წარმოადგენს, არამედ იმიტომაც, რომ იგი ასევე წარმატებული ბიზნესპრაქტიკის ერთ-ერთი ნაწილია. თუ მასმედიის საშუალებები მოვლენათა უფრო ფართო სპექტრს გააშუქებენ, მათ საშუალება მიეცემათ ამჟმადვიწროდ დაყოფილ ბაზრის უფრო დიდი ნაწილი დაიკავონ. ისინი აღმოაჩენენ, რომ შეუძლიათ გააძლიერონ თავიანთი კავშირები პოტენციურ აუდიტორიასთან, განსაკუთრებით კი მათთან, ვისაც არასდროს უგრძენია, რომ მათ ცხოვრებასა და პერსპექტივებს პატივს სცემენ, ანდა კარგად აშუქებენ გაზეთებსა თუ სხვა საინფორმაციო საშუალებებში.

განსხვავებების მიუხედავად, ჩვენ ყველა იმ საზოგადოების ნაწილი ვართ, რომელშიც გვიწევს ცხოვრება და მუშაობა. ყველას გვინდა მშეიძლობიანი ცხოვრება და ჩვენი საზოგადოების განვითარებაში დადებითი წვლილის შეტანა. ისიც გვინდა, ოჯახების რჩენა და შვილებისათვის კარგი განათლების მიცემა შეგვეძლოს. ჩვენ უნდა ვისწავლოთ ჩვენი მრავალფეროვნების ძლიერებისა და იმედის, შემცირებისა და ცნობისმოყვარეობის წყაროდ აღქმა, რადგან მრავალფეროვნება არ შეიძლება იყოს ხალხის უბედურებისა და მასზე ძალადობის მიზეზი.

როგორც უურნალისტებს, უნიკალური შესაძლებლობა გვეძლევა, ხელი შევუწყოთ შერიგების პროცესს. ჩვენ შეგვიძლია დავეხმაროთ საზოგადოების ყველა წევრს, რომ მათ საკუთარი სურვილები გამოხატონ და პრობლემები წამოჭრან. ჩვენ შეგვწევს ძალა, რომ აღმოვფხვრათ სტერეოტიპები და მცდარი წარმოდგენები ჩვენსავე საზოგადოებაში მცხოვრები ეთნიკური, რასობრივი თუ რელიგიური უმცირესობების შესახებ. ჩვენ გვაქვს იმის ძალა, რომ მოვლენათა ზუსტი და მიუკერძოებელი გაშუქების გზით წარვმართოთ დისკუსია და საერთო ინტერესების სფეროები განვისაზღვროთ.

ნინამდებარე სახელმძღვანელო წარმოადგენს იმ ამომწურავი პროგრამის ნაწილს, რომელიც შეიქმნა ჩამოყალიბების პროცესში მყოფი საზოგადოებების დახმარების მიზნით, რომ მათ შეძლონ მრავალფეროვნებისა და „სხვათა“ საკითხების უკეთ გადაწყვეტა. პროგრამის მთავარი მიზანია, საშუალება მისცეს უურნალისტებს, გააუმჯობესონ უმცირესობათა, ეთნიკურ ჯგუფებს შორის ურთიერთობათა და ადამიანის ძირითადი უფლებების გაშუქება. სახელმძღვანელო შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე რედაქტორებისა და მასმედიის ორგანიზაციების მფლობელთა მიერ, რადგან, საბოლოო ჯამში, სწორედ ისინი არიან პასუხისმგებელნი ამ საკითხების გაშუქებაზე.

მრავალფეროვნების გაშუქების პროგრამის ჩამოყალიბების დღიდან მრავალფეროვნების გაშუქების სახელმძღვანელოს რვა ვერსია გამოქვეყნდა სხვადასხვა ქვეყანაში. გამოიცა აგრეთვე სახელმძღვანელოს ინგლისურენოვანი საერთაშორისო ვერსია ჩვენს პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით. წინამდებარე სახელმძღვანელო ჩვენს გამოცდილებას აგრძელებს და ამჯერად გთავაზობთ სასწავლო მასალასა და მრავალფეროვნების გაშუქების ტრეინინგის სისტემურ მეთოდოლოგიას რეპორტიორებისა და მასმედიის სხვა წარმომადგენლებისათვის. იმედი გვაქვს, სახელმძღვანელო თქვენთვის სასარგებლო და ადვილად გამოსაყენებელი იქნება. თავისუფლად შეგიძლიათ სახელმძღვანელოში მოყვანილი მასმედიის მრავალფეროვნების ინსტიტუტის მასალები ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ან ორგანიზაციის გაუზიაროთ – რაც უფრო მეტისათვის იქნება ეს მასალები გამოსადეგი, მით უკეთესი იქნება. მხოლოდ ერთი სათხოვარი გვაქვს – როდესაც ამ მასალებს გამოიყენებთ, აღნიშნეთ, რომ ისინი ჩვენ მოგანოდეთ.

გმადლობთ.

მილიცა პესიჩი,

მასმედიის მრავალფეროვნების ინსტიტუტის დირექტორი  
2004



---

2. ზოგადი რჩევები  
მრავალფეროვნების გასაშექებლად

# შოგალი რჩევები მრავალფეროვნების გასაშუქრებლად

**ე**ურნალისტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა დაწეროს იმათ შესახებ, ვინც მისგან ძირეულად განსხვავდება. არა აქვს მნიშვნელობა, ეს განსხვავება ეთნიკური წარმომავლობაა, რელიგიური მრნამსი, სექსუალური ორიენტაცია, სოციალური ფენა თუ ეკონომიკური სტატუსი. უურნალისტის როლია, ზუსტად გადმოსცეს ადამიანის შეხედულებები, იდეები, მსოფლმხედველობა – მაშინაც კი, თუ ისინი უაღრესად განსხვავებულია.

ამ მიზნის მიღწევა შესაძლოა უაღრესად რთული იყოს ისეთ მხარეში, როგორიცაა სამხრეთ კავკასია, სადაც სოციალური და ეთნიკური დაყოფის შედეგად საზოგადოება დანაწევრდა, მაგრამ ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია. დავუშვათ, უურნალისტებს უნდათ, რომ საკუთარ საზოგადოებას ურთიერთობაგების დამყარებასა და ჭრილობების მოშუშებაში დაეხმარონ. ამისათვის აუცილებელია, რომ მათი განსხვავებულობის მიმართ შიშისა და უნდობლობის გაღვივების მაგივრად ამ განსხვავების გაგებასა და მის მიმართ შემწყნარებლობას შეუწყონ ხელი.

## რჩევები ინფორმაციის წყაროთა მოსაძიებლად

მასალებისათვის წყაროთა მოძიების ზოგიერთი სტრატეგია ძირითადად განსხვავებების სპეციფიკურ ჯგუფებს ან ტიპებს ეფუძნება. მაგრამ ქვემოთ მოყვანილი რჩევები მართებულია ნებისმიერი ჯგუფისა თუ ტიპისათვის:

\* როდესაც სტატიას ეთნიკურ, სოციალურ, რელიგიურ თუ სხვა უმცირესობათა შესახებ წერთ, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ინტერვიუ ამ ჯგუფის წარმომადგენლისაგან აიღოთ და მასალაში მათი შეხედულებებიც ჩართოთ. სხვა შემთხვევაში, ისინი, ვის შესახებაც სტატია იწერება, არა „სუბიექტები“, არამედ „ობიექტები“ გამოდიან. სტატიამ მთელი ჯგუფი არ უნდა გააკრიტიკოს ამ ჯგუფის წარმომადგენელთათვის საკუთარი პოზიციის გამოხატვისა და ბრალდებებზე პასუხის გაცემის შესაძლებლობის მიცემის გარეშე.

\* ყურადღება გმართებთ სიტყვებისა და გამოთქმების ხმარებისას. სიტყვას დიდი ძალა აქვს და შეუძლია როგორც ნუგეშისცემა, ასევე ტკივილის მიყენებაც. სიტყვების დაუკვირვებელმა გამოყენებამ შეიძლება ეთნიკური და სოციალური დაძა-

ბულობა გამოიწვიოს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ თქვენ ამას მიზნად არ ისახავთ. გაიგეთ, თუ როგორ, რა სახელით ურჩევნიათ უმცირესობათა წარმომადგენლებს, რომ სტატიაში მოიხსენიოთ.

- \* მასალის შეგროვებისას ეცადეთ გააცნობიეროთ – რამე წინასწარგანწყობა ხომ არა გაქვთ, ანდა მიკერძოებული ხომ არ ბრძანდებით? რა თქმა უნდა, ამა თუ იმ საკითხზე საკუთარი შეხედულება გექნებათ, მაგრამ საზოგადოებაში არსებულ შეხედულებებში ეჭვის შეტანა ურნალისტიკის როლის ერთ-ერთი ნაწილია. ამა თუ იმ ჯგუფის შეხედულება სხვა ჯგუფზე ფაქტებს კი არა, სტერეოტიპებს ეფუძნება, თუმცა ხანდახან შეიძლება სტერეოტიპი სიმართლის ელემენტს შეიცავდეს. მაგალითად, ზოგიერთი პომოსექსუალი მამაკაცი ქცევით ქალს ჰეგავს [ისევე, როგორც ზოგიერთი ჰეტეროსექსუალი მამაკაცი], მაგრამ მათი უმეტესობა ასეთი არ გახლავთ.
- \* ყურადღებით იყავით ისეთი ფრაზების ხმარებისას, როგორიცაა: „ყველასათვის ცნობილია, რომ“, ანდა „აშკარაა, რომ“. ასეთი გამოთქმებით, უურნალისტები ხშირად გამოხატავენ საკუთარ ან იმ სოციალური ჯგუფის შეხედულებებს, რომელსაც თავად მიეკუთვნებიან. ნებისმიერ შემთხვევაში, ის, რაც „მოვცეხსენება“, საკვებით შესაძლებელია ტყუილი გამოდგეს, ანდა წინასწარგანწყობას ეფუძნებოდეს. ასევე შესაძლებელია, რომ ის განსაკუთრებულ გარემოებაში მომხდარი ფაქტების რეალურ აღქმას ასახავდეს.
- \* სოციალურ ჯგუფებს შორის მიმდინარე კონფლიქტთა გარემოებები ხშირად ძალზე ჩახლართულია. როგორც წესი, ორივე დაპირისპირებულ მხარეს ლეგიტიმური მოთხოვნები და შეხედულებები აქვს. უურნალისტის როლი ამ შეხედულებათა მიუკერძოებლად და აკურატულად ასახვაა. ეცადეთ, რთული სოციალური საკითხები არ წარმოადგინოთ მხოლოდ შავ-თეთრი ფერებით.
- \* ერთმანეთისაგან გასხვავებული ხალხის გაშუქება შხოლოდ თანაბრად წარმოჩენისა და ინტერესთა დაბალანსების გამო არ უნდა ხდებოდეს. მასმედისათვის იგი წარმატებული ბიზნესის თვალსაზრისითაც არის მნიშვნელოვანი. მხოლოდ ერთი ჯგუფის შეხედულებების წარმოჩენით მასმედის მრავალი წარმომადგენელი ზღუდავს პოტენციურ მსმენელსა თუ მკითხველს. ისინი აუდიტორიას გაზრდიან, თუ, იმავდროულად, სხვა საზოგადოებათა გაშუქებასაც შეეცდებიან.
- \* მოვლენათა გაშუქებისას, ეცადეთ მსმენელსა თუ მკითხველს ამ მოვლენათა კონტექსტი აუხსნათ. ეთნიკური, რელიგიური თუ სოციალური დაპირისპირება უმიზეზოდ არ იწყება. როგორც წესი, კონფლიქტს გრძელი წინასტორია აქვს ხოლმე და მხარეების მიერ წარსულის ინტერპრეტირება ერთმანეთისაგან ძალზე განსხვავებდება. მანამ, სანამ მასალის თანაბრად წარმოჩენას შეეცდებით, უნდა გაიგოთ, რა ხდებოდა წარსულში, შემდეგ გადაწყვიტოთ, რამდენად დაწვრილებით უნდა იქნეს წარსული ნაჩვენები, რომ მკითხველმა შეძლოს უცილებელი დეტალების გაგება.

\* იპოვეთ რაიმე საკითხის შესახებ წერის არასტანდარტული გზები. გაატარეთ ერთი დღე უსახლეაროსთან, ლესბოსელთან ან ლტოლეითან იმისათვის, რომ გაიგოთ, როგორ ცხოვ-რობენ ისინი, რისი იმედი აქვთ, რისი ეშინიათ, შესაბამებიან თუ არა ისინი თქვენთვის ცნობილ სტერეოტიპებს. თუ რომელიმე სოციალური ჯგუფი წინააღმდეგია საკუთარი წევრების რაიმე განსაკუთრებული სიტყვით/სახელით მოხსნიერისა, შეისწავლეთ ამ სიტყვის/სახელის ისტორია. რა ასოციაციებს ან აზრებს იწვევს ეს სიტყვა/სახელი? რატომ არის ეს ხალხი ამ სიტყვის წინააღმდეგი? რატომ განაგრძოს სხვა სოციალური ჯგუფი ამ სიტყვის თქმას?

\* სხვა საზოგადოებაშიც ეძიეთ წყაროები მასალებისთვის. მოძებნეთ ისეთი პირები, რომ-ლებიც თანახმანი იქნებიან ინფორმაცია მოგაწოდონ იმის შესახებ, თუ რაზე ფიქრობენ და საუბრობენ მათი სოციალური ჯგუფის წევრები, რა აწუხებთ მათ. კავშირები დაამყარეთ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც ამ საზოგადოებებს წარმოადგენენ და ჰქითხეთ, რა არ გაუშუქებიათ ჯერ მათ ცხოვრებაში. სთხოვეთ, რომ მოგითხოვთ იმ პოლი-ტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ თუ სხვა საკითხებზე, რომელთა შესახებ, შესაძლოა, სხვაგვარად ვერ შეიტყოთ.

\* იყავით სკეპტიკური. გადაამოწმეთ ფაქტები. შეუმოწმებლად არასდროს ენდოთ ნაამ-ბობს. მნიშვნელობა არა აქვს, ეს ამბავი თქვენი საკუთარი, თუ რომელიმე სხვა საზოგა-დოების წევრისგან მოდის. გახსოვდეთ, რომ ყველას, ვისგანაც ინტერვიუს იღებთ ან ესა-უბრებით, საკუთარი შეხედულება და ინტერესები აქვს. თქვენ უნდა გაითვალისწინოთ მათი შეხედულებები, მაგრამ საჭიროა მათი დაბალანსება თქვენი დანახულით და სხვე-ბისაგან გაგებულით.

\* არ გევონოთ, რომ ეთნიკური ან სხვა უმცირესობები მონოლითური ერთეულებია. მი-უხედავად იმისა, რომ შეიძლება ჩანდეს, თითქოს ჯგუფის ყველა წევრს ერთნაირი შეხე-დულება აქვს – ცხოვრება ასეთი მარტივი არ არის. როდესაც ერთი ჯგუფი ხედავს, რომ მეორე ჯგუფი მკვრივ ერთეულად არსებობს და მოქმედებს, ამან, შესაძლოა, დაძაბულობის გამწვავება გამოიწვიოს. ამგვარი ქცევა საფუძველს აძლევს დაპირისპირებულ ჯგუფს, ის აზრი განიმტკიცოს, რომ მათი უნდა გვეშინოდეს. გაესაუბრეთ სოციალური ჯგუფის რაც შეიძლება მეტ წევრს და მაქსიმალურად ნათლად და დეტალურად წარმოადგინეთ მოსმე-ნილ შეხედულებათა მთელი სპექტრი.

\* ბევრს ძალზე უარყოფითი დამოკიდებულება აქვს განსხვავებული სოციალური ჯგუფე-ბის მიმართ. მხოლოდ იმიტომ, რომ უმცირესობებზე საუბრისას ხელისუფლების ან სამღვ-დელოების რომელიმე წარმომადგენელი, პოლიტიკოსი ან სხვა ვინმე შეურაცხმყოფელ ტერმი-ნებსა და გამოთქმებს ხმარობს, არ ნიშნავს, რომ თქვენი, როგორც უურნალისტის მომზადე-ბულ მასალაში იმავე შეურაცხმყოფელი ენით უნდა იყოს საკითხი თუ მოვლენა აღწერილი. თუ საჭირო იქნა, პერიფრაზი გაუკეთეთ მათ სიტყვებს. თუ სიტყვების მთქმელის პირდაპირ ციტირებას ახდენთ, უნდა აღნიშნოთ, რომ უმცირესობების წარმომადგენლები, ვის მიმართაც ეს იქნა ნათქვამი, ამას შეურაცხმყოფელად და გამომწვევად მიიჩნევენ.

## რჩევები სხვა ჯგუფების წარმომადგენლებისგან ინტერვიუს ასაღებად

\* იყავით ყურადღებიანი და დაფიქრებული. უნდა გესმოდეთ, რომ თქვენგან განსხვავებულ ხალხს შეიძლება უურნალისტთან საუბრის თავისებური შიში ჰქონდეს, თუნდაც ეს ინტერვიუ პირველი არ იყოს მათვეის. იმისათვის, რომ ძირითად თემაზე საუბრის დაწყება ცოტათი გაადვილდეს, ჯერ მცირე „შინაურული საუბარი“ გააბით, მათი ოჯახის ან სამსახურის ამბებით დაინტერესდით, ჰკითხეთ, რითი ერთობიან თავისუფალ დროს და ა.შ. ეს მათ ხელს შეუწყობს, რომ თავი უფრო კომფორტულად იგრძნონ. ამით აგრძნობინებთ, რომ თქვენთვის ისინი მარტო უმცირესობის წარმომადგენლები არ არიან და გესმით, რომ მათ ცხოვრების სხვა ასპექტებიც აქვთ.

\* ინტერვიუს აღებისას დარწმუნდით, რომ ყველა მათი წინაპირობა სწორად გესმით. გაარკვით, წინააღმდეგნი ხომ არ არიან, რომ მასალაში მათი სახელი იქნას მოხსენიებული. შესაძლოა სახელების ხსენების წინააღმდეგნი არ იყვნენ, მაგრამ არ სურდეთ, რომ მათი გვარები იყოს ნახსენები, ან ქალაქი, საიდანაც არიან, ანდა რაიმე სხვა დეტალი, რომლის მიხედვითაც შეიძლება მათი იდენტიფიცირება გახდეს შესაძლებელი. დაეთანხმეთ მათ მოთხოვნებს და გადარწმუნებას ნუ შეეცდებით.

\* თუ არჩევის შესაძლებლობა გაქვთ, ინტერვიუსთვის ისეთი ადგილი მოძებნეთ, სადაც ისინი თავს ყველაზე კომფორტულად იგრძნობენ. ყველაზე კარგი იქნება, თუ ინტერვიუს მათვის ნაცნობ გარემოში ჩამოართმევთ – მათ საკუთარ ბინაში თუ ოფისში – ისინი ყველაზე თავისუფლად ამ გარემოში იგრძნობენ თავს. ეს ხელს უწყობს მათი შეხედულებების უკეთ გაგებასაც, რადგან თქვენ საშუალება გეძლევათ, რომ ამ შეხედულებებს მათვის ჩვეულ გარემოში გაეცნოთ. შეიძლება იქ ისეთი რამ გაგიზიარონ, რის შესახებაც უფრო ოფიციალურ ან უჩვეულო გარემოში არაფერს იტყოდნენ.

\* მიეცით საშუალება, რომ ამბავს ისე მოგიყვნენ, როგორც ეს თვითონ სურთ. თუ უნდათ, რომ ხუთი ან ათი წლის წინ მომზდარით დაინყონ, დააცადეთ, თუნდაც ეს იმას არ ეხებოდეს, რისი გაგებაც თქვენ გჭირდებათ. ეცადეთ, საკმარისი დრო გამოყოთ, რომ არ მოგიხდეთ მათზე ზეწოლა, რომ სწრაფად გადავიდნენ ძირითად საკითხზე. ხშირად, ადამიანი უფრო ადვილად ლაპარაკობს მისთვის საჭირბოროტო საკითხებზე, თუ საშუალება აქვს დროში შეუზღუდავად ილაპარაკოს.

\* წინასწარ ჩამოწერეთ კითხვები, რომლების დასმასაც აპირებთ. მაგრამ გახსოვდეთ, რომ ეს საუბრის ზოგადი მონახაზი უფრო იქნება, ვიდრე რაიმე მკაცრად განსაზღვრული გეგმა, საიდან გადახვევაც დაუშვებელია. როდესაც კითხვას დასვამთ, ყურადღებით მოისმინეთ, რას გიპასუხებენ, რომ, თუ საჭირო იქნება, სხვანაირად მიუდგეთ. იყავით უფრო მოქნილი. თუ თქვენ ძირითადად საკუთარ წარმოდგენას ეყრდნობით, – რის შესახებ უნდა იყოს ინტერვიუ, როდესაც თქვენი წყარო პრობლემის რაიმე მნიშვნელოვან, მაგრამ შეფა-

რულ ასპექტს აღნერს, შეიძლება ისეთი მომენტები გამოგრჩეთ, რომლის შესახებაც არა-ფერი იცოდეთ.

\* მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებულნი არიან, არ დაუწყოთ მითითება, თუ როგორ უნდა წარმართონ თავისი ცხოვრება. ისინი დაუყოვნებლივ იგრძნობენ, თუ კი მათ შემ-ფასებლურად მიუდგებით. ამის გამო, შესაძლოა, არაკომორტულად იგრძნონ თავი, ან არ გენდონ, რომ მათგან მიღებულ ინფორმაციას სწორად გამოიყენებთ. მათ თქვენზე უკეთ ესმით საკუთარი მდგომარეობა – სწორედ ამიტომ ცდილობთ მათგან ინტერვიუს აღებას.

\* ეცადეთ გაიცნობიეროთ უმცირესობათა წარმომადგენლების მიმართ თქვენში არსებული ყველა ის რწმენა ან შეხედულება, რომელმაც, შესაძლოა, ობიექტურობაში შეგიშალოთ ხელი – ინტერვიუს მსვლელობისა და სტატიის მომზადებისას ეცადეთ დაივიწყოთ წინასწარგანწყობა თუ შეხედულებები. თუ იმ ხალხზე, რომლის შესახებაც წერთ, სტერეოტიპებზე აგებული შეხედულებები გაქვთ და ამას არ აღიარებთ, დიდია ალბათობა, რომ ამ გარემობამ თქვენს შეკითხვებსა და ნაწერში იჩინოს თავი.

\* გახსოვდეთ, რომ თქვენი წყაროები ექსპერტები არიან. ექსპერტი მხოლოდ ექიმს ან მეცნიერს არ ნიშნავს. ისინი საკუთარი ცხოვრების ექსპერტები არიან. ნუ გვონიათ, რომ იცით, რის შესახებ გიამბობენ ისინი, რადგან მაშინ ველარ შეძლებთ თქვენთვის მოულოდნელი ამბის აღქმას. თქვენ გინდათ, რომ მათ საკუთარი ცხოვრებისა და გამოცდილების შესახებ გიამბონ – თქვენი საქმე, ამ ნაამბობის მკითხველამდე ან მსმენელამდე მიტანაა.

\* საუბრის დასასრულს ჰქითხეთ, თუ იცნობენ ისეთ პირებს, რომლებიც ინტერვიუს მიცემაზე დათანხმდებოდნენ. ამგვარი მეთოდი შესაძლოა ძალზე სასარგებლო აღმოჩნდეს მომავალში სხვა სტატიიებისათვის საჭირო წყაროების მოძიებისათვის. რა თქმა უნდა, რაც უფრო ყურადღებიანი იქნებით ინტერვიუს აღებისას, მით მეტია შესაძლებლობა, რომ მათ სიამოვნებით დაგაკავშირონ სხვა პირებს.

\* რაც მთავარია, დაფიქრდით, როგორ იყენებთ მოწოდებულ ინფორმაციას. როდესაც ვინმე ინტერვიუზე გთანხმდებათ, ამით ძალზე დიდ შეღავათს გიკეთებთ. როდესაც მათ შესახებ დაწერთ, ეს თანაგრძნობითა და ყურადღებით უნდა გააკეთოთ. ადვილია მსმენელისა თუ მკითხველის შეშინება, თუ განსხვავებულ ხალხს აღწერთ ხერხებით, რომლებიც თქვენს ობიექტურობას ჩრდილს აყენებს – სტერეოტიპებით, გამომწვევი და შეურაცხმყოფელი ენით, შეუმოწმებელი ინფორმაციით და სხვ. თქვენი ვალია, დაეხმაროთ მკითხველსა და მსმენელს, რომ გაუგონ ამ სხვა ხალხს და მათ მიმართ შიშით კი არა, თანაგრძნობით განიმსჭვალონ.

---

### **3. ეთნიკური წარმომავლობა**

## ეთნიკური წარმომავლობა

თნიკურმა დაპირისპირებამ აშკარად უდიდესი დამანგრეველი როლი ითამაშა მსოფლიოში ბოლო დროს მომზღვდა ისეთ ომებსა და კონფლიქტებში, როგორსაც ადგილი ჰქონდა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში. რელიგიურმა და სხვა ფაქტორებმა ხელი შეუწყვეს დაპირისპირების წარმოშობას, მაგრამ ყველაზე ძალადობრივი და აგრესიული ბრძოლის დაწყება განაპირობა ხალხის, როგორც „სხვების“ აღქმამ მათი ეთნიკური წარმომავლობიდან გამომდინარე. რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია ბალკანეთის გამანადგურებელი ტრაგედიების სერია 90-იან წლებში. ასეთივე მდგომარეობაა სამხრეთ კავკასიაშიც. უბრალოდ, შეხედეთ, რა ხდება აფხაზეთში, მთიან ყარაბაღში, სამხრეთ ოსეთსა და აჭარაში.

სამწუხაროდ, უურნალისტებსა და მასმედიის ორგანიზაციებს ხშირად უგრძვნიათ თავი განსაკუთრებით დელიკატურ და ხანდახან გამოუვალ მდგომარეობაში. როგორც კერძო ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებისათვის, მათთვის რთული ყოფილა უურნალისტური ობიექტურობის შენარჩუნება, ხშირად გაუსაძლისი პოლიტიკური და სოციალური ზენოლის გამოც. ამის მაგივრად, მათ ხშირად ჩაუთვლიათ საკუთარი თავი უფრო თავისი კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის ინტერესების დამცველად, ვიდრე დამკვირვებლად, რომელიც უნდა ცდილობდეს არსებული სიტუაციის მთელი კომპლექსურობის შეცნობას.

გაშუქების დროს ეს მიკერძოებული მიდგომა ხშირად იმაში გამოიხატება, რომ მოწინააღმდეგე ეთნიკური ჯგუფს ისე ხატავენ, თითქოს ის სისხლმოწყურებული ბოროტი და ერთადერთი დამნაშავე იყოს კონფლიქტის დაწყებაში. უურნალისტები სისტემატურად უწყობენ ხელს ნეგატიური სტერეოტიპების არსებობას, უგულებელყოფენ კონფლიქტების გამომწვევ სოციალურ და პოლიტიკურ მიზეზებს, არ იჩენენ ძალისხმევას, ინტერვიუ ჩამოართვან იმ ადამიანებს, რომლებიც უმრავლესობის შეხედულებებს არ იზიარებენ და არ წარმოაჩენენ მოვლენებს ისეთ კონტექსტში, რომელიც ხელს შეუწყობდა ვითარების უფრო ფართო გაგებას.

იმისათვის, რომ უურნალისტებს დავეხმაროთ, დადებითი როლი ითამაშონ ეთნიკური განსხვავებების გაგების და პატივისცემის ხელშეწყობის საქმეში – გთავაზობთ რამდენიმე კრიტიკულ შენიშვნას:

\* ნურასოდეს დაწერთ სტატიას, სანამ ინტერვიუს არ აიღებთ იმ ხალხისგან, რომელსაც განსახილველ საკითხზე განსხვავებული პოზიცია აქვს. ნებისმიერი მასალა თავიდანვე მიკერძოებულია, თუ იგი მხოლოდ ერთ გარკვეულ შეხედულებას

ეყრდნობა. თუ თქვენი წყაროები მთელ ეთნიკურ ჯგუფს აკრიტიკულები, ამ ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს საშუალება უნდა მიეცეთ, რომ პასუხი გასცენ მათთვის წაყენებულ ბრალდებებს. სხვა შემთხვევაში უურნალისტი ერთი რომელიმე მხარის პროპაგანდის იარაღი ხდება.

\* ყურადღებით შეარჩიეთ სიტყვები და გამოთქმები. მოერიდეთ შეურაცხმყოფელი სიტყვების ხმარებას, რომლებიც, შესაძლოა, ხშირად იხმარებოდეს განსხვავებული ეთნიკური წარმომავლობის ხალხის მიმართ. თუ იმ ხალხის ციტირებას ახდენთ, ვინც ასეთ გამოთქმას იყენებს, გირჩევთ პირდაპირი ციტირების მაგიერ მათ პერიფრაზირებას შეეცალოთ. ეს მეტად საჩითირო სფერო გახლავთ, რადგან ერთ ენაზე ზოგიერთი სიტყვა შესაძლოა შეურაცხმყოფლად არ უღერდეს, მაგრამ სხვა ენაზე უაღრესად შეურაცხმყოფელი შინაარსი ჰქონდეს. ასე რომ, ყველა ნიუანსში გარკვევა თქვენი, როგორც უურნალისტის, მოვალეობაა. თუ არა ხართ დარწმუნებული, არის თუ არა რომელიმე გამოთქმა შეურაცხმყოფელი, ჰქითხეთ იმათ, ვის მიმართაც გამოთქმა იხმარება, რა აზრისა არიან ამის შესახებ.

\* ეძიეთ ინფორმაციის წყაროები განსხვავებული ეთნიკური წარმომავლობის საზოგადოებებში. დაუკავშირდით და შეცვდით იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც მათ ინტერესებს წარმოადგენენ. ჰქითხეთ, რა აწუხებთ, რის იმედი აქვთ ან რისი ეშინიათ. დაუსვით კითხვები თავისი კულტურისა და ტრადიციების შესახებ. გარკვეული დრო დაყვაით მათი კულტურული თუ სოციალური თავშეყრის ადგილებში – სკოლაში, თეატრში, სათვისტომოში ან სხვაგან. მათ გარემოში ჩაღრმავება, თავიდან რა არაკომფორტულადაც არ უნდა გეჩვენოთ, მათი შეხედულებების გაგებისა და რეალურად შესწავლის საუკეთესო გზაა.

\* დაუკავირდით საკუთარ თავს, რომ თქვენს თავში წინასწარგანწყობა ამოიცნოთ. ყველასა აქვს რაღაც წარმოდგენები განსხვავებული სოციალური ჯგუფის წარმომადგენლთა შესახებ. ეს წარმოდგენები შეიძლება იყოს როგორც ცნობიერი, ისე ქვეცნობიერიც. მათი არსებობა სავსებით ბუნებრივია. ამავე დროს, მოვლენათა და საკითხთა რაც შეიძლება ეფექტურად და აკურატულად გაშუქება იმაზეა დამოკიდებული, რამდენად შეძლებთ თქვენი წარმოდგენების გაცნობიერებასა და მათ უგულებელყოფას. ეს ერთადერთი გზაა იმისათვის, რომ რეალურად შეძლოთ ხალხის მიერ საკუთარი ცხოვრებისა და გრძნობების შესახებ მონათხრობის შეცნობა.

\* დარწმუნდით, რომ მომხდარ მოვლენებსა და შექმნილ მდგომარეობას საჭირო კონტექსტში აქცევთ. სწორი არ არის ყურადღების მხოლოდ იმაზე გამახვილება, თუ ვის დაესხა თავს გუშინ. უმიზეზოდ არაფერი ხდება. ეთნიკური უთანხმოებებისა და კონფლიქტების წარმოშობის შემთხვევაში უურნალისტები თითოეულ ინციდენტს ხშირად ერთმანეთისაგან იზოლირებულად განიხილავენ – თითქოს მათ შორის არანაირი კავშირი არ იყოს. როგორც წესი, ორივე მხარეს საკუთარი ინტერპრეტაცია აქვს, როგორ მივიდა საქმე აქამდე. იმი-

სათვის, რომ მასალა ობიექტურად წარმოადგინოთ, უნდა შეისწავლოთ მოვლენათა განვითარების ისტორია და გააცნოთ მკითხველსა თუ მსმენელს, რომ მან შეძლოს რეალურად არსებულ სირთულეებში გარკვევა.

- \* დაპირისპირებულ ჯგუფებში ხალხს გაესაუბრეთ. ნუ დასჯერდებით მხოლოდ იმათთან საუბარს, ვინც თავს ამ ჯგუფების ლიდერებად წარმოგიდგენთ. ხშირად, მოვლენათა შუაგულში მყოფი კაცების, ქალებისა თუ ბავშვების შეხედულებები ძლიერ განსხვავდება იმ პირთა შეხედულებისაგან, რომლებიც ვითომ მთელ ჯგუფის სახელით გამოდიან. ამ ხალხს ჰკითხეთ, მათი აზრით, წარმოადგენს თუ არა ხალხის სახელით განხორციელებული ესა თუ ის სტრატეგია მათი მიზნების მიღწევის ყველაზე ეფექტურ გზას.
- \* ნუ გაამახვილებთ ყურადღებას ეთნიკური დაპირისპირების მხოლოდ აშკარა შედეგებზე. ეცადეთ, რომ კონფლიქტის ნაკლებად თვალში საცემი შედეგები განიხილოთ. რა სახის ფსიქოლოგიურ ტრავმებს იღებს ხალხი? რა გავლენას ახდენს მიმდინარე კონფლიქტი სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებზე? მომავალში რა შედეგს იქმნიებს დღევანდელი მოვლენები?
- \* მოვლენების ორმხრივი გაშუქებისას ეცადეთ აღმოაჩინოთ ორივე მხარისათვის მისაღები ელემენტები და შემდგომ ხაზგასმით აღნიშნოთ ისინი. ადვილია ისეთი ხალხის პოვნა, ვისაც სურვილი აქვს ჩირქი მოსცხოს დაპირისპირებული ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს. მაგრამ რეპორტიორი, რომელიც საკითხს უღრმავდება და ბევრ კითხვას სვამს, აღმოაჩინს, რომ სინამდვილებში იმ მიზნებში, რომელთა მიღწევასაც დაპირისპირებული მხარეები ცდილობენ, არ არის ისე დიდი განსხვავება, როგორც ეს ხალხს ჰკონია.
- \* ეცადეთ არამებრძოლთა ემოციებსა და, იმავდროულად, უშუალოდ ველზე მიმდინარე მოვლენებზე გაამახვილოთ ყურადღება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩვენ ადამიანები ვართ და დაპირისპირებული ჯგუფის მშვიდობიან მოქალაქეთა განცდილი შიში და ტკივილი უფრო გამოიწვევს ჩვენს თანაგრძნობას, ვიდრე პოლიტიკოსებისა და გენერლების გამომწვევი ან აგრძესიული განცხადებები. უმრავლესობას ბავშვის ან მშობლის დაღუპვა, სახლის და იმედის დაკარგვა თანაგრძნობას უჩენს.
- \* ნუ გეგონებათ, რომ დაპირისპირებულ მხარეთაგან რომელიმე მონოლითურია და ყველას ერთი აზრი ამოძრავებს და ერთ გუნებაზეა. ყველა საზოგადოებაში იქნება ისეთი ვინმე, ვინც უმრავლესობის პოზიციას არ იზიარებს. ზოგი შეიძლება ერიდებოდეს საკუთარი აზრის გამოთქმას, რადგან შიში აქვს, რომ ამას მეზობლების, პოლიტიკოსების თუ სხვათა შურისძიება მოჰყვება. გახსოვდეთ, რომ ერთი შეხედვით ერთიან საზოგადოებაშიც კი, არის განსხვავებული აზრის მქონე ხალხის ნაწილი – და თქვენ ყველა ღონე უნდა იხმაროთ, რომ ისინი აღმოაჩინოთ და მათი შეხედულებები გააშუქოთ.

\* ისეთი გამომწვევი ზედსართავი სახელების ხმარების მაგიერ როგორებიცაა: „არაადა-მიანური“, „უმოწყალო“, „ბარბაროსული“, ჯობს ეცადოთ, აკურატულად აღწეროთ მოვ-ლენები და მიუთითოთ თქვენი ინფორმაციის წყაროები. ხშირად უურნალისტები ამგვარ ეპითეტებს ერთ-ერთი მხარის დემონებად წარმოჩენის მიზნად იყენებენ, რაც, ნებსით თუ უნებლიერ, აიძულებს მეორე მხარეს, რომ ძალადობა განაგრძოს.

ამგვარი ქმედებებით, ისინი კონფლიქტში მონაწილე მხოლოდ ერთი მხარის მიზნებს აღწევენ და მხოლოდ მათ შეხედულებებს ავრცელებენ.

\* გახსოვდეთ, იყავით სკეპტიკური. კონფლიქტში მონაწილე ნურც ერთ მხარეს ნუ მის-ცემთ თქვენით მანიპულირებისა და თქვენი გამოყენების საშუალებას. შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად შეამოწმეთ თითოეული ფაქტის სინამდვილე. თუ ბოლომდე დარწმუნებული არა ხართ, რომ ესა თუ ის ინფორმაცია სინამდვილეს შეესაბამება, ან საერთოდ ნუ მოიხ-სენიებთ მას მასალაში, ანდა აღნიშნეთ ის კონკრეტული წყარო, რომლისგანაც ეს ინფორ-მაცია მიიღეთ. გაგონილის შეფასებისას მხედველობაში იქმნიეთ ინფორმაციის წყაროს სანდოობა წარსულში. თქვენი მსმენელისა თუ მკითხველისათვის რაც შეიძლება დეტა-ლურად აღწერეთ ინფორმაციის მომწოდებლები და მათი მოტივები, რომ ხალხმა თავად შეძლოს მათი სანდოობის შეფასება.

\* უგულებელყავით ხელისუფლების წარმომადგენელთა თუ სხვათა მოთხოვნები, რომ თქვენ გამოიჩინოთ, „საჭირო ლოიალურობა“ ან „ეთნიკური სოლიდარობა“. თქვენ არ გევალებათ ექსტრემისტული მოქმედებების გამომწვევი შეუმოწმებელი ჭორებისა და რა-სისტული სტერეოტიპების გავრცელება, ანდა ერთი რომელიმე ჯგუფის მხარდამჭერი კიჟინა. თქვენი ლოიალურობა და სოლიდარობა თქვენს მკითხველსა და მსმენელს ეკუთ-ვნის, ვისთვისაც თქვენ ყველაზე ამომწურავ და აკურატულ ინფორმაციას უნდა აგრო-ვებდეთ.

\* ბევრს ძალზე უარყოფითი დამოკიდებული აქვს განსხვავებული ეთნიკური ჯგუფების მიმართ. თუ ზოგიერთი ხელისუფლების წარმომადგენელი, პოლიტიკოსი, ღვთის მსახური ან სხვა ვინმე შეურაცხმყოფელ სიტყვებსა და გამოთქმებს ხმარობს, ეს არ ნიშნავს, რომ თქვენ, როგორც უურნალისტს, თქვენს მომზადებულ მასალაში იმავე შეურაცხმყოფელი ენით მოგეთხვებათ საკითხისა თუ მოვლენის აღწერა. თუ საჭირო იქნა, პერიფრაზი გა-უკეთეთ მათ სიტყვებს. თუ სიტყვების მთქმელის პირდაპირ ციტირებას ახდენთ, უნდა აღნიშნოთ, რომ უმცირესობათა წარმომადგენლები, ვის მიმართაც ეს სიტყვები ითქვა, ამგვარ ენას შეურაცხმყოფელად და გამომწვევად მიიჩნევენ.

## სასწავლო მასალა

შემდეგ თავში მოყვანილი სასწავლო მასალა გვთავაზობს იმ სტატიების ანალიზს, რომლებიც მასმედიის მრავალფეროვნების ინსიტუტმა სამხრეთ კავკასიაში, ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში შეაგროვა. სტატიებზე დართულია კომენტარები, რომლებიც წარმოაჩენს ეფექტური და პრობლემური უურნალისტური პრაქტიკის მაგალითებს და გვთავაზობს მიდგომებსა და რჩევებს მრავალფეროვნების გაშუქების გასაუმჯობესებლად.

ამ სტატიაში აღნერილი მოვლენები სრულიად გაუგებარია, რაც იმითაა გამოწვეული, რომ იგი ეყრდნობა ბოშების, როგორც ქურდი და მურისმაძიებელი ხალხის სტერეოტიპს. როგორც ჩანს, არავის უცდია, გასაუბრებოდა ამ საქმეში ჩართულ რომელიმე ბოშას, რომ მას მოეწოდებინა ზოგადი ინფორმაცია არსებულ ვითარების შესახებ, როგორიცაა, მაგალითად, ეთნიკური დაპირისპირება და რაიმე სახის აგრესიული ქმედება მეორე მხრიდან.

### 3. ა) ბოშები ცელებით ღაესხნენ თავს სამხედრო პოლიციის ქალებს

რევოლუციის მსგავსი მოვლენის აღნერა თავისთავად ძალიან გამომწვევია, განსაკუთრებით, თუ ინციდენტში მონაწილეობდა რამდენიმე ათეული, და არა ასობით და ათასობით ბოშა. ფრაზა ისეა ანყობილი, რომ შიში გამოიწვიოს, და მკითხველმა ვერ გააცნობიეროს, რა მოხდა სინამდვილეში.

ს ამშაბათ საღამოს ბოტევგრადის მასლობლად, ტყეში მოხდა მასოპრივი ჩხუბი, რომელიც რევოლუციას ჰგავდა.

საღამოს ცხრის ნახევარზე 50-იდან 60-მდე ცულებით შეიარაღებული ბოშა თავს დაესხა მეტყევეებსა და სამხედრო პოლიციას, მას შემდეგ, რაც შეიტყვეს, რომ მათი მეგობრები და ნათესავები დააკავეს და დააპატიმრეს ტყის უკანონოდ ჭრისა და ქურდობისათვის.

როდესაც ადგილზე სამხედრო პოლიციის ძალები გამოჩნდნენ, მათ ჰაერში გასროლით სცადეს ბოშების შეჩერება. მაგრამ მათ, არათუ უკან არ დაიხიეს, პირიქით, პოლიციის ოფიცირების მიერ გადასახმები და მას მოვალეობის გაუგებარია. კონკრეტულად ვინ იყო

◀ სათაური ავტომატურად ქმნის ბრძოლის სურათს: ბოშები დარბიან ცულებით და, როგორც ჩანს, სრულიად უმიზეზოდ ესხმიან თავს პოლიციას. ნათელია, რომ სიმართლე გაცილებით მრავალმხრივია.

◀ ყველას ჰქონდა ცული? სტატია გულისხმობს, რომ კი, ასე იყო. თუ ასე იყო, მაშინ შეიძლება გვეფიქრა, რომ რომელიმე თანამდებობის პირი უნდა მომკვდარიყო ან მძიმედ მაინც დაჭრილიყო. რადგან უურნალისტი არ ახსენებს რამე ჭრილობას, შესაძლოა, ინცინდენტი არც ისე სერიოზული და საშიში იყო, როგორც აღნერეს. ბოშების მხრიდან ასეთი ქცევის მოტივაციაც გაუგებარია. კონკრეტულად ვინ იყო

ეს შეიძლება მართა- ►  
 ლიც იყოს, მაგრამ წუ-  
 თუ ოცდაექვსივე თა-  
 ნამშრომელმა დაწერა  
 განცხადება თანამდე-  
 ბობიდან წასვლის შე-  
 სახებ? უურნალისტმა  
 მართლა მოისმინა 26-  
 ვე თანამშრომლისგან,  
 რომ მათი სამსახური-  
 დან წასვლის მიზეზი  
 ბოშების შურისძიების  
 შიშია, თუ ეს ვარაუდი  
 და ისეთი ინფორმაცი-  
 აა, რომელიც კონკრე-  
 ტული წყაროებიდან  
 მოდის? კონკრეტული  
 მუქარა იყო, თუ მათი  
 შიში უბრალოდ ბოშებ-  
 ზე შექმნილ სტერეო-  
 ტიპებს ეფუძნებოდა?  
 რატომ არ სცადა ჟურ-  
 ნალისტმა კომენტარის  
 მიღება რომელიმე თა-  
 ნამშრომლისგან ან რო-  
 მელიმე ბოშისგან? უა-  
 მისოდ სტატია ძალიან  
 გაუგებარია იმისათ-  
 ვის, რომ ინცინდენტის  
 სათანადო გაშუქებად  
 ჩაითვალოს.

ბის თვალწინ დაიწყეს მათი  
 მანქანების საბურავების ჩეხ-  
 ვა.

ამჟამად ქალაქის სატყეო  
 მეურნეობის თანამშრომლები  
 პანიკაში არიან, ოცდაექვსი-  
 ვემ სამუშაოდან წასვლის თა-  
 ობაზე განცხადება დაწერა.  
 ისინი ამბობენ, რომ ბოშების  
 შურისძიებისა ეშინიათ.

„24 საათი“, სოფია,  
 ბულგარეთი,  
 2002 წლის 29 აგვისტო

დაჭერილი? მაინც რა ჩაიდინეს ისე-  
 თი, რამაც მათი დაჭერა გამოიწ-  
 ვა? რომელი კანონი დაარღვიეს?  
 სად დააკავეს ისინი? საერთოდ, და-  
 აკავეს კი? უეცრად როგორ შეიტ-  
 ყვეს დანარჩენმა ბოშებმა ასე ჯგუ-  
 ფურად მომხდარის შესახებ?

◀ ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ისინი თავს  
 პოლიციას კი არა, მათ მანქანებს  
 დაესხნენ? პოლიციელები უბრა-  
 ლოდ გერძნები იდგნენ და უყურებ-  
 დნენ, როგორ აფუჭებდნენ მათ სა-  
 ბურავებს? როგორ დამთავრდა ინ-  
 ციდენტი?

სათაური, რომელიც გაზეთის პირველი გვერდის ზედა ნაწილშია დაშეჭდილი, ფაქტად ასახელებს იმას, რაც ეჭვის სახით არსებობს, მაგრამ ჯერ არ არის დამტკიცებული. როგორც სტატიიდან ჩანს, ბოშების ბანდა ან ბანდები შეიძლება კი ძარცვავდნენ, მაგრამ, როგორც ეტყობა, არათუ არ დაუსჯიათ დანაშაულისთვის, არამედ არც კი დაუჭერიათ, და ისეთი გამომწვევი და ხმამაღალი სიტყვების გამოყენება, როგორიცაა „თავდამსხმელი“ და „მძარცველი“, ემსახურება მხოლოდ ბოშების მიმართ წინასწარგანწყობის გაღვივებას, რომლებიც, შესაძლოა, არც კი მონაწილეობდნენ ამ ამბებში.

## 3. ბ) ბოშა თავდამსხმელები დასავლეთს ძარცვავენ

ეს აღმოსავლეთევროპული წარმოშობის ბანდაა, რომელიც თავის მსხვერპლს გაუგებარი ლაპარაკით აპირებს. ბოშები, ვითომ სავაჭროდ, ჯგუფ-ჯგუფად დადიოდნენ მაღაზიებში. სინამდვილეში კი წვრილმან ქურდობათა სერიით ქვეყნის დასავლეთი და ცენტრალური ნაწილებიდან ათეულ ათასობით ევრო გაიტაცეს.

მათი ბოლო სამიზნე ხუთშაბათ საღამოს იყო ბრიკენსის ფოსტა კლარემორისის მახლობლად, სადაც ბანდამ მაღაზიის გამყიდველის ყურადღების გასაფანტად ჩვილი ბავშვი გამოიყენა, მანამდე კი სეიფის გასაღები ჩაიგდო ხელში და დიდი ოდენობით ფული გაიტაცა.

ბანდა შედგებოდა ორი მამაკაცისა და 4-5 ქალისაგან, რომლებიც, აღნერის მიხედვით, შავგვრემანები იყვნენ და, სავარაუდოდ, აღმოსავლეთევროპული, უფრო კი ბოშერი ტანსაცმელი ეცვათ.

ბრიკენსშე თავდასხმის დროს ქალმა მოატყუა დახლის უკან

აქედან ისე ჩანს, თითქოს, ისინი გაუგებრად იმიტომ ლაპარაკობენ, რომ სხვადასხვა დაჯგუფების წარმომადგენლები არიან და ქურდობის ტაქტიკა აქვთ ასეთი. მაგრამ თუ ისინი წარმოშობით სხვა ქვეყნიდან არიან, რა თქმა უნდა, მათი ლაპარაკი გაუგებარი იქნება იმისთვის, ვინც მათ ენაზე არ ლაპარაკობს.



აქაც ფაქტად არის მოყვანილი ის, რაზეც მხოლოდ ეჭვი არსებობს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ უკრალისტებმა მკვეთრად განასხვაონ ეს ორი რამ.



ვისი მონაყოლია ეს? დანაშაულის აღწერისას ყოველთვის დიდი მნიშვნელობა აქვს წყაროს მითითებას, – ეს თვითმხილველს მონაყოლია, თუ პოლიციის მიერ არის დადასტურებული?



როგორ ტანსაცმელზე ლაპარაკობს უურნალისტი? აუცილებელია დაკონკრეტება. ეს ერთადერთი მომენტია სტატიაში, სადაც მასალა წარმოდგენილი იმ აზრის გასამყარებლად, რომელიც პირველ პარაგრაფში მოყვანილია როგორც ფაქტი – რომ ეჭვმიტანილი მძარცველები აღმოსავლეთევროპელები არიან. დააკვირდით: მაშინ, როცა სათაური მძარცველებს „ბოშებს“ უწოდებს, ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ ეს ფაქტი კი არ არის, არამედ, უბრალოდ, ვარაუდი. ეს ერთადერთი ადგილია სტატიაში, სადაც ეჭვმიტანილი მძარცველების ეთნიკური წარმომავლობა მხოლოდ ავტორისეული დასკვნაა და არა ფაქტი.

მდგარი გამყიდველი, თითქოს ისინი ეძებდნენ საკვებს ბავშვისთვის, რომელიც ერთ-ერთ მათგანს ხელში ეჭირა.

ჯგუფის მაღაზიდან წასვლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ფული გაქრა.

ბანდა ასეთ ტაქტიკას იყენებს ბოლო თვეებში მომხდარი მთელი რიგი თავდასხმების დროს აღმოსავლეთ მაიოში. მათი მსხვერპლი გახდა მაღაზიის ხანში შესული მეპატრონე, რომლის საძინებელსაც თავს დაესხნენ 11 ივნისს, არჩევნების დღეს, როცა ის ცდილობდა „მათ მომსახურებოდა“.

ერთ-ერთი მსხვერპლი, რომელიც ოთხმოც წელს არის გადაცილებული, „კონოთ ტელეგრაფს“ მოუყვა: „ჯგუფში ხუთი ქალი იყო. ყველა ხმამაღლა ლაპარაკობდა და თაროებზე დალაგებულ საგნებზე უთითებდნენ. ისინი დასალევ შოკოლადს ითხოვდნენ. მათ ძალიან შემანუხეს. ვცადე მათვის მეთქვა, რომ ერთდროულად მხოლოდ ერთს მოვემსახურებოდი.“

მაღაზიის მფლობელმა მხოლოდ მოგვიანებით აღმოაჩინა ფულის დაკარგვა, მაშინ, როცა თავის საძინებელში წავიდა საქონლის მომწოდებლისთვის ფულის გადასახდელად.

„გარდაის“ მიხედვით დასავლეთსა და ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში ბოლო თვეების მანძილზე ამგვარი ქურდობის მთელი სერია განხორციელდა, ისევე, როგორც ფულის მოპარვის წარუმატებელი მცდელობა ნილში, ბელინრობის მახლობლად.

გამოძიებაში ჩართულმა ერთ-ერთმა უფროსმა ოფიცერმა გუშინ [სამშაბათს] განაცხადა: „მეტსაც გეტყვით, ეს ბანდები ჩვენთვის საშიშროებად გადაიქცნენ“.

კენ ბრენანი, სუინფორმის ოლქის „გარდაის“ ხელმძღვანელი, აღნიშნავს, რომ „გარდაი“ გულდასმით ცდილობდა გამოყენებინა ინციდენტების ჯაჭვი.

ბრენანმა განაცხადა, რომ, მისი აზრით, რეგიონში რამდენიმე ბანდა მოქმედებს. „ასეთი სახის დანაშაული ფართოდ არის გავრცელებული. მიუხედავად იმისა, რომ ადგილი არა აქვს ძალადობას ან ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას, ასეთი სახის დანაშაული განუზომელ ტრავმას აყენებს მსხვერპლს,“ – აღნიშნა მან.

„კონოთ ტელეგრაფი“, კასლბარი, მაიოს ოლქი, ირლანდია, 2004 წლის 7 ივლისი

◀ ისევ, რა არის ამ ინფორმაციის წყარო?

უეცრად, როგორც ჩანს, ერთი ბანდის ნაცვლად რამდენიმე ბანდა ამოქმედდა. ყველა ბოშების ბანდაა, თუ ჟურნალისტს ერთმანეთში ერევაბევრი ძარცვის ფაქტი, რომელებსაც არაფერი აქვთ ერთმანეთთან საერთო, იმის გარდა, რომ ყველა ძარცვის კატეგორიას მიეკუთვნება? ეს სტატია ყველა ძარცვას ერთად განიხილავს და, ამგვარად, ქმნის მთაბეჭდილებას, რომ ყველა მომხდარ ინციდენტზე ბოშები არიან პასუხისმგებელნი. შეიძლება ისინი იყონ დამნაშავეები – ჟურნალისტმა ისე არასაკმარისად წარმოაჩინა სამხილი, რომ მკითხველი შეიძლება ასეთ დასკვნამდე მივიდეს.

ეს სტატია იმის კარგი მაგალითია, როცა ვინმეს ეთნიკური წარმომავლობის ხაზგასმა არაფერს მატებს საზოგადოების სწორად ინფორმირებას. თავდამსხმელი რომ უნგრელია, არ იქონიებდა გავლენას იმაზე, რაც სინამდვილეში მოხდა. შეიძლება ამას აქვს მნიშვნელობა, მაგრამ უურნალისტმა უნდა წარმოადგინოს უფრო მეტი ინფორმაცია, რომ ზემოთქმული დაამტკიცოს. ასეთი სახით დაბეჭდილი სტატია გამოიწვევს ემოციების გამწვავებას ზოგადად უცხოელების, კერძოდ კი უნგრელების მიმართ.

## 3. გ) ერთი ლამის სტუმერი ხელში დანას იღებს

¶ ლორიდსდორფი – 50 წლის პიტერ ფ.-მ ფლორიდსდორფიდან გაურკვეველ ვითარებაში გაიცნო კაცი ერთ-ერთ გარეუბანში, ფრანც-იონასის მოედანზე მდებარე რკინიგზის სადგურზე. მან სახლში დაპატიჟა 28 წლის უნგრელი. შაბათს დამით მათ იჩხუბეს და უნგრელმა დანით დაჭრა მასპინძელი. ამ უკანასკნელმა შეძლო თავის გადასარჩენად მეზობელთან გაქცევა. უნგრელი მის ბინაში დააპატიმრეს.

„კურიერი“, ვენა, ავსტრია,  
2004 წლის 18 მაისი

◀ სათაური ფაქტებს არ ეყრდნობა. სასამართლო პროცესის ან აღიარების გარეშე ჩვენ საერთოდ არ ვიცით, რა მოხდა. იქნებ, პიტერ ფ. თავს დაესხა თავის სტუმარს, და ეს უკანასკნელი უბრალოდ თავს იცავდა. ჩვენ წარმოდგენა არა გვაქვს, რა იყო ჩხუბის მიზეზი, ან როგორ განვითარდა მოვლენები. ჩვენ არც იმას გვეუბნებიან, ვინ მისცა ინფორმაცია უურნალისტს, პიტერ ფ.-მ თუ პოლიციამ?

გაუგებარია მეორე საკითხიც. რას გულისხმობდა უურნალისტი, რომ აქ ჰქონდა ადგილი პომოსექსუალურ კავშირს? თუ პოლიცია ან პიტერ ფ. ამტკიცებს, რომ ასე იყო, ეს გარკვევით უნდა ჩანდეს. თუ ეს მხოლოდ უურნალისტის გაკეთებული დაუდასტურებელი მინშებაა, მაშინ შეიძლება უსამართლო ბაც იყოს. იქნებ უფროსი კაცი უბრალოდ ცდილობდა ვინმეს დახმარებას. შესაძლოა მან მეორეს დახმარება შესთავაზა სამსახურის პოვნაში. ჩვენ წარმოდგენა არა გვაქვს, რა მოხდა, რადგან მოკლე სტატია ამის შესახებ არაფერს გვეუბნება.

ეს სტატია ეხება ისეთ ძალზე მნიშვნელოვან და ემოციურ საკითხს, როგორიცაა სომხებთან და-მოკიდებულება თურქეთში. სათაური, ცოტა არ იყოს, მცდარია. ეს არის სტატიიდან ამოღებული ციტატა, რომელსაც კითხვის ფორმა ჰქონდა და ბრჭყალების მოშორების შედეგად მტკიცებად გადაეცეთდა. ასე ის გადაიქცა ფაქტის დეკლარირებად – ერთი ადამიანის გამოხატულ რიტორიკულ აზრად. რა თქმა უნდა, სომეხი რომ იყო, თურქეთში წმინდა სახის დანაშაული არ არის, მაგრამ კაროლინ ჯამგუზი საკუთარ თავზე გრძნობს, თოთქოს ეს დანაშაულის ტოლფასი – ეს გან-სხვავება კი სათაურში არ ჩანს. შეიძლება ეს ძალიან პრეტენზიულ შენიშვნად მოგეწვენოთ, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ბევრი მხოლოდ სათაურს წაიკითხავს და მასზე დაყრდნობით მკითხველს შე-საძლოა სრულიად არასწორი წარმოდგენა შეექმნას. ფაქტები ისედაც პრობლემურია, არ არის აუცილებელი მათი ზედმეტი დრამატიზება და გაზვიადება.

### 3. დ) თურქეთში დანაშაულად ითვლება, თუ სომეხი ხარ

ს ე წერდა თურქეთში ეთნიკურ უმცირესობათა უფ-ლებების დარღვევების გაშუქებისას ჰარუტ სასუნიანი, გაზეთ „კალიფორნია კურიერის“ დირექტორი და გამომცემელი, 4 სექტემბრის საგაზეთო სვეტში:

ფაქტია, რომ თურქეთში მცხოვრები უმცირესობები, მათ შორის სომხები, ასირიელები, ბერძნები, ებრაელები და ქურთები, მხოლოდ თავის უმთავრეს სამოქალაქო უფლებებს კი არ არიან მოკლებულნი, არამედ ისეთ შიშ-ში ცხოვრობენ, რომ ვერც კი ბედავენ ლაპარაკს თავისი ცხოვრების დამთრგუნველი პირობების შესახებ. თურქი აქტივისტების ჯგუფი, რომელმაც იყისრა ადამიანის უფლებების დაცვა, ასეთსავე შიშში ცხოვრობს და საკუთარი სიცოცხლის ფასად ბედავს დარღვევებისა და დევნის გამოაშკარავებას. მიუხედავად თურქეთის მთავრობის დაპირებისა, შეასრულოს ევროკავშირში განევრიანებისათვის აუცილებელი ვალდებულებები, ბევრი ასეთი თურქი აქტივისტი დღეს ციხეში ზის.

იშვიათია უმცირესობის წარმომადგენელი იმდენად გამბედავი იყოს, რომ შეძლოს შეურაცხმყოფელი მოპყრობის გაპროტესტება. ერთი ასეთი გამბედავი ადამიანია კაროლინ ჯამგუზი, სომეხი ფარმაცევტი ბაზრი-სარაიდან, რომელიც, თავის გათურქულებული სახელის

► რადგან გაზეთი სხვა გაზეთის სტატიას იმეორებს, სასარგებლო იქნებოდა რაიმე ფაქტების მოყვანა მეორე გამომცემლობის შესახებ, რომ მკითხველს ინფორმაციის შეფასების საშუალება ჰქონდეს. სად გამოიცემა ის, კალიფორნიაში, თუ ვივარაუდებთ რომ ის მართლაც იქ გამოიცემა? საიდან იღებს სასუნიანი თავის ინფორმაციას? თვითონ ჩამოართვა ინტერვიუ ამ ქალს, თუ ეს მეორე ან თუნდაც მესამე პირის ინფორმაციაა?

მიუხედავად, კვლავ იდევნება თურქეთის მთავრობის მიერ სომხური წარმოშობის გამო.

კაროლინ ჯამგუზმა თურქეთის პრე-სას განუცხადა, რომ თურქეთის მთავრობა წლების მანძილზე დევნიდა მას სომები წინაპრების გამო. ბახჩისარაიში დასახლებამდე ის ქალაქიდან ქალაქში გადადიოდა, რათა თავი დაეღწია ბრალდებებისთვის, რომ ის არალეგალური ორგანიზაციების წევრი იყო. ის ციხეშიც კი ჩასვეს.

„თურქეთში, ყველას, ვინც თურქი არ არის, მუდმივად შეურაცხმყოფელად ეპყრობიან. ხოლო თუ თქვენ სომები ხართ, საერთოდ არ გაგაჩნიათ ცხოვრების უფლება.“ თქვა მან და გააგრძელა: „წლების მანძილზე ქვეყანაში ბევრს ვმოძრაობდი, მაგრამ ყოველთვის ვიდევნებოდი სომხური წარმოშობის გამო. ბახჩისარაიში, სადაც აფთიაქი გახსენი, დევნა არ შეწყვეტილა. ამ ადგილას მოსამსახურე ოფიცირების უმრავლესობა დაკავშირებულია „მილი ჰარეკეტის“ პარტიასთან. უფროსები აფრთხილებენ თავიანთ ოფიცირებსა და სოფლელებს, „თუ წამალს კაროლინის აფთიაქში იყიდით, ჩვენ ჩამოგართმევთ იარაღს და დაგხვრეტოთ. „მიუხედავად იმისა, რომ მე წამლის გაყიდვაზე მთავრობისგან მაქვს ლიცენზია აღებული, ვერავინ ბედავს ჩემს აფთიაქში წამლის შექნას. ჩემს მუშტრებს მუდმივად აშინებენ. მათ ბარიერებიც კი შემიქმნეს დ ხელს მიშლიან, რომ წამლების ახალმა პარტიამ ჩემს აფთიაქამდე მოალწიოს.“

მან უურნალისტებს უთხრა, რომ ყარსში მუშაობისას ბრალი დასდეს არალეგალური ქურთული ჯგუფის [PKK] წევრობაში და 3,5 თვით ციხეში ჩასვეს. ის ყარსში გადავიდა, რომ თავი დაეღწია დევნისგან, რასაც სტამბოლში განიცდიდა. ციხიდან

ეს სომები წინაპრების მიზეზით ხდებოდა, თუ მისი პოლიტიკური საქმიანობის გამო, რაზეც მიუთითებს შემდეგი წინადადება? ორივე გაუმართლებელია, მაგრამ ერთი და იგივე არ არის, და უურნალისტმაც არ უნდა გაიგივოს.

ეს სერიოზული ბრალდებებია, მაგრამ მაშინაც კი, თუ ვივარიუდებთ, რომ ეს სიმართლეა, თურქეთის მთავრობის წარმომადგენლებს უნდა მიეცეთ საშუალება უპასუხონ ამ ბრალდებებს. რა საშინელი გამოცდილებაც არ უნდა ჰქონოდა ამ ქალს, ეს სრულიად არ ნიშნავს, თითქოს სომხებს საერთოდ არა აქვთ თურქეთში ცხოვრების უფლება, რადგან ბევრი მათგანი რეალურად ცხოვრობს თურქეთში. ასევე ძალიან გაუგებარია მისი დევნის ისტორია. რა მოხდა სინამდვილეში? უპარველეს ყოვლისა, როგორ გახსნა აფთიაქი? თუ მას ასე დევნიდნენ, საიდან პყავდა საერთოდ მომხმარებლები? მართლა შეაშინეს სამხედროებმა ყველა, ვინც მისგან წამალს ყიდულობდა? რას ამბობენ თვითონ თურქები ამ ბრალდებების შესახებ? უურნალისტი არანაირად არ ამყარებს თავის პოზიციას დეტალებით, რომლებიც წათელს მოჰყენდა ამ ისტორიას.

როგორ მოხდა ეს? მართლა ასე იყო? თუ არა, მაშ რა საფუძველზე დააპატიმრეს?

გამოსვლის შემდეგ იგი ერზერუმსა და ერზინჩანში [ერზნკა] ცხოვრობდა, სადაც კვლავ დაპატიმრეს 3,5 თვით. ის იხსენებდა, რომ სტამბოლში, მისი აფთიაქის წინ, პოლიციის ორი მანქანა დღედაღამ, 24 საათის განმავლობაში მორიგეობდა. მას ბრალი დასდეს ტერორისტული ორგანიზაციის წევრობაში. ბოლოს თავისას მიაღწიეს და კაროლინი გააკოტრეს. მან თავისი ისტორია შემდეგი შეკითხვით დაამთავრა: „ნუთუ თურქეთში დანაშაულია, იყო სომეხი?“

თუ გავითვალისწინებთ თურქეთის რეჟიმისათვის დამახასიათებელ დაუნდობლობას, კაროლინ ჯამგუეზის უბედურება შეიძლება მხოლოდ ახლა იწყებოდეს, რადგან მან გაბედა თავისი უფლებების დარღვევაზე ხმამაღლა ლაპარაკი. ადამიანის უფლებების დამცველი ევროპული და ამერიკული ორგანიზაციები, ასევე დასავლეთის მთავრობები, ვალდებული არიან მისი მდგომარეობის ზუსტი მონიტორინგი განახორციელონ, რომ ამ ადამიანის უსაფრთხოება უზრუნველყონ.

გენოციდიდან ოთხმოცდარვა წლის შემდეგ თურქეთის მთავრობა არა მარტო უარყოფს წარსულში მომხდარ ფაქტებს, არამედ აგრძელებს ტალეატის პოლიტიკას, რომ არც ერთი სომეხი არ დარჩეს თურქეთში.

გაზეთი „ეიზიჯი“,  
ერევანი, სომხეთი,  
2003 წლის 13 სექტემბერი

◀ ზუსტად რისთვის?

◀ რომელ ქალაქში იყო ამ დროს?

◀ რომელი ორგანიზაციები? რომელი მთავრობები? რომელი წყაროდან აქვს შურნალისტს მიღებული ეს ინფორმაცია? დადასტურდა თუ არა ეს ინფორმაცია იმ ორგანიზაციების მიერ, რომლებმაც მონიტორინგი უნდა ჩაატარონ?

◀ ეს აშკარად გაზვიადებული განცხადებაა. რაც არ უნდა მომხდარიყო გენოციდის დროს, აშკარა, რომ დღეს თურქეთი, რა დისკრიმინაციული პოლიტიკაც არ უნდა ჰქონდეს, სომხებს ფიზიკურად არ ანადგურებს. გარდა ამისა, შურნალისტი არ იძლევა სხვა ინფორმაციას, ოფიციალურს თუ არაოფიციალურს, იმის შესახებ, თუ რამდენი სომეხია დღეს ფაქტორივად თურქეთში. მკითხველისთვის სასარგებლო იქნებოდა ამის ცოდნა, თუ სტატიის შინაარსს გავითვალისწინებთ.

ეს არის ძალზე მიკერძოებული სტატია, რომელსაც შეუძლია მხოლოდ გაამწვავოს დაპირისპი-რება, იმის მავივრად, რომ ინფორმაცია მიაწოდოს ვინმეს იმის შესახებ, თუ სინამდვილეში რა ხდება რეგიონში. რაიმე ლეგიტიმური წყაროების დასახლების გარეშე სტატია ცალმხრივად აღწერს აფხაზებს, როგორც ამაზრზენ და დაუნდობელ ადამიანებს და მოლაპარაკებაში ჩართულ მოღალატეებს და გამორიცხავს ქართველების რაიმე ბრალს არსებულ დაპირისპირებაში. ნათ-ლად ჩანს, რომ ეს კონფლიქტის მხოლოდ მიკერძოებული ხედვაა და, რა თქმა უნდა, არა ერთა-დერთი. სტატია რამდენჯერმე იმეორებს საშინელ ბრალდებებს, როგორც „ფაქტებს“ მათი და-დასტურებისა და სიზუსტის დადგენის ყოველგვარი მცდელობის გარეშე.

## 3. ე) სანამ ქუბურხინჯში „თათბირობენ“, ოჩიმჩირები ქართველებს ცოცხლად მარხავენ

ქართველთა ტერიტორიაზე ქართველთა ხოცვა-ულეტა გრძელდება, თუმცა ჭუბურხინჯის შეხვედრაზე თითქმის ყოველ ხუთშაბათს ხაზს უსვამენ, რომ იქ სიმშვიდეა და ქართველებიც სიამტკბილობით ცხოვრობენ. ქართული საგამოძიებო ჯგუფის წევრები მკაცრად გამოხატავენ, თავიანთ პოზიციებს, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, არავინ აქცევს მათ ყურადღებას. გასული კვირის ხუთშაბათს, ჭუბურხინჯის ტრადიციულ შეხვედრაზე ქართულმა მხარემ მკაცრად დასვა ორი საკითხი: პირველი შეეხებოდა აფხაზების მიერ ტყვედ აყვანილ ხუთ ქართველს, თუმცა ყველაფერი ასე დაიწყო: 2003 წლის 4 აგვისტოს, გალის რაიონის სოფელ თაგილონის საზღვართან, დაუდგენელმა პირებმა, „გაზე-

- ◀ სიტყვა „თათბირობენ“ ბრჭყალებშია ჩასმული. უურნალისტი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მეორე მხარე – აფხაზები, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ – არ არიან მონდომებული, რომ ამ ორ ხალხს შორის არსებული პრობლემა გადაწყდეს. მოსაზრება, რომ კონფლიქტი შავ-თეთრ მდგომარეობაშია, ძლიერდება სათაურში გაულერებული დაუმტკიცებელი ბრალდებით, რომელიც აფხაზების დაუნდობელ საქციელს ეხება – ბრალდებით, რომელიც აშკარად ისახავს მიზნად ნებისმიერი ქართველი მკითხველის შეძრნულებას.
- ◀ ვინ ამბობს, რომ ქართველების ხოცვა გრძელდება? ზუსტად რა ადასტურებს ამ ბრალდებას?
- ◀ ის არის სტატიაში მოყვანილი ყოველგვარი ინფორმაციის წყარო? თუ არა, მაშინ – ვინ? ეს არსად არ არის გარკვევით ნათქვამი.

ლის” ტიპის მიკროავტობუსი ააფეთქეს, რა-საც ექვსი აფხაზი მესაზღვრე შეენირა. ამ ამ-ბავს კი, როგორც მოსალოდნელი იყო, საპა-სუხო რეაქცია მოჰყვა აფხაზებისგან. ისინი ამ აფეთქებას, ქართველ პარტიზანებს აბრა-ლებდნენ. პარტიზანთა სავარაუდო ადგილ-სამყოფელი ჭუბურხინჯ-თაგილონის საზღ-ვარზე, ძმები ქირიების სახლ-კარი, გადაწვეს, ხოლო შემდეგ ძმები მძევლებად აიყვანეს. ამავე დროს გადაწვეს სრულიად უდანაშა-ულოთა სახლებიც, სცემეს უდანაშაულო ხალხს და აანიოკეს მთელი სოფელი.

ძმებ ქირიებთან ერთად გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯიდან მძევლებად აიყვანეს სოფლის სამი მკვიდრი; ჯოვოლა ხარძიანი, ლიფტერ არქანია და ნოდარ ლეფსაია. სამი თვის განმავლობაში ქართული საგამოძიებო ჯგუფის წევრები ჭუბურხინჯში ამაოდ არკ-ვევდნენ გატაცებულთა საქმეს. აფხაზები ჯერ საერთოდ უარყოფნენ ჭუბურხინჯი-დან ადამიანთა გატაცების ფაქტს, ხოლო შემ-დეგ მათი გატაცება უბრალო კრიმინალებს გადაბარალეს. სინამდვილეში კი ჭუბურხინ-ჯელი ქართველები გალის ე.ნ. მილიციას ჰყავდა დაკავებული. წინა კვირის ხუთშა-ბათს, ქართულმა მხარემ ოთხმხრივ შეხვედ-რაზე ძალიან მკაცრად დააყენა საკითხი და მხარეებს მოახსენა, რომ ეს უფრო ფართო მასშტაბიანი შეხვედრის საგანი გახდებოდა. ამავე დროს, ქართულმა მხარემ უმოქმედო-ბაში დაადანაშაულა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მისია კონფლიქტის ზონაში და დსთ-ს სამშვიდობო ძალები. იმავე საღა-მოს, ტყვეთა გაცვლის და უგზოუკვლოდ და-კარგულთა მოძიების კომისიამ აფხაზეთის ტერიტორიიდან პირდაპირ ენგურის ხიდზე მურთაშ ქირიასა და ჯოყოლა ხარძიანის გახ-რწილი გვამები გადმოასვენა. ამავე კომი-სიის აქტიურმა მეთაურმა, ვლადიმერ დო-ბორჯგინიძემ აფხაზეთიდან გადმოიყვანა

კონკრეტულად ვინ ადანაშაულებს ქართ-ველებს? კარგი იქნება აქ ვინმეს ციტატის მოყვანა – თანამდებობის პირის, სოფლის მცხოვრებისა ან ვინმე სხვისი. ასევე სა-სარგებლო იქნებოდა ქართული მხარის პოზიციის ჩევრება. სჯერა თუ არა უურნა-ლისტს, რომ პარტიზანები არ იყვნენ პა-სუხისმგებელი? საკითხი, თუ ვინ ჩაიდინა ეს, სრულიად უურლებელყოფილია, თით-ქოს ამას არავითარი კავშირი არ ჰქონდეს ვითარებასთან.

► ვისი ნათქვამის მიხედვით? საიდან იცის უურნალისტმა, ვინ არის უდანაშაულო და ვინ – არა? ეს ინფორმაცია სრულიად შე-უმოწმებელია და ჩვენ კი გვთხოვენ, რომ ვირწმუნოთ მოვლენათა უურნალისტის მი-ერ შემოთავაზებული ხედვა.

► აქ სასარგებლო იქნებოდა აფხაზი თანამ-დებობის პირების ციტირება, რომ გასაგე-ბი იყოს მათი პოზიცია ამ საკითხთან და-კავშირებით.

► ვისი ნათქვამის მიხედვით?

ვის მიერ? რა არის ინფორმაციის წყარო? ჭორები ფაქტების სახით არ უნდა იყოს გავრცელებული მასშედის მიერ.

ამ ტყვეებს შორის იყვნენ, ენგურის ხიდზე გადმოსვენებული ხარძიანი და ქირიაც.

აქაც, რა არის ამ ინფორმაციის წყარო? თუ ეს „სარწმუნო წყარო“ არ შეიძლება დასახელდეს, უურნალისტმა უნდა გაგვაებინოს მაინც, თუ როგორ მოიპოვა წყარომ ეს ინფორმაცია, რის საფუძველზე დაყრდნობით განსაზღვრავს უურნლისტი, რომ წყარო მართლაც სარწმუნოა? ბრალდებაც ასევე ძალიან ბუნდოვანია. რამდენ ბიჭებიც აქვს საუბარი უურნალისტს? რამდენი წლისა არიან ისინი? რა მოხდა მანამდე? რამაც განაპირობა ეს წამება? საიდან იცის უურნალისტმა, რომ ისინი ანამეს და ხელ-ფეხი შეუკრეს? თუ ამ ინფორმაციის მომწოდებელი წყარო სარწმუნოა, ნიშნავს თუ არა ეს, რომ სტატიაში მანამდე მოყვანილი ინფორმაციის წყაროები არაა სარწმუნო?

ტყვედყოფილი პირი, თბილისის მკვიდრი, ვინმე ნუგზარ ქურციძე, რომელიც მევალეებს დაუსხლტა ხელიდან და თავისუფლების ძიებაში აფხაზეთის ტერიტორიაზე ამოყო თავი. გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აგვისტოს თვეში გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯიდან აყვანილი თითქმის ყველა ტყვე აფხაზებმა უმოწყალოდ დახოცეს. სარწმუნო წყარო აფხაზეთიდან იმასაც ირწმუნება, რომ სეპარატისტებმა უდანაშაულო ქართველი ბიჭები ოჩამჩირის რაიონში, წინასწარ გათხრილ ღრმა ჭაში ცოცხლად ჩაყარეს. სავარაუდოდ, მათ ხელ-ფეხი შეუკრეს, სასტიკად ანამეს, ჭაში ჩაყარეს და ზედ მიწა დააყარეს.

ჯერჯერობთ გაურკვეველია მურთაზ ქირიას ძმის, ლეფსაიასა და არქანიას ბედი. ეჭვგარეშეა, რომ ისინი ცოცხლები აღარ არიან. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ამაზე ყველა დუმილს ამჯობინებს. ოთხმხრივი მოლაპარაკებები ჩიხში შედის. ამ მოლაპარაკებებზე თითქმის არაფერი კეთდება, გარდა იმისა, რომ ქართული მხარე აღშფოთებას გამოხატავს მომხდარი შემზარავი ფაქტების გამო, ხოლო აფხაზური მხარე ყველა კონკრეტულ ფაქტზე თავს იცავს და მომხდარს ქართველ პარტიზანებს აპრალებს. აფხაზების დამცველად გამოდიან ჭუბურხინჯის შეხვედრებზე გაეროს მისია და დსთ-ს სამშვიდობო ძლების წარმომადგენლები.

გასული კვირის ხუთშაბათის ტრადიციულ შეხვედრაზე ქართულმა

ეს ორი წინადადება ურთიერთსაწნაალ-მდეგოა. თუ მათი ბე-დი გაურკვეველია, მა-შინ როგორ შეიძლება ეჭვგარეშე იყოს, რომ ისინი ცოცხლე-ბი აღარ არიან?

სჯერა თუ არა უურნალისტს, რომ პარტიზანები საერთოდ დამზადები არიან არსებულ დაპირისპირებაში? როგორც ჩანს, – არა. რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ, მოუხედავად იმისა, რომ პარტიზანები ჩართული იყენენ კონფლიქტში, არ ღირს მათიროლის შესწავლა, თუ რა წილი მიუძლვით მათ სიტუაციის იმ წერტილამდე მიყვანში, რომელშიც ის ამჟამადაა.

მხარემ მკაცრად დააყენა მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც აფხაზეთის საბაჟოზე ე.წ. „გადასახადების“ გაძვირებას ეხებოდა. აფხაზებმა, ფაქტობრივად, ქართველებს აუკრძალეს „მათ ტერიტორიაზე“, საკუთარი მიწა-წყლის, სახლ-კარის მონახულება, როცა ე.წ. „საბაჟოზე“ ახალი ტარიფები დააწესეს. აფხაზეთის, კერძოდ, გალის რაიონის მცხოვრებს, საზღვრის გადაკვეთა და ე.წ. საბაჟოს გავლა, დაახლოებით 100 რუსული რუბლი უჯდება. ამ თანხას ისინი, ფაქტობრივად, ვეღარ გადაიხდიან, რადგან, ოჯახის მხოლოდ ერთ წევრს, შესაძლოა, დღეში რამდენჯერმე მოუხდეს საბაჟოს გავლა, თუ არაფერს ვიტყვით ერთი ოჯახის რამდენიმე წევრზე. როგორც ქართული მხარის წარმომადგენლები ირწმუნებიან, ეს არის აფხაზების მიერ წინასწარ შემუშავებული ერთ-ერთი ხრიკი, რომ მომავალში ქართულ მოსახლეობას ხელი შეეშალოს აფხაზეთში დაბრუნებაში. როგორც აფხაზები ამბობენ, ამით შემცირდება იმ ნაკადის აფხაზეთის ტერიტორიაზე მოძრაობა, რომელსაც დავალებული აქვს აგენტობა და ინფორმაციები დააქვს ორივე მხარეს. ძნელი დასაჯერებელია, აგენტს ამით ხელი შეეშალოს, რადგან ამ პროფესიის ადამიანი საამისო თანხას დამკვეთისგან მაინც მიიღებს. საბოლოოდ, ეს გარემოება უარყოფით გავლენას მოახდენს იმ უბრალო ხალხზე, რომელსაც აუცილებლად სჭირდება საკუთარი სახლ-კარის მონახულება. სწორედ ამ საშუალებით შეუძლიათ მათ საკუთარი თავისა და ოჯახის რჩენა.

ქართული მხარე ამ და სხვა საჭირბო-როტო და აუცილებელ საკითხებს მომდევნო კვირის ხუთშაბათს ისევ დასვამს ჭუბურხინჯში. როგორც თვითონ აღნიშნავენ, ამას მანამდე არ მოეშვებიან, ვიდრე საკითხის სრულ გადაჭრას არ მიაღწევენ. თუმცა,

ისევ, რა არის ამ ინფორმაციის წყარო? როგორც ჩანს, მოლაპარაკებებში ჩართული ქართული მხარე იყენებს უურნალისტების თანამე-მამულეთა მიმართ სიმპათიას, რომ კონფლიქტი და განხილვები მხოლოდ ცალმხრივად გაშუქდეს. უურნო მეტიც, როგორც ჩანს, უურნალისტი აფხაზურ მოსაზრებას მხოლოდ ქართული მხარისაგან ისმენს. აფხაზებს კი, ალბათ, თავიანთი საქციელის უფრო დაწვრილებითი ახსნა აქვთ. უურნალისტს უნდა ეცადა მათთან გასაუბრება ამის გასარკევად.

◀ ლაპარაკია საბაჟოს მხოლოდ ერთხელ გავლაზე.

◀ ისევ, ჩანს, ეს ბრალდება ქართულ მხარეს და-ვასთან დაკავშირებულ ყოველგვარ პასუხისმგებლობას აცილებს თავიდან. უურნალისტი არ უარყოფს, რომ აგენტობას აქვს ადგილი, ასევე არ გამორიცხავს, როგორც უსაფუძვლოს, აფხაზების შეშფოთებას ამ საკითხთან დაკავშირებით. ასევე, ვინ არიან ის აფხაზები, რომლებიც კომენტარს იძლევიან ამ საკითხთან დაკავშირებით? უურნალისტმა უნდა მიუთითოს აფხაზური მოსაზრების წყარო.

ეს ბოლო წინადადება და სიტყვა „ჩვენდა“-ს ▶  
გამოყენება ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ეს  
ნაწილი დაიწერა მთლიანად ერთი შხარის და  
არა სხვადასხვა მხარეების შეხედულებათა  
გათვალისწინებით. ბრალდებები უეჭველად  
გააძლიერებს ქართველ მკითხველში მანამდე  
არსებულ წინასწარგანწყობებს. მაგრამ  
ურნალისტის მიერძოებულობა იმდენად ნა-  
თელია, რომ სხვა მეითხველები ნაკლებად და-  
იჯერებენ ამ ფაქტის ობიექტურობას. იმის მა-  
გივრად, რომ საშინელი ბრალდებები უფრო  
კარგად ყოფილიყო შემოწმებული, როგორც  
სოლიდური ურნალისტური გამოძიების წესია,  
სტატია პირიქით, კიდევ უფრო ამწვავებს უკ-  
ვე არსებულ დაპირისპირებას.

ძნელად დასაჯერებელია, ჭუბურხინჯში  
რამე გადაწყდეს, ყოველ შემთხვევაში,  
ჩვენდა სასიკეთოდ.

„თავისუფალი გაზეთი“,

თბილისი, საქართველო,

2003 წლის 28 ოქტომბერი – 3 ნოემბერი

ეს სტატია მაგალითია ისეთი ანთებული რიტორიკისა, რომელიც ცეცხლზე ნავთს ასხამს. ჟურნალისტი ფაქტობრივად იჭერს ყვო-ს მხარეს (ყარაბაღის განთავისუფლების ორგანიზაცია) ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელიმე მათგანისგან პირდაპირი კომინტარის მიღების მცდელობის გარეშე. ტერმინების „აგრესორისა“ და „ტერორისტის“ გამოყენება სომხებისა და სომხების მოსახსენიებლად, აზერბაიჯანში ფართოდ გავრცელებული რწმენის გამყარებას ემსახურება. ყოველ შემთხვევაში, მთავრობას აუცილებლად უნდა ჰქონდეს უფლება უპასუხოს ასეთ ბრალდებებს.

### 3. ვ] ყარაბაღის განმათავისუფლებელი ორგანიზაცია პროცესტს გამოთქვამს სომხების ვიზიტის გამო ჩვენს ქვეყანაში

ყარაბაღის განმათავისუფლებელმა ორგანიზაციამ პროტესტი გამოთქვა აგრესორი სომხეთის დელეგაციის მოწვევის გამო შავი ზღვის თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს შეხვედრაზე დასასწრებად.

ყვო-მ (ყარაბაღის განმათავისუფლებელმა ორგანიზაციამ) აღნიშნა, რომ ასეთი ქმედებით მთავრობამ შეურაცხყოფა მიაყენა ჩვენი მონამეების სულებს, შექმნა პირობები ტერორისტ სომხებთან მეგობრული და სამუდამო ურთიერთობების დამყარებისთვის და ამით ჩვენი დაკარგული ტერიტორიების დავიწყებაზე მიღვანიშნა. ყარაბაღის განმათავისუფლებელ ორგანიზაციას სჯერა, რომ ასეთი სახის ქმედებები ეწინააღმდეგება აზერბაიჯანელი ხალხის ინტერესებს.

ყვო-მ მოითხოვა, რომ მთავრობას დაუყოვნებლივ დაევალებინა საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის გადამწყვეტი ზომები მიეღო, რომ ხელი შეეშალა სომხური დელეგაციის ვიზიტისთვის ბაქოში. ორგანიზაციამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხისმგებლობა

ეს სერიოზული ბრალდებებია, რომელიც მთავრობის მიერ პასუხის გაცემას მოითხოვს. მაგრამ, რადგან პასუხი არ მოუთხოვიათ, აშკარაა, რომ სტატია იზიარებს ყვო-ს შეხედულებებს. შეიძლება ეს ასეც იყოს განზრახული, მაგრამ ახალი ამბებისადმი ასეთი მიდგომა ნაკლებად უწყობს ხელს მდგომარეობის მოგვარებას ან ამის მცდელობას. ჟურნალისტი არ უნდა იქცეოდეს, როგორც უბრალოდ ყვო-ს რუპორი.



ამ შემთხვევაში ძალის გამოყენების მუ- ►  
ქარა შანტაჟის ფორმას მოგვაგონებს.  
ყველ-ს უნდა ჰქონდეს მშვიდობიანი პრო-  
ტესტის უფლება, მაგრამ უნდა იტვირ-  
თოს პასუხისმგებლობა საკუთარ საქცი-  
ელზე, თუკი ის გულისხმობს, რომ ხალხი  
უნდა ჩართოს ძალადობრივ მოქმედება-  
ში.

მოვლენების შესაძლო განვითარებაზე დაეკისრე-  
ბა ამ სამინისტროს.

გაზეთი „აზადლიქი“,  
ბაქო, აზერბაიჯანი,  
2003 წლის 28 ოქტომბერი

---

#### 4. የጊዜነት

## რელიგია

**მ**თელ მსოფლიოში რელიგური განსხვავებები ისევე ხშირად გამხდარა კონფლიქტის მიზეზი, როგორც ეთნიკური წარმომავლობის მიმართ არსებული დამოკიდებულება. და მართლაც, ცოტა არ იყოს, ძნელია განასხვაო ერთმანეთისაგან ეს ორი რამ, რადგან დაპირისპირებულ ეთნიკურ ჯგუფებს ხშირად გასხვავებული რელიგიური მრნამსი აქვთ. მაგალითად, კოსოვოში სერბებსა და ალბანებს შორის არსებული დაძაბულობა ეთნიკურ წარმომავლობაზეა დაფუძნებული თუ რელიგიურ განსხვავებებზე, ამის ერთმანეთისგან განსხვავება რთულია. ეჭვს გარეშეა, რომ პასუხი ასეთია: როლს ორივე ფაქტორი თამაშობს. ასეთივე შეკითხვა შეიძლება დაისვას მთიან ყარაბალთან მიმართებაშიც.

იგივე შეიძლება ითქვას ანტისემიტიზმის შესახებ. ნათლად ჩანს, რომ ებრაელთა მიმართ ზიზდი ორივეს – რელიგიურ და ეთნიკურ კომპონენტებს შეიცავს. ებრაელები ხშირად განიხილებიან, როგორც უცხო რასა, რომელსაც გარკვეული ფიზიკური და პიროვნული სტერეოტიპებით განასხვავებენ. ასეთებია, მაგალითად, კებიანი ცხვირი და ფულის საეჭვო გზებით შოვნის უნარი. ამავე დროს ანტისემიტები ყოველთვის დასცინოდნენ იუდაიზმს, როგორც რელიგიას. ისინი ჭორებს ავრცელებდნენ ებრაელთა რელიგიური წესებისა და რწმენის შესახებ, მაგალითად, თითქოს ებრაელები ღმერთს მსხვერპლად სწირავდნენ ქრისტიანთა ბავშვებს.

ბევრი პოსტკონფლიქტური სიტუაციის მსგავსად, სამხრეთ კავკასიაში მდგომარეობა ბოლო წლებში კიდევ უფრო გართულდა რელიგიასთან მიმართებაშიც. მარტო ყოფილი დახურული საზოგადოებები არ იბრძვიან რეგიონში დიდი ხნის წინ დამკვიდრებული რელიგიური ჯგუფების წარმომადგენლებს შორის ურთიერთგაგების შენარჩუნებისათვის. ამავე დროს, დასავლეთიდან ჩამოსული მისიონერებიც ცდილობენ ხალხის გადაპირებას სხვა სულიერი ტრადიციებისაკენ, რაც სურათს კიდევ უფრო ართულებს.

გთავაზობთ რამდენიმე რჩევას, რომელიც დაგეხმარებათ ისე გააშუქოთ რელიგია, რომ კონფლიქტის გაღვივებას კი არ შეუწყოთ ხელი, არამედ შემწყარებლობას:

\* იმისათვის, რომ აღმოაჩინოთ, არის თუ არა გაშუქებისას რამე გამორჩენილი, გადახედეთ, თუ როგორ აშუქებენ მასმედიის საშუალებები რელიგიურ განსხვავებებთან დაკავშირებულ საკითხებს თქვენს ქალაქსა თუ რეგიონში. იყო თუ

არა გამოქვეყნებული ისეთი მასალა, რომელიც შეიცავდა იმათ შეხედულებებს, ვინც დო-მინანტურ რელიგიას არ მიეკუთვნება. თუ რაიმე დაიწერა განსხვავებული რელიგიის მქონე ხალხის შესახებ, ეს მასალა ობიქტურად იყო წარმოდგენილი, თუ სინამდვილისგან შორს მდგარ სტერეოტიპებს ავრცელებდა?

\* რელიგიის შესახებ წერისას დაუკვირდით, რა ენით აღწერთ სხვა ხალხს. ზოგიერთი სიტყვა, შესაძლოა თქვენ შეურაცხმყოფელად არ მიგაჩნდეთ, მაგრამ ჯგუფის წევრები, რომლის შესახებაც წერთ, ასე არ თვლიან. თუ დარწმუნებული არა ხართ, რომ რომელიმე სიტყვა ნამდვილად არ არის შეურაცხმყოფელი, გადამოწმეთ იგი მასალაში გამოყენებამდე.

\* გამოყავით დრო, რომ გაიცნოთ და შეისწავლოთ თქვენს რეგიონში არსებული ახალი რელიგიური მიმდინარეობები. ერთი დღე დაყავით მეთოდისტ მისიონერებთან ან იელოვას მოწმეებთან. დააკვირდით მათ ურთიერთობას იმ ხალხთან, ვისთანაც საუბრობენ და ვის მოქცევასაც ცდილობენ. მათი რწმენის გაზიარება სულაც არ არის სავალდებულო იმისათვის, რომ აკურატულად და გაგებით გააშუქოთ ისინი.

\* დაწერეთ, როგორია თქვენს რეგიონში კანონები რელიგიის შესახებ. სახელმწიფო რაიმე პრივილეგიებს ხომ არ სთავაზობს დომინანტური რელიგიური მრნამსის მქონე ხალხს და დისკრიმინაციას ხომ არ უწევს სხვა რელიგიის მიმდევრებს? თუ კანონის მიხედვით ყველა რელიგია ერთნაირი უფლებებით სარგებლობს, ასრულებს თუ არა ხელისუფლება კანონს? თუ მაინც საკუთარ ტრადიციულ რელიგიას ანიჭებს უპირატესობას?

\* ყურადღებით იყავით, რათა სხვა რელიგიის მიმდევართა სტერეოტიპების უბრალო გამეორება არ გამოგივიდეთ. როდესაც საქმე რელიგიას ეხება, სხვათა სულიერი ტრადიციების შესახებ, ბევრი თვითმარქევია ექსპერტი იტყვის იმას რაც მოქსურვება და არც ეცდება, რომ განცხადებებს რაიმე ფაქტები დაურთოს. იმის გამო, რომ უურნალისტები ხშირად იზიარებენ მაგვარ ცრუ-რწმენებს, საკუთარ თავს უნდა შეახსენონ, რომ მათი საქმეა ეჭვი შეეპაროთ მაგვარი განცხადებების სისწორეში და გადამოწმების გარეშე არ დაიჯერონ ისინი.

\* გაარკვიეთ, არის თუ არა თქვენს რეგიონში უნივერსიტეტები, რომლებშიც რელიგიის შემსწავლელი ფაკულტეტები არსებობს. მათი არსებობის შემთხვევაში, ამ ფაკულტეტების პროფესორებს მიუდევქით, როგორც თქვენთვის ინფორმაციის მოწოდების პოტენციურ წყაროს. თუ ისინი მართლა ექსპერტები არიან მთელ რიგ რელიგიათა სულიერი ტრადიციების საკითხებში, მათი გამოყენება განსაკუთრებით მიზანშენონილი იქნება რელიგიებს შორის ურთიერთობების შესახებ არსებულ რთულ კითხვებზე პასუხის გასაცემად.

- \* მოერიდეთ ისეთ წყაროებს, რომელთა არგუმენტებიც რელიგიურ საკითხებთან და-კავშირებით მხოლოდ ბიბლიას, ყურანს ან სხვა რომელიმე წმინდა ტექსტს ეყრდნობა. ყოველთვის იარსებებს საუკუნეების წინ დაწერილ წიგნთა მრავალნაირი ინტერპრეტაცია – სწორედ ამის გამოა, რომ ამდენი ქრისტიანული მიმდინარეობა ანდა რადიკალურად განსხვავებული ისლამური ტრადიცია არსებობს. თუ რომელიმე პოლიტიკოსი ცდილობს, რომ სახელმწიფო პოლიტიკას რელიგიური ტექსტები დაუდოს საფუძვლად, გაარკვიეთ, სხვებს როგორ ესმით იმავე ტექსტის მნიშვნელობა და შემდეგ პოლიტიკოსს კითხვები დაუსცით მათ შესახებ.
- \* რელიგიური საკითხები სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარებისა თუ მიმართულებების კონტექსტში განიხილეთ. თუ რომელიმე რელიგიურ ჯგუფში მაღალია უმუშევრობის დონე, შესაძლოა ეს მათ სიზარმაცეს კი არა, არამედ მათი ტრადიციული საქმიანობის სფეროში არსებულ სირთულეებს ასახავდეს. თუ რომელიმე ახალი რელიგია ბევრ მიმდევარს იზიდავს, გაიგეთ, რას სთავაზობს ის ხალხს ისეთს, რაც მათ აკლიათ.
- \* წერეთ სტატიები, რომლებშიც ახსნით, ასახავს თუ არა სტანდარტული სტერეოტიპები არსებულ სინამდვილეს – და თუ მართლა ასეა, რის გამო ხდება ეს? მაგალითისთვის, ისტორიულად ცნობილია, რომ ებრაელები მევახშები იყვნენ და ეს იმის გამო ხდებოდა, რომ სხვა პროფესიები მათთვის მიუწვდომელი იყო. ამ გარემოებამ შესაძლოა ხელი შეუწყო იმ აზრის დამკვიდრებას, რომ ებრაელები ხელმოჭერილები ანდა სულაც ხარბები არიან.
- \* სხვა რწმენის ხალხის ტრადიციული დღესასწაულები ისევე უნდა გააშუქოთ, როგორც თქვენს საკუთრ რელიგიურ დღესასწაულებს გააშუქებდით. დაესწარით პასექის, ხანუქას ან ბარ მიცვას დღესასწაულების აღნიშვნას. ერთი დღე დაყავით მუსლიმანებთან რამადანის დროს.
- \* ნუ მიუდგებით რელიგიური ჯგუფის ერთ რომელიმე წევრს ისე, თითქოს ის მთელ ჯგუფს წარმოადგენდეს. იმის გამო, რომ ერთი ბუდისტი პირით მზისკენ მედიტირებს, არ ნიშნავს, რომ ყველა ბუდისტი ასე აკეთებს. თითოეული ადამიანი პიროვნებაა და საკუთარი შეხედულებებისა და აზრების გამოხატვა უნდა შეეძლოს. ყოველი ადამიანი საკუთარ მრწამსს შესაძლოა ცოტა განსხვავებულად უდგებოდეს.
- \* როდესაც ინტერვიუს განსხვავებული რელიგიური მრნამსის ხალხისგან იღებთ, ნუ გეგონებათ, რომ მათი ცხოვრება რელიგიით იწყება და რელიგიითვე მთავრდება. სხვა თემებზეც დაუსვით კითხვები. ისევე, როგორც თქვენ, მათაც შეიძლება პქონდეთ პრობლემები და საფიქრალი, რაღაც სჭირდებოდეთ, უხაროდეთ და ეს ყველაფერი სულაც არ იყოს რელიგიასთან დაკავშირებული. კითხვები დაუსვით ოჯახის, ინტერესების, პროფესიის და ცხოვრების სხვა ასპექტების შესახებ. ყველაფრის ასახვა არ არის საჭირო, მაგრამ ეს უდაოდ დაგეხმარებათ მათი შეხედულებების უკეთ შეცნობაში.

## სასწაულო მასალა

ეს სტატია ვთომ აღტერნატიულ სამხედრო სამსახურს შეეხება, მაგრამ სინამდვილეში ქურნალისტი ამ საკითხს იმისათვის იყენებს, რომ თავისი ბრაზი გადმოანთხოოს გარკვეულ სოციალურ ჯგუფებზე, რომელთა დიდი ნაწილიც არატრადიციული რელიგიის მიმდევარია. ის ასევე არანაირ შესაძლებლობას არ აძლევს თავის მიერ გაკრიტიკებულ ადამიანებს, რომ ბრალდებები გააბათილონ.

### 4. ა) რა შეიძლება მისცეს აზერბაიჯანს ალტერნატიულმა სამხედრო სამსახურმა?

ახალი რელიგიური სექტები, უდარდელი ახალგაზრდები, მოქრთამვის უფრო მეტი რესურსები და შესაძლებლობები მტრებისთვის

კ რავინ უარყოფს, რომ აზერბაიჯანი მგრძნობიარე პერიოდში ცხოვრობს. ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ჩვენ რეგიონის ურთიერთ-საწინააღმდეგო გეოპოლიტიკური პროცესების ცვლილების გადავართ. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ჩვენ არასდროს დაგვიწყნია ჩვენი უსაფრთხოება.

მაგრამ თავიდან უნდა ავიცილოთ სხვა ასპექტის საფრთხეებიც. ყველამ იცის, როგორი დაძაბულია ენერგეტიკასთან დაკავშირებული ვითარება. ჩვენ ასევე ვაცნობიერებთ საკვებისა და გარემოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებლობას.

სომხეთი უკან არ იხევს საკუთარი პოზიციიდან. ასევე, ის ხელს უშლის მოლაპარაკების პროცესებს. ეს ყველაფერი ომის დაწყების შესაძლებლობის გაზრდაზე მიანიშნებს. ამიტომ აზერბაიჯანმა გარკვეული მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილოს. ამიტომ დასაფიქრებელია, რამდენად დირს აღტერნატიულ სამხედრო სამსახურზე

ქურნალისტი სხვა რელიგიის ხალხზე თავდასხმის რაციონალურ მიზეზად ქვეყნის სავალალო მდგომარეობას მიიჩნევს. ამ გზით ის ცდილობს თავისი წინასწარგანწყობის გამართლებას და მათ ისეთნაირად წარმოაჩენს, თითქოს ეს იყოს შესაბამისი პასუხი რეალობაზე.



ურნალისტი აშკარად მიკერძოებულია იმ ხალხის მიმართ, ვინც სხვა რელიგიურ აღმსარებლობას მიეკუთვნება და ვინც არ იზიარებს მის მოსაზრებას სომხეთთან ომის შესახებ და უარყოფს ყველა სულიერ მოწოდებას, რომ ომის დაწყება არასწორია, რადგანაც მეომარი მხარეები „ძმები“ არიან. ბუნებრივია, ყველა ადამიანს თავისი აზრი აქვს ამ საკითხთან დაკავშირებით. ეს მათ ცუდ მოქალაქეებად სულაც არ აქცევს.

აშკარაა, რომ აქ „ათასობით“ გადაჭარბებული ნათქვამია. ასევე, ურნალისტმა უნდა მოიყვანოს კონკრეტული არგუმენტები, რომლითაც ქრისტიანებს საშუალება მიეცემათ დაამტკიცონ თავიანთი მოსაზრება.

რატომ უნდა იყოს ყველასთვის მისაღები ურნალისტისეული ცნებები სამშობლოსა და ერის შესახებ? ადამიანებს აქვთ უფლება, მიიღონ ის რელიგიური რწმენა, რომელიც უნდათ, და თუ ისინი სხვანაირად იწყებენ ამ ცნებების აღქმას, ეს მათი უფლებაა.

საუბარი. თუ ამ კანონის ჰუმანურობა სასწორის ერთ მხარეს დაიდება, მეორე მხარეს კი ის პრობლემები, რომელიც ჩვენი ქვეყნის წინაშე დგას, განვითარება არ მოხდება. ნათელია, რომ იბადება რიგი შეკითხვებისა. გვჭირდება თუ არა აღტერნატიული სამხედრო სამსახური ჩვენი ისტორიის ამ ეტაპზე?

აღტერნატიული სამხედრო სამსახური მოქალაქეს საშუალებას აძლევს შეასრულოს განსხვავებული სამსახური გარკვეული თანხის საფასურად. მოდი, ვთქვათ, რომ, თუ ვინმეს არ სურს ჩვეულებრივი სამხედრო სამსახურის გავლა რელიგიური, იდეოლოგიური ან სხვა მიზეზის გამო, მაშინ მას შესთავაზებენ აღტერნატიულ სამხედრო სამსახურს, მისცემენ სამუშაოს, ასევე გარკვეულ პრივილეგიებს, იმ პირობით, რომ ეს სამსახური ჯართან იქნება დაკავშირებული. იმის გათვალისწინებით, თუ როგორ იქცევიან აზერბაიჯანში ეს რელიგიური სექტები და კლანები, დასაფიქრებელია, თუ რა შეიძლება მოჰყვეს შედეგად ასეთი პრივილეგიების მინიჭებას.

მასმედია ხშირად აშუქებს ქრისტიანი მისიონერების პროპაგანდას საზღვრისპირა რეგიონებში. ისინი მოუწოდებენ ხალხს, არ ჩაერთონ ომში. მათ მოჰყვავთ ათასობით მიზეზი და განმარტება იმის დასამტკიცებლად, რომ ჩვენ „ძმები“ ვართ. უფრო მეტიც, ამ სექტების წევრთა დამოკიდებულება აზერბაიჯანის მიმართ ასევე წარმოშობს შეშფოთების საფუძველს. მაშინაც კი, თუ ეს მისიონერები აზერბაიჯანელები არიან, ისინი უცხოპლანეტელებივით ფიქრობენ, მათთვის მიუღებელია სამშობლოსა და ერის ცნებები. ისინი ამას ლიად გამოხატავენ. ისინი კვლავ და კვლავ ინდივიდუალურობას უსვამენ ხაზს. კრიშნაიტები, ადვენტისტები, ბაპტის-

ტები და სხვები შორს დგანან ქვეყნის სამსახურისგან. ალტერნატიული სამხედრო სამსახურის შემოღება შესაძლებლობების შექმნა არ იქნება ამ პარაზიტების გასამრავლებლად საზოგადოებაში? ეჭვგარეშეა, რომ ასეც მოხდება.

მუსლიმანური სექტებიც არანაკლებ ზოანს აყენებენ საზოგადოებას. ნუოუ ვაპაბიტურ იდეოლოგიაში მომწყვდეული აზერბაიჯანელი იმსახურებს „ურნმუნოთა“ ჯარში? მათი უმეტესობა ამას არ გააკეთებს. თუ გავითვალისწინებთ, რა სისწრაფით ვრცელდება ვაპაბიზმი, მაშინ იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ათასობით ახალგაზრდა „გაცდება“ ალტერნატიულ სამხედრო სამსახურში. გარდა ამისა, ეს სტიმულს მისცემს ახალგაზრდებს, ასეთი გზა აირჩიონ. საიდუმლო არ არის, რომ ბევრი ელოდება ამ შანსს. რადგან ალტერნატიული სამსახური გულისხმობს ხალხის სამუშაოთი უზრუნველყოფას, ეს იქნება ინდიფერენტულობის გავრცელება საზოგადოების ყველა დონეზე. მათი რეფორმირების ნაცვლად ჩვენ საბოლოო ჯამში ამ ხალხს ვათვავსებთ სხვადასხვა სოციალურ ქსელში და, ამგვარად, ვქმნით ხელსაყრელ პირობებს მათი არასწორი განვითარებისთვის. სამწუხაროდ, ჩვენ ამას საკუთარი ხელით ვაკეთებთ.

დასასრულ, ჩვენ ყურადღება უნდა გავამახვილოთ სხვა ფაქტზეც. ყველამ ვიცით, რომ ბევრი ყველანაირად ცდილობს ინსტიტუტში მოაწყოს თავისი შვილი, რომ თავიდან ააცილოს სამხედრო სამსახური. იხდიან ქრთამს, ხარჯავენ ფულს და არ უშვებენ შვილებს ჯარში. ეს გამოწვეულია მთელი რიგი მიზეზებით, რომელთა დაკონკრეტება-საც ჩვენ არ მოვყვებით. მაგრამ უნივერსიტეტებში თუ შეხვალთ, განსაკუთრებით კერძო სასწავლებლებში, ნახავთ, იქ რამდე-

ისევ, ერთი რელიგიური ტრადიციის ხალხს არ უნდა ჰქონდეს მონოპოლია იმის განსაზღვრაში, თუ რას ნიშნავს, ემსახურო ქვეყანას. სხვებსაც აქვთ უფლება იქონიონ საკუთარი აზერბი და თვითონ განსაზღვრონ, როგორ უნდათ ემსახურონ ქვეყანას.

ისევ, ეს სტატია წარმოადგენს თხზულებას ალტერნატიული სამხედრო სამსახურის შესახებ, მაგრამ უურნალისტი მხოლოდ იყენებს ამ თემას, იმისთვის, რომ საკუთარი ბრაზი გადმოინთხოს მათზე, ვინც არალეგიტიმურად მიაჩნია.

ურნალისტი შეპყრობილია წინასწარგანწყობით არამუსლიმანური აღმსარებლობის მიმართ. ხალხს აქვს უფლება მიიღოს ის სარწმუნოება, რომელიც თვითონ უნდა. ისევ, სტატია, რომელიც წარმოადგენს თხზულებას ალტერნატიული სამხედრო სამსახურის შესახებ, უურნალისტის მიერ გამოყენებულია საკუთარი ბრაზის გადმოსაზხვად იმ ადამიანებზე, რომლებსაც არალეგიტიმურად მიიჩნევს.

რა მიზეზებითაც არ უნდა ხდებოდეს ვაპაბიზმი პოპულარული აზერბაიჯანში, აბსურდული ჩანს ალტერნატიული სამხედრო სამსახურის დადანაშაულება ამ პრობლემაში.

მედიის ინსტიტუტის რედაქტორის შენიშვნა: პოტენციურად ცილისმნამებლური წინადაღება ამ ადგილას ამოღებულია.

გაურკეველი რჩება, როგორ ანგრევენ რელიგიური მისიონერები საზოგადოებას, თუ იმას არ ჩავთვლით, რომ შესაძლებლობას აძლევენ მოქალაქებს დაფიქრდნენ სხვა შეხედულებების გაზიარებაზე.

ნი სტუდენტი ხარჯავს უქმად დროს, უპრალოდ იმისათვის, რომ თავი აარიდოს სამხედრო სამსახურს. ეს განსაკუთრებით ხშირად ხდება რუსული საშუალო სკოლების ფილიალებში. ზოგიერთ მშობელს ჯარის-თვის თავის არიდება პრესტიჟადაც კი მიაჩნია. როგორც კი ამოქმედდება კანონი ალტერნატიული სამხედრო სამსახურის შესახებ, ასეთი ადამიანები სხვა მიმართულებით წავლენ. ისინი დაინტერესებენ თავიანთი შვილების ჩართვას ალტერნატიულ სამხედრო სამსახურში. ისინი ამას იმიტომ გააკეთებენ, რომ შექმნან შთაბეჭდილება, თითქოს მათი შვილები ჯარში მსახურობენ.

ყველაზე საშიში ჯგუფი, რომელიც დაინტერესებულია ალტერნატიული სამხედრო სამსახურით, პრივილეგირებულთა შვილებისაგან შედგება. ისინი „ორ კურდღელს ერთი გასროლით მოკლავენ“ – ეს მშობლები შეძლებენ მათ გაგზავნას სამხედრო სამსახურში (ალტერნატიულში) და თან დაასაქმებენ კიდეც. აზერბაიჯანში არსებული რეალობა ნამდვილად იძლევა ამის საშუალებას.

ასე რომ, რას აძლევს აზერბაიჯანს ალტერნატიული სამხედრო სამსახური? უპირველეს ყოვლისა, იმას, რომ ის აგულიანებს რელიგიურ მისიონერებს კიდევ უფრო მეტად დაანგრიონ ჩვენი საზოგადოება. ისინი აუცილებლად გამოიყენებენ ამ შესაძლებლობას. მეორე, უცხო ძალებს ეს აძლევს საშუალებას შეასუსტონ ჩვენი ახალგაზრდების სამხედრო სულისკვეთება და საზოგადოებაში ინდიფერენტულობის შეგრძნება გააძლიერონ. მათ გავლენის სხვადასხვა არხები აქვთ და ისინი კიდევ უფრო გააქტიურდებიან. მესამე, ზოგიერთი მშობელი (პრივილეგირებული) დამატებით შესაძლებლობებს მოიპოვებს თავისი ვაჟისთვის სამ-

ხედრო სამსახურის თავიდან ასაცილებლად.  
ამავე დროს, ზოგიერთს დამატებითი შანსე-  
ბი გამოუჩინდება ქრთამის აღებისთვის. ისი-  
ნი, თავის მხრივ, წურბელებივით გამოსწო-  
ვენ ხალხს სისხლს.

დემოკრატიის გადასახედიდან ალტერ-  
ნატიულ სამხედრო სამსახურს შეიძლება  
გარკვეული უპირატესობებიც ჰქონდეს, მა-  
გრამ ამჟამად აზერბაიჯანისთვის, ეს უფს-  
კრულისკენ მიმავალი გზაა. მოდი, არ დავი-  
ვიწყოთ, რომ ძალიზ კარგ იდეებსაც კი შე-  
იძლება ბევრი ცუდი შედეგი მოჰყვეს, თუ  
ისინი შესაფერის დროს არ განხორციელდა.  
რადგან ეს ვიცით, მაშ რატომ უნდა ვურ-  
ტყათ თავები კედელს?

გაზეთი „ოლაილარი“,  
ბაქო, აზერბაიჯანი, 2003 წლის 22 ივნისი

ეს მოკლე სტატია ქვეყანაში ახალი რელიგიური ტრადიციების მიმდევრების მიმართ თავისი უარყოფითი დამოკიდებულებით იმ სტატიების მსგავსია, რომლებიც იბეჭდება რეგიონულ მას-მედიაში. სიტყვა „სექტა“ ზოგიერთ ენაში არ არის უარყოფითი ელფერის მქონე, მაგრამ ძველ სომხურში ეს ასეა. ერთი რელიგიის მიმდევრების მოაზრება სექტის წევრებად (წევატიური გა-გებით), და ამავე დროს, დომინანტური რწმენის მიმდევრების „ნორმალურებად“ მიჩნევა, რა თქმა უნდა, დისკრიმინაცია. არ არსებობს რელიგიური შეხედულებების ერთი წევბა, რომელიც უფრო ობიექტურად მართალი ან ნამდვილია, ვიდრე მეორე. ათეისტები კი იმას იტყვიან, რომ ყველა მორნმუნე ცდება. ბოლოს და ბოლოს, ორმოცდაათიანელები, იელოვას მოწმეები და სხვა პატარა პროტესტანტული დენომინაციების წევრები დიდი ხნის მანძილზე იყვენენ ამერიკული რელიგიური ლანდშაფტის ნაწილი. ზოგმა შეიძლება ისინი და მათი რწმენა უცნაურად მიიჩნიოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მათ არა აქვთ საკუთარი რელიგიური არჩევანის გაკეთების უფლება, როგორც ამას ვარაუდობენ სექტებისა და კულტების შესახებ სტატიების ავტორები.

## 4. გ) სპეციალური ცენტრის შექმნის საჭიროება

„მოსკოვში შეიქმნა მენტა-ლური რეაბილიტაციის ცენ-ტრი სექტების ყოფილი წევრებისათვის. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, განსაკუთრებით რთულია ნორმალურ ცხოვრებას და-უბრუნო ორმოცდაათიანე-ლები – ეს მუდმივ ძალისხ-მევას მოითხოვს. ჩვენ არა გვაქვს ასეთი ცენტრი, მაგ-რამ მისი შექმნის საჭირო-ება კი არის, რადგან სომ-ხეთში მრავლად არიან მენ-ტალურად დეფორმირებუ-ლი სექტანტები, იმისდა მი-უხედავად, თუ რომელ სექ-ტას მიეკუთვნებოდნენ ისი-ნი. ეს პრობლემა სახელმ-წიფომ და ეკლესიამ აღბათ ერთად უნდა გადაჭრან, რადგან მარტო ექიმებისა და ფიქოლოგების კი არა, არამედ მღვდლების ძალის-ხმევაც არის საჭირო ამ ხალ-

◀ ზუსტად რას გააკეთებს ასეთი ცენტრი? რა იქნება მისი პროგრა-მა? ძალდატანებითი იქნება იქ დასწრება, თუ ის მხოლოდ იმათ-თვის იქნება, ვისაც სურს იმ სექტის დატოვება, რომელსაც მი-ეკუთვნებიან?

ხის წესიერ ცხოვრებაში და-  
საბრუნებლად.“ – ამაში  
ღრმად არის დარწმუნებუ-  
ლი მღვდელი გევონდ მაი-  
ლიანი.

გაზეთი „ჰაიოტს აშხარი“,  
ერევანი, სომხეთი,  
2003 წლის 20 სექტემბერი

◀ ეს განცხადება მიგვანიშნებს, რომ მხოლოდ დომინანტურ რე-  
ლიგიასთან დაბრუნება შეიძლება ჩაითვალოს ნორმალური ან  
წესიერი ცხოვრების წესად. სამღვდელოების ამ წარმომადგენელს  
შეიძლება ასეც სჯეროდეს, მაგრამ რჩება შთაბეჭდილება, რომ  
გაზეთიც უჭერს მხარს ამ აზრს, რადგან მისი განცხადება რაიმე  
სხვა შეხედულების გარეშე აქვს მოყვანილი. ალბათ ვითარებას  
უფრო მეტი ნათელი მოეფინება, თუ უშუალოდ მოხდება გასა-  
უბრება „სექტის“ წევრებთან და გაირკვევა, რას იძენენ ისინი სხვა  
რელიგიურ ჯგუფებში წევრობით.

განცხადება ერთი მხარის ინტერესებს ემსახურება – მღვდელი  
მოუწოდებს სხვა მღვდლებს ჩაერთონ იმ ადამიანების „გადარ-  
ჩენაში“, რომლებმაც რწმენა დაკარგეს. მაგრამ მკითხველმა ისე  
უნდა გაიგოს, რომ ეკლესია შემფოთებულია და ეშინია, რომ  
თავის დომინანტურ საზოგადოებრივ პოზიციის დაკარგვას – სხვა  
სიტყვებით, საქმე ეხება როგორც თეოლოგიას, ასევე ძალაუფ-  
ლებას.

ეს სტატია ახერხებს ორი რელიგიური ტრადიციის შეურაცხყოფას რომელიმე მათგანის წარმომადგენლისგან ინტერვიუს აუდიბლად. ისევ ძალზე გაურკვეველია სავარაუდო ინფორმაციის წყარო. როგორც ჩანს, ინფორმაციის დიდი ნაწილი პოლიციიდან წამოვიდა, მაგრამ ესეც კი ბუნდოვანია, რადგან უურნალისტი არ გვეუბნება, ვინ მიაწოდა მასალა სტატიისათვის. სხვა რელიგიური შეხედულებების არსებობა რეგიონში ბევრისთვის აშკარად პრობლემაა, და ასეთი ახალი ამბები, ურთიერთგაგებისა და განსხვავებების პატივისცემას ხელს არ უწყობს.

## 4. გ) საქართველოში იელოველებს ამერიკის კონგრესის სომხური ლობი მფარველობს

შორის პოლიციამ ერთ-ერთი იელოველის სახლში - სექტანტთა შტაბ-პინაში საქმაოდ საინტერესო მასალა აღმოაჩინა არალეგალურ ლიტერატურასთან ერთად. საქართველოს რუკები, რომლებზეც ყველა მართლმადიდებლური ტაძარი იყო აღნიშნული. სქოლიოში კი მითითებული იყო მინიშნებულ ეკლესიათა სავარაუდო დარბევის, შეურაცხყოფის და დანგრევის თარიღები. გორშივე აღმოჩნდა საქართველოს რუკა, რომელზეც სოციალურად განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში მყოფი სოფლები იყო დატანილი. სქოლიოში იელოველთათვის საინტერესო თითოეული სოფლის მოსახლეობის რაოდნობა და გვარტომობაც იყო მითითებული.

იელოვას მოწმემ პოლიციას აღიარებითი ჩვენება მისცა, რომლის საშუალებითაც გაიშიფრა საიდუმლო რუკათა დანიშნულება. ქართველ იელოველებს მიღებული ჰქონდათ ამერიკის ერთ-ერთი შტატის სათავო ოფიციალური ინსტრუქტაჟი, როგორ ემოქმედათ ისე, რომ საქართველოში რაც შეიძლება მეტი ადამიანი გაეწევრიანებინათ სექტანტთა რიგებში. „მართალია, საწყის ეტაპზე დიდ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში მოქმედება ცოტა გაგიჭირდებათ, მაგრამ არ შედრ

ეს სათაური არანაირად არ არის გამყარებული სტატიაში მოყვანილი ინფორმაციით. უურნალისტი არაფერს ამბობს სომხური ლობის ან ამერიკის კონგრესის შესახებ.

◀ ქართული კანონმდებლობით მართლაც არა-ლეგალურია იელოველების ლიტერატურა? ზუსტად რა სახის დანაშაულია ეს? თუ არა-ლეგალური იმიტომ ჰქვია, რომ ეს პოლიციის მიერ წაყენებულ ბრალდებაზე დაფუძნებული გადაჭარბებაა?

◀ ეს ყველაფერი პოლიციის ანგარიშს ეყრდნობა? თუ ასეა, მაშინ უურნალისტმა გარევევით უნდა დაასახელოს იმ პირის სახელი და თანამდებობა, რომელმაც ეს ფაქტი გამოაშეარავა. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს მეორე ან სულაც მესამე ხელის ინფორმაციაა და ჭორადაც შეიძლება ჩაითვალოს.

„ტრადიციული“, რა თქმა უნდა, პირობითი ცნებაა, ისინი არატრადიციულები მხოლოდ იმ საზოგადოებებში არიან, სადაც მანამდე არ იყვნენ. ეს არის შეხედულება-თა სისტემები, რომლებსაც დიდი ხნის ისტორია აქვს მსოფლიოს იმ ნაწილებში, სადაც ეს შეხედულებები ფარ-თოდ არის გავრცელებული.

ეს შენიშვნა სრულიად გა-უგებარია, რას ნიშნავს ეს? რომელია ეს სპეცსამსახუ-რები? ვატიკანი ან თუნდაც რუსეთის მართლმადიდებ-ლური ეკლესია, შეიძლება კვალიფიცირებულ იქნას, როგორც „დახურული ტიპის სპეცსამსახურები“?

ეს სტატისტიკა მოყვანილია რაიმე წყაროს მითითების გარეშე, რაც საშუალებას მოგვცემდა მათი სიზუსტე განგვეხსაჯა. გაურკვეველია, რას ნიშნავს ამ კონტექსტში „არასერიოზული“, მაგრამ იმის თქმა არაზუსტია, რომ მათ ამერიკის შეერთებულ შტატებში, იურიდიკური მიმდინარეობებში, იულოველობასა და ვაპაპიტომში, ორ დიდ საფრთხეს ხედავენ. ორივე რელიგიური მიმდინარეობა დახურული ტიპის სპეცსამსახურებისგან იმართება. იულოველობაც და ვაპაპიტობაც 10 წლის წინ გააქტი-ურდა და მოღვაწეობის არეალი მთელ მსოფლიოში გააფართოვა. თუ ათი წლის წინ მსოფლიოში, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებში, იულოველებს საზოგადოების 100% არასერიოზულ, შეურაცხად ადამიანთა გაერთიანებად თვლი-და, დღეისათვის ეს მაჩვენებელი 70%-მდე შემცირდა.

კეთ. იმოქმედეთ საქართველოს სოფლებსა და მიყრუებულ რეგიონებში, სადაც ადამიანები მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში არიან. თითოეულ სოფელში დაიმოწავეთ ძირითადი გვარის პატივსაცემი იჯა-ხები, რომლებიც შემდეგ რწმენის გასაძლიერებლად თავად იმოქმედებენ”.

### რა საერთოა იულოველთა სექტასა და ვაპაპიტობას შორის?

დღეისთვის თეოლოგები არა-ტრადიციულ რელიგიურ მიმდინარეობებში, იულოველობასა და ვაპაპიტომში, ორ დიდ საფრთხეს ხედავენ. ორივე რელიგიური მიმდინარეობა დახურული ტიპის სპეცსამსახურებისგან იმართება. იულოველობაც და ვაპაპიტობაც 10 წლის წინ გააქტი-ურდა და მოღვაწეობის არეალი მთელ მსოფლიოში გააფართოვა. თუ ათი წლის წინ მსოფლიოში, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებში, იულოველებს საზოგადოების 100% არასერიოზულ, შეურაცხად ადამიანთა გაერთიანებად თვლი-და, დღეისათვის ეს მაჩვენებელი 70%-მდე შემცირდა.

ქრისტიანობის წიაღში ჩასახული იულოველობაცა და მუსლიმურ წიაღში ჩასახული ვაპაპიტობაც დახურული ტიპის სპეცსამსახურების მიერ შექმნილი ახალი რელიგიური მიმდევრობებია. ისინი მოსახლეობის ფართო მასებზეა გათვლილი და განსაკუთრებული აგრძესიულობით გამოირჩევა. მთელ მსოფლიოში იულოველთა სექტა სისხლის სამართლის დამნაშავეთა კლასიკურ გაერთიანე-

საიდან არის მოტანილი ეს ციტატა? შეტყობინების წერილი-დან? უბრალო წერილიდან? ციტატას არავითარი კონტექსტი არ ახლავს. საიდან მოიპოვა ის უურნალისტმა? ისევდა ისევ, პოლიციოდან? ეს უნდა ვიცოდეთ, რომ შეგვეძლოს განსჯა, რამდენად სარწმუნოა. უურნალისტი გულისხმობს, რომ ავის მომასწავებელია, როცა რელიგიური ორგანიზაცია რჩევას აძლევს თავის მისიონერებს, ხალხი მოაქციონ. არადა, სწორედ ეს არის მისიონერების საქმე.

ისევ, ეს რელიგიები მსოფლიოში 10 წელზე ბევრად ადრე არსებობდა. მაგრამ, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებმა მხოლოდ ბოლო წლებში გაიცნეს უკეთ კონკურენტული რელიგიური რწმენები.

აქაც, „ახალი“ პირობითი ტერმინია. საუკუნეზე მეტია, რაც ორივე არსებობს.

ეს ბრალდებაც არ არის გამყარებული რაიმე დამამტკიცებელი საბუთით. რა სანით არღვევენ ისინი სისხლის სამართლის კოდექსს? რა სახის ძალადობრივ გზაზე ლაპარაკობს უურნალისტი? მათი ყველაზე გავრცელებული ქმედება არის სალხისთვის კარზე დაკავუნება და მათთან საუბარი. თუ ისინი ხლხს სახლში უვარდებიან, უურნალისტმა ამისათვის რაიმე დამამტკიცებელი საბუთი უნდა მოიყვანოს.

რა არის ვაპაბიტობის შესახებ მოყვანილი ინფორმაციის წყარო? პოლიცია? რელიგიის ექსპერტი? პირადი ცოდნა? რასაც უურნალისტი აქ ვაპაბიტობის დამახასიათებელ ნიშნებად აღწერს, აქედან მეტი ნილი რაღაც განსაკუთრებულად არ ჟღორს. რელიგიების უმეტესობა მორნმუნებს ასწავლის, რომ რწმენა საყოველთაოა, ერთი ჭეშმარიტებაა. ისინი მორნმუნებს უყვებიან მშვენიერ ცხოვრებაზე სიკვდილის შემდეგ. ბრალდებები იარაღისა და ძალადობის შესახებ არ არის გამყარებული რაიმე დამადასტურებელი საბუთით, უურნალისტის სიტყვის გარდა, რაც საკმარისი არ არის ასეთი ბრალდების წამოყენებისათვის.

ბად მიიჩნევა, რომელიც ძალადობით ამკვიდრებს საკუთარ რელიგიურ შეხედულებებს. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობით ისჯება მათი წევრების მოქალაქეთა ბინებში შეჭრაც რელიგიური ლიტერატურის გავრცელების მიზნით.

რაც შეეხება ვაპაბიტობას, მისი ლიდერები აცხადებენ, რომ ვაპაბიტობა არის სათავეებთან, ძველ ყურანთან დაბრუნების საშუალება, რომელიც მუსლიმებს აქამდე დავიწყებული ჰქონდათ. ვაპაბიტები მუსლიმებს „ცუდ მორნმუნებად“ მიიჩნევენ. ვაპაბიტობა ყველა მორნმუნეს დერვიშობისკენ მოუწოდებს და ყოველგვარ ქონებას, სახლსა და ფულს უარყოფს. ამასთანავე, ვაპაბიზმი უპირისპირდება შეიხების იერარქიას და თითოეულ ვაპაბიტს შთააგონებს, რომ მისი რწმენა უნივერსალურია. მორნმუნე ვაპაბიტის ზემოთ იერარქიულად შეიხი აღარ მოიჩრება. ვაპაბიზმი ამარტივებს მუსლიმურ გვაროვნულ ტრადიციებსაც და უმცროსს უფროსის მორჩილებას აღარ ავალდებულებს. მაგალითად, თუ მუსლიმური კანონმდებლობის მიხედვით ოჯახში უმცროს რძალს არა აქვს უფლება დაიძინოს მანამ, ვიდრე ოჯახის ყველა წევრი არ დაიძინებს, ვაპაბიზმის თანახმად, ცოლი მხოლოდ ქმრის ნინაშეა ვალდებული. რაც შეეხება მამაკაცებს, ვაპაბიზმი თითოეულ მამაკაცს შთააგონებს, რომ ძალაუფლების მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ პირადი ვაჟკაცობითა და იარაღით. დახურული ტიპის სპეცსამსახურები ზრუნავენ იმისათვის, რომ თითოეულ ვაპაბიტს ჰქონდეს საჭირო რაოდენობის იარაღი და ფული. რელიგიის ერთგულ მიმდევრებს ყოველდღიურად მოუწოდებენ ომისა და სისხლისლვრისაკენ. ის, ვინც თავს გამოიჩინს ბრძოლის ველზე, იღებს ვაჟკაცის სახელს, იმქვეყნიურ სამარადუამო ნეტარებას და ფუფუნებას.

კავკასიაში იელოველობაცა და ვაპაბიტობაც ბოლო 7-10 წელია, განსაკუთრებით გააქტიურდა. ორივე რელიგიური სექტა საკმაოდ შეთანხმებულად მოქმედებს და ორივესათვის კავკასიის რე-

გიონზე კონტროლის განხორციელება საბოლოო მიზანს წარმოადგენს. იელოველები საკმაოდ გააქტიურდნენ მთელი საქართველოს ტერიტორიაზე, ვაჲაბიზმი საკმაოდ მომძლავრდა პანკისის ხეობასა და აფხაზეთში. საუდის არაპეტის დახურული ტიპის ორგანიზაციათა მთავარი მიზანია მსოფლიო ნავთობის ხელში ჩაგდება.

### ვის დარჩება კავკასია

კავკასიის რეგიონში რელიგიური კონტროლის მოსაპოვებლად ერთდღროულად იბრძვის იელოველობა და ვაჲაბიზმი. მათი საქმიანობა ჯერჯერობით ერთმანეთს ხელს არ უშლის. თუ მასონთა ძალისხმევა ქვეყნებში ელიტარულ ფენზე – პოლიტიკოსებზე, მეცნიერებსა და ხელოვნების მუშაკებზე იყო გათვლილი, ვაჲაბიტობისა და იელოველობის მთავარი ამოცანა მოსახლეობის ფართო მასებში შეღწევაა.

დახურული ტიპის სპეცსამსახურები ვარაუდობენ, რომ იელოველობა ისევე მოიკიდებს ფეხს სტრატეგიულად მნიშვნელოვან ქვეყნებში, როგორც ერთ დროს პროტესტანტობამ და კათოლიციზმა მოიკიდეს. დასავლეთ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში პროტესტანტობა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში სექტად ითვლებოდა, სახელმწიფო რელიგიადა გამოცხადებული. მაშინ, რა დაუშლის ხელს ვაჲაბიტობისა და იელოველობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას საქართველოში, ვთქვათ, 50 წლის შემდეგ?

„კორვეიან თამისი“,  
თბილისი, საქართველო,  
2002 წლის 22-29 აგვისტო

რა ადასტურებს იმას, რომ ისინი შეთანხმებულად მოქმედებენ? რას გულისხმობს შურნალისტი, როცა ამბობს, რომ მათი საბოლოო მიზანი რეგიონზე კონტროლის განხორციელება? პოლიტიკურად? თუ მხოლოდ რელიგიური თვალსაზრისით?

► შურნალისტი იმას ამბობს, რომ საუდის არაპეტის თავისი მოქალაქეები გამოგზავნა ადგილობრივი მოსახლეობის ვაჲაბიტობაზე მოსაქცევად, რომ საუდის არაბეტომა ნავთობით ვაჭრობის გაკონტროლება შეძლოს? სად არის ამ ბრალდების დამადასტურებელი საბუთი?

► ეს ამოცანა განა განსხვავდება რომელიმე სხვა რელიგიის, მათ შორის მართლმადიდებლობის, ამოცანისაგან?

ეს ცუდია? რატომ არის ერთი რელიგია უკეთესი ან უარესი ვიდრე მეორე იმისათვის, რომ ის სახელმწიფო რელიგიად იქნეს გამოცხადებული? შურნალისტი არავითარას სანაცვლების, თითქოს ისედაც ცხადი იყოს, რომ რელიგიის სტატუს-კვო

► ერთმნიშვნელოვნად საუკეთესოა.

► ისევ, რა არის იმაში ცუდი, რომ ადამიანს მიეცეს უფლება, აირჩიოს ის რელიგია, რომელთან მიმართებაშიც ყველაზე მოხერხებულად იგრძნობს თავს? თუ ისინი სხვა რელიგიურ რწმენაზე მოექცევიან, ეს აშერად ნიშნავს, რომ მართლმადიდებლობა არ აქმაყოფილებს მათ სულიერ და ემოციურ მოთხოვნილებებს და საჭიროა არა სხვა რელიგიებისათვის გადაბრალება, არამედ იმის გარკვევა, თუ რატომ მოხდა ასე.



---

## 5. გენლერი

## ბენდერი

ოლო 10 წლის მანძილზე სამხრეთ კავკასიაში საზოგადოებების ცვლის პარალელურად ქალთა როლიც იცვლებოდა. მაგრამ ქალებზე ორიენტირებული ზოგიერთი ბოლოდროინდელი უურნალისა და სხვა გამოცემების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება ადამიანმა იფიქროს, რომ მათ ინტერესს მხოლოდ ტანსაცმელი, კოსმეტიკა, სახლის მოწყობა და სამზარეულო წარმოადგენს. იმ შეზღუდვების გამო, რომლითაც ისინი – და სხვებიც – იტანჯებოდნენ ბოლო ათწლეულამდე. გასაგებია, რომ ასარჩევი პროდუქტების დღეს მეტია, მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ ბევრ ქალს გაცილებით ფართო ინტერესები აქვს.

მასმედიაში ქალი ხშირად წარმოდგენილია ან როგორც დიასახლისი და მოდის „ქალღმერთი“, ან როგორც მეძავი ან სხვა სახის მსხვერპლი. მაშინ, როცა პროსტიტუცია და ტრეფიკინგი ქალებში სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, საჭიროა, ქალების ცხოვრება მთელი მრავალფეროვნებით იქნეს გაშუქებული, ისევე, როგორც მამაკაცთა ცხოვრება. გთავაზობთ რამდენიმე რჩევას, რომლებიც ამის მიღწევაში დაგეხმარებათ:

\* ქალები არ უნდა იყონ წარმოდგენილნი მხოლოდ იმ სტატიებში რომლებიც კონკრეტულად ქალთა საკითხებს და პრობლემებს ეხება. როცა კი ამის შესაძლებლობა გექნებათ, ჩართეთ ქალები და გამოიყენეთ ისინი ინფორმაციის წყაროდ. თუ ხელოვნების რამე მიმართულებაზე წერთ, მოძებნეთ ერთი-ორი ხელოვანი ქალი, რომელიც განხილული საკითხების კომენტირებას შეძლებს. თუ თქვენს რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური დებატების შესახებ წერთ, ეცადეთ იპოვოთ ქალი პოლიტიკოსი, რომლის აზრებსაც გააშუქებთ სტატიაში. მიზანი ის კი არ არის, რომ სტატიაში ქალის შეხედულებები ხელოვნურად ჩართოთ, არამედ ის, რომ გაიგოთ, რაოდენ ფასეულია, როდესაც ქალებს, მთელ რიგ საკითხებზე საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება ეძლევათ.

\* გადახედეთ იმათ სიას, ვისაც ჩვეულებრივ უკავშირდებით ხოლმე იდეების ჩამოყალბებისა და სტატიის წერის პროცესში ინფორმაციის მოწოდებისა და დახმარებისათვის. თუ თქვენს სიაში უმრავლესობას მამაკაცები წარმოადგენენ, მიიღეთ ზომები, რომ სია გააფართოვოთ. მიუხედავად იმისა, რომ მამაკაცები ბიზნესის, პოლიტიკის, აკადემიურ და კულტურულ სფეროებში უმრავლესობას წარმოადგენენ, ისეთი ქალის პოვნა, რომელიც ზუსტად ისევე შეასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, თქვენ რომ გგონიათ, იმაზე ადვილია.

\* მასალაში, ქალი ისევე უნდა აღწეროთ, როგორც ამას მამაკაცზე გააკეთებდით. თუ ჩვეულებრივ არ აღწერთ ხოლმე მამაკაცი ბიზნესმენის ჩატმულობასა და ვარცხნილობას, ქალის შემთხვევაშიც ნუ გააკეთებთ ამას, თუკი ეს განხილულ თემას არ ეხება. მოერიდეთ ისეთი სიტყვის ხმარებას, როგორიცაა „ქალური“. ეს სიტყვა უამრავ ასოციაციას იწვევს და ბევრნაირად შეიძლება იქნეს გაგებული. კონკრეტული დეტალები იხმარეთ, რომ ახსნათ, რას გულისხმობთ – ნარნარად დადის თუ რბილი და სასიამოვნო ხმა აქვს.

\* ყურადღებით იყავით, რომ თქვენს სტატიებში რაიმე მოსაზრება არ გამოიქვათ ქალის მართებული როლის შესახებ. უურნალისტები ხშირად იზიარებენ და უნებლიერ ავრცელებენ საზოგადოებაში ქალისა და მამაკაცის შესახებ არსებულ სტერეოტიპებს. ყველა ქალი არ არის მხოლოდ მოდითა და საჭმლის მზადებით დაინტერესებული. ბევრი ქალი აქტიურად ერთვება საზოგადოების მეტად რთულ პოლიტიკურ და სოციალურ პრობლემებში. ზოგი ბიზნესს იწყებს და წარმატებითაც უძლვება. მოიძიეთ ისეთი ქალები, რომელთა ცხოვრებაც ქალებისა და მათი „შესაფერისი“ ადგილის შესახებ არსებული შეხედულებების საპირისპიროს ამტკიცებს.

\* შეხვდით ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენლებს და გაიგეთ, რა ანუსებთ მათ. შესაძლოა მათთვის ისეთი საკითხები აღმოჩნდეს მნიშვნელოვანი, რომელთა შესახებ არც თქვენ და არც თქვენმა რედაქტორმა არაფერი იცოდით. ურჩიეთ, რომ დაგიკავშირდნენ, თუკი რამე საინტერესო და მნიშვნელოვანი ექნებათ თქვენთვის სათქმელი. მაგრამ რასაც მოგითხრობენ, საბოლოო სიტყვად ნუ მიიღებთ. ასევე ნუ გეგონებათ, რომ ყველა ქალთა ორგანიზაციას ერთი და იგივე ექნება სათქმელი. ზოგს, შესაძლოა, განსხვავებული აზრი და შეხედულება ჰქონდეს, რომლებიც ასევე უნდა გაითვალისწინოთ მასალაში.

\* ეცადეთ დაწეროთ ოჯახში ძალადობისა და სექსუალური შევიწროების შესახებ. ეს საკითხები ფართოდ განიხილება დასავლეთში, მაგრამ პოსტკომუნისტურ ქვეყნებში მათ სათანადო ყურადღება არ დასთომობია. ეს ძალზე სერიოზული პრობლემებია და იგნორირებული იყო, ან არც ისე მნიშვნელოვნად ითვლებოდა, როგორც სამართლებრივი სისტემის, ასევე მასმედიის მიერ. ოჯახში ძალადობა ხშირად არა დანაშაულებრივ, არამედ შიდა ოჯახურ საკითხად მიაჩნიათ, მაშინაც კი, როდესაც შედეგად მძიმე ფიზიკურ ტრავმებს ვიღებთ. გაიგეთ, როგორ უდებიან ამ საკითხებს თქვენს რეგიონში. იცავს თუ არა კანონი ქალებს ქმრისა თუ პარტნიორის მიერ ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებისგან? როგორ რეაგირებს პოლიცია და ხელისუფლების სხვა ორგანოები? არსებობს თუ არა ისეთი დაწესებულებები, სადაც ქალებსა და ბავშვებს დახმარების მიღება და თავშესაფრის პოვნა შუძლიათ?

\* სექსუალური შევიწროება სამსახურის ადგილებში, ასევე ერთ-ერთი საკითხია, რომელსაც დიდი ყურადღება ეთმობა დასავლეთში მაშინ, როდესაც ბევრი ამ პრობლემას უმნიშვნელოდ მიიჩნევს, ფაქტია, რომ ნებისმიერ საზოგადოებაში ქალებს ხშირად უწევთ

მამაკაც თანამშრომლებთან და უფროსებთან დაპირისპირება, რომლებიც დაწინაურებისა თუ ხელფასის გაზრდის სანაცვლოდ, ანდა სულაც სამსახურიდან დათხოვნის მუქარით, სექსუალურ „შეღავათებს“ ითხოვენ მათგან. ზოგჯერ შევიწროება პირდაპირი მოთხოვნის ფორმით კი არ ხორციელდება, არამედ ქალის მიმართ უულგარული, შეურაცხმყოფელი და უხამსი სიტყვების თქმით. ამგვარი მოპყრობისას სამსახური გაუსაძლისი ხდება. და ისევ, გაიგეთ, რა კანონები არსებობს ამ საკითხების შესახებ თქვენს რეგიონში. რამდენად დიდია ეს პრობლემა და როგორ ებრძვიან მას ქალები?

- \* პროსტიტუციის საკითხი ძირითადია, როდესაც საქმე მასმედის მიერ ქალთა პრობლემების გაშუქებას შეეხება. ეს უდავოდ ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ იმავდროულად, უნდა ეცადოთ, რომ შეწყვიტოთ იმ ქალების შეფასება, ვისთვისაც პროსტიტუცია შესაძლოა ერთადერთ საარსებო საშუალებას წარმოადგენდეს. მაშინაც კი, როცა ქალი ამ გზას საკუთარი ნებით ირჩევს, ეცადეთ, რომ ცხოვრებას მისი თვალით შეხედოთ. ასევე ეცადეთ, რომ სტერეოტიპებს მიღმა გაიხედოთ. ყველა მექავი აუცილებლად ნარკომანი ან ცუდი დედა სულაც არ არის.
- \* ზოგიერთ ქვეყანაში მექავებმა შემოიღეს ტერმინი „სექსის მუშაკი“. მათვის ეს მიმართვა ნაკლებად შეურაცხმყოფელია. ჰყითხეთ, რატომ ურჩევნიათ, რომ ამ ტერმინით მოიხსენიონ და დაწერეთ, რას ნიშნავს ეს ცვლილება მექავებისათვის. გაიგეთ, ხომ არ ცდილობენ ისინი, ანუ სექსის მუშაკები, საკუთარი ორგანიზაციების და ასოციაციების ჩამოყალიბებას? ხომ არ ცდილობენ, თავისთვის ჯანდაცვის გაუმჯობესების ღობირებას? ხომ არ ცდილობენ, რომ ხელი შეეწყოს ინფორმაციის გავრცელებას იმის შესახებ, როგორ უნდა ხდებოდეს თავის დაცვა შიდსის ან სხვა სქესობრივი გზით გადამდები დაავადებებისაგან?
- \* ქალთა ტრეფიკინგი ბოლო წლებში მეტად მნიშვნელოვანი საკითხი გახდა. გაიგეთ, რა მდგომარეობაა ამ მხრივ თქვენს რეგიონში – საიდან მიჰყავთ ქალები, რა გზებით ახერხებენ მათ გატყუებას საკუთარი ქვეყნებიდან და რა ხერხებით აძალებენ სხვაგან დარჩენას? გაესაუბრეთ ამ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს და სთხოვეთ დაგაკავშირონ იმ ქალებთან, რომლებიც ამგვარ სიტუაციაში აღმოჩნდნენ.

## საქართველო მასალა

რეგიონულ მასმედიაში ქალები ყველაზე ხშირად წარმოჩენილი არიან მეძავებად და, არა მხოლოდ მეძავებად, არამედ დაავადებათა მატარებლებად და, ამ გაგებით, დანარჩენი მოსახლეობისათვის საშიშებად. რა თქმა უნდა, გაზრდით და მასმედიის სხვა საშუალებებმა უნდა შეისწავლონ საზოგადოებაში პროსტიტუციის საკითხი, მაგრამ ეს უნდა იყოს ერთადერთი კი არა, არამედ მხოლოდ ერთ-ერთი იმ მრავალრიცხოვან საკითხთაგან, რომელიც ქალების შესახებ შუქდება. უზნეობაა მათი ისე გაშუქება, რომ არც კი ეცადო რომელიმე მეძავთან ან იმ ორგანიზაციასთან გასაუბრებას, რომლებიც მათ წარმოადგენ ან ქალთა უფლებებზე მუშაობენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქალები აღიქმებიან საზოგადოებრივი პრობლემების, მაგალითად შიდსის, წყაროდ.

## 5. ა) ქუჩის ქალები ვენერიული დაავადებების მატარებლები არიან

წუსეთის ქალაქები, სანქტ-პეტერბურგი და ეკატერინბურგი, დასთ-ს სივრცეში ლიდერ პოზიციებს იყავებენ „უნესო“ ქალებს შორის შიდსის გავრცელების მასშტაბებით.

ეს გამოვლინდა იმ ფართომასშტაბინი გამოკითხვით, რომელიც ჩაუტარდათ შიდსით დაავადებულებს – ამ ვირუსით ინფიცირებულ ადამიანებს – რუსეთის ოთხი ქალაქიდან და დასთ-ს ორი ქვეყნიდან (მედინიუსი).

გალინა ფედოტოვას [იმ ჯგუფის ხელმძღვანელი, რომელმაც ჩაატარა გამოკვლევა] თქმით, კითხვარები დაურიგდათ ქალებს, რომლებიც „უნესო“ ცხოვრებას ეწევიან რუსეთის ქალაქებში – მოსკოვში, სანქტ-პეტერბურგში, ეკატერინბურგსა და ტომისკში, აგრეთვე მოლდავეთსა და აზერბაიჯანში. ისინი გამოკვლეული იყვნენ შიდსზე. გამოკითხვის შედეგების ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ „უნესო“ ქალებში შიდსის ვირუსის გავრცელების თვალსაზრისით სანქტ-პეტერბურგი „ლიდერობს“. გამოვლინდა, რომ პროსტიტუციაში ჩართულ ქალთა 48% მომაკვდინებელი ვირუსის მატარებელია. ეს მაჩვენებელი აზერბაიჯანში 13%-ს აღნევს, ხოლო მოლდავეთში – 28%-ს.

ქალები მეძავობას ხშირად იმიტომ იწყებენ, რომ ფულის შოვნის სხვა საშუალება არ გააჩნიათ. ეს არ აქცევს მათ უფრო „უნესოებად“, ვიდრე სხვებს. თუ ქალს

◀ ჰყავს შვილები, რომლებიც უნდა გამოკვებოს და არ გააჩნია ამის არანაირი საშუალება, ალბათ ის უფრო „უნესობა“ იქნებოდა, მეძავობა არ დაეწყო, და ამის მაგივრად მშერი შვილებისათვის ეყურებინა. სიტყვა „უნესო“ ამ შემთხვევაში ღირებულებითი შეფასებაა უურნალისტის მიერ და არაფრით არ ამდიდრებს სტატიას.

წინა წინადადებაში უურნალისტი ახსენებს შიდსს, აქ კი – შიდსის ვირუსს. ეს

◀ ორი განსხვავებული რამ არის. ბევრი ადამიანია ინფიცირებული იმუნოდეფიციტის (შიდსის) ვირუსით, მაგრამ მათ შიდსი არა აქვთ. ეს სტატია გაურკვეველს ტოვებს, გამოკითხვა ინფექციას ეხებოდა, თუ შიდსით დაავადების უშუალო შემთხვევებს.

გაზეთი „ელჩი“,  
ბაქო, აზერბაიჯანი, 2004 წლის 8 მაისი

ეს სტატია ქალებს არსებითად არასტაბილურ და აგრესიულ ადამიანებად ხატავს. მიუხედავად იმისა, რომ სტატია პოლიტიკური თვალსაზრისით არ აღანაშაულებს ზოგადად ქალებს, აშკარაა, რომ ეს კონკრეტულ ჯეფი წარმოჩენილია, როგორც გაუგებარი შეხედულებების მქონე შეს-ლილების ხროვა. მაშინაც კი, თუ მათი შეხედულებები რადიკალურია, კარგი იქნებოდა მათგან გაგვეგო, რატომ სჯერათ იმისი, რისიც სჯერათ.

## 5. ბ) წინასაარჩევნო სისხლისლვრა უცვე დაწყებულია

ბოლნისში მომხდარმა ინციდენტმა ამგვარ პრაქტიკას უკვე დაუდო სათავე. ამ სისხლიანი შეტაკებიდან რამდენიმე დღის შემდეგ მორიგი ბრძოლა გაიმართა, ამჯერად უკვე თბილისში.

შეტაკების მიზეზი გახდა ისევ და ისევ არჩევნები. ამ შეტაკებაში ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ერთმანეთს ამჯერად უკვე ქალები და კაცები დაუპირისპირდნენ, რომლებიც, ბუნებრივია, სხვადასხვა პოლიტიკურ პლატფორმაზე იდგნენ.

ჩხუბი და გაწევ-გამოწევა ამჯერად ისნის რაიონში ერთ-ერთი დეპუტატობის კანდიდატის წარდგენას მოჰყვა. ამ რაიონში ბურჯანაძე-დემოკრატების სახელით კერძო დავით ჭიჭინაძე იყრის, რომელიც 1999-2003 წლების მოწვევის პარლამენტში ტრადიციონალისტთა სიით მოხვდა.

ამ დღეებში ისნის რაიონის გამგეობაში მისი დეპუტატობის კანდიდატად საზეიმო წარდგენა უნდა გამართულიყო. ჭიჭინაძის სანახავად და მოსასმენად რამდენიმე ასეულმა ადამიანმა მოიყარა თავი. მათ შორის მამაკაცები ჭარბობდნენ. კანდიდატის ნდობით აღჭურვილი პირებისა და მისი მომხრეებისთვის მოულოდნელად გამგეობის შენობის წინ თავი რამდენიმე ათეულმა ქალბატონმა მოიყარა. თვითმხილველთა განცხადებით, მათ თავიდანვე ეტყობოდათ, რომ იქ კარგი საქმისთვის არ იყვნენ მისულნი.

თქვენ ცუდი არაფერი იფიქროთ, უბრალოდ, იმ მანდილოსნებს კანდიდატის წარდგენის ცერემონიალის ჩაშლა სურდათ და მეტი არაფერი.

რა კაგშირი აქვს წინა შეტაკებას ამჟამინდელ ინციდენტთან? სასარგებლო იქნებოდა მოკლედ მისი აღწერა, რომ გასაგები გამხდარიყო ამ ინციდენტის შინაარსი.

რატომ „ბუნებრივია“? უურნალისტი იმას ხომ არ მიანიშნებს, რომ ქალებსა და მამაკაცებს ყოველთვის დაპირისპირებული შეხედულებები ექნებათ?

ეს ძალიან ხმამაღალი განცხადებაა. როგორ გამოიყურებოდნენ ისინი? როგორი სახის გამომეტყველება პქონდათ? ამ სცენის აღწერას დეტალები აკლია.

მანიფესტაციულ ქალებზე საუბრისას უურნალისტის სარკაზმი გვაფიქრებინებს, რომ, მათ რაც არ უნდა ეთქვათ, მოსმენის ღირსი არაფერი არ იქნებოდა. თუ ისინი ასეთი გაბრაზებულები არიან, ესე იგი, მათ თავის მოსაზრება უნდა ჰქონდეთ ამასთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, აქ ეს თვალსაზრისი არსაიდან არ ჩანს.

მანდილოსნები ჯიქურ მიეჭრნენ მამაკაცებს და ისინი პოლიტიკურ დეპატებში გამოიწვიეს. მოგხხესენებათ, რომ საქართველოში ზედმეტად პოლიტიზებული ხალხი ცხოვრობს და, საკმარისია, ერთი სიტყვა ითქვას პოლიტიკაზე, რომ ყველა ამ თემაზე იწყებს ლაპარაკს. ჭიჭინაძის მომხრებმაც ვერ გაუძლეს ამ ცდუნებას, თანაც იყიქრეს, „პახოდუ“, ქალებსაც გავეკრშიყებითო და გაიმართა ცხარე დეპატები. სწორედ იქ დაუშვეს შეცდომა იმ მამაკაცებმა. როგორც კი ისინი პოლიტიკურ დეპატებში ჩაერთნენ, ქალები იმნამსვე არაადამიანურ კივილზე გადავიდნენ. ამ წიგილ-კივილის დროს გაირკვა, რომ ის მანდილოსნები ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრები ყოილან.

ამ კატეგორიის მანდილოსნებს კი ჩხუბის საკმაოდ კარგი გამოცდილება აქვთ. ბოლო ათი წლის განმავლობაში მათ დროგამოშვებით უწევდათ გამკლავება ხან სხვადასხვა შეიარაღებულ ფორმირებებთან, ხანაც – პოლიციის სპეცრაზმთან.

ამდენად, გამოწრთობილ ქალებს არც ჭიჭინაძის მომხრების წინააღმდეგობის დაძლევა გასჭირვებით. ისინი წიგილ-კივილით ეკვეთნენ მოწინააღმდეგეს და არნახული წყევლა-კრულვა დაატეხეს თავს. კაცები ჯერ თავს იკავებდნენ, ხოლო როცა მანდილოსნები მსუბუქ პწენაზე გადავიდნენ, კაცები იძულებულნი გახდნენ, გინება ამოეშვათ პირიდან.

და ვალში არც მოწინააღმდეგე მხარე დარჩენილა. უწმანური სიტყვების ხმარება ჩვენში ქალებსაც კარგად ემარჯვებათ.

საბოლოო ჯამში, ყველაფერი იმით დასრულდა, რომ ჭიჭინაძის წარდგენა ჩაშლილად გამოცხადდა. წიგილ-კივილის სმენით დაღლილმა მამაკაცებმა პრძოლის ველის დატოვება დაიწყეს. ექსპრეზიდენტის მომხრები კი მოწინააღმდეგეს ბოლომდე გაეკიდნენ, თანაც გზადაგზა ცივი ხმით გაკიოდნენ, ამ ქვეყანას მარტო მაშინ ეშველება, როცა გამსახურდია დაპრუნდებათ.

ამ ამბავს ბურჯანაძე-დემოკრატების ბლოკმა დიდი შეფასება მაინცდამაინც არ მისცა. შეშინებულ მამაკაცებზე ისინი საუბრობდნენ და ახლა რა პირით განაცხადებდნენ, რამდენიმე ქალმა ჩვენი მომხრეები შეაშინაო.

ის აშეარად ცდილობს მიანიშნოს, რომ ქალები მხეცებივით იქცეოდნენ, და მათ საქციელს პოლიტიკურ შეხედულებებთან აკავშირებს. ასეთი მარტივი ასოციაცია არა-ნაირად პოლიტიკურ დებატები. ის, რომ ისინი გამსახურდისა მომხრები არიან, რომელიც ათ წელზეა მეტია, რაც გარდაიცვალა, კარგი კაუჭია, რომელზეც შეიძლება გარკვეული კონტექსტი მოეგას. რა მოსწონდათ მათ გამსახურდიაში? როგორ ფიქრობენ ისინი, კარგი იქცებოდა ის ქვეყნისათვის დღეს? რეპორტიორი არსად არ ცდილობს ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემას.

ის ფაქტი, რომ მათ მანამდეც მოუწყვიათ ამგვარი საპროტესტო აქციები, ხდის თუ არა მათ პოლიტიკურ შეხედულებებს არა-ლეგიტიმურს? კოველთვის ისინი იწყებდნენ ჩხუბს?

ყველა ქალი პწენდა ყველა მამაკაცს? თუ მხოლოდ ერთმა დაინტენ პწენა? კინ არის ამ ბრალების წყარო? გაურკვეველი რჩება, იყო თუ არა რეპორტიორი ამ სცენის უშუალოდ მონმე.

ისე ჩანს, თითქოს კაცები „იძულებულნი“ იყვნენ, ქალების საქციელის შემხედვარე გადასულიყვნებ გინებაზე, მაგრამ აქ უწნალსტიგი გულისხმის, რომ ქალები აყენებდნენ კაცებს შეურაცხყოფას, როცა უწმანური სიტყვების ხმრებას ქალების „მარჯვე ჩვევას“ უხოლებენ. რატომ არის რატომდაც ბუნებრივი კაცებისათვის „უწმანური სიტყვების“ თქმა, ქალებისთვის კი – არა?

როგორ საუბრობდნენ ისინი შეშინებულ მამაკაცებზე? ზუსტად ვის სდებდნენ ისინი ბრალს შეშინებულობაში?

ეს კიდევ ერთხელ გამორიცხავს  
იმ აზრს, რომ ისინი შესაძლოა  
მოტივირებულნი იყვნენ ძლიერი  
პოლიტიკური მოსაზრებებით.  
მხოლოდ ის, რომ ჟურნალისტი  
არ ეთანხმება მათ შეხედულე-  
ბებს, არ ნიშნავს იმას, რომ ამ  
ქალებს არა აქვთ მათი გამოხატ-  
ვის უფლება.

ჭიჭინაძის საარჩევნო შტაბში დღესაც ტვინს იჯყლეტენ  
იმაზე ფიქრით, თუ ვისი გულისთვის ჩაუშალეს მათ ფა-  
ვორიტს ქალებმა ამომრჩეველთან შეხვედრა. ჭიჭინაძის  
გარდა, ისანში კიდევ ორი ადამიანი იყრის კენჭს. თუმცა  
ზვიადისტი ქალები არც გია ყარყარაშვილის და არც  
ვლადიმერ ბაქრაძის ფანები არ არიან. ამდენად, უნდა  
გამოვრიცხოთ, რომ შეხვედრის ჩასაშლელად ქალები  
მოწინააღმდეგე კანდიდატების დავალებით მივიღნენ.  
როგორც ჩანს, ეს მანდილოსნები, უბრალოდ, მოხალი-  
სეები იყვნენ, ერთ-ერთი კანდიდატის მომხრეების დარ-  
ბევაც, უბრალოდ, პოლიტიკური განტვირთვისათვის მო-  
აწყვეს.

თუკი მათი ტემპერამენტისა და ხმის ტემპრის მიხედ-  
ვით ვიმსჯელებთ, ამგვარ აქციებს სხა დროსაც დიდი  
სიამოვნებით მოაწყობენ. მთავარია, დროზე გაიგონ, სად  
და ვისი წარდგენაა.

გაზეთი „აზალი თაოპა“,  
თბილისი, საქართველო, 2003 წლის 1 ოქტომბერი

ეს სტატია აკმაყოფილებს უურნალისტიკის ერთ-ერთ უმთავრეს მოთხოვნას – წარმოდგენილი იქნეს ორი საპირისპირო შეხედულება მინშვნელოვანი საკითხის – იმ როლის შესახებ, რომელიც ქალებმა უნდა ითამაშონ საზოგადოებასა და პოლიტიკურ ცხოვრებაში. რუზან ხაჩატ-რიანს შესაძლებლობა ეძლევა, უპასუხოს პრეზიდენტის შენიშვნებს. უურნალისტი მკითხველს საშუალებას აძლევს, თვითონ განსაჯოს, ამ ორიდან რომელ მოსაზრებას მიანიჭოს უპირატესობა. თუმცა, კარგი იქნებოდა, საშუალება მისცემოდა პრეზიდენტს, ან თუნდაც ვინმექს მისი ოფიციალური უფრო დეტალურად გაეცა პასუხი იმ საკითხებზე, რაზეც ქალბატონი ლაპარაკობს, განსაკუთრებით კი იმ ბრალდებაზე, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაცია ძირს უთხრის კონსტიტუციას და ლეგიტიმურობა არ გააჩნია. თუ მისი ოფიციალური არავინ ისურვა პასუხის გაცემა, სტატიაში შეიძლებოდა აღნიშნულიყო, რომ იყო ასეთი პასუხის გაცემის მცდელობა.

## 5. გ) მომავალ 8 მარტს ჩვენ ოგანებოთან ერთად გავაჩარებთ

იყო თუ არა უურნალისტი პრეზიდენტისა და სტუდენტების შეხვედრაზე? თუ იყო, მაშინ რა უპასუხეს სტუდენტებმა პრეზიდენტის კომენტარს? დაუსვეს დამატებითი შეკითხვები? მისი განცხადება აშკარად ქალთა ფუნქციების შესახებ სტერეოტიპული შეხედულების გამოხატვაა. განმარტა თუ არა მან საერთოდ, რატომ ფიქრობს, რომ შეხვედრა აგრესიული იყო? თუ ასე ფიქრობს, მაშინ ესეც უნდა შესულიყო სტატიაში. თუ უურნალისტი არ ესწრებოდა შეხვედრას, საჭირო იყო ამ ციტატის წყაროს მითითება – ოფიციალური ოქმის ან მთავრობის წარმომადგენელის განცხადებისა. მეოთხელი უნდა დარწმუნდეს, რომ განცხადება იმის ზუსტი ასახვაა, რაც პრეზიდენტმა სინაზდვილეში თქვა.

ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტებთან შეხვედრის დროს პრეზიდენტს დაუსვეს შეკითხვა, თუ რა აზრისაა 8 მარტს ქალების მოწყობილი საპროტესტო მიტინგის შესახებ. პასუხად რობერტ ქოჩარიანმა აღნიშნა: „ჩვენს ცნობიერებაში 8 მარტი არის ქალური სითბოს, სინაზისა და ოჯახის ზეიმი. პირადად მე, არ მესმის, რატომ მოაწყვეს მათ ამ დღეს ასეთი აგრესიული გამოსვლა“.


ჩვენ ვთხოვთ 8 მარტის მიტინგის მონაწილეს რუზან ხაჩატ-რიანს, არდარუტიუნის კავშირის წარმომადგენელს მედიასთან ურთიერთობაში, გაეზიარებინა ჩვენი მკითხველისთვის თავისი მოსაზრება პრეზიდენტის კომენტარის თაობაზე: „შეიძლება გაკეთდეს საინტერესო დაკვირვება“ – აღნიშნა მან – „ბატონი ქოჩარიანი განსაკუთრებით გულწრფელი გახდა ამ დღეებში, რაც მას დიდ ზიანს აყელებს“.

◀ ზუსტად როდის ჩატარდა ეს შეხვედრა? რასთან დაკავშირდებით?

◀ ასევე, კარგი იქნებოდა გვქონდა რამე ზოგადი ინფორმაცია 8 მარტის შეხვედრის შესახებ. ვინ მოაწყო? რამდენი ადამიანი ესწრებოდა? ზუსტად რა გააკეთეს? რა სახის მოთხოვნები წამოაყენეს? ერთჯერადი ღონისძიება იყო თუ ნაწილი მიტინგების სერიისა, რომელიც იმავე ჯგუფების მიერ არის ორგანიზებული?

ნებს. მას ალბათ არ ესმის თავისი განცხადების მნიშვნელობა – „რატომ მოაწყვეს მათ დღეს ასეთი აგრესიული შეხვედრა“. ბუნებრივად ისმის კითხვა – რომელი დღე აჯობებდა „აგრესიული შეხვედრებისთვის?“ იქნებ თვითონ გვითხრას. ის საშინლად ცდება, როცა ჰგონია, რომ ამ მიტინგზე იყვნენ მხოლოდ ის ქალები, რომლებსაც ოჯახური სითბო აკლიათ, რადგან ამ დღეს ჩვენ მარტო ის ქალები არ გვყავდა, რომლებიც თავიანთ ოჯახებზე ზრუნავენ – ისინი ქვეყნასა და ხალხზეც ფიქრობენ. გვინდა დავარწმუნოთ ბატონი ქოჩარიანი, რომ მომავალ 8 მარტს ჩვენს ოჯახებთან ერთად გავატარებთ, რადგან სომხეთში აღდგება საკონსტიტუციო სამართალი და შეიქმნება ლეგიტიმური მთავრობა.“

აქაც, ამ ქალბატონის განცხადება ძალიან შთამბეჭდავია, მაგრამ უფრო სასარგებლო იქნებოდა, რომ მეტი შინაარსი პერნოდა. უფრო მეტი დეტალები 8 მარტის შეხვედრასა და მის პოლიტიკურ შედეგებზე მკითხველს დაეხმარებოდა მისი მნიშვნელობის



◀ უკეთ გაგებაში.

გაზეთი „ირავუნქი“,  
ერევანი, სომხეთი,  
2004 წლის 12 მარტი

---

## 6. ინვალიდები

## ინვალიდები

**ი**ნვალიდებს – ფიზიკური თუ გონიერივი ნაკლის მქონე პირებს, მასმედია ხშირად ყურადღებას არ აქცევს. თუკი ყურადღებას აქცევენ, მათ შესახებ წერენ როგორც ხალხზე, რომელსაც ან უნდა დასცინო, ანდა გეცოდებოდეს. ამ პრობლემას რეპორტიორები ხშირად ექიმებთან, მთავრობის წარმომადგენლებთან ან სხვებთან განიხილავენ და აზრადაც არ მოსდით, რომ თვით ინვალიდებს ესაუბრონ. ასე რომ, მათ ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ, რას გრძნობენ ან რას ფიქრობენ საკუთარ მდგომარეობაზე თავად ინვალიდები.

ეს, შეიძლება იმიტომაც ხდებოდეს, რომ ინტერვიუსათვის ინვალიდის პოვნა ძნელია. შიზოფრენიით, სიდებილით და სხვა გონიერივად და ემოციურად დაავადებული ადამიანები ყოველთვის გარიდებულნი იყვნენ საზოგადოებას სახლებსა თუ სპეციალურ დაწესებულებებში. ამის მიზეზი ის იყო, რომ ოჯახებს რცხვენოდათ მათი გამოჩენა, ანდა ცდილობდნენ, რომ ისინი სოციალური დისკრიმინაციისაგან დაეცვათ. იგივე შეიძლება ითქვას იმათზეც, ვისაც კიდურები აკლია, ცერებრალური დამბლა აქვს ან სკლეროზითაა დაავადებული. საზოგადოებამ ბევრი ვერაფერი გააკეთა მათი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, იქნება ეს განათლების და დასაქმების შესაძლებლობების შექმნა თუ ფიზიკური ინფრასტრუქტურის, – ქუჩებისა და საზოგადოებრივი შენობების შესაფერისად მოწყობა.

სირთულეს ისიც წარმოადგენს, რომ ინვალიდები ან რამე სხვა ფორმის ნაკლის მქონე ადამიანები ხშირად სხვა სოციალურ ჯგუფებსაც ეკუთვნიან, რომელთა მიმართ ფართო საზოგადოება უარყოფითად არის განწყობილი. მიუხედავად იმისა, რომ შიდსით ნებისმიერი შეიძლება დაავადდეს – წარკმანებს, მეძავებს და ჰომოსექსუალებს შიდსით დაავადდების ყველაზე მაღალი რისკის მქონე პირებად თვლიან, თანაც ისინი, როგორც წესი, საზოგადოების ლირსეულ წევრებად არ მიაჩნიათ.

გთავაზობთ რამდენიმე მომენტს, რომელიც უნდა გაითვალისწინოთ ინვალიდების შესახებ საკითხებისა თუ მოვლენების გაშუქებისას:

\* პირველ ყოვლისა, აუცილებლად გააშუქეთ ეს საკითხები და გაშუქებისას აუცილებლად გაესაუბრეთ თავად ინვალიდებს. ის, რასაც სხვები მოგითხობენ მათ შესახებ, თუნდაც ამას მათდამი სიმპათიით აკეთებდნენ, თქვენი

მასალის მხოლოდ საწყისი წერტილი უნდა იყოს. კონტაქტი თავად ინვალიდებთან უნდა დაამყაროთ და ჰკითხოთ, ემთხვევა თუ არა მათ შესახებ მონათხრობი მათ თვალსაზრისს თავისი მდგომარეობის შესახებ. თუ ამ ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრებს შეიტყობთ, დაბრუნდით მათთან ვინც, თავს ექსპერტად მიიჩნევს, ექიმთან ან სხვა ვინმესთან, და კვლავ დაუსვით მათ კითხვები.

\* ნუ გააშუქებთ ინვალიდებს მხოლოდ მათი ავადმყოფობის კონტექსტში. ინვალიდებს, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა ადამიანს, ინტერესები, კარიერა და ოჯახები აქვთ. თუ ისეთ ხალხს შეხვდებით, რომლებმაც ინვალიდობის მიუხედავად წარმატებას მიაღწიეს ხელოვნებაში, პოლიტიკაში ან სხვა პროფესიონალურ ცხოვრებაში, ეცადეთ, მასალა ამის შესახებ სტატიისათვის გამოიყენოთ. დაყავით მათთან გარკვეული დრო და გაიგეთ, რა სირთულეების გადალახვა მოუხდათ წარმატების მისაღწევად, რას ურჩევდნენ თავისნაირ მდგომარეობაში მყოფ სხვა პირებს.

\* დაუკვირდით მასალის ენას. ნებისმიერ ენაში ინვალიდების აღწერისათვის მთელი რიგი სპეციფიკური სიტყვები არსებობს. ზოგი შეურაცხმყოფელია, ზოგიც – არა. შეიძლება გეგონოთ, რომ რომელიმე სიტყვა ან გამოთქმა საწყენად არ ულერს, მაგრამ თქვენ ამას ვერ განსჯით. თუ ინვალიდი ამბობს, რომ ურჩევნია სხვა სიტყვებით აღწეროთ, სერი-ოზულად მიუდევქით მის თხოვნას.

\* ინვალიდების მისაწვდომობის საკითხი მათი გაშუქების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. დაწერეთ, ცდილობს თუ არა საზოგადოება რაიმე ნაბიჯების გადადგმას, რომ ინვალიდებმა მნიშვნელოვან სოციალურ მოვლენებში მონაწილეობის მიღება შეძლონ. თუ არა, მაშრა არის ამის მიზეზი? ფინანსური სირთულეების, პოლიტიკური ნების ნაკლებობის, ლრმად გამჯდარი წინასწარგანწყობისა, თუ რაიმე სხვა მიზეზის გამო ხდება? რა სახის საგანმანათლებლო და პროფესიულ შესაძლებლობებზე მიუწვდებათ (ან არ მიუწვდებათ) ინვალიდებს ხელი?

\* გაარკვით, თუ აარსებენ ინვალიდები ჯგუფებს. თუ აარსებენ, რა გზებით ახერხებენ ამას? საკუთარი ინტერესების დაცვისა და ხელშეწყობის მიზნით თანამშრომლობენ თუ არა ისინი არასამთავრობო ორგანიზაციებთან? აღმოსავლეთ ევროპის მრავალ ქვეყანაში შიდსით ინფიცირებულებმა და დაავადებულებმა საკუთარი ასოციაციები ჩამოაყალიბეს, რომ ერთმანეთისათვის დახმარება გაერჩიათ და მთავრობასა და საზოგადოებაზე ზეწოლა მოეხდინათ და თავისი საჭიროებებისაკენ მათი ყურადღება მიეპყროთ. ბევრ ქვეყანაში ინვალიდები, ფიზიკური თუ გონებრივი ნაკლით, და მათი ოჯახის წევრები, მთავრობისაგან ეფექტური მკურნალობის ხელმისაწვდომობის გაზრდას მოითხოვენ. გაიგეთ, რა მდგომარეობაა ამ თვალსაზრისით თქვენს რეგიონში.

\* სრულად გაერკვიეთ იმ საკითხებში, რომლის შესახებაც წერთ. მაგალითად, თუ შიდსის ვირუსით ინფიცირებულების შესახებ წერთ, უნდა იცოდეთ, რა გასხვავებაა შიდსით ინფიცირებულსა და შიდსის მქონე ადამიანს შორის. უნდა გესმოდეთ, რა გზებით გადადის ან არ გადადის შიდსის ვირუსი. უურნალისტებს ხალხის ინფორმირების შესანიშნავი შესაძლებლობა აქვთ. ამავე დროს, ისინი პასუხისმგებელნი არიან მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის სისწორეზე.

\* უურნალისტებისათვის, ინვალიდების მიმართ თანაგრძნობასა და მათ შეცოდებას შორის დიდი განსხვავებაა. თუ თანაუგრძნობთ, ეს ნიშნავს, რომ მათ, როგორც პიროვნებას, აფასებთ, რადგან მათთან გისაუბრიათ, მათ გვერდით ყოფილხართ და საკუთარი თვალით გინახავთ მათი ცხოვრება. შეცოდებაში ყოველთვის არის ქედმაღლური დამოკიდებულების რაღაც ელემენტი, თითქოს თქვენ, ანდა ვინმე სხვამ, უკეთ იცით, რა სჭირდებათ ინვალიდებს. თუ თქვენი შეხედულებები არა თავად ინვალიდების, არამედ მათ შესახებ სხვა ხალხის ნათექამის საფუძველზე ყალიბდება, უფრო სავარაუდოა, რომ თქვენ მათი შეცოდების გრძნობა გაგიჩნდეთ. ამ შემთხვევაში თქვენ ვერ იქნებით მზად, რომ მათ შესახებ დაწეროთ.

\* იმის გამო, რომ ინვალიდები ხშირად საზოგადოებისაგან ჩამოშორებულნი არიან, შესაძლებელია გაჭირდეს მათი მოძებნა გასაუბრების მიზნით. უკეთესი იქნება, თუ იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს დაუკავშირდეთ, რომლებიც ინვალიდებს წარმოადგენენ. გაესაუბრეთ ორგანიზატორებს, რათა ჯერ ზოგადად შეიტყოთ მათი პრობლემების შესახებ. შემდეგ სთხოვეთ, რომ რომელიმე ინვალიდთან დაგაკავშირონ. აუცილებლად გაესაუბრეთ იმათაც, ვინც ამ ჯგუფის წევრებს არ წარმოადგენენ. ისინი, შესაძლოა, ამ საკითხებს სულ სხვა თვალით უყურებდნენ და უფრო პირდაპირი აზრები და შეხედულებები ჰქონდეთ.

\* სტერიტიპები ხშირად სინამდვილის ნაწილსაც შეიცავს. კიდურებდაკარგულ ადამიანებს შორის შეიძლება ბევრი მათხოვარი და უსახლკარო იყოს – მაგრამ, შესაძლოა, ეს იმის გამო ხდებოდეს, რომ საზოგადოებას მათვის დიდი არჩევანის საშუალება არ მიუცია. წარკომანებს შორის შიდსით ინფიცირების დონე გაცილებით მაღალია, მაგრამ შესაძლოა, ეს იმის ბრალი იყოს, რომ მათ არ იციან, როგორ დაიცვან თავი ინფექციისაგან, ანდა სტერილურ ნემსებზე ხელი ვერ მიუწვდებათ. ასოციაციების გამომწვევი მიზეზები ხშირად საზოგადოების პრობლემების საფუძველში უნდა ვეძიოთ. თავად ხალხის დადანაშაულება სულაც არ არის უურნალისტის მოვალეობა.

## სასწავლო მასალა

ეს სტატია გამოხატავს ფიზიკური ნაკლის მქონე ადამიანების აზრს და, ისე წარმოაჩენს მათ, რომ ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ისინი მაღლიერი არ იყონ იმ დახმარებისა, რომელსაც მათ უწევენ. ამ შთაბეჭდილებას თავიდანვე ქმნის სტატიის სათაური, რომელიც განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს მხოლოდ იმ მომენტზე, რომ ინვალიდებმა იჩივლეს. ეს გამყარებულია სტატიის ტონითაც, რომლის ირონიაც განსაკუთრებით იგრძნობა ტექსტის სომხურ ორიგინალში. სტატია ქმნის ზოგად შთაბეჭდილებას, რომ ისინი გაუმაძლარი მოწუნუნები არიან და ცდილობენ კეთილგანწყობილი საზოგადოებისაგან მიიღონ ყველაფერი, რაც კა შესაძლებელია. სტატია ასევე აღნერს პოლიტიკურ ქიშპობას არტიკის მერსა და ადგილობრივ ინვალიდებს შორის და საბოლოოდ, ნაკლებად ცდილობს იმ მძიმე სიტუაციისათვის ნათელის მოფენას, რომელიც ასეთ სირთულეებს უქმნის მათ ცხოვრებაში.

### 6. ა) ინვალიდები ჩივიან

ი ნვალიდთა კაგშირმა „ასტგიკემა“ ჩაატარა პირველი ღონისძიება თემაზე: „დავიცვათ ინვალიდების უფლებები და მხარი დავუჭიროთ მათ.“ „ასტგიკის“ პრეზიდენტმა, ლევონ ნერსესიანმა ამერიკული ორგანიზაციის „ვილჩეარ ფონდის-გან“ მიიღო 240 ინვალიდის ეტლი [თითოეული მათგანი 150 აშშ დოლარის ლირებულებისა], სომხეთის რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონებსა და მთავან ყარაბაღში მცხოვრები მოსახლეობისათვის დასარიგებლად. პირველი, ვინც ეს შეთავაზება მიიღო, იყო არტიკის მერი ჰმაჯავა აბრაშამიანი. ამგვარად, არტიკის ჩივილმეტმა მცხოვრებმა, პირველმა მიიღო ახალი ინვალიდის სავარძლები.

ინვალიდების მუშაობის ხელშეწყობისა და მათი ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, ლევონ ნერსესიანმა წამოაყენა წინადადება შექმნილიყო ინვალიდი ბაგშვების მშობელთა ადგილობრივი ორგანიზაცია. როცა მშობლები შეიკრიბნენ თავისი ორგანიზაციის პრეზიდენტის ასარჩევად, ჰ. აბრაშამიანმა მაშინვე წარადგინა ამ თანამდებობისთვის ყველაზე შესაფერისი კანდიდატი, ნარინე ზაქარიანი. მნიშვნელობა არა აქვს, როგორ სცადა ამ 20 წლის გამოუცდელმა გოგონამ მათვის იმის ახსნა, რომ არ შეუძლია კომპიუტერის გამოყენება, რომ მან სკოლაში გერმანული ისწავლა და არა ინგლისური. მერი განაგრძობდა თავისი საუკეთესო მეგობრის, ქალაქის საბჭოს წევრის მიამიტი ქალიშვილის დარწმუნებას, რომ „ეს არაფერია, შენ შეგიძლია ამის გაკეთება, შენ ცოტა-თი ხომ იცი კოპიუტერთან მუშაობა და ორ თვეში მთლიანად ისწავლი.“

შურნალისტი აშკარად აკრიტიკებს მერს, მაგრამ მაინც საჭიროა ფაქტების მოყვანა. საერთოდ რატომ ერევა მერი პრეზიდენტის არჩევაში? იქ დამსწრებმა, შურნალისტის ჩათვლით, ჰკითხეს მას, რატომ უნდა დაიკავოს ეს თანამდებობა მისი მეგობრის ქალიშვილმა? თუ ეს ასე მოხდა, აუცილებლად უნდა აისახოს სტატიაში, ◀ თუ – არა, მაშ რატომ?

რამდენად სწორი იყო მათი საყვედურები? რამდენი ადამიანი იყო შეკრებილი? რამდენი საყვედურობდა? ვინმეს მოენონა სავარძლები? თუ საყვედურები სიმართლესთან ახლო იდგა, მაშინ ეს ადამიანები ფულზე დასარბებულ უმაღლურებად არ გამოჩნდებან. ყველაფერი ისეა მოწოდებული, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ისინი საერთოდ არაფრის ლირსები არ არიან.

საკითხის განხილვას წაადგებოდა, თუკი ჟურნალისტი ბრალდების სისწორის დადგენას შეძლებდა. სხვაფრივ ეს უპრალოდორ ადამიანს შორის სიტყვიერი შეკამათებაა და მეითხველმა არ იცის, რომელს დაუჯეროს.

ისე ჩანს, თითქოს ჟურნალისტი აქტიურად ცდილობდა ბავშვის დარწმუნებას, აეღო სავარძლი. ასე იყო სინამდვილეში? თუ ისე იყო, მაშინ ნიშნება თუ არა ეს, რომ, ჟურნალისტის აზრით, სავარძლების სანაცვლოდ ფულის მოთხოვნა გამართლებული არ იყო? დარწმუნებული იყო ჟურნალისტი, რომ ახალი სავარძლები ვარგოდა? უნდა მიეღო თუ არა მონანილება ჟურნალისტს იმ სიტუაციაში, რომელსაც ამავდროულად აშუქებდა?

როცა საქმე ინვალიდის ეტლების განაწილებაზე მიძგა, ინვალიდი ბავშვების მშობლებმა, რომლებიც არტიკის მერიის წინ იყვნენ შეკრებილნი, დაინყეს საყვედურების გამოთქმა ეტლების ზომისა და მოუხერხებლობის გამო და სანაცვლოდ 150 აშშ დოლარი მოითხოვეს. თუმცა, „ასტყივის“ პრეზიდენტმა მოკრძალებით გააცნო დამსწრეულს ორგანიზაციის საქმიანობა, აუხსნა, რომ მათ არ შეუძლიათ ნაღდი ფულის გაცემა, რადგან მათ მიიღეს ინვალიდის სავარძლები და აქვე ააწყვეს. როცა სავარძლის მიმღებთა სიაში არაი პამპალიანის სახელი ამოიკითხეს, ინვალიდი ბავშვის დედამ შარტო უარი კი არ თქვა სავარძლის მიღებაზე, არამედ ხმამაღლა განაცხადა, რომ, მაშინ, როცა ასეთი ორგანიზაციები მართლაც ყველანაირად ცდილობენ მათ დახმარებას, მერი არანაირად არ უჭერს მხარს ინვალიდებს, ის შეურაცხყოფას აყენებს და უკან აბრუნებს მათ. „ის მეუბნება, არ მინდა რამე საერთო მქონდეს შენს ინვალიდთან, ეს არ მაინტერესებსო.“

მერე დაინყო კამათი მერსა და ქვრივს შორის. ერთი ყვიროდა: „მე აქ არავინ დამხმარებია. ჩემი ინვალიდი ბავშვი შიმშილობს. მარტო თვეში 3600 დრამი პენსიით ვცხოვრობთ“, მეორე პასუხობდა: „თქვენ იტყუებით, გრცხვენოდეთ, რამდენჯერ დაგეხმარეთ. ყველაფერს სიტყვიერად ვაკეთებდი, მე არ ვინახავ განცხადებებს.“

სამწუხაროდ, ჩვენ ვერ შევძელით ინვალიდი ბავშვი დაგვერნმუნებინა, რომ თავისი ძველი სავარძელი ახალში გაეცვალა. „მე მაღლობელი ვარ ქველმოქმედებისა, მაგრამ ეს საჩუქარი არ მინდა. მე ინვალიდის სავარძლის მაგივრად ფული მინდა, რომ საკვები და სახლი ვიყიდო.“

როცა მერმა დაინახა, რომ ხალხი დაინტერესდა, ქვრივს შესთავაზა სახლის ქირის, 5 000 დრამის გადახდა, მაგრამ შემდეგ, მისი აგრესიული დამოკიდებულებით გაცოფებულმა, უარი თქვა დანაპირების შესრულებაზე. საბოლოოდ, „ბრწყინვალე“ აზრი მოუვიდა ჴ. აბრაშამიანს და მან ასეთი წინადადება წამოაყნა: „კარგი, მოდი, ჩაგრთავთ პროგრამაში „სარგებლობა სამუშაოს სანაცვლოდ“, ისე მოვაგვარებ საქმეს, რომ თქვენ საშსახურში სიარული არ მოგიხდეთ და დღეში 1 000 დრამს მიიღებთ.“ ინვალიდი ბავშვი შიშობს, რომ სინამდვილეში სასწაული არ მოხდება და მერი თავის დანაპირებს არ შეასრულებს.

მიუხედავად ყველაფრისა, არტიკული კავშირმა „ასტგიკმა“  
თავისი მისია შეასრულა.

გაზეთი „არავოტი“,  
ერევანი, სომხეთი, 2004 წლის 17 ივნისი

◀ ეს ბოლო წინადადება ბუნდო-  
ვანია. როგორ შეასრულა კავ-  
შირმა თავისი მისია? მოახერხა  
დანარჩენი 239 სავარძლის და-  
რიგება? თუ მოახერხა, მაშინ  
როგორი იყო სხვა მონაწილეთა  
დამოკიდებულება? მერსა და  
ერთ ოჯახს შორის გამართულ  
კამათზე მთელი ყურადღების  
გამახვილებით ჟურნალისტმა  
მკითხველს საშუალება არ მის-  
ცა მეტი გაეგო ზოგადად ღონის-  
ძიებისა და სხვების რეაქციის  
შესახებ.

ეს სტატია ეხება წერილის სათაურად საშინლად უხეში სიტყვის ხმარებას. სტატიაში აღნერილია ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მომხდარი ხანძარი. სათაური – „შემწვარი გიუები“ – არა მარტო განამტკიცებს იმათ შესახებ სტერეოტიპებს – ვინც გონებრივი დაავადებებით იტანჯება, არამედ შინაარსობრივადაც არ არის სწორი – იქ არავინ დაშავებულა.

## 6. ბ) შემწვარი გიუები

რედაქტორი ბოდიშ იხდის სათაურის გამო

ს ამშაბათს, ქალაქის ტაბლოიდის რედაქტორმა წერილობით მოიხადა ბოდიში გაზეთში გამოქვეყნებული იმ სტატიის სათაურის გამო, რომელიც ეხებოდა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში ახლახანს მომხდარ ხანძარს.

ტრენტონელის სტატია 9 ივლისს მომხდარი ხანძრის შესახებ, რომელმაც ტრენტოლ ფსიქიატრიული საავადმყოფოს ადმინისტრაციული შენობა დააზიანა, გამოქვეყნდა ასეთი სათაურით: „შემწვარი გიუები“. შენობაში ავადმყოფები არ იყვნენ და არავინ დაშავებულა. რედაქტორის სვეტში გამომცემელმა დევიდ ბ. ბონფილდმა ამას უწოდა „უხეში, აზრს მოკლებული სათაური, რომელმაც ბოროტად მოიხსენია მენტალური დაავადება. ეს არ იყო სწორი“.

ბონფილდმა აღნიშნა, რომ მკითხველებმა 47,526 ტირა-ჟიანი გაზეთი სატელეფონო ზარებითა და რედაქტორი-სადმი გაგზავნილი საყვედურებით საგსე წერილებით აავსეს.

„გაზეთი ყოველთვის ამაყობდა, რომ სუსტებს ძლიერებისაგან იცავდა – ეს იყო სტილი, რომელმაც მას ჰულიცერის პრემია მოუტანა ნიუ ჯერსიში პოლიტიკური კორუფციის შესახებ გამართული მუშტი-კრივის გაშუქებისათვის. ჩვენ არ უნდა გაგვკვირვებოდა, რომ ჩვენი მკითხველი აღდგა სუსტების დასაცავად – ჩვენს ნინაალმდევ – და ჩვენ ეს მივიღეთ. და ჩვენ ეს თანდათან გვიახლოვდებოდა – დაწერა ბონფილდმა.

მან განაცხადა, რომ გაზეთი „შეეცდება შეიცვალოს არა მარტო იმით, რომ გახდეს უფრო მგრძნობიარე გონებრივად უნარშეზღუდული ადამიანების რთული მდგომარეობის

ინციდენტის გამო ბოდიშის მოხდის დროს რედაქტორმა აღნიშნა, რა შეურაცხმყოფელია ეს სიტყვები და ბოდიში მოუხდა როგორც მკითხველებს, ასევე იმ ორგანიზაციებსაც, რომლებიც გონებრივად დაავადებულებს წარმოადგენ. ეს ადასტურებს, რომ მედია ორგანიზაციები რეაგირებენ საზოგადოების მხრიდან ზენოლაზე და ისინა მუდმივად პასუხს უნდა აგებდნენ მკითხველის ნინაშე განსჯაში დაშვეულ შეცდომებისათვის.

მიმართ, არამედ მათი ინტერესები უფრო აქტიურად წარმოაჩინოს და დაიცვას.“

სათაურის ავტორმა, ტონი პერსიჩილმა უკვე მოიხადა ბოდიში გაზეთში, სათაურის გამოქვეყნების მეორე დღეს. უურნალისტმა და ნომრის რედაქტორმა დაწერეს, რომ სათაური არასწორი და გულქვა იყო. უურნალისტმა თავის თავზე აიღო მთელი ბასუხისმგებლობა.

მაგრამ გონებრივად დაავადებულთა ეროვნულმა ალიანსმა გასულ კვირას განაცხადა, რომ პერსიჩილის ბოდიში ადეკვატური არ იყო. ეს დაბეჭდა „ფილადელფია ინკუაიერერში“. ჯგუფმა აღნიშნა, რომ სათაური „იყო ბოლო დროის მანძილზე ინსტიტუციური წინასწარგანწყობისა და დისკრიმინაციის ერთ-ერთი ყველაზე ცუდი მაგალითი“ და მოითხოვა „დამაჯერებელი გამოსასწორებელი ლონისძიებების გატარება.“

„ესოშიერტედ პრესი“,

ტრენტონი, ნიუ ჯერსი, აშშ, 2002 წლის 23 ივლისი

◀ ასეთ ინციდენტზე ყურადღების გამახილება, შესაძლოა, საბოლოოდ სასარგებლო გამოდგეს ყველა მხარისთვის. ამას შეუძლია აიძულოს მედია ორგანიზაცია, რომ უფრო პასუხისმგებელი გახდეს მრავალფეროვნების საკითხების გაშუქების დროს, რაც, თავის მხრივ, საზოგადოებას ეხმარება მნიშვნელოვან საკითხებზე მიუკერძოებელი ინფორმაციის მიღებაში.

◀ არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ და ევალებათ კიდევ, რომ ძალზე დიდი როლი ითამაშონ სათუთი თემის არაკორექტულად გაშუქების დაფიქსირებაში, ახალი ამბების სწორად გაშუქებისათვის ზენოლის განხორციელებასა და საზოგადოების წახალისებაში, რომ მათ ყურადღება მიაქციონ ასეთ საკითხებს. რეპორტიორებმა და რედაქტორებმა უნდა გააცნობიერონ, რომ ასეთი ორგანიზაციები დიდ დამხმარე ძალას წარმოადგენენ და შეუძლიათ რჩევების მიწოდება ყველა სახის უმცირესობათა ჯგუფების პრობლემების გაშუქებისათვის.

ეს სტატია ცდილობს ჩვეულებრივ კლასებში ინვალიდი ბავშვების ინტეგრაციის ინოვაციური მიდგომა წარმოაჩინოს როგორც პირობითად დადებითი და ობიექტური. აქ წარმოჩენილია პრობლემის როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ასპექტები. სტატია გაცილებით მიმზიდველი იქნებოდა, თუ შიგ იმათი ინტერიურები და კომენტარებიც შევიდოდა, ვისზედაც ეს ყველაზე მეტად ახდენს გავლენას, როგორც ემოციურად, ასევე ფიზიკურად, კერძოდ, ინვალიდი ბავშვების მშობლებსა, ასევე თვითონ ბავშვებისაც. ბევრმა რეპორტიორმა შეიძლება ვერც კი წარმოიდგინოს, რომ შესაძლებელია საუბარი ჰქონდეს ძალიან უნარშეზღუდულ ადამიანებთანაც კი, რომ დაბაზიური შეიძლება ძალიან კარგად მოაწოდონ განსაკუთრებული და მოულოდნელი შეხედულებები. გარდა ამისა, კარგი იქნებოდა სტატიაში ასევე ასახულიყო არაინვალიდი ბავშვების მშობლებისა და თვითონ ბავშვების მოსაზრებებიც, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მათი რეაქციის შეფასება.

გარდა ამისა, უურნალისტი მევეთრად არ განასხვავებს ინვალიდი ბავშვების სხვადასხვა კატეგორიას. გონებრივი აშლილობის მქონე ადამიანი იგივე არ არის, რაც გონებრივად უნარშეზღუდული. წვრილმანი ფიზიკური უნარის შეზღუდვის მქონე ბავშვს ან მოძრაობის უნარის შეფერხების მქონეს სულ სხვადასხვა სახის პრობლემები აქვთ. თუ ქართულ საზოგადოებას ყველა ასეთი ბავშვის მიმართ ერთნაირი მიდგომა აქვს, უურნალისტმა სტატიაში ეს უნდა აღნიშნოს.

## 6. დ) საქმე სიტრობილეს მოითხოვს

ბ) ოლო ხაში ხშირად საუბრობენ ინტეგრირებულ სწავლებაზე, რაც ხეიბარი თუ ფისიქურად დაავადებული ბავშვების ჯანმრთელ მოზარდებთან ერთად სწავლებას ითვალისწინებს. როგორც ამბობენ, უცხოეთში ასეთი მეთოდი კარგა ხანია, აპრობირებულია. აღსანიშნავია, რომ გონებრივად განსხვავებული ბავშვების მეგობრობა საზღვარგარეთის მთელ რიგ სკოლებში საკლასო ოთახებიდან კი არ იწყება, არამედ ბუნების წიაღში – სკოლის საცდელ ნაკვეთებზე, ფერმებში. ჩვენთან კი რატომდაც უფრო მარტივად ვაპირებთ პრობლემის გადაწყვეტას.

საინტერესოა, საქართველოში რამდენად გაამართლებს ეს სიახლე. შეეთვისებიან თუ არა ერთმანეთს განსხვავებული გონებრივი შესაძლებლობების მოსწავლეები.

მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის სამკურნალო-პედაგოგიური სკოლის აღსაზრდელები ჩვეულებრივ ბავშვებს არ ჰავანან, რადგანაც ლოგიკური აზროვნების, საკუთარი თვალით საგნების აღქმის უნარი არ გააჩნიათ. ამ სკოლის პედაგოგმა ლალი ცერცვაძემ

რა არის ამ ინფორმაციის წყარო? შეიძლება ბევრ ადგილას ასეც ხდება, მაგრამ საეჭვოა, რომ ეს დანერგილი ნორმა იყოს დასავლეთის ინ-

◀ ტეგრირებულ სკოლებში.

ზუსტად რაში მდგომარეობს მათი უუნარობა? გონებრივი ჩამორჩენილობაა თუ ათვისების შეზღუდული უნარის გარკვეული ფორმა? როცა საუბარი ასეთ ინვალიდებზეა, ჯობს ◀ მაქსიმალურად დაკონკრეტდეს.

გვითხრა, რომ უცხოეთში ჯანმრთელ თანატოლებთან მხოლოდ მსუბუქი ხარისხით გონიერივად ჩამორჩენილი თანატოლების სწავლება მიაჩნიათ შესაძლებლად.

საქართველოში ამ მხრივ ჯერ საზოგადოება და მასწავლებლები უნდა მოემზადონ, თორემ ცერებრალური დამბლით, ხელ-ფეხის პარეზით ეტლებში მსხდომი ბავშვების ტრადიციულ სკოლებში შეყვანამ შეიძლება ისინი დათვალისწინებული ასეთ რამეს არათუ დაცინვა, შემწყნარებელი მზერაც კი იწვევს. ბავშვებს 3-დან 7 წლამდე მიბაძების სიმპტომი უყალიბდებათ. ამიტომ ხეიბარი თუ გონებაშეზღუდული თანატოლები ამ ასაკიდანვე უნდა შევაჩიოთ ჯანმრთელ ბავშვებთან ურთიერთობას. ისიც უნდა ითქვას, ხშირად შშობლებიც სცოდავენ, როცა ავადმყოფ შვილს სახლში გამოკეტავენ ხოლმე. ასეთ დაუცველებს უფრო სჭირდებათ ურთიერთობა საზოგადოებასთან. პედაგოგ მათა ხუნდაძეს უკვე თავად უცდია ამგვარი ინტეგრაცია. შვილისთვის თავისი უნარშეზღუდული მონაფები გაუცნია. მართალია, თავიდან ბავშვს შეშინებია ახალგაცნობილთა განსხვავებული ქცევის მანერის, ემოციურობისა, მაგრამ ახლა შესანიშნავად უგბენ ერთმანეთს. მიხეილ ასათიანის სახელობის ფსიქიატრიული ინსტიტუტის დირექტორმა დავით ზურაბაშვილმა გვითხრა: გონებრივი ჩამორჩენილობა დონით თუ სიღრმით ინდივიდუალურია. ჯანმრთელ ბავშვებთან მათი ინტეგრირება კი განათლების პროგრამის დაუხვენავად და ფსიქოლოგთან შეუთანხმებლად გაუმართლებელია. ბატონ დავითს შესაძლებლად მიაჩნია არა გონებრივად ჩამორჩენილთა, არამედ ფიზიკური დეფექტის მქონე მოზარდთა ინტეგრირებულ სწავლაში ჩაბმა, ვინაიდან გონებრივად ჩამორჩენილს ახალი მასალის დასაძლევად გაცილებით მეტი დრო სჭირდება. ასეთი ვითარება კი სხვა მოსწავლეების სწავლაში შეფერხებას გამოიწვევს. ამასთან ერთად, სკოლებში კონტინგენტის გარკვეული პროპორციაც უნდა დაიცვან. მაგალითად, 10 ჯანმრთელ ბავშვზე – ერთი ფიზიკურად ან ფსიქიკურად უნარშეზღუდული.

◀ ეს კომენტარი ზუსტად არ ასახავს უცხოეთში არსებულ „რეალობას“. შურნალისტმა უნდა სთხოვოს მასწავლებელს, უფრო კონკრეტულად განმარტოს, რას გულისხმობს და ჭეშმარიტებად არ უნდა მიიღოს ის, რასაც მასწავლებელი ამბობს.

აქვს თუ არა შურნალისტს სტატისტიკური მონაცემები ან რამე ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენად ხშირად არ აძლევენ მშობლები

◀ თავიანთ ინვალიდ შვილებს სსვებთან ურთიერთობის უცლებას ან სახლში კეტავენ მათ? ეს საქართველოში ფართოდ გავრცელებული პრობლემაა?

◀ შურნალისტისთვის საინტერესო იქნებოდა მასწავლებლის შვილთან გაასუბრება.

საქართველოში არსებული სისტემა ჩვეულებრივ აცალკევებს კლასში სხვა ბავშვებისაგან იმ ბავშვებს, რომლებსაც ენაბლუობა ახასიათებთ ან კოჭლობენ?

ეს პოლო კომენტარი წარმოადგენს ჟურნალისტის გაფრთხილებას, რომ, შესაძლოა, სწავლების ასეთი მეთოდი გაუმართლებელი იყოს. მაგრამ, თუ ე.წ. „ჯანმრთელი“ ბავშვები კარგად არ სწავლობენ, სამართლიანი იქნება ინვალიდების დადანაშაულება ამ პრობლემაში, როგორც ამ დასკვნიდან ჩანს?

პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ლევან ჩიქვანაია მოსწავლეთა ინტეგრირებულ სწავლებაში უარყოფით მხარესთან ერთად დადებითსაც ხედავს. უმნიშვნელო გადახრის მქონე ბავშვების [ენაბლუობა, კოჭლობა] ჯანმრთელ თანატოლებთან სწავლა დასაშვებად მიაჩნია, მაგრამ, ამასთანავე, სიფრთხილის გამოჩენას ურჩევს პედაგოგებს, ავადმყოფებმა კომპლექსების გამო კლასში დისონანსი რომ არ შეიტანონ. დაბოლოს, ინტეგრირებული სწავლების მეთოდი მოზარდებში ალბათ ლმობიერების განვითარებას შეუწყობს ხელს, მაგრამ სხვა საკითხზეც ღირს დაფიქრება. ჩვენი ჯანმრთელი ბავშვები ისედაც არ იქლავენ სწავლით თავს და უნარშეზღუდულ მოწაფეთა გვერდით მიიღებენ კი სრულყოფილ განათლებას?

გაზეთი „ეპოქა“,

თბილისი, საქართველო

2003 წლის 28 ოქტომბერი – 3 ნოემბერი

ეს სტატია სწორად აღნერს აზერბაიჯანში შიდსის ვირუსის/შიდსის გავრცელების თვალსაზრი-სით არსებულ სიტუაციას და მდგომარეობას აღნერს უარყოფითი სტერეოტიპების ჩართვის გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ სტატია წარმოგვიდგენს უახლეს სტატისტიკურ მონაცემებს, მასში არ არის რამე ინტერვიუ შიდსის ვირუსის მატარებელ ადამიანებთან, რაც მეტ ჰქონდა სტატიას.

## 6. ე) აზერბაიჯანში შიდსით დაავადებულთა რიცხვი იმრღვება

პრობლემა სახიფათო მასშტაბებს იძენს

შიდსით დაავადების აფეთქების ზღვარზე დგას – ყოველ შემთხვევაში, ექსპერტები ასეთ პროგნოზებს აკეთებენ. მათი აზრით, ახლო მომავალში შიდსის ვირუსით ინფიცირებულთა რაოდენობა შესაძლოა 40 მილიონიდან 100 მილიონამდე გაიზარდოს. ეს ძალა შემაშფოთებელი მონაცემებია. სამწუხაროდ, არც ჩვენი ქვეყანაა გამონაკლისი, განსაკუთრებით მაშინ, როცა ექსპერტებმა უკვე აღნიშნეს ჩვენში ამ დაავადების გავრცელების ტენდენცია.

შიდსის საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრის მონაცემებით, 2003 წლის 1 ოქტომბრისთვის ქვეყანაში რეგისტრირებული იყო 573 შიდსის ვირუსით ინფიცირებული. შედარებისთვის მოგვყავს ივლისის მონაცემები – ამ დროისათვის 556 ავადმყოფი იყო დაფიქსირებული. ამ „უმნიშვნელო“ ზრდასაც კი შეიძლება სავალალი შედეგები მოჰყვეს და მძიმე ტვირთად დააწვეს აზერბაიჯანს.

შიდსის ვირუსით ინფიცირებულთა საერთო რაოდენობიდან 551 აზერბაიჯანის მოქალაქეა, 22 უცხოელი. 273 ცხოვრობს ბაქოში, დანარჩენები კი რაიონებში ცხოვრობენ. ინფიცირებულთა უმრავლესობა მამაკაცია [77 პროცენტი], დანარჩენები კი ქალები და ბავშვები არიან. დაავადებულთა საშუალო ასაკი 20-დან 39 წლამდეა.

ტრაგიული სტატისტიკური მონაცემებით, 45 ადამიანი უკვე გარდაიცვალა ამ მომაკვდინებელი ავად-

მართლაც გაიზარდა ინფიცირებულთა რაოდენობა, თუ იმ ადამიანების რაოდენობაა გაზრდილი, ვინც შემოწმება ჩაიტარა და ვირუსი გამოუვლინდა? პასუხს დიდი მნიშვნელობა აქვს მონაცემების სწორი ◀ ინტერპრეტირებისათვის.

ეს არ არის „საშუალო“ ასაკი. საშუალო ერთი რიცხვი უნდა იყოს.

რატომ არის ეს ფაქტი უფრო საგანგაშო, ვიდრე აზერბაიჯანში ინფიცირება? მდგომარეობა ორივე შემთხვევაში საგანგაშო იქნება.

რა შეიძლება მოჰყვეს ამას შედეგად? ეს ნიშნავს, რომ ადამიანს დაქორწინების უფლება არ ექნება, თუ უპრალოდ იმიტომ იქნება კარგი, რომ მათ ისწავლონ, როგორ აიცილონ თავიდან ვირუსის სხვებისათვის გადადება? რატომ უნდა ჩაუტარდეთ სამედიცინო შემოწმება მხოლოდ დაქორწინების მსურველებს? ხომ არ ჰქონიათ, რომ ხალხს, რომელიც უცხოეთიდან ბრუნვდება, მაგრამ დაქორწინებას არ აპირებს, არ ექნება სექსუალური კავშირები? თუ ასეა, მაშინ ძალიან მცდარი ვარაუდი ჰქონიათ.

სინამდვილეში რამდენად ანონიმურია ეს სამსახურები? უურნალისტი მთავრობას სიტყვაზე უჯერებს, რომ ანონიმურობა დაცული იქნება? ჩჩევა მხოლოდ ზემოთ ნახსენები ჯგუფების ნარმომადგენლებს ეძლევათ, თუ ყველას? შეარინება უურნალისტმა ასეთი სამსახურების არსებობა ადგილზე? შემოწმების გარდა, სხვა რა სახის მომსახურებაა გათვალისწინებული? რა არის ადამიანის მოტივაცია იმისათვის, რომ შემოწმება გაიაროს, თუ მკურნალობის შესაძლებლობები ნაკლებად ან სულ არა აქვს?

მყოფობით და 44 სიკვდილის პირასაა. დღევანდელი მონაცემებით, ქვეყანაში რეგისტრაცია გაიარა შეიძმა ოჯახში, რომელშიც ინფიცირებულნი არიან როგორც მშობლები, ასევე ბავშვები. 24 ოჯახში ინფიცირებულია მხოლოდ ცოლი და ქმარი, 88 ოჯახში ინფიცირებული იყო მხოლოდ ქმარი, ხოლო რვაში – მხოლოდ ცოლი.

საგანგაშოა, რომ შემოწმებული ავადმყოფები დან 265, ანუ საერთო რაოდენობის 48 პროცენტი ემიგრაციიდან დაბრუნებული მუშახელია, რომელთა ინფიცირებაც საზღვარგარეთ, კერძოდ, რუსეთში მოხდა.

შიდსის საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრის დირექტორი და შიდსის პრევენციის სახელმწიფო კომისიის ეროვნული კოორდინატორი და მდივანი ჰაბილ ალიევი აცხადებს, რომ სასურველი იქნებოდა, რომ ყველას, ვინც უცხოეთიდან ჩამოვიდა და დაქორწინებას აპირებს, ჯერ სამედიცინო შემოწმება გაევლო.

ამავდროულად, ქვეყანაში მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა შიდსის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. მაგალითად, ჯანდაცვის მინისტრის, ალი ინსანოვის 2002 წლის 2 დეკემბრის № 155 დადგენილებით „ქვეყნის ყველა ქალაქსა და რაიონში შიდსის ვირუსის დიაგნოსტიკისათვის ოცდაოთხსაათიანი ანონიმური სამსახურების შექმნის შესახებ“, შეიქმნა ასეთი სამსახურები და ისინი ფუნქციონირებს. ყველასა აქვს შესაძლებლობა სამედიცინო შემოწმება იმ ადგილას გაიაროს, სადაც ცხოვრობს. „ჩვენ მოვურნდებთ ქვეყნის ყველა მოქალაქეს, რომელიც ნარკოტიკულ ნივთიერებებს იყენებს ან სექსუალურ უმცირესობას მიეკუთვნება და არ ენდობა თავის პარტნიორს, რომელსაც ჰქონდა ვენერიული დავადება ბოლო 5-10 წლის განმავლობაში, გაიაროს შემოწმება თავისივე საკუთარი ინტერესებისთვის“ – განაცხადა ალიევმა.

ამავდროულად, ბევრი სუბიექტური მიზეზების გამო არ დათანხმდა „შემოწმების“ გავლას. ეს უკავშირდება ტრადიციებსა და საზოგადოების

ერთადერთი მიზე- ►  
ზია თუ უმთავრე-  
სი? ეს ორი სხვა-  
დასხვა რამეა.

პირველ წინადადე- ►  
ბაში სრულად უნდა  
იყოს დაწერილი ორ-  
განიზაციის სახელ-  
ნოდება. აბრევი-  
ატურის გამოყენე-  
ბა შეიძლება ტექს-  
ტის მომდევნო წი-  
ნადადებაში.

ზუსტად რა უნდათ, ►  
რომ ალიევმა გა-  
აკეთოს? სასარგებ-  
ლო იქნებოდა უფ-  
რო კონკრეტული  
ლაპარაკი, თუ რა  
ღონისძიებებია გათ-  
ვალისწინებული ამ  
პრობლემის გადა-  
საჭრელად.

შიშს, რომელსაც, მათი  
რწმენით, ადამიანის „სიკვ-  
დილის პირამდე მიყვანა შე-  
უძლია.“ ეს აშკარად ერთა-  
დერთი და უმთავრესი მიზე-  
ზია. იმისა, რომ დაწერილე-  
ბითი ინფორმაცია შემთხვე-  
ვების რიცხვზე არასაკმაოა  
და შიდსის ვირუსის წინააღ-  
მდეგ ჩატარებული პრევენ-  
ციული ზომები არაეფექტუ-  
რია.

ალიევმა აღნიშნა, რომ  
გაერომ 2001 წელს ჩაატარა  
შიდსისადმი მიძღვნილი სპე-  
ციალური სხდომა. შესრუ-  
ლებული სამუშაოს შედეგად  
მიღებული იქნა პროგრამა  
ამ დაავადების გავრცელე-  
ბის შესაჩერებელად. აზერ-  
ბაიჯანი შეუერთდა ამ პრო-  
გრამას.

„ცენტრი საინტერესოა  
ქვეყნის ახალი პრეზიდენ-  
ტის, ილჰამ ალიევისთვის.  
მთავრობამ უნდა მიაქციოს  
ყურადღება არსებულ პრო-  
ბლემას, რომელსაც სახი-  
ფათო მასშტაბებით გავრ-  
ცელების საშიშროება ემუქ-  
რება,“ – განაცხადა ალიევ-  
მა.

გაზეთი „ზერკალი“,  
ბაქო, აზერბაიჯანი,  
2003 წლის 31 ოქტომბერი

◀ ამ გარემოებების „სუბიექტურ“ მიზეზად  
მოხსენიება ნიშნავს, რომ სალხი ირაცი-  
ონალური მოტივებით რეაგირებს. მართ-  
ლაც ესეც შემფლოთების ნამდვილი მიზე-  
ზია და ისიც, თუ რა დახმარებას მიიღებს  
ადამიანი, როცა აღმოაჩენს, რომ მართ-  
ლაც ინფიცირებულია. ამ სტატუაში არ-  
სად არ არის ნაჩვენები, რას აკეთებს მთავ-  
რობა იმისათვის, რომ სალხს შემოწმების  
გავლის მოტივაცია შეუქმნას.

◀ რა პროგრამა ეს? რა ელემენტები შედის  
მასში? რა სახით იღებს მონაწილეობას აზერ-  
ბაიჯანი? რა თანხა იხარჯება პროგრა-  
მაზე? მთავრობა შეიძლება შეუერთდეს  
პროგრამას, მაგრამ არაფერი გააკეთოს  
მის განსახორციელებლად. მნიშვნელობა  
აქვს მოქმედებასა და პროგრამის გან-  
ხორციელებას და არა იმას, თუ რას მი-  
იწერს საკუთარ თავზე ხელისუფლება.

ეს სტატია კეთილგანწყობილია ინვალიდების მიმართ და გარკვეულწილად, აძლიერებს თვალსაზრისას მათი შეუმჩნევლობის შესახებ და აკრიტიკებს ამ ფაქტს. ეს საერთო პრობლემაა იმ სტატიებისთვის, რომლებიც სოციალურ უმცირესობათა საკითხებს ეხება, განსაკუთრებით იმათი, ვინც ჩვენი თვალთასედვის არის მიღმა იყო. ადამიანები, მათ შორის უურნალისტებიც, ისე არიან შეჩვეულნი მათვის ყურადღების არმიქცევას, რომ ხანდახან ისინი არცენ ეკითხებიან მათ რამეს, მაშინაც კი, როცა მათ შესახებ წერენ. სტატიაში ინვალიდები უფრო ობიექტები არიან ამ ამბასა, ვიდრე სუბიექტები. ალბათ, სადიხოვი, ადამიანი რომელიც ლაპარაკობს, ინვალიდია, მაგრამ უურნალისტი ამას არსად გვეუბნება. თუ ის მართლაც ინვალიდია, საინტერესო იქნებოდა პირადად მისგან მოგვესმინა, როგორ შეძლო თავის გასაჭიროან გამკლავება და როგორ გახდა აქტივისტი.

## 6. ვ) ინვალიდის ეტლი თეატრში

ეს სისულელე კი არა, ცივილიზების ნიშანია

„განვითარებული სოციალიზმის“ ეპოქაში ხალხი არ ამჩნევდა ადამიანს, რომელიც ინვალიდის ეტლში იჯდა, ან ყავარჯნებითა და პროთეზით დადიოდა. არა იმიტომ, რომ ამ სცენას მათი გუნების გაფუჭება შეეძლო, არამედ იმიტომ, რომ ადამიანი ინვალიდის ეტლში ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ინვალიდებიც ძლივს უწყობდნენ ნაბიჯს საბჭოთა ხალხს, რომელიც სირბილით მიიწევდა გაბრწყინებული კომუნისტური მომავლისაკენ. მეორე მხრივ, ჩვენ თითქმის ვერც ვამჩნევდით ინვალიდებს ქუჩებსა და საზოგადოებრივ ადგილებში და ამიტომ მიამიტურად გვჯეროდა, რომ ისინი ბევრნი არ იყვნენ.

თუმცა, იშვიათი ფილმები და დოკუმენტური მასალები, რომლებიც ჩვენამდე აღწევდა „რკინის ფარდის“ მეორე მხრიდან, გვიჩვენებდნენ, რომ მათ „პევრი ინვალიდები ჰყავდათ. ისინი იყვნენ ქუჩებში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში, მაღალიზიებში – მოკლედ, ყველგან. ჩვენ კი, ჩვენს პირობებში ცხოვრებისას, უნდა დაგვეჯერებინა, რომ ჩვენ უფრო კარგად ვცხოვრობდით, ვიდრე „ისინი“.

მაგრამ, პერესტროიკამ და შემდგომმა მოვლენებმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა. ინვალიდები ამოვიდნენ „მინისქეშიდან“. როგორც აღმოჩნდა, ეს პრობლემა ჩვენ გვქონია, და არა იმათ, ჩვენ, და არა მათ, არ გვინდოდა ცივილურად ფიქრი და გამოქვაბულის ადამიანებივით ფიქრს ვარჩევდით. ამან საბოლოოდ შეგვაძლებინა დაგვენახა და დავხმარებოდით იმ ადამიანებს, ვისაც ეს სჭირდება.

დღეს აზერბაიჯანში დაახლოებით 25 000 ინვალიდია.

ორგანიზაციის საქალაქო გამგეობის თავმჯდომარის, ასკარ

ასეთი სტატისტიკური მონაცემების მოყვანის დროს წყარო უნდა იყოს მითითებული. საიდან არის მიღებული ეს მონაცემები: მთავრობისგან? თვითონ ინვალიდებისგან? ზუსტად ვინ შედის მათში? მათ ფიზიკურიც და გონებრივი ნაკლოვანებებიც აქვთ, თუ მხოლოდ ფიზიკურად არიან უნარშეზღუდულები?

სადიხოვის თქმით, ორგანიზაცია 1989 წელს შეიქმნა და საბჭოთა კავშირში მეოთხე იყო ბელორუსის, უკრაინისა და ყაზახეთის შემდეგ. რესპუბლიკაში მანამდე არსებობდა მხოლოდ ორი ორგანიზაცია – უსინათლოთა და ყრუ-მუნჯებისა.

იმ ხანებში ინვალიდებს დახმარების სრული პაკეტი ეძლეოდათ, რომელიც 1996 წელს გაუქმდა. მაშინ მათ პირველად შეიგრძნეს რეალური ცხოვრების ტრაგედია, თუმცა ამ რეალური ცხოვრებისთვის ისინი არანაკლებ (ხანდახან უფრო მეტადაც) იბრძონენ, ვიდრე ჯანმრთელი ადამიანები.

ქვეყანაში ინვალიდების 17 ორგანიზაცია არსებობს. მათი უმთავრესი მიზანია ინვალიდების პრობლემების გადაწყვეტა.

აზრი, რომ ინვალიდები მძიმე ტვირთად აწვებიან საზოგადოებას, ძალიან საკამათოა. ბევრმა, ვინც ბევრმა განირა, თავისი ადგილი იპოვა ცხოვრებაში. ეს იმას ნიშნავს, რომ აუცილებელია მათი განათლებისთვის მეტი ყურადღების მიქცევა. თუ ინვალიდებს ბავშვობიდანვე დავეხმარებით, მათ საშუალება მიეცემათ, ადაპტირება განიცადონ საზოგადოებასთან და მისი ისეთივე სრულფასოვანი წევრები გახდნენ, როგორც სხვები არიან.

ინვალიდებს, მათი ფიზიკური ნაკლოვანებების მიუხედავად, უნდათ, რომ კარგი განათლება მიიღონ. მათ ეს უფლება გარანტირებული აქვთ კონსტიტუციით. თუმცა, რეალურ ცხოვრებაში ისინი უამრავ პრობლემასა და ბარიერს აწყდებიან.

სადიხოვმა თქვა: „იყო შემთხვევა, როდესაც ახალგაზრდა კაცი ზედიზედ რამდენიმე წელს ჩამოდიოდა ქალაქში ქაზაქის ოლქიდან ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩასაბარებლად. ყველა საგანში კარგი ნიშნები ჰქონდა, მაგრამ ბიჭმა წერაში „არადამაყმაყოფილებელი“ მიიღო. მას შემდეგ, რაც მან საჩივარი შეიტანა „ინვალიდების საზოგადოებაში“, აღმოჩნდა, რომ ხელის თანდაყოლილი დეფექტი ჰქონია – კალამს კარგად ვერ იჭერდა. ორგანიზაციამ მისი დახმარება გადაწყვიტა: გაგზავნა წერილი განათლების სამინისტროში, რომელ-

რა არის ორგანიზაციის სრული სახელწოდება? თუ ეს „ინვალიდთა საზოგადოება“, რომელიც ქვემოთ არის

◀ მოხსენიებული? პირველ წინადადებაში სრული სახელწოდება უნდა იყოს.

◀ რა სახის დახმარება იგულისხმება? როგორ და რატომ გაუქმდა ეს დახმარებები?

ეს მნიშვნელოვანი ამბავია. უკეთესი იქნებოდა, უურნალისტი უშუალოდ ტანირს დალაპარაკებოდა, იმის ნაცვლად, რომ სხვა პირის მონათხრობს დაყრდნობოდა.

► მაგალითად? ამ შემთხვევაშიც უკეთესი იქნებოდა ამ ადამიანებთან უშუალოდ გასაუბრება, ვიდრე მათ შესახებ ამბების სხვებისაგან, თუნდაც მათი წარმომადგენლისგან, მოსმენა.

მაც მიიღო გადაწყვეტილება, რომ მისთვის ტესტის გამეორების უფლება მიეცათ. ტახირ დამირჩიევმა უნივერსიტეტში ჩააბარა. ახლა ის მასნავლებლად მუშაობს სურახანის ოლქში და „ინვალიდთა საზოგადოების“ საოლქო ფილიალის თავმჯდომარეა. მაგრამ მას მაინც ჰქონდა პრობლემები: ის ინვალიდობის გამო გარიცხეს და ტახირს მოუხდა სასამართლოსთვის მიემართა, რომ უნივერსიტეტში აღედგინათ.

სადიხოვმა აღნიშნა, რომ ხშირად ყოფილა შემთხვევა, როცა ინვალიდებისათვის უარი უთქვამთ სამსახურზე და მათ სასამართლოსთვის მიუმართავთ თავიანთი კანონიერი უფლებების აღსადგენად.

მიღი მეჯლისის (აზერბაიჯანის პარლამენტი) 1992 წლის 25 აგვისტოს დადგენილებით, „ინვალიდები ისეთივე სოციალური, ეკონომიკური, სამოქალაქო და შრომითი უფლებებით სარგებლობენ, როგორც ქვეყნის ჯანმრთელი მოქალაქეები.“

თითოეულ მათგანს, სადიხოვის განცხადებით, დამატებით უამრავი სოციალური პრობლემა აწუხებს, ისეთი, რომელთა გადაწყვეტაც ჯანმრთელებ-საც გაუჭირდებოდათ. სხვადასხვა დონის თანამდებობის პირები შესაბამის ყურადღებას ვერ უთმობენ ინვალიდის ეტლში მჯდომ ადამიანებს, იმის გამო, რომ ისინი ისედაც ყოველდღიური პრობლემებით, პრიორიტეტული საკითხებითა და დაუსრულებელი სამუშაოთი არიან დაკავებულნი. „აშკარაა, რომ ისინი სამუშაოში ყელამდე არიან ჩაფლულნი. მაგრამ თუ ინვალიდი სუსტი ხმით იტყვის, რომ მას ესაჭიროება სახლი, ინვალიდის ეტლი, რომ არაფერი ვთქვათ, სპეციალური ტრანსპორტის შესახებ, ჩვენ უნდა დაგეხმაროთ მათ. ისინი ამბობენ, თქვენ სხვა პრობლემები გაქვთ მოსაგვარებელიო, და ეს მიზეზი ჩვენი ურთიერთობების მუდმივ წესად იქცა.“

აზერბაიჯანის „ინვალიდთა საზოგადოების“ არსებობის მანძილზე, სადიხოვის თქმით, მათ მხოლოდ ერთხელ ჰქითხეს რჩევა – ფილარმონიის დარბაზის რეკონსტრუქციის დროს. საკონცერტო დარბაზი,

გასახდელი ოთახი და საპირფარეშო უზრუნველყოფილი იქნა ინვალიდებისათვის საჭირო მოწყობილობით და ა.შ. „თეატრში ინვალიდის ეტლში მჯდომი ადამიანი ცივილიზებული ურთიერთობების ნიშანია.“

ინვალიდის ეტლის შოგნა ერთადერთია, რაც დღეს დიდ პრობლემას არ წარმოადგენს. სადიხოვის თქმით, ეტლის მისაღებად ინვალიდმა უნდა აიღოს მოწმობა სახელმწიფო სამედიცინო კომისიისგან და შეიტანოს ის ოლქის სოციალური დაზღვევის დეპარტამენტში, რომელიც რეგისტრაციაში გაატარებს ამ პირს.

„ახლახან „ინვალიდთა საზოგადოების“ ბინაქადის ფილიალის თავმჯდომარე, ასკარ აპმადი შეუთანხმდა ერთ-ერთ საწყობს ამ ოლქში, რომ ყოველდღე ორ ოჯახს ორ-ორი პური მისცეს. რა თქმა უნდა, ეს ზღვაში წვეთია, მაგრამ ეს მაინც რაღაცას ნიშნავს....“

სადიხოვმა გაიხსენა, რომ ჰასიბალა აბუტალიბოვმა, რომელიც იმ დროს სურახანის ოლქის მთავარი გამგებელი იყო, რამდენჯერმე ჩაატარა ინვალიდთა საკითხებისადმი მიძღვნილი კვირეული. საწარმოების ხელმძღვანელებმა, რომელსაც დასაქმებული ჰყავდათ ინვალიდები, მათ პრემიები მისცეს, სამსახურში დაანინაურეს და გააუმჯობესეს მათი სამუშაო პირობები. მაგრამ დღეს ასეთი აღარაფერი ხდება.

სადიხოვის თქმით, კანონის თანახმად, პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდები უნდა იღებდნენ ხელფასზე 25 პროცენტის დანამატს, მესამე ჯგუფის ინვალიდები კი — 15-20 პროცენტს. „თუმცა, იყო შემთხვევა ხატაის ოლქში, როცა სკოლაში მომუშავე ინვალიდებს ხელფასი არ მოუმატეს. მხოლოდ ბიუროკრატიული პროცედურების გავლით შეძლეს მათ სამართლის პოვნა.“

შენობა, სადაც განთავსებულია „აზერბაიჯანის ინვალიდთა ასოციაცია“, რომელიც ქალაქის 11 რაიონს მოიცავს, სავალალო მდგომარეობაშია. შენობა საბაილის რაიონის გამგეობის ბალანსზეა. არც მრავალრიცხოვანმა წერილებმა და არც საჩივრებმა არ გაჭრა.

სადიხოვი ამშობს, რომ არც ბიზნესმენები და არც სამთავრობო სტრუქტურები არ ჩქარობენ ინვალიდე-

◆ კონკრეტულად რა აღჭურვილობა იყო ეს? ფართო გასასვლელები, ხელის მოსაჭიდი ტუალეტებში? გარევეული დეტალები სურათს ნათელს მოჰყენდა.

რის საფუძველზე? უბრალოდ იმიტომ, ◆ რომ ინვალიდები იყვნენ?  
◆ როდის ხდებოდა ეს: საბჭოთა პერიოდში? ხუთი წლის წინ? კარგი იქნებოდა ამის დაზუსტება.

ბის დახმარებას. „ინვალიდთა საერთაშორისო დღე“ აღინიშნება 3 დეკემბერს. როგორც წესი, ხალხს მხოლოდ ამ დღეს ვახსოვართ. რაიონების გამგებლები სადილზე იწვევენ ხუთ-ექვს ადამიანს ორგანიზაციის რაიონული ფილიალიდან. ხანდახან ისინი მათ 20 000-30 000 მანათს აძლევენ. ამით შემოიფარგლება სახელმწიფო დაწესებულებების ყურადღება საზოგადოების ამ ფენისადმი. მაგრამ ჩვენ გვინდა, რომ მათ ამ დღემდე და ამ დღის შემდეგაც ვახსოვდეთ...“ დაასრულა სადიხოვმა.

გაზეთი „ზერკალო“,  
ბაქო, აზერბაიჯანი, 2003 წლის 31 ოქტომბერი

---

## 7. სოფიალურად მაუწველთა ჩგადები

# სოციალურად ღაუცველთა ჯგუფები

**ჟ**ომუნისტურ საზოგადოებაში სოციალურად დაუცველთა ჯგუფები, როგორებიც არიან ნარკომანები, პატიმრები, უსახლკარონი და უმუშევრები, ან საერთოდ არ არსებობდნენ, ანდა სახელმწიფოს მტრებად განიხილებოდნენ. ამიტომ მათი ცხოვრება, პრობლემები, საფიქრალი, საინტერესოდ არ ითვლებოდა და მას-მედიის მიერ შეუსწავლელი რჩებოდა, რადგან ეს მათ ლეგიტიმურობას მიანიჭებდა და ვაითუ ხალხის დაუმსახურებელი სიმპათიაც კი გამოეწვია.

მას შემდეგ ნათელი გახდა, რომ ამ ჯგუფების არსებობის უგულებელყოფა საზოგადოებისათვის საზიანოა. ყველა იმ საზოგადოებამ, რომელიც კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი სოციალური ავადმყოფობებისგან დაცულად მიიჩნევდა თავს, აღმოაჩინა, რომ რთული პრობლემების აღმოფხვრა მათი იგნორირებით ვერ მოხერხდება. დაუცველ მოქალაქეთა ისედაც უზარმაზარი არმიის ზრდამ სრულიად საპირისპირო რამ დაგვანახა: რაღაცის არარსებობაში თავის დაჯერება, საბოლოო ჯამში, გაცილებით უფრო ართულებს ვითარებას.

იხილეთ რამდენიმე რჩევა, როგორ გააუმჯობესოთ სოციალურად დაუცველი ჯგუფების გაშუქება:

\* გაარკვიეთ, სოციალურად დაუცველ პირთა რა ჯგუფები არსებობს თქვენს ქალაქში ან რეგიონში. ხომ არ არის უმუშევრობის დონე მაღალი ქალაქში/რეგიონში არსებული ქარხნების დახურვის შედეგად? ხომ არ არის უსახლკაროთა განსაკუთრებით დიდი რაოდენობა კონფლიქტით ან სხვა მიზეზით გამოწვეული ნგრევის შედეგად? რა მდგომარეობაა რეგიონალური ომების მონაწილეთა მხრივ? – ნარკომანიის მხრივ? გაარკვიეთ, აშუქებენ თუ არა მედია საშუალებები ამ ჯგუფებს? მიმოიხილეთ ამ საკითხის შესახებ გამოქვეყნებული მასალები და გაარკვიეთ, რამე ხომ არ არის გამორჩენილი?

\* უმუშევრებისგან, ნარკომანებისგან, ომის მონაწილეთაგან და სხვათაგან აუცილებლად აიღეთ ინტერვიუ. სოციალურად დაუცველი ფენის წარმომადგენლები ძირითადად თავისი დანაშაულებრივი ქმედებების გამო თუ ჩნდებიან მასმედიის საშუალებებით და ხშირად მათგან საერთოდ არ იღებენ ინტერვიუს. ამავე დროს, სამართალდამცავ ორგანოთა წარმომადგენლებს და სხვა „ექსპერტებს“, უპრობლემოდ შეუძლიათ საკუთარი შეხედულებების გამოხატვა. იმის გამო, რომ ამ სტერეოტიპებს ხშირად უურნალისტებიც იზიარებენ, ისინი უბრალოდ გადასცემენ მათ არაკვალიფიციურ მკითხველს.

\* დაუკავშირდით არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომელთა მისიაც უმუშევართა, ნარკომანთა, უსახლკაროთა და სხვა სოციალურად დაუცველთა დახმარებაში მდგომარეობს. ითანამშრომლეთ მათთან, რათა ისინი ინფორმაციის სანდო წყაროები გახდნენ. მოუწოდეთ მათ, რომ სტატიისათვის ახალი საინტერესო თემის გაჩენის შემთხვევაში აუცილებლად დაგიკავშირდნენ. ჰკითხეთ, მათ საქმიანობაში არსებულ პრობლემათაგან რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი? სთხოვეთ, რომ იმ ჯგუფის წევრებს შეგახვედრონ, რომელთა ინტერესებსაც წარმოადგენენ.

\* როდესაც უმუშევრებისაგან, ნარკომანებისგან ან სოციალურად დაუცველი ფენის სხვა წარმომადგენლებისგან იღებთ ინტერვიუს, მხოლოდ მათ საკითხებზე აქტუალური კითხვებით ნუ შემოიფარგლებით. ეცადეთ, სრულად გაიგოთ მათი ცხოვრება, მონახოთ რაიმე, რის მიმართაც მათ განსაკუთრებული გრძნობები ამოძრავებთ. ჰკითხეთ, რა აინტერესებთ, რისი კეთება უყვართ. დაუსვით კითხვები ოჯახის წევრების, ცხოველების, ანდა ნებისმიერი რამის შესახებ, რაც საშუალებას მოგცემთ, რომ თანაუგრძნოთ მათ. ეს ასევე დაგეხმარებათ, რომ მათთან დაკავშირებული საკითხები მხოლოდ ნაკლოვანებისა და უარყოფითი კუთხით არ განიხილოთ. ეცადეთ, რომ გადმოსცეთ, თუ რას წარმოადგენენ ისინი, როგორც პიროვნებები, აღწეროთ მათი ისტორია და რთული სულიერი ცხოვრება. ნუ გააშუქებთ მათ, როგორც მხოლოდ სოციალურად დაუცველი ჯგუფის წარმომადგენლებს.

\* სოციალური სირთულეები კონტექსტში უნდა განიხილოთ. თუ წარკომანია ერთ-ერთი მთავარი პრობლემა გახდა, გაარკვიეთ, რა ფაქტორებს შეეძლო ამის გამოწვევა. იქნებ ეს ეკონომიკური დაცემის გამო მოხდა, ანდა იქნებ ნარკოტიკები უფრო ადვილად საშოვნელი გახდა? თუ უმუშევრობის დონე მატულობს, ეცადეთ გაიგოთ, რა არის ამის გამოწვევი მიზეზი. იქნებ ადგილობრივი საწარმოები დაიხურა? ანდა იქნებ ექსპორტის მოცულობა შემცირდა? თუ სტატიას წერთ ყოფილი პატიმრის შესახებ, რომელმაც კვლავ ჩაიდინა დანაშაული, ეცადეთ გაიგოთ, რამდენად შესაძლებელია ყოფილი პატიმრებისთვის სამსახურის შოვნა. თუ მკითხველი მოვლენების მთელ სურათს ფლობს, მისთვის გაცილებით უფრო გასაგები გახდება სხვა ხალხის მდგომარეობა.

\* აღწერეთ ამ ჯგუფების ერთ-ერთი ისეთი წარმომადგენელი, რომელმაც რაიმე სირთულეს გაართვა თავი და წარმოუდგენელს მიაღწია. იქნებ არის ვინმე, ვინც ვერ შეძლო რომელიმე სფეროში სამსახურის შოვნა, მაგრამ მოახერხსა სხვა სფეროზე გადართვა და იქ წარმატებას მიაღწია. იქნებ ვინმე თავი დაანება ნარკოტიკებს და ორგანიზაცია ჩამოაყალიბა, რომ მსგავს სიტუაციში მყოფ პირებს დაეხმაროს. იქნებ ყოფილი პატიმარი გამოსწორდა და ხელოვნებაში აღიარებას მიაღწია?

\* ძალზე მნიშვნელოვანია, რომ მათთან, ვის შესახებაც წერთ, გარკვეული დრო დაყოთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მათ ნათქვამს უეჭველად უნდა ენდოთ. მათგან უამრავ მძიმე ამბავს გაიგებთ, მაგრამ სანამ არ დარწმუნდებით, რომ მონათხოვობი სინამდვილეს შეესა-

ბამება, მასალაში ყოველთვის ნათლად უნდა აღნიშნოთ თქვენ მიერ წარმოდგენილი ინ-ფორმაციის წყარო. მაგალითად, ნარკომანმა გითხრათ, რომ კვირაში მხოლოდ ერთხელ იკეთებს წამალს. რადგან ზუსტად არ იცით, ეს მართალია თუ არა, თქვენ უნდა დაწეროთ, რომ ამას ნარკომანი ამბობს, რომ კვირაში მხოლოდ ერთხელ იკეთებს წამალს. თუ უმუ-შევარმა ქალმა გითხრათ, რომ ათი სხვადასხვა ადგილიდან მიიღო სამსახურში მიღებაზე უარი, გაშუქებისას უნდა აღნიშნოთ, რომ ამას ქალბატონი ამბობს, რომ ათ სხვადასხვა სამუშაო ადგილზე უთხრეს სამსახურში მიღებაზე უარი, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს წამდვილად ასე იყო.

## სასწაულო მასალა

ეს სტატია, რომელიც პარლამენტის შენობასთან მდგარ მათხოვრებს ეხება, შერეულ სურათს გვთავაზობს. ბევრი ამგვარი სტატიისგან განსხვავებით, რომელიც სრულიად უარყოფით შთაბეჭდილებას ახდენს მეითხველზე, ეს თვით მათხოვრებისგან მონილებულ ინფორმაციას შეიცავს და გასაგება მანც ხდება მეითხველისთვის. ადვილია იმ უმუშევარ დედის მდგომარეობაში შესვლა, რომელიც მათხოვრობს, რომ შვილების მოსავლელად ფული იშოვოს. სტატია ასევე გვიჩვენებს განსხვავებას თვითონ მათხოვრებს შორისაც და ყველას ერთნაირად არ აკრიტიკებს.

## 7. ა) მათხოვრები პარლამენტის შესასვლელთან

გევორიკი ისევ საუკეთესოა

აშშ-სა და ბევრი სხვა ქვეყნისგან განსხვავებით, სომხეთში არავინ იცის, ზუსტად რამდენი ფული აქვს ხალხს, არც ის არის გარკეული, ვისა აქვს ყველაზე მეტი.

თუმცა, არსებობს საზოგადოებაში ღრმად გამჯდარი რწმენა, რომ ყველაზე უზრუნველყოფილი ჩვენში მაღალი თანამდებობის პირები, ცნობილი შენარმები და პოლიტიკური მოღვაწეები არიან. სომხეთში არსებობს ადამიანთა ჯავუფი, რომელიც დასპეციებულია ამ ხალხისგან ფულის გამორთმევაში. მაღალი თანამდებობის პირები, ცნობილი დეპუტატები, მეწარმეები, პოლიტიკური ფიგურები მათთვის ხელმისაწვდომი ხდებიან ეროვნული პარლამენტის სამდლიანი სხდომების დროს, შენობაში შესვლისას და გამოსვლისას. გუშინ, პარლამენტის რეგულარული სამდლიანი სხდომის მიმდინარეობისას, პარლამენტის დემირჭიანის სახელობის შესასვლელთან მხოლოდ ოთხი ასეთი მათხოვარი იდგა. ცნობილი „სემ<sup>1</sup> - გევორიკი“ ერთ მხარეს იდგა. მას სახელმწიფო მოხელეებისა და პოლიტიკური ფიგურებისგან ფულის მიღების დიდი გამოცდილება აქვს – ის ამ საქმიანობას მას შემდეგ მისდევს, რაც „სემ“ ხელისუფლებაში მოვიდა.

სხვებისგან განსხვავებით, გევორიკი ექსკუზზე ურად პოლიტიკურ ფიგურებსა და ცნობილ ადამიანებზე

◀ ეს უცნაური განაცხადია. აშშ-ში ან სხვა ქვეყნებში ზუსტად არ იციან, რამდენი ფული აქვს ხალხს. რის საფუძველზე ამტკიცებს ჟურნალისტი ამას?

ის მართლა ასე ცნობილია? ზუსტად რას გულისხმობს ჟურნალისტი? ის უბრალოდ სხვა მათხოვრებს შორის არის პოპულარული თუ პოლიტიკოსებშიც? ცნობილი იყო თუ არა ის, როგორც პოლიტიკური აქტივისტი? მართლაც ყველაზე ეფექტური მათხოვარია, თუ მხოლოდ ტრაბახობს? გარკვეული სახის კონტექსტის ცოდნა აქ სასარგებლო იქნებოდა.

<sup>1</sup> „სემ“ პოლიტიკური პარტიაა, „სომხეთის ეროვნული მოძრაობა“

მუშაობს, ის ფულს მხოლოდ პოპულარული ადამიანებისაგან იღებს. მას ეჯავრება პარლამენტის შესასვლელთან მრავლად მდგარი მათხოვრები და ეს უკანასკნელნიც სიძულვილით პასუხობენ.

ამ სიძულვილს თავისი საფუძველი აქვს. „შეხედვის-თანავე ვცნობ ფულის პოტენციურ მომცემს. მე მხოლოდ ასეთ ადამიანებს ვუახლოვდები და იმათ არ ვაწუხებ, ვინც ფულს არ იძლევა. ეს მათხოვრები კი ფულს ყველას სთხოვენ, ვისაც ეკ ჰალსტუხი უკეთია. ისინი, ვინც ფულს არ იძლევა, შენობაში შედიან, ჩივიან და პოლიციას უბრძანებენ ბრძოლაში შეაწუხეს.“ – მსჯელობს გევორიკი და აცხადებს, რომ თვითონ არასდროს მოსთხოვდა პოლიციას დანარჩენი მათხოვრების დაშლას.

გევორიკს თავისი შემოსავლის შესახებ საუბარი არ სურს. თუმცა, ამბობს, რომ სხვები სამდლიანი სხდომების პერიოდში დღეში 100 აშშ დოლარს შოულობენ. „მაშინ შენ 200-ს უნდა იღებდე?“ ჩემს შეკითხვაზე გევორიკი სარკასტულად პასუხობს, „რა, მარტო მაგისტრის მოვდივარ აქ?“

სხვა მათხოვრები ამბობენ, რომ ეს რიცხვი მოგონილია. ნორაშენის სოფელ არტაშის მკვიდრი გულნარა პოლოსიანი ამბობს, რომ ორი ინვალიდი ვაჟი ჰყავს და მათთვის და მათი შვილებისთვის საკვებისა და წამლის ფულს მათხოვრობით შოულობს. „ამდენ ფულს რომ ვშოულობდე, რატომ მექნებოდა აფთიაქში ვალი 24 000 დრამი,“ – ამბობს ქალბატონი გული. მიუხედავად ამისა, ის კმაყოფილებას გამოთქვამს იმ დეპუტატების მიმართ, რომლებიც მას დახმარებიან. „თითოეული თავისებურად მეხმარება. ზოგი ფულს ჯიბიდან ამოიღებს, თავის 5 000 დრამს გადადებს და მე ათასს მაძლევს, ზოგი კი თავისთვის 1000-ს ინახავს და მე ასა მაძლევს,“ – ამბობს ის. თუმცა იმ შემთხვევებსაც იხსენებს, როცა დეპუტატებს დიდი თანხა უჩუქებიათ. „მაგალითად, ჩვენი საარჩევნო ოლქების დეპუტატმა, მანველ ღაზარიანმა იმდენი ფული მომცა გასულ დეკემბერში, რომ სამი თვის განმავლობაში ვირჩენდით იმით თავს. ახალი წლის დღეს ჩემს შვილიშვილს ვუთხარი,

ასე მოფერებითი სახელით მოიხსენიებს მას ჟურნალისტი.



ძია მანველისთვის ელოცა ყოველი ჭამის წინ, „— ამბობს ქალბატონი გული.

მეორე მათხოვარი, ნორ-ნორკის მცხოვრები, ყვება, როგორ მისცა ერთხელ რუბენ ჰაირაპეტიანმა სამ მათხოვარს თითოს 10 000 დრამი. „თუ სხვები ბევრ ფულს გვაძლევენ, ყოველთვის გვეუბნებიან, სხვა მათხოვრებს გაუყავითო და ამით ჩსუბს იწვევენ“ — ამბობს ერთერთი მათხოვარი. ის ერთმანეთს ადარებს წინა მოწვევის და მოქმედ პარლამენტებს და ამბობს, წინა პარლამენტში მდიდრები ნაკლებად იყვნენ, მაგრამ ისინი მეტ ფულს იძლეოდნენ.

საერთოდ, მათხოვრებს ეშინიათ ხოლმე იმათი დასახელება, ვინც მათ ფულის მიცემაზე უარს ეუბნება. „თუ ისინი ფულს არ გვაძლევენ, გზაზე მაინც წე გადაგვიდგებიან. თუ საყვედურს ვიტყვით, ისინი გვიჩივლებენ“, — ამბობენ მათხოვრები. მათ ყველაზე მეტად პოლიციისა ეშინიათ და, — რა უცნაურიც არ უნდა იყოს — გევორიკისა. ხანდახან, პოლიცია ცდილობს პარლამენტის დემირჭიანის სახელობის შესასვლელთან შეჯგუფებული მათხოვრების დაშლას. პოლიციისაგან განსხვავებით, გევორიკი ამას უფრო წარმატებით აკეთებს. ისინი ამბობენ, რომ თუ თუ გევორიკი პარლამენტის შესასვლელთან არ მოდის, მათხოვრების რიცხვი იმ დღეს იზრდება, რადგან არ არის მათხოვარი, გევორიკის წიხლი რომ არ მოხვედროდეს., როდესაც ვეკითხებით, რატომ არ სჯის მას პოლიცია ამისათვის, ისინი პასუხად სასოწარკვეთით იჩეჩავენ მხრებს. მათ იციან, რომ, მათგან განსხვავებით, გევორიკი მოწყალებას დოლარებით იღებს და სპონსორები ჰყავს თანამდებობის პირებსა და პოლიციელებს შორის.

მათხოვრები თითქმის არასდროს ითხოვენ ფულს ოპოზიციისგან. „ვიცით, რომ იმათ ფული არა აქვთ“, — ამბობენ მათხოვრები. მათ ეშინიათ საკუთარი პოლიტიკურ სიმპათიებზე საუბრისა, რადგან ამან შეიძლება გავლენა მოახდინოს მოწყალების გამცემი დეპუტატების ან იმ დეპუტატების განწყობაზეც, რომლებიც ფულს არ აძლევენ. სხვათა შორის, გუშინ ჩვენ რამდენიმე მათხოვარს ვკითხეთ ერევნის ქუჩებში, თუ მიუღია რომელიმე მათგანს ოდესმე 10 000 — დრამიანი ბანკ-

► ეს ეფექტური და ამაღელვებელი აღნერაა. აშკარაა, რომ მეოთხელმა სიბრალული უნდა იგრძნოს ქალბატონი გულის მიმართ და გაითავისოს ის მიზეზები, რომელთა გამოც ის მათხოვრობს. ის პარაზიტად არ არის წარმოდგენილი. დეტალი ადგილობრივი დეპუტატის შესახებ კარგად არის ჩართული.

◀ ამას ყველა ერთხმად აცხადებს? ყველაზე კარგი იქნება თითოეული ციტატის ბრჭყალებში ჩასმა, ერთის მიერ გამოიქმული აზრი ბევრის ნათქვამი რომ არ გვეგონოს.

ნოტი. „ისინი 10 დრამსაც კი არ იძლევიან, 10 000-ზე რომ არაფერი ვთქვათ. ყველაზე ბევრი, რაც კი ოდეს-მე მოუციათ, 500 დრამია.“ თქვა ერთ-ერთმა მათხოვარმა. მეორე მათხოვარს გაუმართლა, რამდენჯერმე 1 000 დრამი იშოვა, მაგრამ მას 10 000 დრამიან ბანკ-ნოტზე არც კი უოცნებია.

გაზეთი „ჰაიკაკან უამანაკი“,  
ერევანი, სომხეთი, 2004 წლის 11 მაისი

---

8. მოხუცებულები და პენსიონერები

## მოხუცებულები და პენსიონერები

**3** ოსტკომუნისტურ ქვეყნებში ძალიან ბევრი მოხუცებული აღმოჩნდა გაუსაძლის დღეში. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მათი პენსია საქმარისი იყო ნორმა-ლური ცხოვრებისათვის, სოციალურმა და ეკონომიკურმა ცვლილებებმა ბევრი მოხუცი აიძულა ლუკმაპურის საშოვნელად გამოსულიყო. ინფლაციამ ბევრს წაართვა საქონლისა და მომსახურების ყიდვის უნარი და აიძულა, რომ მათ-ხოვრობით ერჩინა თავი.

მიუხედავად იმისა, რომ ეს პრობლემები ყველასათვის ცხადია, უურნალისტები იშვიათად ამახვილებენ მათზე ყურადღებას. როდესაც კი მასმედიაში მოხუცებული ადამიანი გაშუქებულა, ეს თითქმის ყოველთვის, ძონძებით მოსილი და წელში მოხრილი ბებია, რომელიც წუნუნებს, რომ ყველაფერი ისე არ არის, როგორც ადრე იყო. მოხუცებულები იშვიათად არიან წარმოდგენილი აქტიურ, განათლებულ პიროვნებებად; ისინი იშვიათად არიან მიმზიდველი, საკუთარი უფლებებისათვის მებრძოლი ადამიანები და არა გარემოებების პასიური მსხვერპლი.

რამდენიმე რჩევას გთავაზობთ, რომლებიც მოხუცებულთა გაცილებით მრავალფეროვანი სახეების შექმნაში დაგეხმარებათ:

\* გაიგეთ, არის თუ არა თქვენს ქალაქება თუ რეგიონში ისეთი ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობას მოხუცებულთა დახმარება წარმოადგენს. გაესაუბრეთ მათ იმ საკითხებზე, რომლებიც მოხუცებულებს აწუხებთ. ეწვიეთ პარკს ან საზოგადოებრივი თავშეყრის ისეთ ადგილებს, სადაც მოხუცები ხშირად იყრიან თავს. ჰკითხეთ, რა საკითხებზე უხდებათ მათ ზრუნვა. ალბათ გგონიათ, რომ თქვენთვის ცნობილია მოხუცებისათვის საჭიროობო ყველა საკითხი. თუ მათთან გარკვეულ დროს დაყოფთ და საკითხების შესწავლას ეცდებით, იმდენ ახალ რამეს შეიტყობთ, თვითონაც გაგიკვირდებათ.

\* ფინანსური სირთულეები უდაოდ ძალზე მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს ერთადერთი ასპექტი არ გახლავთ, რომელსაც შესწავლას სჭირდება. მაგალითად, სცადეთ ყურადღება მოხუცებულთა ჯანდაცვის საკითხებზე გაამახვილოთ. რა დაავადებებია ფართოდ გავრცელებული მოხუცებს შორის და სად შეუძლიათ სამედიცინო მომსახურების მიღება? როგორ მკურნალობენ მათ საავადმყოფოებსა და კლინიკებში? არის თუ არა ეკონომიკური სიდუხჭირე მათი მწირი კვებისა და ცუდი ნუტრიციული მდგომარეობის ერთ-ერთი მიზეზი?

\* მოხუცებულთა ურთიერთობა შვილებთან და შვილიშვილებთან დრამატულად შეიცვალა გასული ათწლეულის მანძილზე. უკეთესი ცხოვრების ძიებაში მრავალ ახალგაზრდას მოუხდა საცხოვრებლად სხვაგან გადასვლა და მშობლების დატოვება. ბევრი ოჯახი საომარი მოქმედებების შედეგად გაიხლიჩა. ომების შედეგად მიღებული ინვალიდობის ანდა წევრის დაღუპვის გამო ბევრ ოჯახს უწევს ბრძოლა გადარჩენისათვის. შეისწავლეთ ეს საკითხები და დაწერეთ მათ შესახებ. დაწერეთ, რა გავლენა იქონია ეკონომიკურმა და სოციალურმა ცვლილებებმა ოჯახურ ვითარებაზე.

\* ერთი ან რამდენიმე დღე გაატარეთ მოხუცებულთან, რომელიც ქუჩაში მათხოვრობით ირჩენს თავს და შემდეგ დაწერეთ მის შესახებ. დაწერეთ, როგორ რეაგირებს ხალხი. რა გრძნობები ეუფლება თავად მოხუცებულს, როდესაც ამას აკეთებს? რა თანხის მოგროვებას ახერხებს ერთი დღის განმავლობაში? რაში ხარჯავს ამ ფულს? როგორ არჩევს ადგილს მათხოვრობისათვის?

\* იგივე გააკეთეთ ქუჩაში შოკოლადის, სუნამოს, ან რაიმე სხვა წვრილმანი ნივთების გამყიდველ მოხუცებულთან. გაარკვიეთ ამ მდგომარეობის ეკონომიკური ასპექტები. საიდან იღებენ საქონელს და რა უჯდებათ? დღეში რამდენს შოულობენ? გაიგეთ, რა პრობლემებს აწყდებიან ისინი ხელისუფლების წარმომადგენლებთან.

\* აღნერეთ მოხუცებულები, რომლებიც უჩვეულო რამეს აკეთებენ. გაიგეთ, არის თუ არა თქვენს მახლობლად ცნობილი მსახიობი, ექიმი, იურისტი ანდა სხვა პროფესიის ადამიანი, რომელიც საპენსიო ასაკის დადგომის შემდეგაც აგრძელებს მუშაობას. მონახეთ ისეთი მოხუცებულები, მნიშვნელობა არა აქვს ცნობილი იქნებიან თუ არა, რომლებსაც უჩვეულო უნარ-ჩვევები აქვთ, ან რაიმე საინტერესო საქმიანობა იჭაცებთ, ანდა მოხუცებულები, რომლებიც სპორტით ან სხვა ფიზიკური საქმიანობით არიან დაკავებულნი. გაიგეთ, ეხმარება თუ არა მათ ეს ინტერესები იმაში, რომ ახალგაზრდად და ცხოვრების მონაწილედ იგრძნონ თავი.

\* დაწერეთ სტატია, რომელშიც „ეიჯიზმის“ საკითხს განიხილავთ. ამ ცნებამ, რომელიც მოხუცებულთა მიმართ არსებულ წინასწარგანწყობას და მათი ასაკობრივი ნიშნით დისკრიმინაციას გულისხმობს, დიდი ყურადღება მიიპყრო დასავლეთში. იგი მოხუცებულთა ცხოვრების მრავალი ასპექტის უმთავრეს ხელის შემშლელ პრობლემად იქნა აღიარებული. გაიგეთ, არის თუ არა ამ საკითხისადმი ასეთივე დამოკიდებულება თქვენს რეგიონში. უწევენ თუ არა მოხუცებს დისკრიმინაციას სამსახურებრივ თუ ცხოვრების სხვა სფეროებში?

## სასწაულო მსალე

### 8. ა) ნახევარი საარჩევნო ხმა 60 წელს გადაცილებულებს

ლიბერალური ალიანსის დელეგატებმა ვესნა პეროვიჩმა და ლაბუდ სლუკიჩმა წამოაყენეს წინადადება, რომ 60 წლს გადაცილებულ ადამიანებს მხოლოდ „ნახევარი საარჩევნო ხმის“ უფლება ჰქონდეთ რეფერენციუმში, რომელიც მონტენეგროს მომავალს შეეხება. პოდგორიცას საინფორმაციო საშუალებების მიერ დღეს გავრცელებული ინფორმაციით ლიბერალური ალიანსის დელეგატებმა განაცხადეს, რომ 20 და 60 წლის ადამიანებს არ შეუძლიათ ერთი და იგივე პასუხისმგებლობა იტვირთონ მონტენეგროს მომავლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში.

„დანას/ბეტა“, ბელგრადი,  
2000 წლის 20 დეკემბერი

◀ რით შეიძლება აიხსნას 20 წლის ადამიანისთვის უფრო მეტი ხმის უფლების მინჯება? იმით, რომ მათ წინ უფრო ხანგრძლივი ცხოვრება აქვთ? 20 წლისებს უფრო მეტი ხმის უფლება უნდა ჰქონდეთ, ვიდრე 40 წლის ადამიანებს? რა ვუყოთ 50 წლის ხალხს? სჯერათ თუ არა ამ წინადადების ავტორებს, რომ 80 წლის ადამიანებს საერთოდ არ უნდა ჰქონდეთ საარჩევნო უფლება?

---

9. ლტოლვილები და ქვეყნის შიგნით  
იძელებით გადაადგილებული პირები

## ლტოლვილები და ქვეყნის შიგნით იძულებით გადააღმილებული პირები

**ქ**ოლო ათწლეულის მანძილზე სამხრეთ კავკასიაში მომხდარმა კონფლიქტებმა და დაპირისპირებამ ლტოლვილთა ტალღა წარმოშვა. ზოგიერთმა გადალახა საზღვარი და სხვა ქვეყნებში საშინელ პირობებში უწევს ცხოვრება; სხვები ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებული პირები არიან, რომლებსაც უბრალოდ აღარ გააჩნიათ საკუთარი სახლი და აღარ ძალუქთ დამოუკიდებლად ცხოვრება. ბევრმა შეძლო საკუთარი ოჯახის შენარჩუნება, მაგრამ სხვებმა მშობლები, მეუღლები და შვილები დაკარგეს მშვიდობიან მოსახლეობაზე თავდასხმის ან ავადმყოფობის, ყველაზე ნაკლებად მტკიცნეულ შემთხვევაში კი, იმიგრაციის შედეგად.

ბუნებრივია, რომ ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებული პირებისა და ლტოლვილების არსებობამ უზარმაზარი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური დაწოლა გამოიწვია იმ რეგიონებში, სადაც ისინი აღმოჩნდნენ. ბევრ ადგილას, დიდი ხნის მცხოვრებლებიც, რომლებიც თვითონაც ცდილობდნენ ახალ და, ხშირად, მძიმე პირობებში ცხოვრებასთან შეგუებას, ხელგაშლით არ შეგებებიან ამ ადამიანების მოსვლას. პოლიტიკოსები ხშირად ცდილობენ თავიანთი პოპულარობის გაზრდას ადგილობრივ მოსახლეობაში მათ წინააღმდეგ უარყოფითი განწყობის ხელშეწყობით.

დაძაბულობის შემცირების საქმეში უურნალისტებს მნიშვნელოვანი როლის თამაში შეუძლიათ.

\* შეაფასეთ, თუ როგორ აშუქებდა მასმედია საკითხებს ლტოლვილთა შესახებ და იყო თუ არა რამე გამორჩენილი. მხოლოდ იმ სტატიებში ხომ არ აშუქებენ მათ, რომლებიც მაგალითად, დანაშაულებრივ ქმედებებს შეეხება? ანდა, თუ ყოფილა მასალა იმის შესახებ, რა გზებით ცდილობენ საკუთარი თავის შველას, ან რა გზებს პოულობენ საკუთარი ცხოვრების გასაუმჯობესებლად? იქნებ ისეთი სტატია გამოგიქვეყნებიათ, რომელშიც პოლიტიკოსები და ადგილობრივი მოსახლეობა უკმაყოფილებას გამოთქვამენ ლტოლვილებთან დაკავშირებული პრობლემების გამო და თავად ლტოლვილებისათვის კი არ მიგიციათ შესაძლებლობა, რომ პასუხი გაეცათ მათთვის?

\* ლტოლვილების შესახებ გამოქვეყნებული მასალების დიდი ნაწილი, მათ დანაშაულებრივ ქმედებებს უსვამს ხაზს. რა თქმა უნდა, დანაშაულებრივი

ქმედებები პრობლემაა, მაგრამ, როდესაც მათ შესახებ წერთ, იმ კონტექსტის განხილვაც მნიშვნელოვანია, რომლის ფონზეც ხდება დანაშაული. როგორია ლტოლვილებს შორის უმუშევრობის დონე? როგორი ტრავმები განიცადეს მათ? რამდენი შვილის გამოკვება უწევთ? ამით თქვენ დანაშაულებრივი ქმედების გამართლებას კი არ ცდილობთ, არამედ ცდილობთ აღწეროთ ის გაუსაძლისი მდგომარეობა, რომელშიც ლტოლვილებს უწევთ ცხოვრება.

\* დაყავით გარკვეული დრო თქვენს ახლო-მახლო ლტოლვილების საცხოვრებელ ადგილებში და ეცადეთ, რაც შეიძლება მეტ ხალხს გაესაუბროთ. დაწერეთ სტატია, რომელშიც აღწერთ იმას, რაც იქ იხილეთ. რა პირობებში ცხოვრობენ? რანაირი სახლები აქვთ? წყალი თუ მოდის მათთან? ბავშვები სკოლაში თუ დადიან? რას ჭამენ?

\* დაამყარეთ კავშირები ადგილობრივ თუ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც ლტოლვილთა საკითხებზე მუშაობენ ან მათ ინტერესებს წარმოადგენენ. გაიგეთ, რას აკეთებენ ეს ორგანიზაციები მათ დასახმარებლად. ჰკითხეთ, თქვენს რეგიონში მცხოვრებ ლტოლვილთათვის რა საკითხებია ყველაზე აქტუალური. სთხოვთ მოგისერხონ, რომ ერთი დღე დაყოთ ლტოლვილთა ოჯახში, რათა რეალურად შეიცნოთ, როგორია მათი ცხოვრება.

\* მოძებნეთ ერთი-ორი ისეთი ლტოლვილი, რომლებმაც სირთულეების გადალახვის გზა გამონახეს. ჰკითხეთ, როგორ მოახერხეს სამსახურის, საცხოვრებლის, საჭმლის შოვნა? ანდა როგორ მოახერხეს შვილებისთვის განათლების მიცემა? ჰკითხეთ, როგორ შეძლეს ამ გარემოებების დაძლევა? სხვა ოჯახებსაც ხომ არ მისცემდნენ რაიმე რჩევას?

\* აღწერეთ ისეთი ლტოლვილი, რომელიც სხვა მისნაირის მდგომარეობის გაუმჯებესებას ცდილობს. იქნებ იქვე ვინმერ სკოლა ჩამოაყალიბა? თუ ასეთი რამ მოხდა, ერთი დღე გაატარეთ ასეთ სკოლაში და შემდეგ აღწერეთ. არის ვინმე, ვინც ლტოლვილებს სამუშაოს მოძებნაში ეხმარება? იქნებ არის ვინმე, ვინც მათ ქაოსის, ომისა და არეულობის ჟამს დაკარგული ნათესავების ძებნაში ეხმარება?

\* დაწერეთ სტატია ლტოლვილთა ფსიქოლოგიური ან მათ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც მათი საზოგადოებასთან რე-ინტეგრაციის მცდელობისას წამოიქრება. ჰკითხეთ ექიმებს, რამდენი მათგანი იტანჯება პოსტტრავმული სტრესითა და სხვა ემოციური პრობლემებით. რომელი დაავადებებია განსაკუთრებით ხშირი ლტოლვილთა შორის და თუ დგამს ხელისუფლება რაიმე ნაბიჯებს ამ პრობლემების გადასაწყვეტად?

## სასწაულო მსაკლა

ეს სტატია იძულებით გადაადგილებულ პირებზე ისეთი პატივისცემითა და თანაგრძნობით ლაპარაკობს, როგორსაც ისინი ნამდვილად იმსახურებენ. ბევრი სტატიისგან განსხვავებით, ის განიხილავს მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით გადადგმულ დადებით ნაბიჯებსაც და არ ცდილობს მტრული დამოკიდებულების გამოხატვას ან საყვედურების თქმას. თუმცა არც აქ არ იძლევა ბევრ კონკრეტულ ინფორმაციას აზერბაჯანში იძულებით გადაადგილებული პირების მდგომარეობის შესახებ. ასევე არ იძლევა სწავლების პროექტთან დაკავშირებულ დეტალებს, მაგალითად, რა თანხა იხარჯება ამაზე და როგორია რეაქცია იძულებით გადაადგილებულ პირთა შორის? იმის გამო, რომ სტატიაში არც ერთ მათგანთან არ არის ინტერვიუ, მკითხველს არ შეუძლია თავისი ცხოვრების ნამდვილი სურათის დანახვა.

## ¶. ა) იძულებით გადაადგილებულ პირებს იურიდიული დახმარებით უზრუნველყოფენ

ჟერბაიჯანის ახალგაზრდა იურისტთა კავშირი ახორციელებს პროექტს სათაურით „იურიდიული სწავლება იძულებით გადაადგილებულ პირთათვის.“

კაცობრიობამ 21-ე საუკუნეში თავისი მეცნიერული და ტექნოლოგიური პროგრესის პიკს მიაღწია. მაგრამ დღეს, როგორც შუა საუკუნეებში, ხალხი ჯერ კიდევ ლაპარაკობს „ჭირის“ შესახებ. ეს დაავადება, რომელიც გავლენას ახდენს მორალურ სფეროზე, ჯერ კიდევ არსებობს და არ იკურნება. ეს სამედიცინო ტერმინი დღესდღეობით შეიძლება გამოყენებული იქნას ისეთი მრავალრიცხოვნი ვირუსების დასასასიათებლად, როგორიცაა ტერორიზმი, ნაციონალიზმი, რასიზმი და რელიგიური შეუწყნარებლობა. ეს გავლენას ახდენს საზოგადოებაზე. სწორედ შეუწყნარებლობა იწვევს სიბრაზეს, შურისძიებას და, შედეგად, ამოქმედებს საშინელ სამხედრო მანქანას, ჯარისკაცებად ან ომის მსხვერპლად გადააქცევს ადამიანებს, ართმევს მათ ცხოვრების უფლებას, საკუთარ ჭერს და არსებობის საშუალებას. ტერორიზმის მსხვერპლი საკუთარ თავს არარაობად და საზოგადოებისაგან გარიყულად გრძნობენ. ასეთი ცხოვრება ერგოთ წილად ლტოლვილებს.

ერთ-ერთი გლობალური პრობლემა, რაც მესამე ათას-წლეულის დასაწყისში მსოფლიო საზოგადოებრიობის წი-

აშ სტატიის დასაწყისში რიტო-რიკა ცოტა გადაჭარბებულია. ის მსოფლიოში არსებულ პრობლემებს მთლიანად „შეუწყნარებლობას“ აბრალებს, რაც, ალბათ, ერთ-ერთი ისეთივე ფაქტორთაგანია, როგორც სხვა დაბარჩენი. ამთ, უურნალისტი აჩვენებს, რომ ის არ იჭერს რომელიმე ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფის მხარეს. ის უბრალოდ „შეუწყნარებლობის“ წინააღმდეგია.

ნაშე დგას, არის ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემა. სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყანა ჯერ კიდევ ლიდერობს ლტოლვილთა რაოდენობის თვალსაზრისით. საერთო ჯამში, დღეს აზერბაიჯანში მილიონზე მეტი ლტოლვილია სომხეთიდან და იძულებით გადაადგილებული პირი ქვეყნის ოკუპირებული ტერიტორიებიდან.

ხელისუფლებას აქვს საშუალებები, რომლებც შეიძლება და უნდა იყოს გამოყენებული 21-ე საუკუნის ამ სენის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ მიზნით მან მხოლოდ უნდა მოუსმინოს იმ ხალხს, რომელიც ითხოვს დახმარებას, უნდა გაუჩნდეს მათდამი თანაგრძნობა. რა თქმა უნდა, შესაძლებელია ვინმე ფინანსურად დაეხმაროს მათ, ან თავშესაფარი აპოვნინოს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დახმარების თხოვნა რჩება ხმად „მღალადებლისა უდაბნოსა შინა“. ისინი, ვინც უარყოფს ამ ფაქტის არსებობას ჩვენს საზოგადოებაში, უბრალოდ მატყუარები არიან.

განათლებას ჩვენი დროის ჭირის წინააღმდეგ ბრძოლაში ლომის წილის შეტანა შეუძლია.

მაგალითად, იძულებით გადაადგილებულ პირებს, რომელთა უფლებებიც მრავალჯერ დაირღვა, წარმოადგენა არა აქვთ საკუთარი უფლებების შესახებ. ამასთან დაკავშირებით, აზერბაიჯანის ახალგაზრდა იურისტთა კავშირმა მიმდინარე წლის ოქტომბრის დასაწყისში წამოიწყო პროექტი სახელნოდებით „იურიდიული სწავლება იძულებით გადაადგილებულ პირთათვის.“ პროექტი ხორციელდება ჰოლანდიის ლტოლვილთა საბჭოს ფინანსური მხარდაჭერით. მისი მთავარი მიზანია დახმარება გაუნიოს ასობით იძულებით

კარგი იქნებოდა, რომ უურნალისტს განემარტა, რა უნდა გააკეთოს მათვების ხელისუფლებამ – პროგრამები შეიმუშაოს, სახლები აუშენოს, სამსახური უშოვლის თუ რა? – და შემდეგ მიეღო პასუხი მთავრობისგან, თუ რატომ არ აკეთებს ამას.

◀ ეს საკამათო საკითხია. რა თქმა უნდა, ლტოლვილებისა და ქვეყნის შიგნით გადაადგილებული პირებისათვის საჭიროა საკუთარი უფლებების ცოდნა. მაგრამ ერთია იცოდე საკუთარი უფლებები, და მეორე, რამდენად შეგიძლია ამ უფლებების გამოყენება. ამან შეიძლება უბრალოდ უკეთ დაგანახვოს, თუ რამდენად უგულებელყოფილია შენი უფლებები.

აქ კარგი იქნებოდა პროგრამის უფრო დეტალურად აღწერა. ზუსტად რას წარმოადგენს ეს პროგრამა? როგორ ეწევა ის იძულებით გადაადგილებული პირების განათლებას: ჯგუფური მუშაობითა და სემინარებით, სარეკლამო კამპანიის საშუალებით? რა რაოდენობით თანხა იხარჯება ამაზე? მაიც რა სახის სამართლებრივი შესაძლებლობები აქვთ ამ ადამიანებს?

რა ხანგრძლივობისაა ეს კურსები? რა თემები შედის მასში? თუ ამდენი ლტოლვლია, როგორ შეიძლება სამ თვეში დასრულდეს მთელი პროექტი? ექნება თუ არა პროექტს შემდგომი გაგრძელება? რა დამოკიდებულება აქვთ იძულებით გადაადგილებულ პირებს? ალბათ კარგი იქნება, თუ უურნალისტი ერთ-ერთ სემინარს დაესწრება და და გააშუქებს.

რისგან შედგებოდა პირველი ფაზა? ეს ის სამი თვეა, რომელიც ზემოთ იყო ნახსენები, თუ არის მეორე ფაზაც? პროექტის შესახებ მოყვანილი დეტალები გაუგებრობას წარმოშობს.

გადაადგილებულ პირს, რომელთაც არა აქვთ იურიდიული მომსახურებით სარგებლობის შესაძლებლობა, რომ მათ თავად შეეძლოთ საკუთარი უფლებების დაცვა.

ახალგაზრდა იურისტთა კავშირის პრესმდივანმა ნიგარ მალიკოვამ აღნიშნა, რომ პროექტი სამ თვეში დამთავრდება. კავშირის ექსპერტებმა პროექტის ფარგლებში უკვე ჩაატარეს რამდენიმე სასწავლო კურსი ლტოლვილებით დასახლებულ ადგილებში. მალიკოვას თქმით, სწავლება ტარდება ზოგადად გაეროს დოკუმენტების საფუძველზე, რომლებშიც შედის კონვენციები და ხელშეკრულებები ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებული პირების უფლებების დაცვის შესახებ.

სასწავლო კურსის დროს, ლტოლვილები ახლოს გაეცნენ აზერბაიჯანში მოქმედ კანონმდებლობას, რომელიც ამ კატეგორიის ადამიანების უფლებებს არეგულირებს: ესენია შესაბმისი საცხოვრებელი პირობების უფლება, განათლების უფლება, ახლო ნათესავების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება, უფასო სამედიცინო დახმარების უფლება, საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ფლობის, იძულებითი მიგრაციისგან თავდაცვის, თავისუფალი გადაადგილების უფლება და ა.შ.

თუმცა, მალიკოვას თქმით, როგორც წესი, სამთავრობო დაწესებულებები არ უზრუნველყოფენ იძულებით გადაადგილებულ პირებს ყველა არსებული ინფორმაციით მათი უფლებების, დახმარებების და სხვა საკითხების შესახებ. რაც შეეხება პროექტს, პირველი ფაზა უკვე დამთავრდა.

გაზეთი „ზერკალი“,  
ბაქო, აზერბაიჯანი, 2004 წლის 24 ოქტომბერი

ეს უურნალისტი აშკარად ფიქრობს, რომ ყველა სომეხი, რომელიც საკუთარ სახლს დაუპრუნდება აზერბაიჯანში, ამით თავის თანამემამულებს უდალატებს. როგორც ჩანს, მას ისიც სჯერა, რომ სომხეთის ხელისუფლების კრიტიკა მიუღებელია. იმის მაგივრად, რომ მონათხრობის შინაარსზე გაამახვილოს ყურადღება, სტატია უბრალდ თავს ესხმის ორ სომეხს, რომლებიც, სავარაუდოდ, არც ისე პატრიოტები არიან. ზუსტად რა თქვეს მათ პრესკონფერენციაზე? რამდენად სწორია მათი კრიტიკა? კარგი იქნებოდა ამის ცოდნა. სანაცვლოდ, უურნალისტი უბრალოდ ლანძღავს ორ კაცს.

## ¶. გ) ანტისომხეური თამაშები სომხების დახმარებით

ეს დღეების აზერბაიჯანული პრესა სავსეა სტატიებით პრესკონფერენციის შესახებ, რომელიც სომეხმა იმიგრანტებმა, რომან ტარიანმა და არტურ აპრესიანმა მოაწყვეს ბაქოში. ბუნებრივია, ორი სომეხი ბაქოში იმისთვის ჩამოვიდა, რომ საკუთარი სამშობლო გაეკრიტიკებინა. რომან ტარიანი და არტურ აპრესიანი ნამდვილი ადამიანები არიან, რომლებიც ბაქოდან წავიდნენ და სომხეთში 10 წელზე დიდხანს ცხოვრობდნენ.

სომხეთის მთავრობის დაქვემდებარებაში მყოფი მიგრაციისა და ლტოლვილთა სააგენტოს ხელმძღვანელმა, გაგიკ იეგანიანმა გვითხრა: რომან ტარიანი სომხეთში, კორიუნის 23-ში ცხოვრობდა და მაღაზიაში მუშაობდა. გაგიკ იეგანიანის თქმით, მის სააგენტოს ბევრმა გალიზიანებულმა ლტოლვილმა მიმართა, რომლებიც აღაშფოთა სამშობლოს მოღალატეების საქციელმა. სხვათა შორის, რომან ტარიანის ყოფილმა მეუღლემ, აიდამაც მიმართა სააგენტოს. მან თქვა, მისმა საქციელმა დამანახა, რომ მართალი ვიყავი, როცა ქმარს გავშორდი, უბრალოდ ვწუხვარ, რომ ჩემი ორი შვილი ამ კაცის გვარს ატარებს.

ღრმა ანალიზის გარეშეც ნათელია, რომ ეს ჩვენი მეზობლების დიდი შრომის შედეგია. მიზანი სომხეთის კიდევ ერთხელ კომპრომეტირებაა, თითქოს ჩვენ კორუფციასა და უკანონობაში ვიხრჩობოდეთ, აზერბაიჯანი კი ისეთი დემოკრატიული იყოს, რომ ის მზადაც კი არის, ბაქოში მიიღოს განამებული სომხები. სამწუხაროდ,

უურნალისტი პირადად ესაუბრა აიდას, თუ ეს ინფორმაცია მას იეგანიანმა მიაწოდა? მეორე ხელის ინფორმაცია, განსაკუთრებით, ისეთი, რომელსაც ვინმე საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად იყენებს, არ შეიძლება სარწმუნოდ ჩაითვალოს. თუ უურნალისტს ეს ინფორმაცია ტარიანის მეუღლისგან არ მიუღაა, მას ის სტატიაში არ უნდა შეეტანა.



შეიძლება მათ დაპირდნენ ან არ დაპირდნენ რამეს, მაგრამ უურნალისტმა დიდი მონდომებით უნდა გადამოწმოს სომხების განცხადებები და განსაზღვროს, სიმართლეს შეესაბამება თუ არა ისინი. უბრალოდ, ორი ადამიანისა და აზერბაიჯანის ხელისუფლების გაკრიტიკება დამადასტურებელი საბუთის გარეშე არანაირად არ ჰქონის ნათელს არსებულ სიტუაციას.

ესე იგი, სომხებმა არ შეიძლება გააქრიტიკონ ქვეყნის პრეზიდენტი? ეს არაპატრიოტულობის ნიშანია?

საერთაშორისო საზოგადოებრიობა შეცდომაშია შეყვანილი ჩვენივე თანამემამულების დახმარებით, რომლებმაც, ალბათ, დაპირებები მიიღეს აზერბაიჯანის ხელისუფლებისგან. ღრმა ანალიზის ჩატარების გარეშეც ნათელია, რომ ეს ერთერთი ჩვეულებრივი მაგალითია მრავალრიცხოვანი აზერბაიჯანული თამაშებიდან. ჩვენ უბრალოდ უნდა დავსვათ ორიოდე ლოგიკური შეკითხვა და შევეცადოთ მათზე პასუხების გაცემას. პირველი და უმთავრესი შეკითხვა: „როგორ მოახერხეს სომხებმა აზერბაიჯანში ჩაღწევა?“ აშკარაა, რომ აზერბაიჯანის ხელისუფლების დახმარების გარეშე ისინი ამას ვერ შეძლებდნენ. უბრალოდ, გაიხსენეთ ბოლოდორინდელი აზერბაიჯანული ისტერია, როცა სომხები აპირებდნენ ნატოს პროგრამის „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ ფარგლებში ჩატარებულ სამხედრო წვრთნებში მონაწილეობის მიღებას.

აშკარაა, რომ ეს ორი ბაქოში იმ მიზნით ჩავიდა, რომ საყვედურები ეთქვათ სომხეთში ლტოლვილების მძიმე სოციალურ პირობებზე, მაშინ, როცა აზერბაიჯანში ლტოლვილები ღია ცის ქვეშ, კარვებში ცხოვრობენ. ისინი აშკარად არასწორი მისამართით გამოთქვამდნენ ამ საყვედურებს. ჩვენმა თანამემამულებმა პოლიტიკური საკითხებიც დასვეს: მათ თქვეს, რომ ეზიზლებათ რობერტ ქოჩარიანი და ფიქრობენ, რომ ქვეყნის პრეზიდენტი სტეფან დემირჭიანი უნდა იყოს.

გასაგებია, რატომაც არ უყვართ რობერტ ქოჩარიანი აზერბაიჯანში, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სტეფან დემირჭიანის თანამემამულენი მასაც დათვურ სამსახურს უწევენ.

რას მოელიან რომან ტარიანი და არტურ აპრესიანი? ისინი როგორდაც იმედოვნებენ, რომ ამდენი მონდომების შემდეგ მდიდარ ქვეყანაში იპოვიან თავშესაფარს. მაგრამ იქნებ ჩვენი თანამემამულები ბაქოში დარჩენას აპირებენ, თუ იქ მათ ასე კარგად ექცევიან. სომხეთის მიგრაციისა და

ეს გაფრთხილება ისე უდერს, თითქოს უურნალისტი მართლაც იმედოვნებს, რომ მათ ვინმე მოკლავს. როგორიც არ უნდა იყოს უურნალისტის პირადი განცდები არსებულ სიტუაციასთან დაეავშირებით, მისი მხრიდან ასეთი მოსაზრებების გამოთქმა გამაღიზიანებელი და არა-ეთიკურია.

ლტოლვილთა სააგენტოში, თავიანთ პირად საქმეებში აპრესიანმა და ტარიანმა მიუთითეს, რომ მათ ბაქოში ოთხოთახიანი ბინები დაკარგეს. ალბათ მათ იმის დაბრუნება სურთ, რაც დაკარგეს. მაგრამ მათ სიფრთხისილე არ აწყენდათ, რადგან ყოველთვის იარსებებს მათი დაუნდობლად მოკვლის საშიშროება.

გაზეთი „აზგ“,  
ერევანი, სომხეთი,  
2004 წლის 16 აპრილი

◀ ადამიანის პირად საქმეებში არსებული ინფორმაცია ყველასთვის ხელმისაწვდომია, ვინც მის ნახვას მოისურვებს? ის, რომ ვიღაცა ისე იქცევა, რომ სხვებს არ მოსწონთ, არ ნაშნავს იმას, რომ მისი პირადი ინფორმაცია სხვებისთვის უნდა გახდეს ხელმისაწვდომი. უურნალისტმა უნდა მიუთითოს, საიდან მიიღო ინფორმაცია. – სააგენტოს ხელმძღვანელის იეგანიანისგან? სააგენტო ჩვეულებრივ ეუბნება ხოლმე უურნალისტებს, რა წერია ხალხის პირად და, სავარაუდოდ, კონფიდენციალურ საქმეებში?

ეს მოკლე სტატია პოლიციის უფროსს საშუალებას აძლევს თავი დაიცვას, მაგრამ საპირისპირო მხარეს ამის შესაძლებლობას არ აძლევს. იმის მაგივრად, რომ სტატია იწყებოდეს უმთავრესი საკამათო ბრალდებით – რომ პოლიცია არასწორად მოქმედ ლტოლვილებს, ორივე – სათაურიც და პირველი აბზაციც, ყურადღებას ამახვილებს უფროსის უარმყოფელ განცხადებაზე, რაც იმ ადამიანების სათქმელის ხარჯზე კეთდება, რომლებსაც ალბათ ცუდად მოქმედნენ.

## 9. გ) პოლიცია ჩეჩენი ლტოლვილებისა და ქისენების დევნას უკურთხა

ეს ახეთის სამხარეო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსი ზურაბ ტუშური კატეგორიულად უარყოფს არასამთავრობო ორგანიზაციათა პრეტენზიებს, თითქოს პანჯისის ხეობის ქისტი მოსახლეობისა და იქ მცხოვრები ჩეჩენი ლტოლვილების მიმართ პოლიციის თანამშრომლები უკანონო ქმედებებს ახორციელებდნენ.

ცნობილია, რომ ანალოგიურ ბრალდებებს გამოთქვემს თავად მოსახლეობაც და მისი რამდენიმე წარმომადგენელი პროტესტის ნიშნად შიმშილობს კიდეც.

ტუშური ირწმუნება, რომ არასამთავრობოთა და თავად მოსახლეობის პრეტენზიები გაუგებარია, რადგან, თუ ასეთი ფაქტები მართლაც არსებობს, მათ შეეძლოთ შიმშილობის დაწყებამდე მიემართათ რომელიმე სამართლდამცავი სტრუქტურის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლისთვის. მხოლოდ ექვს თვეში პანჯისის ხეობაში ექვსი ძებნილია დაკავებული, ბოლო ორ კვირაში კი ავტომანქანების დაყარჩალების ორი ფაქტი დაფიქსირდა. ხეობაში პოლიციის შესვლისა და ჩხრეკის გარეშე კი მსგავსი ოპერაციების ჩატარება შეუძლებელია, – აცხადებს კახეთის სამხარეო პოლიციის უფროსი.

ტუშური არ უარყოფს ხეობაში მსგავსი ღონისძიებების ჩატარებას, თუმცა მიუთითებს, რომ პოლიცია კანონის ფარგლებში მოქმედებდა და ამიტომ მოსახლეობისა და არასამთავრობოთა პრეტენზიები სრულიად გაუმართლებელია.

მედია წიუსი [საინფორმაციო სააგენტო] სტატია დაბეჭდილია ყოველდღიურ გაზეთ „24 საათში“,  
თბილისი, საქართველო, 2004 წლის 11 მაისი

რა სახის უკანონო ქმედებებზეა აქ საუბარი? სათაური ახსენებს ლტოლვილების დევნას, მაგრამ პუნდოვანი რჩება, თუ რა

◀ ბრალდებით ხდება ეს.

ამ ან სხვა ადგილას კარგი იქნებოდა იმ ადამიანების ნათქვამის ან ინფორმაციის ჩასმა, ვინც ამ ბრალდებებს გამოთქვამს.

◀ ამით შესაძლებელი გახდებოდა იმ უფროსის განცხადებების დაბალანსება იმ ხალხის მიერ გაეთებული განცხადებებით, ვინც ირწმუნება, რომ მათ არასწორად ექცევან. წინაღმდეგ შემთხვევაში, ისინი შეუმჩნეველი ხდებიან და მკითხველისთვის უფრო რთულია მათი შეხედულებების გაგება.

◀ ეს არგუმენტი არ არის ძალიან დამარწმუნებელი. ვინ იფიქრებს, რომ ხალხი, რომელსაც ხელისუფლების ერთი წარმომადგენელი ცუდად ეპყრობა, საჩივლელად მეორესთან მივა. უფრო მეტიც, ალბათ ისინი ასეც მოიქცნენ, მაგრამ ამას შედეგად პასუხი არ მოჰყოლია. როგორც ჩას, ურანალისტი ტუშურის განცხადებას ჭეშმარიტებად აღიქვამს.

◀ აქაც კარგი იქნებოდა დეტალების მოყვანა, კონკრეტულად რას აცხადებენ ლტოლვილები იმის შესახებ, თუ როგორ დევნიან მათ და კონკრეტულად რა არ გააკეთა პოლიციამ.

---

**10. სექსუალური ორიენტაცია**

## სექსუალური ორიენტაცია

**ს**ექსუალური უმცირესობები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ამ ბოლო წლებში უფრო თვალსაჩინო გახდნენ. ამ ჯგუფის ზოგიერთმა წარმომადგენლებმა შექმნეს კავშირები, რამაც აიძულა უურნალისტები ყურადღება მიქციათ არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მქონე პირების – ცისფერების, ლესბოსელების და ბისექსუალების მიერ წამოჭრილი რთული საკითხებისათვის. თუმცა ბევრი უურნალისტი და მედიის წარმომადგენელი ყოველდღიურ ცხოვრებაში მათ მოიხსენიებს, როგორც მანკიერსა და საზოგადოებისათვის მავნე ჯგუფს და არა როგორც ადამიანებს, რომლებიც თანაგრძნობას, გაგებასა და მათი ძირითადი უფლებების დაცვას იმსახურებენ.

სექსუალური უმცირესობების გაშუქებისათვის გთავაზობთ რამდენიმე რჩევას:

\* დიდი ყურადღება მიაქციეთ მასალაში გამოყენებულ ენას. მრავალ სტატიაში სექსუალურ უმცირესობათა მიმართ ისეთ სიტყვებს იყენებენ როგორებიცაა „პედარასტი“ ან „გათახსირებული“. ნებისმიერ ენას საკუთარი სპეციფიკა აქვს, მაგრამ ინგლისურ ენაში, მაგალითად „გეი“ „ლესბოსელი“ და „ბისექსუალი“ ნეიტრალური ტერმინებია, და არ იწვევს რაიმე უარყოფით ასიციაციას. მოძებნეთ ნეიტრალური ტერმინები თქვენს ენაში.

\* ტრანსვესტიტი და ტრანსსექსუალი ერთი და იგივე არ არის. ტრანსვესტიტი არის ადამიანი, რომელსაც საპირისპირ სქესის ტანსაცმლის ჩაცმა მოსწონს. ტრანსსექსუალი კი არის ადამიანი, რომლის სხეულიც არ შეესაბამება იმ სქესს, რომელსაც იგი საკუთარ თავს მიაკუთხნებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის ანატომიური აგებულებით მამაკაცი, რომელიც თავს ქალად თვლის. ტრანსსექსუალმა შეიძლება გაიკეთოს ძვირად ღირებული და მტკიცნეული ქირურგიული ოპერაცია, რომ სქესი შეიცვალოს.

\* სექსუალური უმცირესობების შესახებ მასალის მომზადებისას, აუცილებლად გაესაუბრეთ რამდენიმე მათგანს. ცისფერებს, ბისექსუალებს და სექსუალური უმცირესობის სხვა წარმომადგენლებს, ისევე როგორც ნებისმიერ ადამიანს, იმედები, შიში და ოცნებები აქვთ. მათ, ისევე როგორც ნებისმიერ ადამიანს, კარიერა, ინტერესები და ოჯახი აქვთ. ნუ გეგონებათ, რომ რაიმე იცით მათი ცხოვრების ან თავად მათ შესახებ, სანამ ამ საკითხებზე უშუალოდ მათ არ გაესაუბრებით.

\* სექსუალური უმცირესობის მიმართ ბევრს ძალზე უარყოფითი დამოკიდებულება აქვს. მხოლოდ იმიტომ, რომ სექსუალურ უმცირესობაზე საუბრისას ხელისუფლების ან სამღვდელოების რომელიმე წარმომადგენელი, პოლიტიკოსი ან ვინმე სხვა შეურაცხმყოფელ ტერმინებსა და გამოთქმებს ხმარობს, არ ნიშნავს, რომ თქვენ, როგორც უურნალისტს, თქვენ მიერ მომზადებულ მასალაში იმავე შეურაცხმყოფელი ენით მოგეთხოვებათ საკითხისა თუ მოვლენის აღნერა. თუ საჭირო იქნა, პერიფრაზი გაუკეთეთ მათ სიტყვებს. თუ სიტყვების ავტორის პირდაპირ ციტირებას ახდენთ, უნდა აღნიშნოთ, რომ სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლები, ვის მიმართაც ეს სიტყვები იქნა გამოთქმული, ამგვარ ენას შეურაცხმყოფელად და გამომწვევად მიიჩნევენ.

\* გადამოწმების გარეშე ნუ დაიჯერებთ ექიმებისა თუ მკვლევარების განცხადებებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ სექსუალურ უმცირესობების წარმომადგენლებს ბავშვების შეცდენა სჩვევიათ, რომ შიდსის ვირუსს შეგნებულად ავრცელებენ და სხვა მრავალი გზით ცდილობენ საზოგადოებისათვის ზიანის მიყენებას. თუ ვინმე გეტყვით, რომ „ცისფერების“ 50% მცირენლოვან ბიჭუნებს აუპატიურებს, მოსთხოვეთ კონკრეტული ინფორმაცია, თუ სად მოიპოვეს ეს სტატისტიკური მონაცემები. პირები, რომლებიც თავს ექსპერტებად ასაღებენ, ხშირად არასწორ ინფორმაციას ანდა არასწორად წარმართული კვლევის შედეგებს იყენებენ, რათა საზოგადოებრივი აზრი სექსუალური უმცირესობების წინააღმდეგ განაწყონ.

\* სექსუალური უმცირესობების შესახებ გამოქვეყნებული სტატიების დიდი ნაწილი დანაშაულებრივ ქმედებას ეხება, განსაკუთრებით კი ისეთი შემთხვევებია აღნერილი, როდესაც თავს ესხმიან და სიცოცხლეს ასალმებენ არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ხალხს. ამ სტატიებში დაზარალებულებს ხშირად კრიმინალებივით მოიხსენიებენ, თითქოს მხოლოდ იმის გამო, რომ განსხვავებული არიან, მათი ბრალია, თავს რომ ესხმიან. გახსოვდეთ, რომ ასეთ შემთხვევებში დამნაშავეა ის, ვინც თავს ესხმის, და არა ის, ვისაც თავს ესხმიან. უურნალისტები ხშირად ყოველგვარი გადამოწმების გარეშე აშუქებენ ხელისუფლების წარმომადგენელთა შეხედულებებს, რომლებიც თვლიან, რომ დაზარალებულები რაღაცით იმსახურებენ მათზე თავდასხმას.

\* იმის გამო, რომ სექსუალური უმცირესობები ხშირად საზოგადოებისაგან დამალულნი არიან, შესაძლოა გაჭირდეს მათი მონახვა მათთან გასაუბრების მიზნით. ასეთ შემთხვევაში, კარგი იქნება, რომ იმ ჯგუფებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს დაუკავშირდეთ, რომლებიც სექსუალური უმცირესობების ინტერესებს წარმოადგენენ. გაესაუბრეთ ამ ორგანიზაციების თანამშრომლებს, რომ რამე შეიტყოთ მათთვის აქტუალური პრობლემების შესახებ. სთხოვეთ მათ, რომ ჯგუფის სხვა წარმომადგენლებთან დაკავშირებაში დაგეხმარონ. ეცადეთ გაესაუბროთ ისეთ პირებსაც, რომლებიც ამ ჯგუფს არ ეკუთვნიან, და რომლებსაც, შესაძლოა, ამ საკითხების გასხვავებული ხედვა აქვთ და საკუთარი აზრებისა და შეხედულებების გაზიარება უფრო პირდაპირ და მოურიდებლად შეუძლიათ.

\* ნუ დაუჯერებთ ცისფერების, ბისექსუალებისა თუ სექსუალურ უმცირესობათა სხვა ნარმობადგენლების შესახებ ყურმოკრულ სტერეოტიპებს. ბევრს სჯერა, რომ ცისფერი „აქტიური“ და „პასური“ არსებობს – ის, რომელიც უფრო ქალს ჰგავს, პასიურია. თეორიულად ეს კარგად უღერს, მაგრამ რეალურად მათი სექსუალური როლი გაცილებით უფრო რთული და მრავალი ნიუანსის მქონე ფენომენია. ტყუილია ისიც, რომ ყველა ცისფერი არტისტული ბუნებისაა, რომ ყველა ლესბოსელს ან სძულს კაცები, ანდა სურს რომ იყოს მამაკაცი, რომ ყველა ის მამაკაცი, რომელიც ქალის ტანსაცმელს ატარებს, ავტომატურად ჰომოსექსუალია.

## სასწაულო მასალე

წინამდებარე სტატია არსებითად ბრალს სდებს ჯონ ელვისს თავისსავე სიკვდილში მისი ვითომდაც პომოსექსუალობის გამო. თუ ჭორებს არ ჩავთვლით, სტატია არ გვაწვდის არავითარ მტკიცებულებას, რომ მან პატარა ბავშვები გააუპატიურა. სტატიის ავტორი ასევე არ განასხვავებს ერთმანეთისაგან პომოსექსუალობასა და პედოფილიას. ზოგიერთ შემთხვევებში მათი კავშირის მიუხედავად, პომოსექსუალიზმი და პედოფილია ორ არსებითად განსხვავებული ფენომენია. მაში, რაში ედება ელვისს ბრალი? იმაში, რომ ის ცისფერი ან პედოფილია, თუ ორივეში ერთად?

### 10. ა) ტრაგიკომეტიკა ახალი სახით

ტოდესაც თქვენი მონამორჩილი ამ წინადადებებს წერდა, უკვე ორი წელი, ორი თვე და 19 დღე იყო გასული მას შემდეგ, რაც ეს ტრაგიკომეტია დაიწყო.

მე ალბათ არ დავუბრუნდებოდი ამ თემას, რომ არა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩის მიერ 19 თებერვალს გამოქვეყნებული ძალიან სერიოზული განცხადება. საკითხის ნათელყოფისათვის, წარსულში უნდა დავბრუნდე. 2000 წლის 30 ნოემბერს შეერთებული შტატების საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის წარმომადგენელი ჯ. ელვისი მოკლეს ქალაქ ბაქოში. მის ცხედარზე ბასრი იარაღით მიყენებული 36 ჭრილობა აღინიშნებოდა.

ცხედართან უხმარი პრეზერვატივები იპოვეს. ასე შეიძლებოდა მოეკლათ მხოლოდ ის, ვინც შეურაცხყვა მიაყენა აღმოსავლურ მსოფლმხედველობას. სინამდვილეში კი დედო ქალაქში მომხდარი ინცინდენტი წარმოადგენდა შეერთებული შტატებისკენ მიმართულ გაფრთხილებას. მაშინ ჩვენ დავაკვირდით მმართველი ელიტისა და ოპოზიციის ქცევას და შემოგთავაზეთ ანალიზი სახელწოდებით „შეერთებული შტატების ადგილობრივი ბავშვები ჯონ ელვისის კონტექსტში“ გაზითში „შარგი“ [31 დეკემბერი, 2001 წელი]. ჩვენ ჩავთვალეთ, რომ რადგანაც ჩვენ არა გვაქვს კანონი სექსუალური უმცირესობების შესახებ, ელვისის მიერ გაუპატიურებული არასრულწლოვანი ბავშვების მშობლებსა და თვით დაზარა-

რა ტიპის განცხადებაზე ლაპარაკობს ჟურნალისტი? კონკრეტულად რა განცხადება გააკეთა საელჩომ?

ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე, ეს წინადადება მიგვითითებს, რომ თვით მკვლელობის მსხვერპლია და მანაშავე საკუთარ სიკვდილში. ძნელი დასაჯერებელია, რომ მხოლოდ ის ვინც „შეურაცხყო აღმოსავლური მსოფლმხედველობა“, ასეთ შემზარავ სიკვდილს დაიმსახურებდა. ეს წინადადება იმასაც მიუთითებს, რომ არსებობს „აღმოსავლური მსოფლმხედველობა“, რომელსაც ყველა აღიარებს. ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ყველას, ვინც ამ მსოფლმხედველობის რომელიმე მიღორმას უარყოფს, 36 ჭრილობა უნდა მივაყენოთ? რა თქმა უნდა, ეს ციტატა გადაჭარბებულად უდერს, მაგრამ ავტორი სწორედ ამას გულისხმობს.

ეს წინადალება ერთმანეთს უკავშირებს პრეზიდენტ კლინტონის ქცევასა და იმას, რომ შეერთებული შტატების მოქალაქე სავარაუდოდ ცისფერია. თუმცა გაურკვეველია, თუ რა კავშირია ამ ორ ფაქტს შორის. ხომ არ გულისხმობს სტატიის ავტორი, რომ არც ერთ აზერბაიჯანელ პოლიტიკოსს არ გაუბაშს ქორწინების მიღმა რომანი? ან სექსუალურ ცოდვებს მხოლოდ ამერიკელები და სხვა დასავლელები სჩადიან? ეს ძნელად თუ შეესაბამება სინამდვილეს.



საინტერესოა, რა გზით გამოხატა ამ კონგრესმენმა სექსუალური თანაგრძნობა ჯ. ელვისისადმი, ან რით დაემუქრა აზერბაიჯანს? კარგი იქნებოდა, რომ ავტორს აქ დეტალებიც მოეყვანა თვალსაჩინოებისათვის.



და მაინც, კონგრეტულად რა ჩაიდინა ელვისმა? ბავშვები გააუბატიურა თუ უბრალოდ ცისფერი იყო? საიდნა იცას ავტორმა, რომ გამოძიების პროცესში 1000-ზე მეტი მოზარდი იქნა დაკითხული? მან ამის შესახებ პოლიციისაგან შეიტყო? ან ხომ არ უსაუპრა იმ 1000 ბავშვთან, რომლებიც პოლიციამ დაკითხა? დაუჯერებელია, რომ ამდენი ბავშვი დაკითხათ ამ საქმესთან დაკავშირებით. და თუ ეს მართლაც სიმართლეა, ავტორი ვალდებულია დაასახელოს, თუ საიდან აქვს ეს ინფორმაცია.



ლებულებს ჰქონდათ მისი გასამართლების უფლება. რადგანაც ჩვენ იღუზიებით არ ვცხოვრობთ, მმართველი ელიტის ან ოპოზიციის მხრიდან არც მოველით სამართლიანობის აღდგენას. ეს კი იმის ბრალია, რომ მათ უსათუოდ სჭირდებათ შეერთებული შტატების მხარდაჭერა ძალაუფლების მოსაპოვებლად და შესანარჩუნებლად. სამწუხაოდ, საზოგადოებამ ყველაფერი აღიქვა, როგორც ევროპული აღვირახსნილობა და სექსთან დაკავშირებული საკითხი. ამან სულაც არ გავაოცა. მაშინ, როდესაც თვით ქვეყნის პრეზიდენტია გარევნილი, რა გასაკვირია, რომ მის ქვეყნის წარმომადგენელი სექსუალურ უმცირესობას განეკუთვნებოდეს? თუმცა, ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებმა აშშ-ს შვილებმა უფრო ღირსეული სახელი [არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მქონე პირები] მოუძებნეს ამას. ნება მიბორდეთ შეგახსნოთ, რომ ბ. კლინტონმა სექსუალური ურთიერთობა დაამყარა თავის თანამშრომელთან ქვეყნის ყველაზე პატივსაცემ ოთახში. თვით ის ფაქტი, რომ სახელმწიფომ დახარჯა 42 მილიონი ამერიკული დოლარი ამ ღალატის გამოსავლენად, მხოლოდ კანონიერების დონეს კი არ ასახავს, არამედ ქვეყანაში არსებულ მორალურ კრიზისზეც მიუთითებს. ჩვენც ხომ გვყავს ხელისუფლებაში მოსვლის მსურველი ადამიანები, რომელთა მდივნებიც ფეხმძიმედ არიან.

მაშინ, შეერთებული შტატების კონგრესმენმა X-მა<sup>1</sup> გამოხატა სექსუალური თანგრძნობა ჯ. ელვისისადმი, და შეურაცხმოფელი სიტყვები და მუქარაც კი გამოთქვა ჩვენი ქვეყნის მისამართით. ჩვენმა მთავრობამ და ოპოზიციამ ეს უპასუხოდ დატოვა. მხოლოდ ახლა 10 მონძის მიერ მიცემული ჩვენებებიდან გახდა ცნობილი, რომ ძველი ქალაქის ახალგაზრდები მორალურ-ფსიქოლოგიურ ტერორს განიცდიდნენ ორი წლისა და სამი თვის განმავლობაში. 1000-ზე მეტი მოზარდი, მათ შორის გოგონები, დაიკითხნენ ამ პომოსექსუალის წყალობით, რომელმაც თავისი ქცევისათვის დამსახურებული საჯელი იწვნია დანით მიყენებული 36 ჭრილობის სახით. იმათ, ვინც მზად იყო ძალაუფლებისათვის

<sup>1</sup> შენიშვნა: უურნალისტმა დასახელა კონგრესმენის სახელი, მაგრამ MDI-ს კვლევამ ვერ მოახდინა ამ სახელის მქონე პირის დადგენა, ამიტომაც ეს სახელი ამ წიგნში მოცემული სტატიის ვერსიიდან ამოღებულია.

ნებისმიერი მსხვერპლი გაეღო, დაიწყეს შეერთებული შტატების ფეხების კოცნა და განაცხადეს, რომ არ სურთ ამ ქვეყანასთან ურთიერთობების გაფუჭება. მაშინ ჩვენ დავსვით შეკითხვა: „როდის აქეთ განსაზღვრავენ მუდამ ღამის კლუბებში მყოფი სექსუალური უმცირესობები სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებს?“ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მხოლოდ აშშ-მ მოახდინა ამ დანაშაულის პოლიტიზება და მას სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების თანაბარი მნიშვნელობა მიანიჭა. ჩვენი პოლიტიკოსები ყოველთვის იყვნენ უცხოელთა ნების აღმსრულებელნი. ამ შემთხვევაში შევეცადეთ ხალხისაგან მიგველო პასუხი შეკითხვაზე, „რატომ დუმდა აზერბაიჯანის ოპოზიცია ამ სექსუალურ უმცირესობასთან დაკავშირებით?“ ჩვენ მივხვდით, რომ „ერთადერთი მიზეზი აშშ-ს წინაშე რეპუტაციის შენარჩუნება იყო.“ ეს ხომ ის ხალხია, რომელიც ცდილობს მართოს ჩვენი მომავალი. მათ ხომ უავე მთლიანად გაყიდეს ჩვენი სახელმწიფო, ახლა კი უნდათ, რომ გაყიდონ ჩვენი კულტურაც. თუმცა ის ფაქტი, რომ ჩვენ ეს მოვახერხეთ<sup>2</sup>, იმას ნიშნავს, რომ ჩვენ შევძლით კუთვნილი ადგილი მიგვეჩინა მათვის და მომავალშიც შევძლებთ ამის გაკეთებას.

ადგილობრივთაგან ერთ-ერთმა<sup>3</sup> მოითხოვა, რომ არავითარ შემთხვევაში არ გამჟღავნებულიყო ჯ. ელვისის ჰომილსექსუალობა, რადგანაც ამას შეეძლო „ზიანი მიეყენებინა აშშ-ს რეპუტაციისათვის სამხრეთ კავკა-სიაში...“ ჩვენ ვთვლით, რომ აშშ-ს არა აქვს რეპუტაცია, მას აქვს მხოლოდ ძალაუფლება... სწორედ იმავე ადგილობრივმა ბრალი დასდო ჩვენს ერთ-ერთ მოხელეს იმაში, რომ მას სურდა „რუსეთსა და აშშ-ს შორის სტრატეგიულ დაპირისპირებაში ამ უკანასკნელს ეწვინა დამარცხება“... მხოლოდ იმიტომ, რომ მან გაამჟღავნა ინფორმაცია ინცინდენტის შესახებ. ჩვენ მაშინ ჩავთვალეთ, რომ ისინი ბავშვები არიან, რომლებსაც უყვართ სტრატეგიული პოლიტიკური თამაშების თამაში. დაე, ითამაშონ.“ მას შემდეგ ისინი აგრძელებენ თამაშს.

მაგრამ ახლახან დაიწყო ამ ტრაგიკული კომედიის ახალი გაგრძელება. ჩვენ გამოგვიცხადეს, რომ აშშ შეწყვეტს დახმარებას, თუ ჩვენ არ ვიპოვთ ჯონის ნამდვილ მკვლელს. მათ, ვისაც ხელისუფლებაში მოსვლა სურს,

ნუთუ ბარებში სიარული დანაშაულია? რის საფუძველზე ამტკიცებს ავტორი, რომ ელვისი მთელ დროს ბარებში ატარებდა?

<sup>2</sup> იგულისხმება ელვისის მკვლელობა.

<sup>3</sup> აქ უკრალისტი ფრაზას „ადგილობრივთაგან ერთ-ერთმა“ ამერიკელის ალსანიშნავად იყენებს.

◀ ვინ თქვა ეს? აშშ-ს მთავრობის ოფიციალური განცხადებაა?

კერძოდ, რა სტადიაშია ამჟამად კანონი სექსუალურ უმცირესობათა შესახებ? ავტორი ამბობს, რომ ასეთი კანონი არ არსებობს. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ამ ეტაპზე პომოსექსუალიზმი კანონიერია? რა ტიპის კანონის მიღება სურს მას? ხომ არ სურს მას სექსუალური უმცირესობების კანონგარეშედ გამოცხადება?



კვლავ ააჭრელეს გაზეთის სათაურები და ბედნიერები არიან იმით, რომ ჩვენი ქვეყანა ვეღარ მიიღებს დახმარებას ვიღაც პომოსექსუალის გამო. გაოგნდებით, როცა გაიგებთ, თუ როგორი ერთგულები არიან ისინი ჯონ ელვისისა! თუმცა, აშშ-ს საელჩომ იმედი გაუცრუა მათ, უარყო რა ეს ინფორმაცია. მთავრობაც დუმდა... ჩვენ კი ყოველთვის ხაზს უსვამთ იმ ფაქტს, რომ ვიდრე სახელმწიფო დახმარებების იმედზეა, რომელიც უარყოფილი უნდა იქნეს, იგი ვერ შეძლებს დააფიქსიროს თავისი აზრი. მიგვიფურთხებია დახმარებაზე, რომლის ნინაპირობას ცისფერები წარმოადგენენ. თუმცა, როგორც ყოველთვის, ხელმძღვანელობის სახელით მათმა მომხსენებლებმა ისაუბრეს, თვითონ კი დუმდნენ. მერედა რა თქვეს ან გააკეთეს მომხსენებლებმა? მათ არც კი გადაუმოწებიათ ინფორმაცია. იმისათვის, რომ იცხოვრონ, ისინი არც კი გამოდიან თავიანთი საელჩოებიდან. ნათელია, რომ ჩვენ რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოვამზადოთ კანონი „სექსუალურ უმცირესობათა“ შესახებ, რომ ჩვენს მოქალაქეებს კანონის ფარგლებში მოქმედების საშუალება მიეცეთ. მათ მობეზრდათ უკანონობა და ხარვეზები კანონებში. წარმოიდგინეთ, მათ უფლება აქვთ გახსნან ჯონ ელვისის სახელობის სექსუალურ უმცირესობათა კლუბი. ხელმძღვანელებს ახალი არაფერი უთქვამთ თავიანთი მომხსენებლებისათვის, მხოლოდ იმაზე ისაუბრეს, თუ როგორ იცავს აშშ თავის მოქალაქეთა უფლებებს... მაში რატომ არ აწუხებთ მათ ძველ ქალაქში მცხოვრები 1000-ზე მეტი მოზარდის მორალურ-ფსიქოლოგიური ტერორი? ჩვენ ვიცით, რომ თქვენ ცხვრებივით უსმენთ აშშ-ს. სკანდალის მოყვარულებმა ყველაფერს „საერთაშორისო სკანდალი“ უწოდეს. ერთ-ერთი მათგანი, რომელმაც საკუთარი აზრი გრანტებსა და უცხოეთში მივლინებებს შესწირა [უფრო სწორედ კი „მიპყიდა“] დამლუპველ განცხადებებს აკეთებდა... თუმცა, კმარა. თვალწინ მიღება ის სცენა, როდესაც ჯ. ელვისის კუბოს მიაცილებდნენ. ძალიან სევდიანი სურათი იყო, რომლის ყურებისას მივედი დასკვნამდე: თუ მთელი ქვეყნის მასშტაბით ბოლოს არ მოვულებთ მსგავს პირებს, ეს სირცხვილი კიდევ დიდ ხანს გაგვყვება – ისინი უკეთეს შემთხვევაში კიდევ ერთი ან ორი ვადით დარჩებიან ხელისუფლებაში.

გაზეთი „ოლაილარ“,  
ბაქო, აზერბაიჯანი, 2003 წლის 27 თებერვალი

ეს სათაური იმის თვალსაჩინო მაგალითია, თუ როგორ შეიძლება უნებურმა მიკერძოებამ გამოიწვიოს განცხადებები, რომლებიც სინამდვილეს ამახინჯებს. ეს ფრაზა არსებითად ბრალს სდებს ქალს მისი, მისი შვილებისა და მისი დედის მკვლელობაში, როდესაც ამბობს, რომ თაყვანისმცემლისათვის „უარის თქმამ „გამოიწვია“ სისხლისღვრა. სიმართლე კი ის არის, რომ მკვლელობა ქალის ქცევამ კი არ „გამოიწვია“, არამედ მამაკაცის მიდრეკილებამ ძალადობისაკენ. და ნეპისმიერ ქალს, მიუხედავად იმისა, ლესბოსელია თუ არ, რა თქმა უნდა, აქვს უფლება უარყოს მამაკაცი და არ ეშინოდეს, რომ მას მოკლავენ. უფრო მეტიც, სათაური ხაზს იმასაც უსვამს, რომ მან უარყო კაცი, რადგანაც ლესბოსელი იყო და არა იმიტომ, რომ მას უბრალოდ ამ კაცთან დაწოლის სურვილი არ ჰქონდა.

## 10. ბ) ლესბოსელის უკრძალვის სისხლისღვრა გამოიწვია

მსხვერპლის სექსუალური  
თავგადასავლები

**ნ**ასვამმა მკვლელმა ამოხოცა ოთხსულიანი ოჯახი მას შემდეგ, რაც ლესბოსელი ქალისააგან უარი მიიღო სექსუალურ წინადადებაზე, – განაცხადეს გუშინ სასამართლოში.

ნაფიც მსაჯულებს აცნობეს, რომ ჯართით მოვაჭრე დევიდ მორისი გამეტებით ურტყამდა რკინის კეტს განქორწინებულ მენდი ფაუერს.

შემდეგ იგივე გაიმეორა მისი ქალიშვილების, 10 წლის ქეთის, 8 წლის ემილისა და მისი ინვალიდი დედის, 80 წლის დორის დოუსონის მიმართ, რათა არც ერთი მოწმე არ დაეტოვებინა ცოცხალი.

ბრალდების ადვოკატის პატრიკ პარინგტონის მიერ სვანსის სასამართლოში წარმოთქმული სიტყვების თანახმად, თავდასხმა იმდენად სასტიკი იყო, რომ თითოეულ მსხვერპლს თავის ქალა ჰქონდა დამსხვერეული, ხოლო ქალბატონ ფაუერს 38 ჭრილობა ჰქონდა მიყენებული. „ეს უბრალო მკვლელობა არ ყოფილა, ეს იყო სასაკლაო“, – განაცხადა მან.

გაზეთი აერთიანებს პრობლემას და ამ სათაურით გვაცნობს ქალის ცხოვრების დეტალებს. „სექსუალური თავგადასავლებზე“ ხაზგასმამ შესაძლოა დამატებითი მეოთხეველები მიიღიდოს და კიდევ ერთხელ გაუსვას ხაზი, რომ ქალი სინამდვილეში კარგი დროსტარებისათვის დაისაჯა. თუმცა სტატია იქვე მიუთითებს, რომ ქალს სტაბილური ურთიერთობები ჰქონდა, მოსიყვარულე დედა იყო და სულაც არ აინტერესებდა დამატებითი „სექსუალურ თავგადასავლები“. ◀

◀ სასამართლო პროცესის ვაშუქების დროს უურნალისტმა მკითხველს უნდა წარმოუდგინოს ადვოკატისა და მოწმეების მიერ გამოთქმული მოსაზრებები მაშინაც კი, თუ ეს მოსაზრებები მიკერძოებული და მცდარია. უარყოფის გამო ჩადენილ მკვლელობასა (როგორც სტატიის პირველი წინადადება გვამცნობს) და სათაურში გაკეთებულ დასკვნას შორის, რომელიც მიუთითებს, რომ უარყოფამ როგორდაც სისხლისღვრა გამოიწვია, ძალზე მცირე განსხვავებაა.

თუ მსხვერპლის სექსუალური ორიენტაცია უნდა აღნიშნოს სტატიის დასაწყისშიცვე, უურნალისტი ვალდებულია იქვე მიუთითოს, თუ რა როლი შეასრულა მი ფაქტმა მკვლელობაში. სხვამხრივ, ეს მხოლოდ პიკანტური დეტალი იქნება და მკითხველს ამბის უკეთ გაგებაში სულაც არ დაეხმარება.

სიტყვა „ინვალიდი“ შეურაცხმყოფელად ითვლება, რადგანაც ხაზს უსვამს სისუსტესა და უძლეურებას. ჯობია ასეთ პირებს „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე“ ან „შრომისუუნარო“ ვუწოდოთ.



„ყოველი მათგანს თავში ისეთი ძალით ურტყეს, რომ ამან ძვლების უმძიმესი დაზიანება გამოიწვია“.

„ასევე მოეპყრნენ ინვალიდ ბებიასაც, მნოლიარე დორის დოუსონს“.

„ბატონმა ჰარინგტონმა თქვა, რომ 39 წლის მორისი ელოდა, თუ როდის დაბრუნდებოდა 34 წლის ქალბატონი ფაუერი თავის შვილებთან ერთად სახლში თავისი დის სახლიდან, სადაც ბავშვებს უვლიდა 1999 წლის ივნისში“, – განაცხადა მან – „იგი ძლიერ განრისხდა, როდესაც ქალბატონმა ფაუერმა ზიზლით უარყო მისი შეთავაზება“, – აღნიშნა ადვოკატმა.

იგი ასევე ამტკიცებდა, რომ სამხრეთ უელსის ქალაქ კლაიდაში მდებარე სახლში მტკიცებულებების განადგურების მიზნით ცეცხლის გაჩაღებამდე მორისმა აპაზანაში თავი წესრიგში მოიყვანა.

მორისს ასევე ბრალი ედება ქალბატონი ფაუერის ცხედრის შეურაცხყოფაში, რომელიც აღმოჩენილ იქნა მეხანძრების მიერ მას შემდეგ, რაც სახლი ცეცხლის აღში გაეცვია.

ნაფიც მსაჯულებს ასევე აცნობეს, რომ გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ქალბატონმა ფაუერმა „შემაშფოთებელი“ სიხშირით გააძა ლესბოსური ურთიერთობა 32 წლის ყოფილ პოლიციელთან, ალისონ ლუისთან.

ბატონმა ჰარინგტონმა დაადასტურა, რომ თავდაპირველად „მცდარი ეჭვი“ მიუთითებდა ქალბატონი ფაუერის ლესბოსელი შეყვარებულისა და მისი ქმრის, 32 წლის პოლიციის ინსპექტორისაკენ.

2000 წლის ივნისში დააპატიმრეს ქალბატონი ლუისი და ჯერ კიდევ პოლიციის სამსახურში მყოფი მისი მეუღლე. ადვოკატის თქმით, „რაციონალურად დასაბუთე-

რადგანაც არსებობს წინასწარგანწყობა განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის პირების მიმართ, გასაკვირი არ არის, რომ პოლიციის ეჭვები მიმართულ იქნა მათი ცხოვრების ინტიმურ დეტალებზე, თითქოს აუცილებლად რამე კავშირი უნდა იყოს პომოსექსუალობასა და მკვლელობას შემოსის.



ბული, მაგრამ „უსაფუძვლო“ ეჭვების საფუძველზე ზედმინევნით გაიჩხრიკა მათი სახლები, მანქანები და ტანსაცმელი.

მორისი 2001 წლის მარტამდე გამოძიების ობიექტი არ გამხდარა. პოლიციის მიერ დაკითხვის დროს ის განუწყვეტლივ ტყუოდა და მცდარ ჩვენებას იძლეოდა მკვლელობების ღამეს თავისი გადაადგილებების შესახებ.

მაგრამ სასამართლო ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ქალბატონ ფაუერის სახლში ნაპოვნ ოქროს ძენიკვეზე საღებავის ნაწილაკები მორისის სამზარეულოს საღებავს ემთხვეოდა.

ბატონი ჰარინგტონის თქმით, მორისმა თავიდან უარყო, რომ ძენიკვი მას ეკუთვნოდა, თუმცა სასამართლო პროცესის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე აღიარა, რომ ძენიკვი შესაძლოა მისი ყოფილიყო.

ნაფიც მსაჯულებს ისიც უამბეს, როგორ მოუყვა მორისი მკვლელობის მომდევნო დღეს თავის მეგობარს, რომ მას ურთიერთობა ჰქონდა ქალბატონ ფაუერთან და ძენიკვი მის სახლში დარჩა. მან ისიც კი მოახერხა, რომ თავისი მეგობარი ახალი ძენიკვის ყიდვაზე დაეთანხმებინა.

სვანის დაბლობში მდებარე კრეიგ-კეფნ-პარკში მცხოვრები მორისი უარყოფს ოთხმაგ მკვლელობას და სასამართლო პროცესი, რომელიც, როგორც ამბობენ, 14 კვირას გასტანს, გრძელდება.

◀ თუ ადვოკატმა განმარტა, რას ეფუძნებოდა „რაციონალურად და-საბუთებული“ ეჭვები, გარდა წინასწარგანწყობისა, კარგი იქნებოდა, ეს ახსნა-განმარტება სტატი-აში ყოფილიყო შეტანილი.

გაზეთი „მეტრო“,  
ლონდონი, დიდი ბრიტანეთი, 23 აპრილი, 2002 წელი.

ეს სტატია სექსუალურ უმცირესობებს თანამედროვე ცხოვრების სიგიურედ, არანორმალურობის გამოხატულებად და ტრადიციების უარყოფად მიიჩნევს. ეს, რა თქმა უნდა, შეხედულებაა, თუმცა არა ერთადერთი. სტატია ისე წარმოაჩენს მომძერალს, თითქოს ის არანორმალური ადამიანი იყოს, ნაცვლად იმისა, რომ დიალოგი გააპას მისი გრძნობებისა და მრწამსის შესახებ ადამიანთან, რომელიც თავის ჰომოსექსუალობას არ მაღავს.

## 10. ბ) რატომ „დაევასა“ ბისექსუალ გაბა ბოჭგუას ბორის ნიფურია

რატომ არის „პოხონდრია დედოფალი“  
მომღერალი ჯაბა ბოჭგუა

თუკი კონკრეტული ყოველთვის ზოგადიდან გამომდინარეობს, მაშინ შეიძლება ვთქვათ ასე – ჯერ მთელი მსოფლიო შეიშალა და მერე ჩვენი ქვეყანა აირია, უკომპლექსობამ და ქაოსმა მოიცვა ყველაფერი. საზოგადოების ნაწილს წარსული ავინწყდება, ავინწყდება ტრადიციები, რომლებსაც წლების განმავლობაში ინარჩუნებდა საქართველო. რაგინდ გასაოცარიც არ უნდა იყოს, ხალხის დიდი ნაწილი ე.ნ. „არატრადიციულ სექსს“ მისდევს.

არის ერთი უბედურებაც: ისე გამოაშეარავდა თავისუფალი სექსი, ისე აეხადა ყველაფერს ფარდა და ისეთი უინტერესობა გამეფდა ამ სფეროს ირგვლივ – ალარც მამაკაცია დაინტერესებული ქალით და ალარც ქალი მამაკაცით. ეს საკმაო მიზეზია იმისთვის, რომ ადამიანი არატრადიციული სექსით დაინტერესდეს. ამის გამო გახშირდა ასე ჰოსექსუალიზმის, ლესბოსელობის ან ბისექსუალიზმის შემთხვევები.

ადამიანი, რომელზეც უნდა მოგითხოთ, თურქეთის დედაქალაქ ანკარაში პო-

ეს სათაური თითქოს გვიხსნის სკანდალურ მიზეზს, თუ რატომ მოსწონს ბოჭგუას წილურია, თუმცა შემდეგ აღმოჩნდება, რომ ბოჭგუას თავისი კოლეგა მოსწონს როგორც ხელოვანი და არა როგორც მამაკაცი.

რა გასაკვირია, რომ სოციალური შეზღუდვების შემცირების პირობებში ბევრი ალტერნატიულ გზას ირჩევს? ავტორი ვერ განასხვავებს არატრადიციული ორიენტაციის ქონას თავისუფალი სექსისაგან. მხოლოდ ის ფაქტი, რომ პირი ცისფერი, ლესბოსელი ან ბისექსუალია, არ ნიშნავს, რომ მათ სხვებზე ხშირადა აქვთ სექსუალური ურთიერთობები.

და კვლავ, ურნალისტი ისე უკავშირებს სექსუალური უმცირესობების გამოშპარავებას სექსუალური შეზღუდვების არარსებობას, თითქოს სექსუალური უმცირესობები ადრე არ ყოფილიყვნენ. როგორც ჩანს, ავტორს არ ესმის, რომ ასეთი ცხოვრების წესი ყველთვის არსებობდა; უბრალოდ, განსხვავება ის არის, რომ დღეს ხალხი უფრო აშკარად ლაპარაკობს ამის შესახებ.

პულარული მომღერალი ჯაბა ბოჯგუა გახლავთ.

– სენაკიდან ვარ წარმოშობით. ამჟამად თურქეთის დედაქალაქ ანკარაში ვმდერი, და დიდი პოპულარობით ვსარგებლობ. გამოცემული მაქვს ალბომები.

– ჯაბა, შეაფასე შენი ფიზიკური მონაცემები...

– ვარ ძალიან სექსუალური [„გიუი კაცი“, როგორც მეგობრები მიწოდებენ]. მაქვს გაკეთებული უამრავი პლასტიკური ოპერაცია მთელ სხეულზე, მხოლოდ სასქესო ორგანო არა მაქვს მოჭრილი. დუნდულები დავიბატარავე.

– ჯაბა, გავრცელებული ინფორმაციით, გათხოვებას აპირებდი და ეს კლუბ „ნეოში“ უნდა აღგენიშნათ. დღეს კი თავისუფალი ხარ. რა მოხდა, რატომ გადაიფიქრე?

– ძალიან „პოხონდრია“ ადამიანი ვარ. იმ დღეს, ჩემი საქმრო არ „დამევასა“ და გავაწილე.

ჯაბა ბოჯგუა, ანუ „გიუი კაცი“, სამი დღის განმავლობაში მონაწილეობდა საერთაშორისო ფესტივალში – „სიმღერა სამეგრელოზე“, რომელიც ხობის რაიონში გაიმართა, მოწვეული იყო უამრავი სტუმარი და თურქეთიდან ჩამოიყვანეს ჯაბა ბოჯგუაც.

– ჯაბა, როგორ შეაფასებდი ამ ღონისძიებათა ციკლს?

– ძალიან „დამევასა“ ღონისძიების რეჟისორი, ბორის ნიფურია, რადგანაც ამ ღონისძიებაზე ყველაფერი საინტერესოდ და ლამაზად იყო დადგმული. სცენას, რომელიც ფანტასტიურად იყო მოწყობილი, ჩემი სექსუალური მანერები და ჩაცმა ძალიან მოუხდა. ბატონი ბორია ძალიან კარგი ადამიანია.

◀ რამდენი წლისაა ჯაბა? რას მღერის? კარგი იქნებოდა მისი წარსულის შესახებ რაიმე ინფორმაციის მოწოდება, თუკი ის ძალიან პოპულარული არ არის საქართველოში და მკითხველმა ყველაფერი არ იცის მის შესახებ. ის მართლაც ტრანსექსუალია? ამ სტატიიდან ასე ჩანს, თუმცა მთლად ნათელი არ არის. შურნალისტს უნდა ესმოდეს განსხვავება ტრანსექსუალს, ტრანსვესტიტსა და პომოსექსუალს შორის. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში შურნალისტი ერთმანეთში ურევს მათ. პომოსექსუალებს მოსწონთ თავისივე სქესის წარმომადგენლები, ტრანსვესტიტებს უყვართ საპირისპირო სქესის ტანისამოსის ჩაცმა, ტრანსექსუალებს კი სურთ იყონ საპირისპირო სქესისა. ბევრი ტრანსვესტიტი და ტრანსექსუალი საკუთარ თავს ჰეტეროსექსუალად მიიჩნევს.

◀ არ არის საჭირო, რომ ჯაბა ბოჯგუას ისე მივმართოთ, როგორც ქალს.

რა საქციელზეა საუბარი? მას სიტ-  
ყვაც არ უთქვამს რაიმე განსა-  
კუთორებულ საქციელზე.

ვისზე იყო იგი გათხოვილი? რა  
მოხდა? კაცი იყო თუ ქალი? კარ-  
გი იქნებოდა, რომ აღენიშნათ.

რა იგულისხმება ამ სიტყვებში? ►  
რა ურთიერთობა აქვთ მათ ერთ-  
მანეთთან?

– ბორია, როგორც მამაკაცი, ისე გიზიდავს, თუ  
როგორც ხელოვანს, ისე აფასებს?

– ბორია, როგორც მამაკაცი, ალბათ ჩემზე უფრო-  
სებს მოსწონთ, ამჯერად ვაფასებს, როგორც ხელოვანს.

– ნუთუ შენი ახლობლები არ გიკრძალავენ ასეთ  
საქციელს?

– თანამედროვე ოჯახში ვარ აღზრდილი, ასე რომ,  
პრობლემები არ მექმნება. საინტერესოა, თქვენ რატომ  
გიკვირთ ასე ძალიან? ეს თქვენს დაბალ დონეზე მეტ-  
ყველებს.

– გათხოვებაზე აღარ გიფიქრია?

– ამაზე ჯერ არ ვფიქრობ, მაგრამ თუ გამოჩნდა  
ვინმე, ვინც მომხიბლავს, ვიფიქრებ.

– ისე, ძალიან სექსუალური უკანალი გაქს.

– ეგ მეც ვიცი. როდესაც უკანალის კორექცია გა-  
ვიკეთე, ჩემი საყვარელი „ტაკოები“ ბანები დავაზღვიე.

– დაგეგმილი გაქვს თუ არა თბილისში სოლო  
კონცერტის გამართვა?

– თბილისში დაგეგმილი მაქვს სოლო-კონცერტის  
გამართვა, რომელიც ძალიან სკანდალური იქნება.

– სკანდალური რას ნიშნავს?

– საოცრად მაგარ ფორმაში ვიქნები, ფუშფუშა  
სამოსში. ერთი სიტყვით, ძალიან სექსუალური, კონ-  
ცერტს კი „სექსსიმბოლოს“ დავარქმევ.

– შენს მეგობარ, საშა სომხიშვილზე რას გვეტყვი?

– საშა ჩემი მეგობარი არა არის. ის ჩემი დაქალია.

P.S. ვჯაბა ბოჯგუა, ამ ყველაფრის შემდეგ, მართ-  
ლაც რომ საოცრად „პოხონდრია“ ადამიანია. იგი ნაზი,  
მოკრძალებული, სასიამოვნო მანერების მქონე „გიუ  
კაცია“. მას ქალობამდე, როგორც თვითონ აღნიშნავს,  
მხოლოდ სასქესო ორგანო და წვერის მოშორება აკლია,  
მაგრამ საოცარია, რომ ის ქალებსაც ეტრფის. მე ამ  
მასალას ალბათ „ჭირის ოფლს“ ვუწოდებ და არ ვიცი,  
როგორ გავოცდე. მარტო ამ სიტყვების თქმალა შემიძ-  
ლია: „სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს“.

გაზიეთ „კვირის საოცრების“ სვეტიდან

ძალიან ხშირია მოთხრობები, რომლებშიც, ბიბლიური თვალსაზრისიდან გამომდინარე, ჰომოსექსუალობა და გმობილია. ისინი არ დაგიდევენ არგუმენტებს, რომლებიც ბევრმა ლიპერალმა ქრისტიანმა და იუდეველმა თეოლოგმა შეიმუშავა, რომ უარეყოთ ტრადიციული შეხედულება და განემარტათ, თუ რატომ მოვიდა ამ შეხედულების გადასინჯვის დრო. ცალკეული პირები შესაძლოა არ დაეთანხმონ ამ არგუმენტებს, მაგრამ მათი უბრალოდ უარყოფა და ერთადერთ არგუმენტად ბიბლიის მოყვანა, მხოლოდ იმათ დაარწმუნებს, ვინც ამ მოსაზრებას ისედაც ეთანხმება.

## 10. გამოცემ „ირავნეუქის სვეტილან“

5 აგვისტოს ეპისკოპოსთა დახურულმა სხდომამ მიიღო გასაოცარი გადაწყვეტილება ნიუ ჰემპშირის ეპისკოპოსთა დაენიშნა აშკარა ჰომოსექსუალი, ჯიმ რობერტ-სონი. თუმცა ყველაფერი არ გვითქვამს. ეს კლერიკალი [უკაცრავად ამ გამოთქმისათვის] ესწრებოდა ეპისკოპოსთა შეხვედრას თავის პარტნიორ მარკ ენდრიუს-თან ერთად და კიდევაც განაცხადა: „ეს მარტო ჩემი ოცნების ასრულება კი არ არის, არამედ ნიშანია ღვთისაგან“. წარმოუდგენებია, როგორ შეიძლება სასულიერო პირმა თავს მისცეს ამგვარი მოქცევის უფლება მაშინ, როდესაც ბიბლიაში – ქრისტიანთავის უპირველეს წიგნში – ჰომოსექსუალობა მიჩნეულია ერთერთ უდიდეს და ყველაზე დაგმობილ ცოდვად.

გაზეთი „ირავუნქ“,  
ერევანი, სომხეთი,  
8 აგვისტო, 2004 წელი.

არსად არ არის მითითებული, თუ რომელ რელიგიურ მიმდინარეობაზეა საუბარი. და ეჭვგარეშეა, რომ ბევრ სომებს ნარმოდგენაც კი არა აქვს, თუ სად მდებარეობს ნიუ ჰემპშირი და ამ შტატის შესახებ არაფერი გაუგია. ამგვარი დეტალები ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც სწორედ ისინი ანიჭებს ამბავს სილრმესა და შინაარსს.

ეს სარკასტული განცხადება წინასწარ გვამცნობს უურნალისტის დამოკიდებულებას ამ გადაწყვეტილებისადმი. რა თქმა უნდა, ბევრად უფრო ადვილია იყო სარკასტული, ვიდრე უშუალოდ საკითხზე იფიქრო და გააანალიზო რწმენათა ცვალებადობა და ამის გამომწვევი მიზეზები.

ჰომოსექსუალობა ცოდვად არის მიჩნეული, თუმცა ასევე ცოდვად მიმჩნევა ცხოვრების ბევრი სხვა ასპექტიც, რომელსაც დღეს ხალხი ყურადღებს აღარ აქცევს. ხოლო ბევრი თანამედროვე თეოლოგი ბიბლიურ დებულებებს ჰომოსექსუალობის შესახებ განიხილავს იმ ისტორიულ კონტექსტში, როცა ეს წიგნები იწერებოდა და არ განიხილავს მათ, როგორც მიმდინარე საუკუნისათვის განკუთვნილ კანონს. უფრო მეტიც, რადგანაც ბიბლია მოიხსენიებს სექსს ორ მამაკაცს შორის, მაგრამ არა ორ ქალს შორის, ლოგიკური იქნებოდა დაგვესკვნა, რომ ლესბოსელობა ღმერთის თვალში გამართლებული ყოფილა. უურნალისტს ამ საკითხთაგან არც ერთი არ განუხილავს.



---

**11. პოლიტიკური ოპოზიცია და დისილენტები**

## პოლიტიკური ოპოზიცია და მისიღები

**პ**რავალფეროვანი პოლიტიკური შეხედულებების დამკვიდრებისათვის გზების გამონახვა, იმის აღიარება, რომ განსხვავებული შეხედულების გამოხატვა სამოქალაქო საზოგადოების ნორმალური და ბუნებრივი ელემენტია, პოსტკომუნისტური ქვეყნების ერთ-ერთ უდიდეს სირთულეს წარმოადგენს. ზოგ ქვეყანაში ამის მიღწევა უფრო წარმატებით შეძლეს, ზოგან სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა, რომ ოპოზიციური პარტიები და განსხვავებული შეხედულებების მქონე ადამიანები უმრავლესობასთან თანაბარ პირობებში აღმოჩენილიყვნენ.

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ მრავალ ქვეყანასა და რეგიონში, ეს პროცესი ჯერ არ დასრულებულა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ქვეყნები განსხვავებული აზრების მიმართ ტოლერანტულობისათვის მზადყოფნას აცხადებენ, ეროვნული და ადგილობრივი მთავრობა კვლავ აგრძელებს ოპოზიციაში მყოფი მოქალაქეებისათვის პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი ბარიერების შექმნას, რათა მათვის ძნელი იყოს საკუთარი შეხედულებების ხმამაღლალი გამოთქმა. ზოგჯერ იმ პირებს, რომლებიც ხელისუფლების მიერ დასახულ კურსს არ ეთანხმებიან, მოღალატეებად აცხადებენ და, შესაძლებელია, დანაშაულებრივი ქმედებაც კი დასდონ ბრალად.

ზოგჯერ უურნალისტები და მასმედიის საშუალებები ამა თუ იმ მიზეზით საწინააღმდეგო შეხედულებათა შეზღუდვას ეთანხმებიან. შესაძლოა თვითონაც განიცდიდნენ ხელისუფლებისა და საქმიანი წრეების ინტერესების ზენოლას. ანდა, შესაძლოა, უურნალისტებს გულწრფელად სჯეროდეთ, რომ ამ დაპირისპირებაში საზოგადოების მეორე მხარის მონაწილეობა უკანონოა და ამის გამო თავისი შეხედულებების გამოთქმის უფლება არა აქვს. ხშირად მასმედიის საშუალებები მთავრობას ემხრობიან, თუმცა ისიც შესაძლებელია, რომ უურნალისტები, რომლებიც ოპოზიციურ ძალას წარმოადგენენ, მოვლენების ოფიციალური ვერსიის გამოქვეყნების ხელის შეშლას შეეცადონ.

პრესის ერთ-ერთ უმთავრეს როლს დებატებში ყველა დაპირისპირებული მხარისათვის მონაწილეობის საშუალების მიცემა წარმოადგენს, ან უნდა წარმოადგენდეს. ამის მისაღწევად გთავაზობთ რამდენიმე რჩევას:

\* გადახედეთ არქივებს და გაარკვიეთ, მასმედიის მიერ გაშუქებულ მასალებში რამე ხომ არ არის გამორჩენილი? რომელიმე ერთი პარტიაზე ხომ არ არის ყურადღება გამახვილებული? ან მხოლოდ გარკვეული შეხედულებების

მქონე ხალხი ხომ არ არის ციტირებული? ოპოზიციის ლიდერებს ან ხელისუფლებასთან დაპირისპირებულ სხვა პირებს თუ მიეცათ შესაძლებლობა, რომ პასუხი გაეცათ მათ წინააღმდეგ გამოთქმულ ბრალდებებზე? ხომ არ იქნა ხელისუფლების საწინააღმდეგო განცხადებები სრულიად უგულებელყოფილი?

\* მნიშვნელოვან საკითხთა გაშუქებისას მხოლოდ უმრავლესობის ან ხელისუფლების შეხედულებებით ნუ შემოიფარგლებით. თუ მთავრობა რაიმე ნაბიჯებს დგამს ან განცხადებებს აკეთებს, მონახეთ ისეთი პირები, რომლებიც არ ეთანხმებიან ამ პოლიტიკას. ესენი შეძლება იყვნენ სხვა პოლიტიკოსები ან პროფესორ-მასწავლებლები, არასამთავრობო ორგანიზაციების, საქმიანი წრეების წარმომადგენლები, თუნდაც უბრალო გამვლელები.

\* ინფორმაციის წყაროების მონახვის მიზნით ითანამშრომლეთ ოპოზიციის ლიდერებთან, დაუკავშირდით მათ და მათთან არაოფიციალური შეხვედრები მოაწყვეთ, რომ მათთვის აქტუალური საკითხების შესახებ ისაუბროთ, გაიგოთ მათი შეხედულებები, იდეები და რწმენები. ნუ დაპპირდებით, რომ მათ შეხედულებებს ყოველთვის ჩართავთ თქვენ მიერ მომზადებულ მასალებში, მაგრამ მოუწოდეთ, რომ როგორც კი ისეთ შემთხვევას ექნება ადგილი, რომლის შესახებაც კომენტარის გაკეთებას ისურვებდნენ, აუცილებლად დაგიკავშირდნენ.

\* ეცადეთ, ყურადღებით გააანალიზოთ მთავრობის მიერ შემოთავაზებული ნებისმიერი კანონპროექტი თუ მარეგულირებელი განკარგულება. ეცადეთ გაარკვიოთ, ვის შეიძლება აძლევდეს ხელს ამ კანონის მიღება და ვის – არა, რის შემდეგაც აუცილებლად დაუკავშირდით იმათ, ვისაც მისი მიღება შეიძლება ხელს არ აძლევდეს. შეუმოწმებლად ნუ დაეთანხმებით ხელისუფლების არგუმენტებს, რომლებიც მათ საკუთარი პოლიტიკის გასამართლებლად მოჰყავთ.

\* ნუ აღწერთ ხელისუფლებასთან დაპირისპირებულებს, როგორც „დისიდენტებს“ ან „დისიდენტური აზროვნების“ მქონე ხალხს. გახსოვდეთ, რომ პლურალისტურ საზოგადოებაში, შეხედულებათა და პოლიტიკურ პოზიციათა მრავალფეროვნების არსებობა ნორმალურ მოვლენას წარმოადგენს. ისინი, ვინც მთავრობის პოლიტიკას არ ეთანხმება, რაც არ უნდა შეურიგებელნი იყვნენ, არ უნდა მოექცენენ ხალხის რაღაც განსაკუთრებულ კატეგორიაში, რომ შეხედულების თავისუფლად გამოხატვის უფლებით სარგებლობა შეძლონ. უბრალოდ არსებობს ხალხი, რომელიც ხელისუფლებას არ ეთანხმება.

\* ნუ გააზვიადებთ პარტიების ან პიროვნებების პოზიციებს შორის არსებულ განსხვავებებს. თავად ხალხი, განსაკუთრებით კი პოლიტიკოსები, ხშირად აზვიადებენ მოვლენებსა და საკუთარ როლს ამ მოვლენებში. ეს პოლიტიკური ქულების დაწერის და საკუთარი თავის უფრო თავდადებულ პიროვნებად წარმოჩენის მიზნით ხდება. როდესაც რაიმე მნიშვნელოვან საკითხზე წერთ, რომლის შესახებაც აზრთა დიდი სხვადასხვაობაა, დარწმუნ-

დით, რომ ყველა განსხვავებულ პოზიციას აკურატულად აღწერთ და მოერიდეთ გამომწვევ  
რიტორიკას.

\* ოპოზიციის ლიდერები და მთავრობის წინააღმდეგ სხვა გამომსვლელნი, შესაძლოა ხელისუფლებაში მყოფ ძალებზე არანაკლებ დოგმატურნი და ავტორიტარულნი იყონ. მხოლოდ ის, რომ ისინი მოქმედ ხელისუფლებას უპირისპირდებიან, სულაც არ ნიშნავს, რომ ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემთხვევაში თვითონ სხვაგვარად იმოქმედებენ. დაუპირისპირდით მათ, რომ ხელისუფლების საწინააღმდეგო შეძახილებს მიღმა არსებულ პროგრამას გაეცნოთ. როგორც უურნალისტი, საკითხის შესახებ საზოგადოების ნებისმიერი მხარის მიერ გაკეთებულ განცხადებებს სკეპტიკურად უნდა მიუდგეთ.

## სასწაულო მასალა

ეს სტატია პირდაპირ აცხადებს, რომ ოპოზიციის გამოსვლები სწორი არ არის და ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე იმეორებს ალიევის ბრალდებას, რომ ფართო საზოგადოება მათ მხარს არ უჭერს. რის საფუძველზე აკეთებს ალიევი ამ განცხადებას? არსებობს რამე საზოგადოებრივი გამოკითხვა, რომელიც მის მოსაზრებას დაადასტურებდა? ეს აშკარად პირადი დაინტერესებით გაკეთებული განცხადებაა, რომელსაც სტატიის ავტორი დიდი სიამოწერით იმეორებს.

### 11. ა) სულ არ არის აუცილებელი, რომ ოკონიციამ შექრებები მოაწყოს

საიდინ ალიევი: „საზოგადოებრივი აზრი ამის წინააღმდეგია“

ოპოზიციის მცდელობა, შეკრებების გზით შეცდომაში შეეყვანა საზოგადოება, უყურადღებოდ არ დარჩენილა. პარლამენტის წევრმა საიდნ ალიევმა განაცხადა, რომ ოპოზიციას სულაც არ სჭირდება მიტინგების ჩატარება, რადგანაც პოლიტიკურ პარტიებს შეუძლიათ თავიანთი შეხედულებები პრესის საშუალებით გააცნონ საზოგადოებას. მართებული არ არის ყველაფრის გამო მიტინგების ჩატარება. ს. ალიევი თვლის, რომ საზოგადოებას უარყოფითი დამოკიდებულება აქვს ასეთი მიტინგებისადმი: „უმჯობესი იქნებოდა ოპოზიციას ყურადღება გაემახვილებინა მთიანი ყარაბაღის პრობლემაზე. უკეთესი იქნება, თუ ისინი საერთაშოროსო ორგანიზაციებს ამ კონფლიქტის მოგვარების გზებს შესთავაზებენ.“

გაზეთი „ოლაილარ“,  
ბაქო, აზერბაიჯანი,  
27 მაისი, 2004 წელი

◀ საინტერესოა, როგორ შეიძლება შეკრებების მოწყობამ შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოება? ეს მიჩნეულია სინამდვილედ ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე.

◀ ეს ძალზე საინტერესო და ირონიული განცხადებაა, რადგანაც თვით ეს სტატიაც სავსებით საკმარისია, რომ ოპოზიციაშ მოყვანილი არგუმენტი გააბათილოს. თუ პრესა ასე ხელმისაწვდომია მთავრობის პოლიტიკური ოპონენტებისათვის, მაშ რატომ არ ჩანს მათი შეხედულებები ამ კონკრეტულ სტატიაში? თავისთავად ცხადია, რომ მათაც უნდა მისცემოდათ თავიანთი აზრის გამოხატვის საშუალება.

ალიევის აზრით, მიტინგების ჩატარებას ტერიტორიული პრობლემების გადაჭრაში მონაწილეობის მიღება აჯობებდა. თუმცა ეს უკანასკნელი პირველს არ გამორიცხავს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, არაფერია ცუდი იმაში, რომ უურნალისტი აშუქებს ალიევის ბრალდებებს, თუმცა არამართებულად მიმაჩნია ოპონენტების გაკრიტიკება ისე, რომ საშუალება არ მისცე მათ პასუხი გასცენ მათ მიმართ წაყენებულ ბრალდებზე.

ეს სტატია პატრიოტიზმის ვიწრო გაგებას ეყრდნობა და პოლიტიკურ ოპონენტებს მოღალატეობაში სდებს ბრალს. აგტორს თითქოს სჯერა, რომ პატრიოტიზმი მთავრობისათვის მხარის დაჭერას ნიშნავს, ხოლო მოქმედი ადმინისტრაციის კრიტიკა, მისი აზრით, ქვეყნის ღალატის ტოლფასია. სტატია კიდევ უფრო ამუქებს სიტუაციას, როცა ამბობს, რომ ოპოზიციაში მყოფი პოლიტიკოსები წყალს ასხამენ სომხეთის უდიდესი მტრის, აზერბაიჯანის წისქვილზე. ეს გაზეთის მკითხველთა დიდ ნაწილში უსათუოდ რისხებას გამოიწვევს გეჯამიანისა და ქოჩარიანის შიმართ.

## 11. ბ) ჩემი მერის მეერი ჩემი მეტობარია

ძველი მსოფლიოს, ევროპის ისტორია მდიდარია გირობისა და მოღალატეობის უთვალავი მაგალითებით. ისინი ამა თუ იმ გზას ირჩევდნენ თავიანთი მიზნების მისაღწევად. და მათ გმირებად ან მოღალატეებად რაცხავდნენ. ყოველდღიურად ათასობით ადამიანი ემატება ძველ მსოფლიოს და ათასი საქმე იწყება და სრულდება. დღეს ისტორიის ბორბალი ბრუნავს, რომ გვამცნოს ევროპის საბჭოში მივლენილი სომხური ოპოზიციის ორი წარმომადგენლის მიერ განუხორციელებელი მისის ამბავი (ისინი საკმაოდ უგუნურად დაგვიხატეს, როგორც გმირები). ამ ადამიანებს ჯერ კიდევ აქვთ შანსი დაამტკიცონ, რომ ისინი ხალხისა და ქვეყნის ინტერესებს თავიანთ ინტერესებზე მაღლა აყენებენ. ამისთვის კი მათ უნდა ეყოთ ვაჟავაცობა საჯაროდ აღიარონ თავიანთი შეცდომები და შეურიგდნენ იმ აზრს, რომ მათი მცდელობა, ოკეანისგალმიდან მოეყვანათ მეგობარი, ამჯერადაც უშედეგოდ დასრულდა. თუმცა ახლა უკვე უკიდურესად რთული იქნება არტაშეს გეღამიანისა და შავარშ ქოჩარიანისათვის თურქებისა და აზერბაიჯანელების წისქვილზე წყლის დამსხმელის სახელის მოცილება, რაც მათ თავიანთი სამშობლოს ზიანის მიყენების ხელშეწყობისათვის დაიმსახურეს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ბოლოდროინდელ სხდომაზე, მათ, როგორც ყოველთვის, აზერბაიჯანელთა დელეგაციის მხარდაჭერაც კი მოიპოვეს.

ნათქვამია, ჩემი მტრის მტერი ჩემი მეგობარია. ეს ფრაზა ზუსტად შეესაბამება იმას, რაც არტაშეს გეღამიანმა, შავარშ ქოჩარიანმა (სომხეთის რადიკა-

◀ მთავრობასთან ოპოზიციაში ყოფნა ან მისი საქმიანობის კრიტიკა ქვეყნის ორგულობას ან ღალატს არ ნიშნავს.

მაინც რატომ არის შეკრებები უკანონი? რა სახის ანტიკონსტიტუციურ საქმიანობას ეწეოდნენ ისინი? სტატია უნდა შეიცავდეს კონკრეტულ მაგლითებს. სხვანაირად საზოგადოება ვერ შეძლებს სინამდვილის დადგენას. თუკი ქმედებები უკანონი და ანტიკონსტიტუციურია, მკითხველებმა უნდა მიიღონ მეტი ინფორმაცია, რომ გადაწყვიტონ, უნდა აკრძალოს თუ არა ეს ქმედებები.

კვლავ ჩნდება შეკითხვა: რა სახის საზოგადოებრივ არეულობასა და დეზინფორმაციაზეა საუბარი? სტატიაში მოცემული უნდა იყოს კონკრეტული მაგალითები. სხვაგვარად ეს კველაფერი მხოლოდ ჭრია.

და კვლავ შეკითხვა: რაში გამოიხატებოდა მათი მუხანათობა? უბრალოდ მთავრობის საწინააღმდეგო მასალების წარმოდგენაში?

ლური ოპოზიციის წარმომადგენლებმა) და აზერბაიჯანელთა დელეგაციამ განახორციელეს სტრასბურგში. მათი ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა, მიუხედავად იმისა, მოსწონთ თუ არა მათ ეს.

თავისი მიზნის, ქვეყნის კანონიერი ხელისუფლების დამხობის განსახორციელებლად რადიკალური ოპოზიცია იყენებს ისეთ მეთოდებს, როგორებიცაა უკანონო შეკრებები და ანტიკონსტიტუციური საქმიანობა; საზოგადოებრივი არეულობა; საზოგადოებისა და საერთაშორისო თანამეგობრობისათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდება. უფრო მეტიც, ამ მეთოდს ძალიან პრაქტიკული გამოყენება აქვს: როგორც „ეროვნული ერთობის“ თავმჯდომარემ არტაშეს გელამიანმა აღიარა, ისინი ვიდეოკასეტებს აწვდიან სომხეთში არსებულ დიპლომატიურ წარმომადგენლობებს. როგორც ჩანს, ოპოზიციის წარმომადგენლებმა რამდენიმე ასეთი ნიმუში სტრასბურგშიც ჩაითანეს. თუმცა ევროპის საბჭომ დაადგინა, რომ ისინი ე. წ. „პირატული ვარიანტებია“ და არ გააჩინიათ შესაბამისი ლიცენზია. ამგვარად, ბატონმა ა. გელამიანმა და ბატონმა შ. ქოჩარიანმა ვერ შეძლეს თავიანთი მუხანათური მისის შესრულება, ჩირქი მოეცხოთ საკუთარი ქვეყნისა და ხალხისათვის, რამაც აიძულა ისინი სხვა საშუალებებისათვის მიემართათ. არც ამან გამოიწვია ის შედეგი, რომელსაც ოპოზიცია ელოდა, როგორც ეს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციამ გვიჩვენა. მიუხედავად ამისა, მათი საქმიანობა მათთვის მოუცილებელ სტიგმად იქცა: „ეროვნული ერთობის“ პარტიის ლიდერს არა აქვს საზოგადოებაში განხეთქილების დანერგვის უფლება. ევროპას ეს შესანაშნავად ესმის და ამიტომაც ბარიერი აღმართა მათ ნინ. არტაშეს გელამი-

იმის მტკიცება, რომ ოპოზიციაში მყოფი პოლიტიკოსები და აზერბაიჯანელები ურთიერთშეთანხმებულად მოქმედებენ, უსაფუძვლო და მდაბლი ცილინდრებად და მიზნდ ისახავს მათი რეპუტაციის შელახვას. ურნალისტი რომ წარმოედგინა ამის დამამტკიცებელი მასალა, შესაძლოა ეს საკითხი განხილვის ღირსა გამხდარიყო, ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ოპოზიციაში მყოფ პირებს პრალდებაზე პასუხის გაცემის საშუალება მიეცემდათ. ხოლო მთელი არგუმენტის იმ მოსაზრებაზე აგება, რომ ორივე პირი სომხეთის მთავრობის ოპოზიციონერია, სრული უსამართლობა.

ვიდეოკასეტებს თუ კონკრეტულად რას? რა სახის საქმიანობაზე ლაპარაკობს ურნალისტი ამ შემთხვევაში? განა რა არის ამაში ცუდი? საფუძვლიან ახსნა-განმარტების გარეშე ამგვარი ბრალდების წამოყენება ძალიან მდარე ურნალისტიკის მაჩვენებელია.

გაურკვეველია, რომელ სხვა მეთოდებზე ლაპარაკობს ავტორი. ურნალისტმა ისიც უნდა მიუთითოს, რომელ რეზოლუციაზეა ლაპარაკი. შესაძლოა, ზოგიერთი მკითხველისათვის ნაციონბი იყოს მთელი ისტორია, მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ უმრავლესობას ამაზე წარმოდგენაც არ ექნება.

მხოლოდ ის ფაქტი, რომ ზოგიერთი მოქალაქე მოღალატეს უწოდებს ოპოზიციის ლიდერებს, არ ნიშნავს, რომ ეს მართალია.

ანს, შავარშ ქოჩარიანსა და რადიკალური ოპოზიციის ლიდერებს მხოლოდ ისლა დარჩენიათ, გააცნობიერონ, რომ მოღალატეთა მიერ გაწეული სამსახური, რაც უნდა სიხარულით მიიღონ იგი, ზურგს უკან მაინც დაცინვის საგანი გახდება. თუმცა ეს მხოლოდ მცირედი ნაწილია, რადგანაც მოღალატეები ვერასოდეს ეღირსებიან პატიებას ვერც იმათგან, ვისაც ისინი სამსახურს უწევენ და ვერც საკუთარი ხალხისაგან. ამის დასადასტურებლად საკმარისია გასული კვირის ბოლოს სტრასტურგიდან დაბრუნებული ჩვენი დელეგაციის დახვედრის ცერემონია. „გრცხვენოდეთ, მოღალატეებო!“, „არტაშეს გეღამიანი... აზერბაიჯანის პრეზიდენტი“, – ამ და სხვა მსგავსი წარწერებით შემკული პლაკატებით დახვდა სომები ახალგაზრდობა არტაშეს გეღამიანსა და შავარშ ქოჩარიანს...

P.S. გუშინ, პრესის თავისუფლების დღი-სადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე, რომელზეც სიტყვის თავისუფლების დამცველებმა „ჰაიასტანი ჰანრაპეტუტიუნი“ არ მიიწვიეს (საინტერესოა, გაავრცელა თუ არა ეს ინფორმაცია ბატონმა გეღამიანმა საზღვარგარეთ), არტაშეს გეღამიანმა კიდევ ერთხელ აღიარა, რომ ის უცხოეთის ინფორმატორია. „ყოველ სამ თვეში ერთხელ ჩვენი ოპერატორი რეგულარულად იღებდა ყველაფერს და უგზავნიდა მასალას ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების ყველა ელჩს.“

ოპოზიციის აქტივისტები გამუდმებით ირჩმუნებიან, რომ სიტყვის თავისუფლება საფრთხეშია და რომ მათ საეთერო დროს არ უთმობენ. მაშვინ არიან ის „ოპერატორები“, თუ თვით „ეროვნულ ერთობას“ არა აქვს საკუთარი რეგისტრირებული საინფორმაციო სამუალება? სურათი მაშინვე ნათელი ხდება: ოპოზიცია უზრუნველყოფს

და კვლავ შეკითხვა: კონკრეტულად რა გადაიღეს? და რაც უნდა იყოს, თუ ეს ასე ადვილად ხელმისაწვდომია ოპოზიციის ლიდერისათვის, ხომ არ ნიშნავს, რომ ეს სულაც არ არის საიდუმლო? შესაბამისად, არ შეიძლება ღალატად მივიჩნიოთ ასეთი მასალების უცხოელე- ბისათვის მიწოდება.

პირს, რომელიც არ არის კამერიანი უურნალისტი, შემუშავებს გეგმას და მერე მთელი ევროპის გასაგონად გაჰყვირის, რომ სომხეთში უურნალისტთა უფლებები ირღვევა. განა შეიძლება პარტიის ოპერატორი უურნალისტად მივიჩნიოთ?

ბატონმა გელამიანმა გუშინდედ პრესკონფერენციაზე ისიც აღიარა, რომ ის და მისი მომხრეები ფინანსდებიან მენარმეთა მიერ, რომელთაც გარკვეული განზრახვა ამოძრავებთ. „ისინი აწყობენ ჩვენთვის შეხვედრებს მოსკოვში, ლონდონსა და ვენაში.“ – თუმცა ყველაზე სევდიანი ნაწილი მან ბოლოსთვის მოიტოვა: „მიუხედავად მათი სომხური წარმოშობისა, ისინი ჭეშმარიტი პატრიოტები არიან.“ ანუ, ა. გელამიანი გულისხმობდა, რომ თუ ადამიანი სომეხია, ის პატრიოტი არ არის, ხოლო, თუ ის უზრუნველყოფს დაფინანსებას, ჭეშმარიტი პატრიოტია. ყოველივე ამის შემდეგ, გასაკვირი არ იქნება, რომ ბატონმა გელამიანმა სიხარულით გამოაცხადოს, რომ აზერბაიჯანის ნავთობის მარაგი იზრდება. სხვათა შორის, უკრაინის პრეზიდენტმა, ლეონიდ კუჩმამ განაცხადა, რომ აზერბაიჯანს არასოდეს ჰქონია ნავთობი, რითაც აზერბაიჯანის პოლიტიკური ფიგურებისა, და, შესაძლოა, ბატონი გელამიანისა და ბატონი ქოჩარიანის რისხვაც კი გამოიწვია...

გაზეთი „ჰაიასტანი ჰანრაპეტიუტიუნ“, ერევანი, სომხეთი, 4 მაისი, 2004 წელი.

◀ იგვე შეკითხვა შეიძლება დაისვას ამ სტატიის ავტორის მიმართაც. შეიძლება ადამიანს, რომელიც ასე აშკარად უჭერს მხარს მმართველ ძალას, უურნალისტი ვუწოდოთ? ასეც რომ არ იყოს, ავტორი ავითარებს პიპოთებას, სინამდვილეში რა გზით მოხდა ვიდეომასალების შეგროვება და მოხდა თუ არა?

◀ უურნალისტის მსჯელობა ისეთივე ალოგიკურია, როგორც ეს წინადადება: თუ ადამიანი მხარს უჭერს მთავრობას, ის პატრიოტია, თუ არა და – არა.

◀ უურნალისტის ეს მცდელობა, კვლავ აზერბაიჯანის სახელს დაუკავშიროს ოპოზიციის წევრები, კიდევ ერთი მეთოდია მკითხველების მათ წინააღმდეგ ასამხედრებლად.



---

12. ვიზუალური მასალები

## ვიზუალური მასალები

**ს**იტყვების მსგავსად, ფოტოები, რომლებიც სტატიებს ახლავს თან, უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ინფორმაციის მიწოდების საქმეში. გაზეთში გამოქვეყნებულ ფოტოს თუ ტელევიზიით ნაჩვენებ ვიდეოჩანანერს – ვიზუალურ ელემენტებს – მკითხველამდე თუ მაყურებლამდე ძლიერი და, ხშირად, ემოციური აზრის მიტანა შეუძლია. ფოტოებით და კადრებით გადმოცემული ამბით გამოწვეული შედეგები, შესაძლოა თავად იმ ხალხისათვისაც კი გაუცნობიერებელი იყოს, ვინც ისინი მასალისთვის შეარჩია.

მასალის ილუსტრირებისას გახსოვდეთ, რომ მასში წარმოდგენილი სახეები შესაძლოა დიდხანს დაამახსოვრდეს მკითხველსა თუ მაყურებელს. მათ ტექსტი შეიძლება სულ არ წაიკითხონ და მხოლოდ ფოტო და სათაური შეამჩნიონ. ასე რომ, ძალზე მნიშვნელოვანია ისეთი სურათების შერჩევა, რომლებიც თქვენ მიერ მომზადებული მასალის სულისკვეთებას ასახავს და არ ეწინააღმდეგება იმას, რის თქმასაც მასალით ცდილობთ.

რამდენიმე რჩევას მოგცემთ, თუ როგორ მიაღწიოთ ამას:

\* დარწმუნდით, რომ სურათი სტატიაში მოთხოვნილი ამბის არსა-დაგება. ზოგჯერ მეტად ძლიერი ფოტო- ან ვიდეოკადრებიც კი, მხოლოდ ირიპად უკავშირდება მასალით წარმოდგენილ საკითხსა თუ მოვლენას. მაგალითად, მშიერი, მოწყალების მთხოვნელი ლტოლვილის სახემ შესაძლოა ბევრს სიმპათია, სხვებს კი ზიზზი მოჰყვაროს. ნებისმიერ შემთხვევაში, ის შეუფერებელია ისეთი სტატიისათვის, რომელიც პოლიტიკური თავშესაფრის მძებნელთა მიერ უკეთესი საცხოვრებელი პირობების მოთხოვნით ორგანიზებულ გამოსვლას აღნერს.

\* უურნალისტმა და ფოტოგრაფმა წინასწარ უნდა განიხილონ თემა და, თუ შესაძლებელი იქნება, ერთობლივად უნდა იმუშაონ. ბევრ გაზეთში უურნალისტები და ფოტოგრაფები ყურადღებას არ აქცევენ ერთმანეთს და არ ახსოვთ საკუთარი მოვალეობები, რომლებიც, თუმცა კი განსხვავდება, მაგრამ მაინც მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. სტატიის ავტორები უნდა აცნობიერებდნენ, რომ კარგად ილუსტრირებულ მასალას ბევრი მკითხველი წაიკითხავს. ფოტოგრაფს კი უნდა ესმოდეს, რომ სათანადო ტექსტი მისი სურათებისათვის აუცილებელ კონტექსტს ქმნის.

\* უკეთესია, თუ უურნალისტს, რომელმაც მასალა მოამზადა, სიტყვა ეთქმის ფოტოების შერჩევის საქმეში, ანდა ინფორმირებული მანც არის მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ. რეპორტიორები მასალას ყველაზე ახლოს იცნობენ. შესაბამისად, ფოტოების შერჩევა მათთან კონსულტაციის გარეშე სტატიის შინაარსისა და მიზნის დამახინჯების საშიშროებას ქმნის.

\* სწორად ასახავს კადრს ქვემოთ მოცემული ტექსტი სურათს? საილუსტრაციოდ ყოველ-თვის ჯობია, რომ კადრებს შესაფერისი ტექსტი დაურთოთ, გარდა იმ შემთხვევებსა, როდესაც თვლით, რომ სურათზე გამოსახული აუხსნელადაც გასაგებია. შეცდომების თავიდან აცილების მიზნით, დარწმუნდით, რომ სტატიის ავტორმა უურნალისტმა ის წაიკითხა და სურათების ტექსტს ეთანხმება.

\* ერიდეთ ისეთი ფოტოების გამოქვეყნებას, რომლებიც მხოლოდ სტერეოტიპების გაძლიერებას შეუწყობს ხელს. ამგვარი სურათების ხილვა მოსახეზრებელია და არც რაიმე შემცნებით ინფორმაციას შეიცავს. ყველას უნახავს ქუჩაში ჩამნკრივებული ან კუთხეში ნახევრად შიშველი მეძავების ფოტოები. გაცილებით საინტერესო იქნებოდა ისეთი ფოტოს ხილვა, რომელიც მეძავს განსხვავებულ კონტექსტში, ანდა მოულოდნელ სიტუაციაში ასახავს – უნივერსიტეტის აუდიტორიაში ლექციაზე ყოფნისას თუ სახლში შვილებისათვის სადილის მზადების დროს.

\* ფოტოების ნუ შეცვლით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მათი ხარისხის გაუმჯობესება გსურთ, ანდა რომელიმე ადამიანის სახე უნდა დაფაროთ იმისათვის, რომ შეუძლებელი გახდეს მისი ამოცნობა. დღეს ტექნოლოგიურად ძალზე იოლია სურათებით მანიპულირება – ზოგიერთი კონკრეტულ პირის ამოჭრა ან ორი პირის ერთმანეთთან უფრო ახლოს ჩასმა. ეს ძირეულად ენინააღმდეგება მთავარ უურნალისტურ პრინციპს – ინფორმაციის აკურატულად და გაუყალბებლად მიწოდებას.

\* ფრთხილად მოიქეცით განსაკუთრებული სისასტიკის ამსახველი სურათების გამოქვეყნებისას, მაგალითად, საომარი მოქმედების დროს მომხდარი ძალადობის, დისკრიმინაციის თუ სოციალური უსამართლობის ასახვისას. თუ მოვლენათა ამსახველი ვიზუალური მასალა მხოლოდ ხალხის დათრგუნვას იწვევს და, ამავე დროს, არ აიძულებს მათ, რომ ჩაფიქრდნენ, ალბათ აჯობებს, რომ გადაწყვეტილება შეიცვალოთ.



---

13. სავარგიშო მოღვალები

## საკურანტიშო მოღვალები

რეინინგი მრავალფეროვნების გაშუქებაში შეიძლება მოკლე იყოს, მაგალითად, რამდენიმესაათიანი. ის შეიძლება ხანგრძლივიც იყოს და რამდენიმე დღეს ან კვირასაც გაგრძელდეს. შესაძლებელია ის უურნალისტიკის კურსის ნაწილს წარმოადგენდეს ან შეიძლება ცალკეული სემინარის სახე ჰქონდეს. იმის გამო, რომ მისი შინაარსი და სტრუქტურა მონაწილე უურნალისტების სპეციფიკურ საჭიროებებზეა დამოკიდებული, არ არსებობს რაიმე მტკიცედ განსაზღვრული და სწრაფი წესები, როგორ უნდა წარიმართოს ტრეინინგი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოდულით მიდგომა, რომელსაც ჩვენ გთავაზობთ, საშუალებას აძლევს ინსტრუქტორებს, რომ სწორედ ის ელემენტები შეარჩიონ, რომლებიც ამა თუ იმ კონკრეტული აუდიტორიისათვის ყველაზე სასარგებლო და მისაღები იქნება. თითოეულ მოდულში წამოჭრილი ყოველი საკითხი, შესაძლოა, მოკლედ ან ფართოდ იქნას განხილული. როგორც წესი, ნახევარი დღე საკმარისია თითოეულ მოდულში განხილული საკითხების შესასწავლად.

დისკუსიის წარმართვისას ეცადეთ, რომ მაგალითების რაც შეიძლება ფართო სპექტრი გამოიყენოთ. ასევე შეგიძლიათ ტრეინინგის მონაწილეთა მიერ დაწერილი მასალების ან რეგიონალურ გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიების გამოყენება. თუ მიზანშერინილად ჩათვლით, შეგიძლიათ სახელმძღვანელოში მოცემული სასწავლო მაგალითებიც მოიყვანოთ. ასევე გახსოვდეთ, რომ მოდულები ერთმანეთზე უნდა აეწყოს. თითოეულმა მოდულმა ხელი უნდა შეუწყოს რთული უურნალისტური პრობლემების შესასწავლად საჭირო ცოდნის ათვისებას.

ასევე დაგეხმარებათ ჩამოთვლილი მითითებები:

1. ნახევარდღიანი სემინარის შემთხვევაში, განიხილეთ პირველი მოდული
2. ერთდღიანი სემინარის შემთხვევაში, - პირველი და მეორე მოდულები
3. ორდღიანი სემინარის შემთხვევაში, პირველიდან მეოთხე მოდულის ჩათვლით
4. ორ დღეზე მეტი ხანგრძლივობის სემინარის შემთხვევაში ყველა მოდული გაიარეთ

სემინარის ნებისმიერი ხანგრძლივობის შემთხვევაში, მოუწოდეთ მონაწილეებს, რომ ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა შეიმუშაონ, რომელიც მათ მრავალფეროვნების გაშუქებაში დაეხმარება.

## **სემინარისწინა მომზადება**

სემინარისწინა დავალებები მონაწილეთათვის

სემინარის ხელმძღვანელმა უნდა სთხოვოს სემინარის თითოეულ მონაწილეს, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი ინფორმაცია სემინარის ჩატარებამდე 4 კვირით ადრე მაინც მოამზადოს. მასალები სემინარის ჩატარებელს უნდა გაეგზავნოს გადასამოწმებლად და სემინარის მოსამზადებლად.

- \* მონაწილის გაზეთის ხუთი გამოცემა;
- \* მონაწილის გაზეთი(საგაზეთო ჟურნალისტების შემთხვევაში), რადიო- ან ტელეარხის (სატელევიზიო ჟურნალისტების შემთხვევაში) მიერ მომზადებული ისეთი მასალა, სტატია ან ვიდეოჩანაწერი, რომელსაც მონაწილე კარგად მომზადებულად, კარგად დაწერილად და ობიექტურად მიიჩნევს;
- \* მონაწილის გაზეთის, რადიო- ან ტელეარხის მიერ მომზადებული ისეთი მასალა – სტატია ან ვიდეოჩანაწერი, რომელსაც, მონაწილის აზრით, მრავალფეროვნება აკლია საკითხის ან მოვლენის გაშუქებისა და რედაქტირების თვალსაზრისით.

თითოეულმა მონაწილემ უნდა მოამზადოს შემდეგი მონაცემები:

- \* მის სიახლოვეს სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფებისა და მოსახლეობის რაოდენობის შესახებ;
- \* მოსახლეობაში 25 წლამდე, 25-დან 40-მდე, 41-დან 60-მდე და 60-ზე უფროსი ასაკის პირების პროცენტული რაოდენობის შესახებ;
- \* მის სიახლოვეს მცხოვრებ მოსახლეობაში ქალების პროცენტული რაოდენობის შესახებ.

## **სემინარისწინა შეფასება სემინარის ხელმძღვანელის მიერ**

სემინარის გახსნამდე ხელმძღვანელი ყურადღებით უნდა გაეცნოს მონაწილეთა მიერ მოწოდებულ მასალებსა და დემოგრაფიულ მონაცემებს. მან უნდა შეაფასოს ამა თუ იმ მასალის ძლიერი და სუსტი მხარეები. ხელმძღვანელმა მასალაში მიუღებელი ენის ისეთი მაგალითები უნდა მოძებნოს, რომლებიც მოსახლეობის რომელიმე ნაწილს შეიძლება შეურაცხმყოფელად მიაჩნდეს. სტატიებში მოიძიეთ სტერეოტიპების გამოყენების მაგალითები. ხელმძღვანელმა მოწოდებული მასალები მონაწილის სიახლოვეს მცხოვრები მკითხველის პოზიციიდან უნდა განიხილოს.

სემინარის ხელმძღვანელმა მასალების ძლიერი და სუსტი მხარეები ქვემოთ ჩამოთვალით კრიტიკულების მიხედვით უნდა განსაზღვროს:

1. რომელიმე ეთნიკურ ან რასობრივ ჯგუფთან დაკავშირებული პრობლემების გაშუქებისას მასალაში გამოყენებული ენა და ტონი.

გაზეთში გაშუქებულია დაპირისპირება, რომელშიც საზოგადოების ზოგიერთი რასობრივი და ეთნიკური ჯგუფი მონაწილეობს, მაგრამ იმავე ეთნიკური ჯგუფების მონაწილეობა დადგებით, პროდუქტიულ და სასარგებლო საზოგადოებრივ პროცესებში არ გაშუქებულა.

2. მასალებში ერთი კვირის მანძილზე გამოქვეყნებულ ჩადენილ დანაშაულებათა შესახებ, ძირითადად ერთი რომელიმე რასობრივი ან ეთნიკური ჯგუფის ნევრი ბოროტმოქმედები არიან გაშუქებულნი.

დანაშაულში ეჭვმინტანილთა აღწერილობა ერთი რომელიმე რასობრივი ან ეთნიკური ჯგუფის ზოგად ნიშნებს ასახავს, იმის მაგივრად, რომ უფრო სპეციფიკურ დეტალებზე იყოს ყურადღება გამახვილებული. მაგალითად: „საშუალო სიმაღლის შავკანიანი მამაკაცი“, იმის მაგივრად, რომ ეჭვმინტანილის გარეგნობის აღწერილობაში მისი ჩაცმულობის დეტალები ყოფილიყო მოხსენიებული.

### 3. ცუდი რედაქტირება

გაზეთების, რადიოსა და ტელევიზიით გასულ მასალებში რომელიმე ეთნიკური ჯგუფი, ხანში შესულები, ინვალიდები ან ქალები უხეში და სტერეოტიპებით გაჯერებული ენით ხომ არ არიან გაშუქებულნი?

4. ადგილობრივი საშუალებებით არასაკმარისი გაშუქება

გაზეთები, რადიო და ტელევიზია თუ მოიცავს საკმარის მასალებს ადგილობრივი მოვლენების შესახებ, რომლებშიც ეთნიკური ან რასობრივი ჯგუფები, ხანშიშესულები, ინვალიდები და ქალები იღებენ მონაწილეობას?

5. ეთნიკური საზოგადოების არაადეკვატური გაშუქება

აშუქებენ თუ არა გაზეთები, რადიო და ტელევიზია სპეციფიკურ ეთნიკურ ჯგუფებს ან რელიგიურ უმცირესობებს? თუ აშუქებენ, მათ მიმართ კლიშეები, სტერეოტიპები და შეურაცხმყოფელი მახასიათებლები ხომ არ არის გამოყენებული?

6. ყოველდღიური გაშუქებისას ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლების განცალევება

აშუქებენ თუ არა გაზეთები, რადიო და ტელევიზია განსხვავებული რელიგიური მრნამსის, სხვა ეთნიკური ან რასობრივი წარმომავლობის საქმიან ხალხს, ექიმებს, ადვოკატებს და პროფესორ-მასწავლებლებს? მიდიან არა მათთან ისეთ საკითხებზე საკონსულტაციოდ, რომლებიც მათ რასას, ეთნიკურ წარმომავლობას ან რელიგიურ მრნამსს სულაც არ ეხება? საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერი სფეროს შესახებ მომზადებულ მასალებში ინფორმაციის წყაროდ ქალები თუ ყოფილან გამოყენებულნი?

**მაგალითი:** სტატია ადგილობრივი საავადმყოფოს ექიმების შესახებ, რომლებიც საუბრობენ იმის შესახებ, თუ რა სჭირდება ფეხმძიმე ქალს ჯანმრთელობისათვის და თუ რაოდენ მნიშვნელოვანია პერინატალური (მშობიარობის წინა) მოვლა. არის თუ არა მასალაში მოყვანილი ქალი ან რელიგიური თუ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ექიმების შეხედულებები?

7. მოვლენათა ამსახველი სურათები არასაკმარისად აშუქებს ქალების, უმცირესობათა და „სხვათა“ სახეებს

გაზიერებით, რადიოთი და ტელევიზიით ყოველდღიურად გასულ მასალებში არის თუ არა უმცირესობების წარმომადგენელთა, ქალების, ხანში შესულთა ან ინვალიდთა სურა-თები?

**მაგალითი:** ფოტოსურათი, რომელზეც ექიმები უკეთესი პერინატალური მოვლის საჭი-როებაზე საუბრობენ. ვინ არის სურათზე გამოსახული? მამაკაცი თუ ქალი? იქნებ ეთნი-კური უმცირესობის წარმომადგენელი ექიმია? ინვალიდი ექიმის სურათზე რას იტყვოდით?

სემინარის ხელმძღვანელმა მაგალითები მონაწილეთა მიერ მოწოდებული მასალებიდან უნდა შეარჩიოს და მომდევნო მოდულებში გამოიყენოს. თუ სემინარისწინა შეფასების დასრულება ვერ ხერხდება, თითოეული მოდული დამატებით მასალებს შეიცავს, რომლე-ბიც შეიძლება მაგალითებად იქნას გამოყენებული.

სემინარის ხელმძღვანელმა უნდა შეიმუშაოს მასალების შეგროვების მექანიზმი, რომ საჭიროების შემთხვევაში, შემდგომ სემინარებზე მაგალითებად გამოიყენოს, ისინი.

8. ისტორიული კონტექსტის არარსებობა ისეთ მაგალითებში, სადაც რელიგიური მრწამსი, რასობრივი ან ეთნიკური წარმომავლობა მასალის ელემენტებს წარმოადგენს.

იმ მასალებში, რომლებიც რელიგიურ მრწამსს, რასობრივ ან ეთნიკურ წარმომავლობას ეხება, განიხილავენ თუ არა გაზიერები, რადიო და ტელევიზია საკითხთა ან მოვლენათა ისტორიულ კონტექსტს? და თუ ეს ასეა, ვისი ისტორიაა აღწერილი? როგორ გავარკვიოთ, შეესაბამება თუ არა ის სინამდვილეს და შეეფერება თუ არა ის მასალას?

მონაწილეთა მიერ მოწოდებული მასალები, მკითხველის ანალიზთან ერთად, სემინარის ან ტრეინინგის მსვლელობისას ხელმძღვანელის მონაწილეობისა და ჯგუფური დისკუსი-ების წარმართვისათვის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს.

## მოდული 1: მრავალფეროვნება ისტორიის წინააღმდეგ

**მიზანი:** წინამდებარე მოდულში ორ ახალ ცნებას გაგაცნობთ. ესენია, „განცალკევება“ და „შემოერთება“ [ჩართვა]. პირველი ტერმინი გულისხმობს რაიმე ნიშნით გამორჩეული ხალხის ჯგუფის ან ჯგუფების საზოგადოებისგან განცალკევებას, იზოლირებასაც კი. მეორე ცნება პირველის ანტონიმია და განცალკევებით მდგომი ჯგუფის საზოგადოებასთან შემოერთებას, ინტეგრაციას აღნიშნავს.

მოდულის მიზანია, რომ სემინარის მონაწილეებმა ჩვენს საზოგადოებაში რაიმე ნიშნით გამორჩეული ხალხის საზოგადოებისაგან განცალკევების ისტორიისა და ამ ფენომენის საზოგადოების განვითარებაზე გავლენის განხილვა შეძლონ. თითოეულმა მონაწილემ უნდა გადახედოს ისტორიას და შეძლოს, რომ მისი საქმიანობის ფარგლებში ჩაერთოს „შემოერთების“ ახალი მოდელის ჩამოყალიბებაში.

**პრიციპი:** მასმედიის საშუალებებს შესწევთ ძალა, რომ მოვლენების სწორი და მიუკერძოებელი გაშუქების საშუალებით მართებულად წარმართონ საზოგადოებრივი დისკუსია.

**შედეგი:** საზოგადოების ყველა სეგმენტი მონაწილეობას მიიღებს მრავალი ჯგუფისათვის ისტორიულ სინამდვილედ ქცეული რეალური და ცნობიერი იზოლაციის შემსუბუქებაში.

ათწლეულების მანძილზე მასმედიის როლი საზოგადოებებს შორის ქვეყნის შიგნით თუ ერებს შორის მომხდარ კონფლიქტებში არაერთხელ გამხდარა კვლევის საგანი. ასევე არაერთხელ განუულა რეკომენდაცია, რომ ეს როლი უნდა შეიცვალოს. მნიშვნელობა არა აქვს, რას ეხება დისკუსია – შესაძლოა იგი ახალი ემიგრანტების ან დიდი ხნის წინ დასახლებული ეთნიკური ჯგუფების შესახებ იყოს. ქვეყნის მოსახლეობაში გარკვეული გაგების ჩამოყალიბებაში შურწალისტებმა თავისი როლი უნდა შეასრულონ. ისინი უნდა გრძნობდნენ, რა გავლენს ახდენს ერის განვითარებაზე წლების მანძილზე მცხოვრები უმცირესობების კულტურა და ქვეყნის მოსახლეობის შემადგენლობაში მიმდინარე ცვლილებები.

ყველა ერში არსებობს ჯგუფები, რომლებიც ძირითადი მასის ნაწილად არ მიაჩნიათ. აფრიკის, კარიბის კუნძულების, სამხრეთ აზიის ყოფილი კოლონიებიდან დიდ ბრიტანეთში ჩამოსული ემიგრანტები ათწლეულების მანძილზე გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას საზოგადოებისაგან განცალკევების, მათ მიმართ არსებული სტერეოტიპების და თეთრკანიანი მოსახლეობისაგან ზიზღის გამო. ევროპელი ერები, უარყოფითად შეხვდნენ კოლონიების მცხოვრებთა მათ მიწაზე გადმოსახლებას, მიწაზე, რომელთანაც ისტორიული რეალიების გამო საერთო ენა აკავშირებდათ. ყოფილ კოლონიათა მცხოვრებლებმა მალევე აღმოაჩინეს, რომ, სამწუხაროდ, საერთო ენა სრულიადაც არ წინავს სტუმართმოყვარე დახვედრას.

ევროპის მრავალ სხვა ქვეყანაში ემიგრანტი მოსახლეობის გამოჩენას მრავალი გაუგებრობა და უნდობლობის გაჩენა მოჰყვა. სანამ მნიშვნელოვანი კონფლიქტი არ მოხდება, ამ საკითხების შესწავლა და გადაწყვეტა არავის მოსახლის აზრად. ამავე დროს, ბევრ ქვეყანაში განსხვავებული კულტურის ხალხის განცალკევება უცვლელად მიმდინარეობს უკვე საუკუნეების მანძილზე.

რეპორტიორები, ისევე როგორც მოსახლეობის სხვა ნაწილი, ბევრი რამისათვის მოუმზადებელი არიან. ისინი ვერ ახერხებენ ისტორიული მოვლენების მოკრებასა და ასახვას, რათა ამით ხელი შეუწყონ საზოგადოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბებასა და ტოლერანტულობის დამკვიდრებას. უურნალისტებისათვის არაერთხელ დაუდვიათ ბრალი საზოგადოების დანაწევრებაში, კონფლიქტებისა და ზიზღის გაღვივებაში. ეს იმის გამო ხდება, რომ მოვლენების გაშუქებისას ჩვენ ვერ შევძელით ისტორიული სინამდვილის გადმოცემა.

საზოგადოებათა განცალკევებამ დაღი მთელ მსოფლიოს დასვა. არ დარჩენილა ქვეყანა, რომელშიც კონფლიქტებს არ ეჩინა თავი. ამ კონფლიქტების მიზეზი ის განსხვავებებია, რომლებიც ხალხებს შორის არსებობს, და რომლებიც, გვგონია, რომ მეზობლისგან გამოგვარჩევს.

დღეს ჩვენს საზოგადოებაში, შესაძლოა, ბევრმა არ იცოდეს განცალკევების დაწყების ისტორიული მიზეზი. ამავე დროს, ყველამ კარგად იცის, რომ ეს ფენომენი საზოგადოებრივი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. უმცირესობაში მოხვედრილები შეუმჩნეველი არიან. ადრე თუ გვიან ეს ხალხი უკმაყოფილო გახდება ასეთი მდგომარეობით და საზოგადოებასთან „შემოერთე-

ბის“ მოთხოვნით გამოვა. მათმა მოთხოვნებმა შესაძლოა ისეთი რეაქცია გამოიწვიოს, რომელსაც შეიძლება უფრო მეტი უკმაყოფილება, მოუთმენლობა, მეტად განცალკევება ან სულაც სასტიკი კონფლიქტი მოჰყვეს.

მასმედია გადამწყვეტი როლს ასრულებს ისტორიული განცალკევებით გამოწვეული დაძაბულების შეუსტებაში. ინფორმაციის თავისუფალი მოძრაობით, დებატებისათვის უსაფრთხო ადგილის შექმნით, რაგინდცხარე დებატებიც უნდა მიმდინარეობდეს, მასმედია ნებისმიერ ადამიანს მათში მონაწილეობის საშუალებას აძლევს. ხალხს საშუალება აქვს, რომ ჩაერთოს მასმედიის მიერ გაშუქებული საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანების საკითხებში. ყველა ჯგუფის ჩართვა ისეთი სოციალური საკითხების ყოველდღიურ გაშუქებაში, როგორებიცაა: ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა, ეკონომიკა, განათლება და ოჯახური ცხოვრება პირველი ნაბიჯია მათი შემოერთებისკენ. სწორედ ყოველდღიური ცხოვრების გაშუქება აძლევს უურნალისტებს იმ იშვიათ შესაძლებლობას, რომ მრავალფეროვანი საზოგადოება აშენონ, რომლის საფუძველიც დაპირისპირება არ იქნება.

უურნალისტები ჩვენი საზოგადოების ცხოვრების მემატიანენი უნდა გახდნენ. მათ შესაძლებლობა ეძლევათ ხალხში იარონ, შეაგროვონ ინფორმაცია და ფაქტები, რომლებსაც ხალხის ცხოვრების შესახებ დაწერილ მასალებში ჩააქსოვენ. უურნალისტებს შესწევთ ძალა, რომ მიუკერძოებლად შექმნან საზოგადოებრივი დისკუსიის შესაძლებლობა, რომელიც განსხვავებულ საზოგადოებებს შორის საერთო ინტერესების მოძიებას შეუწყობს ხელს.

**მაგალითი:** გაზეთის უურნალისტი წერს სტატიების სერიას ერთ-ერთი ქალაქის ეკონომიკური სირთულეების შესახებ. იგი ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ინფორმაციის წყაროები ეძიოს რელიგიური, ეთნიკური, რასობრივი ჯგუფების წარმომადგენლებს შორის, ასევე მოხუცებულებსა და ეკონომიკურ სიდუხტირეს შეჭიდებულ ქალებს შორის. მათ შორის წყაროების ყურადღებით შერჩევით უურნალისტი მკითხველთა ერთგვარ ერთიან ჯგუფს აყალიბებს. ამ ჯგუფში შემავალ მკითხველს საშუალება აქვს დაინახოს, რომ ბევრი საერთო აქვს იმ ხალხთან, რომელიც განსხვავებულად მიაჩნდა.

### სემინარის ხელმძღვანელს

\* მონაწილეთა მიერ სემინარის დაწყებამდე მოწოდებული მასალებიდან შეარჩიეთ ისეთები, რომლებიც საკითხთა ან მოვლენათა ამგვარი „შემაერთებელი“ გაშუქების მაგალითებად გამოდგება.

\* მონაწილეებს სთხოვეთ, რომ იმსჯელონ, როგორ შეიძლებოდა მასალების ისე მომზადება, რომ ისინი უფრო „შემაერთებელი“ ყოფილიყო. რა უნდა გააკეთოს რეპორტიორმა გაშუქების მრავალფეროვნების გასაუმჯობესებლად?

\* პირველ დისკუსიაში მთელმა ჯგუფმა უნდა მიიღოს მონაწილეობა. როდესაც მონაწილეთაგან პასუხებს მიიღებს, სემინარის ხელმძღვანელმა უნდა ჰქითხოს მათ გარკვეულ ჯგუფებთან ურთიერთობის გამოცდილების შესახებ იმ მაგალითის მიხედვით, რომელიც დისკუსიის საგანს წარმოადგენდა.

მონაწილეთათვის დასასმელ კითხვათა რამდენიმე მაგალითი:

\* ოდესმე თუ გიმუშავიათ მასალაზე განსხვავებული ეთნიკური, რელიგიური ან რასობრივი წარმომავლობის ხალხის შესახებ? რა იყო ყველაზე ძნელი ამ მასალის მომზადებისას? რა რეაქცია გამოიწვია მან იმ პირსა თუ პირებში, რომლებიც მასალაში გამოყენებული ინფორმაციის წყაროებს წარმოადგენდნენ?

\* გამოიყენეთ თუ არა შეგროვილი ინფორმაცია მასალაში? იყო თუ არა ეს მასალა მხოლოდ ერთი კონკრეტული ეთნიკური თუ რასობრივი ჯგუფის შესახებ? იქნებოდა თუ არა მასალა უფრო ეფექტური, განხილული საკითხები ერთზე მეტი ეთნიკური წარმომავლობის ჯგუფს რომ შეხებოდა?

შემდეგ, ხელმძღვანელმა მეორე მაგალითი უნდა წარუდგინოს მონაწილეებს, რომლებსაც ისინი სამ-ოთხკაციან ჯგუფებში განიხილავენ. თითოეულმა ჯგუფმა უნდა შეიმუშაოს ისეთი გაშუქების გეგმა, რომელიც „შემოერთებას“ გააუმჯობესებს.

სემინარის ხელმძღვანელმა უნდა სთხოვოს თითოეულ ჯგუფს, რომ მათ მოდულის განხილვის მრავალფეროვნების შესახებ, სულ ცოტა, სამი დასკვნა ჩამოაყალიბონ. ეს „ნასწავლი გაკვეთილები“ ჩამოწერეთ და სემინარის ოთახის კედლებზე გააკარით. სემინარის ხელმძღვანელმა გარკვევით უნდა აღნიშნოს, რომ „შემოერთების“ პროცესები უურნალისტებს ისტორიის მემატიანის როლის შესრულებაში დაეხმარებათ. ამავე დროს მათ საშუალება ეძლევათ, რომ მომხმარებელს საზოგადოების ობიექტური, ამომწურავი და ყოვლის მომცველი სახე დაანახვოს.

ჩანაწერებზე დაყრდნობით ყოველმა  
მონაწილემ უნდა შეძლოს ერთი სამოქმედო  
ნაბიჯის წარმოდგენა, რომელიც მათ მიერ  
მოვლენათა და საკითხთა გაშუქებას ახალ  
ისტორიულ კონტექსტს შესძენს. ყოველ მო-  
ნაწილეს სრული წარმოდგენა უნდა ჰქონ-  
დეს მომდევნო ნაბიჯის შესახებ. სემინარის  
ხელმძღვანელმა უნდა მოკრიბოს კონკრე-  
ტული აზრები, რომლებსაც თითოეული  
მონაწილე მომავალში გამოიყენებს. წინამ-  
დებარე სახელმძღვანელოს ბოლოში მოცე-  
მულია სამოქმედო ნაბიჯების ფორმა.

## მოდული 2: რა არის ახალი ამბები?

**მიზანი:** მრავალფეროვნების გათვალისწინებით რა შეიძლება წარმოადგენდეს ახალ ამბებს.

**პრიციპი:** მრავალფეროვნება და საზოგადოების უმცირესობების წარმომადგენლთა ხმები ამდიდრებენ და აცოცხლებენ საზოგადოების, როგორც ერთი მთლიანის გაშუქებას.

ყველამ იცის რაღაც ამბავი, მაგრამ ყველა ამბავი ახალ ამბებში ვერ შევა!

იმისათვის, რომ განვსაზღვროთ, თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს ახალ ამბებს, უნდა დავსვათ ზემოაღნიშნული კითხვა.

სემინარის ხელმძღვანელი სვამს კითხვას: როგორ განსაზღვრავთ ახალ ამბებს?

### სემინარის ხელმძღვანელს

\* თითოეულ მონაწილეს ვთხოვოთ, რომ ფურცელზე დაწეროს ახალი ამბების განსაზღვრება. როდესაც მონაწილენი წერას დასრულებენ, თითოეული უნდა ადგეს და საკუთარი პასუხი წარმოადგინოს, რომელიც სემინარის ხელმძღვანელმა უნდა ჩაიწეროს.

\* შეგიძლიათ მონაწილეების მიერ მოცემული განსაზღვრებები ქაღალდის დიდ ფურცლებზე ჩამონეროთ და ოთახში გამოაკრათ, რათა ამ სავარჯიშოს დასრულებისთანავე ყველამ კარგად დაინახოს ისინი. არ არის საჭირო, რომ ფურცელზე განსაზღვრებასთან ერთად მონაწილის სახელიც ეწეროს.

როგორც ეს სავარჯიშო გვიჩვენებს, ბევრს საკმაო ძალისხმევა სჭირდება, რომ განსაზღვროს, თუ რა წარმოადგენს ახალ ამბებს.

რატომ? იმიტომ, რომ ამ განსაზღვრებას მრავალი ფენა აქვს. თითოეული ჩვენგანი საკუთარი ისტორიული გადასახედიდან უყურებს მას, რომ განსაზღვროს, წარმოადგენს თუ არა რომელიმე კონკრეტული მოვლენა ახალ ამბებს, რომლებიც უნდა გაშუქდეს და მკითხველსა თუ მაყურებელს მიეწოდოს.

ჟურნალისტიკის ძირითადი ელემენტები: განსაზღვრებები, რომლებიც ყველაზე ხშირად გვხვდება:

\* რეპორტიორის შეხედულებით მკითხველისათვის მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ საზოგადოების ინფორმირება.

\* ოფიციალური ინფორმაციის მიწოდება საზოგადოების სხვადასხვა წყაროდან.

\* აღვწეროთ ის, რაც, რეპორტიორებისა და რედაქტორების აზრით, მნიშვნელოვანი ინფორმაციას წარმოადგენს და მკითხველს უნდა მიეწოდოს.

### სემინარის ხელმძღვანელს:

\* მონაწილეებს კითხვა დაუსვით: „დამისახელეთ ის ახალი ელემენტები, რომლებიც ახალი ამბების განსაზღვრების ნაწილს უნდა წარმოადგენდეს. გაითვალისწინეთ, რომ

აღვინიშნოთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გაშუქებისას მრავალფეროვნებას და შემო-ერთებას“?

ყოველი ჩვენგანი, ახალ ამბებს საკუთა-რი ცხოვრებისეული გამოცდილების საფუძ-ველზე განსაზღვრავს. უურნალისტი, რომე-ლიც ინვალიდ ბავშვს ზრდის, ამ საკით-ხებთან დაკავშირებულ მასალებს უფრო შესაფერისად ჩათვლის ახალი ამბებისათ-ვის, ვიდრე ის, რომელსაც ინვალიდთან ცხოვრება არასდროს გამოუცდა. ადამიანს, რომელსაც მოხუცებულზე ზრუნვა უწევს, ეს კონკრეტული თემა უფრო მიაჩნია ახალი ამბებისათვის შესაფერისად, ვიდრე მას, ვი-საც მოხუცებულზე არასოდეს უზრუნია.

სემინარის ხელმძღვანელი კითხულობს: რა გავლენას ახდენს ჩვენი პირადი გამოცდი-ლება ჩვენ მიერ ახალი ამბების განსაზღვ-რებაზე? რა ელემენტებს დაამატებდით ახალი ამბების განსაზღვრებას საკუთარი გამოცდილების, ეთნიკური წარმომავლო-ბის, ასაკის, რასობრივი წარმომავლობის, რელიგიური მრნამსისა და სქესის გათვა-ლისწინებით? ამ საკითხზე საერთო ჯგუფში შეიძლება დისკუსიის გამართვა. ასევე შე-გიძლიათ, მონაწილენი მცირე ჯგუფებად დაყოთ. თითოეულ ჯგუფში ერთმა მონაწი-ლებ პასუხები უნდა ჩაინიროს და დისკუ-სიის დასრულების შემდეგ ჯგუფს მოახსე-ნოს.

შემდეგი განცხადებები შესაძლოა გამო-ყენებულ იქნეს მონაწილეთა დისკუსიაში ჩაბმის მიზნით, რაც მიზნად ისახავს ახალი ამბების განსაზღვრების პირვანს მრავალფე-როვან საზოგადოებაში, სადაც მრავალფე-როვნება ჩვენ მიერ საზოგადოებისათვის მიწოდებული ინფორმაციის განმსაზღვრელ ელემენტს წარმოადგენს.

ახალი ამბები არის:

\* არა მარტო იმ ადამიანების გაშუქება, რომელთა გამოჩენაც ახალ ამბებში უკვე ტრადიციად იქცა, ან ცნობილი ბიზნესმე-ნისა.

მაგალითი: მასალად ახალი ამბებისათვის შეიძლება გახდენ მცირე ბიზნესის წარმო-მადგენლები, ან ქალები, რომლებიც ხალხს ასაქმებენ, წვლილი შეაქვთ ეკონომიკის განვითარებაში და ინოვაციურ იდეებს ნერ-გავენ.

\* ახალი ამბები პირადულ ხასიათს უნდა ატარებდეს, რომ მათში ხალხმა თავისთვის აქტუალურის დანახვა შეძლოს.

\* ახალი ამბები უნდა წარმოადგენდეს ჩვენი საზოგადოების შეცნობის სამუალე-ბას, მისი უფლებების, ვალდებულებების და მის წევრთა შესაძლებლობების გაგების სა-შუალებას.

\* ახალი ამბები უნდა იყოს აქტუალური.

სემინარის ხელმძღვანელმა უნდა ჰკითხოს: რას ფიქრობენ ჯგუფის წევრები იმის შესა-ხებ, რაზეც წუხელ სალამოს თავისი ოჯახის წევრებთან ისაუბრეს; რაზეც საუზმობისას ან სადილობისას ისაუბრეს? რამ მოახდინა მათზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება, როდესაც ისინი, როგორც საზოგადოების ჩვეულებრივი წევრები და არა უურნალის-ტები, ჩვეული საქმიანობით იყვნენ დაკავე-ბულნი?

ჰკითხეთ მონაწილეებს, როგორ ესმით მათ შემდეგი ფრაზა: „ახალი ამბავი არსები-თად მნიშვნელოვანი უნდა იყოს“ და როგორ

შეესაბამება მრავალფეროვანება მუდმივად ცვალებად მსოფლიოში, რეგიონში, სახელმწიფოსა და საზოგადოებაში, რომელშიც ისინი მუშაობენ, უურნალისტის დანიშნულების მათეულ გაგებას. რა ღირებულებებია ნაგულისხმევი ახალი ამბების ამ ბოლო განსაზღვრებაში?

### სემინარის ხელმძღვანელს

მოუწოდეთ, რომ მოიყვანონ არგუმენტები, დასვან კითხვები და გაპედული განცხადებები გააკეთონ. დისკუსიიდან გამომდინარე, სემინარის ხელმძღვანელი მათი ენის რეაქტირებას და მათ მიერ გაკეთებული განცხადებების უკეთ გამოკვეთას ცდილობს. მონაცილეთა დისკუსიაში ჩართვის მიზნით შეიძლება ქვემოთ ჩამოთვლილი რამდენიმე განცხადების გამოყენება. დისკუსია უნდა ეხებოდეს ახალი ამბების განსაზღვრებას მრავალფეროვან საზოგადოებაში. მრავალფეროვნება ხდება ამ საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდების ელემენტი:

- \* საზოგადოების მხოლოდ ერთი ნაწილი კი არა, არამედ ყველა ადამიანი უნდა საკეპლობდეს სამოქალაქო უფლებებით
- \* სამართლიანობა ყველასათვის არსებობს.

სემინარის ხელმძღვანელმა უნდა ჰქითხოს: როგორ არის ეს ღირებულებები წარმოდგენილი თქვენს საზოგადოებაში? არის თუ არა საერთო ღირებულებები ყველასათვის განკუთვნილი? წარმოადგენს თუ არა ზოგიერთი ჯგუფი გამონაკლისს და შეიძლება ეს ფაქტი აშკარა გახდეს საინფორმაციო საშუალებების კითხვის, მოსმენის ან ყურების შედეგად?

### სემინარის ხელმძღვანელს

სემინარის ხელმძღვანელმა მონაწილეები აქტუალურობის შესახებ დისკუსიაში უნდა ჩააბას. აქტუალური ვისთვის? განსხვავებულია თუ არა აქტუალურობის ხარისხი, იმ შემთხვევაში თუ მკითხველი ქალია? თუ 65 წელზე უფროსია, ანდა გარკვეული ეთნოკური წარმომავლობისა? შეეცადეთ, რომ წაახალისოთ დისკუსია იმ მიმართულებით, თუ რამდენად რთულია აქტუალურობის განსაზღვრა, როდესაც საქმე მრავალფეროვან მკითხველს ეხება.

დისკუსიის დასასრულს სემინარის ხელმძღვანელმა უნდა შეძლოს შემაჯამებელი პუქტების ჩამოყალიბება, თუ რა წარმოადგენს ახალ ამბებს:

\* ახალი ამბების განსაზღვრებები უნდა ითვალისწინებდეს მათ აქტუალურობას ხალხის ცხოვრებაში.

\* აქტუალურობის განსაზღვრა რთულია, რადგან ადამიანის უამრავი ტიპი არსებობს. მასმედიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მოხმარებისას მათ აქტუალურობის საკუთარი გრძნობა აქვთ.

კითხვები მონაწილეთათვის: რა უფრო მართებულია: აქტუალურობის განსაზღვრა მკითხველთა ფართო მასების შეხედულებათა მიხედვით, თუ ხელმძღვანელობის მითითებების მიხედვით? თუ ინფორმაციის მოწოდებისას სტატუს-კვოს შენარჩუნების მაგივრად მასალის აქტუალურობაზე ვამახვილებთ ყურადღებას, რაიმე რისკი ხომ არ არის ამაში გაზიეთისათვის ან უურნალისტისათვის?

კითხვები მონაწილეთათვის: თუ ყურადღებას აქტუალურობაზე ვამახვილებთ, რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ ის, რაც ჩემთვისაა აქტუალური, შესაძლოა თქვენთვის აქტუალური არ იყოს? როგორ ავსახოთ ჩვენს მასალებში ის, რაც ორივე მხარისათვის არის აქტუალური?

#### **ახალი ამბების სხვა განსაზღვრებები:**

- \* მცირე და დიდი მოვლენები, რომლებიც ჩვენი ცხოვრების შესახებ მოგვითხრობენ, ჩვენს დროებას აღწერენ, და გვეხმარებიან კაცობრიობის ისტორიის ცოდნით, ტოლერანტობითა და შეცნობით გაგრძელებაში.
- \* პიროვნების, ჯგუფისა და საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

\* ყველაფერი, რაც გავლენას ახდენს ადამიანზე. განა მართალი არ არის, რომ შენთვის ახალი ამბავი ის არის, რაც გავლენას ახდენს შენზე? ეს სწორედ ისაა, რისი ცოდნაც გწადია, მიუსედავად იმისა, შენ მიერ განცდილი ზეგავლენა ემოციურია, ფინანსური თუ ფიზიკური. მოხვდება თუ არა ეს ახალი ამბავი გაზეთში, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა არის ყოველდღე და ყოველი გაზეთისათვის პრიორიტეტული.

\* როდესაც განსაზღვრავთ, თუ რა წარმოადგენს ახალ ამბებს, ამ დროს ყველა ადამიანის ინდივიდუალურ წინასწარგანწყობას აქსოვთ საგაზეთო მასალაში. თუ ამგვარად დაიწყებთ, ახალი ამბების განსაზღვრის საკითხსაც უფრო დაქსაქსულად მიუდგებით. შედეგად, ყველა თავისთვის შეარჩევს და განსაზღვრავს ახალ ამბებს.

\* ახალი ამბების გაცილებით უფრო ფართო და ყოვლის მომცველი ხედვაა საჭირო.

კითხვა მონაწილეთათვის: რა იქნებოდა იმის უფრო ფართო და ყოვლის მომცველი ხედვა, რაც ახალ ამბებად მიაჩნიათ თქვენს გაზეთში, რადიოსა თუ ტელეარხზე?

იმისათვის, რომ დისკუსია გაგრძელდეს, ხელმძღვანელს შეუძლია იკითხოს:

\* რას ფიქრობენ გაზეთის მრავალფეროვანი კადრების გავლენის შესახებ? – მრავალფეროვანში ვგულისხმობთ ასაკის, სქესის, ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიური მრწამსისა თუ სექსუალური ორიენტაციის ნიშნით მრავალფეროვანს.

\* რადგან იმის განსაზღვრა, თუ რა წარმოადგენს ახალ ამბებს, გაზეთებში მომუშავე ადამიანების მიერ ხდება, მრავალფეროვანი კადრების შემთხვევაში ახალი ამბებიც უფრო მრავალფეროვანი იქნება.

\* რის შესახებ ლაპარაკობს ხალხი?

\* რადგანაც ახალ ამბებს წარმოადგენს ის, რის შესახებაც ხალხი ლაპარაკობს, ჩვენ უნდა შევძლოთ იმის გადმოცემა, რის შესახებაც ისინი გაზეთის თანამშრომლებს ესაუბრებიან. ახალი ამბები უნდა შევაგროვოთ მეზობლებში, კაფეებში, სასადილოებში და გავარკვით – რამე უფრო მნიშვნელოვანი საკითხი ხომ არ განიხილება საზოგადოების საუბრებში და რამე ხომ არ გამოგვრჩა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებულ ახალი ამბებში?

## **ხელმძღვანელის მიერ სემინარის შეჯა- მება:**

როგორც ახალი ამბების განსაზღვრის შე-  
სახებ დისკუსიებიდან ვიხილეთ, თითოე-  
ული ურნალისტი განსხვავებული კუთხით  
უდგება ამ საკითხს. თითოეულმა მონაწი-  
ლემ ახალი ამბების განსხვავებული განსაზ-  
ღვრება მოგვცა. თითოეულმა ჩვენგანმა  
განსხვავებული პასუხი გასცა სემინარის  
მსვლელისას დასმულ კითხვებს.

ყველა უნდა ჩაფიქრდეს, შეესაბამება  
თუ არა ახალი ამბების ჩვენეული განსაზღ-  
ვრება იმას, რასაც ჩვენს გაზეთში, რადიო-  
სა თუ ტელეარხზე მიიჩნევენ ახალ ამბებად.  
და თუ არა, რა უნდა გაკეთდეს არსებული  
ნაკლოვანებების გამოსასწორებლად? წახ-  
ვალთ კომპრომისზე? როგორ უნდა მიუდ-  
გეთ მრავალფეროვნების საკითხებს, რომ  
ისინი ჩვენ მიერ მომზადებულ ყველა მასა-  
ლას წაადგეს? როგორ უნდა მიუდგეთ შე-  
მოერთების და მრავალფეროვნების საკით-  
ხებს, რომ მათი მნიშვნელობა უფრო მაღალ  
დონეზე შევიცნოთ და ჩვენს ორგანიზაცი-  
ებსა თუ საზოგადოებაში ახალი ამბების  
კულტურის შეცვლა დაიწყოს?

## მოღელი 3: რა არის შრავალფეროვნება და რაჭომ არის მნიშვნელოვანი?

**მიზანი:** განისაზღვროს უურნალისტური შესაძლებლობები, რომლებიც უფრო მრავალ-ფეროვან გაშუქებამდე მიგვიყვანს.

**პრინციპი:** მიუხედავად ჩვენ შორის არსებული ეთნიკური, პოლიტიკური, ასაკობრივი, სქესობრივი, რელიგიური თუ ეკონომიკური განსხვავებებისა, ყველანი საზოგადოების წევრები ვართ, რომელშიც ვცხოვრობთ და ვშრომობთ. ყველას გვაქვს სურვილი, რომ საზოგადოების წევრებად გვთვლიდნენ.

მრავალფეროვნების გაშუქებამ ჩვენი თანაცხოვრების გზები უნდა ასახოს. იგი შესაძლებელს ხდის ურთიერთგაგებას, ტოლერანტულობას და სრულყოფილი საზოგადოებრივი სტრუქტურის არსებობას. შესაძლებელია იყოს დებატები, უთანხმოება, თუნდაც დაპირისპირება, მაგრამ, იმავდროულად, პატივს უნდა სცემდნენ პიროვნებებს, ჯგუფებსა და საზოგადოებებს შორის არსებულ განსხვავებებს.

თუ ადამიანები საკუთარ თავს მასმედიის საშუალებებით ვერ ხედავენ, ისინი ვერ იგრძნობენ, რომ იმ საზოგადოების წევრები არიან, რომელშიც ცხოვრობენ. თუ უურნალისტებს სურთ, რომ მთელი საზოგადოება გააშუქონ, მათ უნდა შეიმუშაონ გზები, რომლითაც საზოგადოების ყველა წევრის ასახვას მოახერხებენ.

უახლესი ისტორია ცხადყოფს, რომ მრავალ ქვეყანაში, სადაც სახელმწიფო პოლიტიკას აშუქებდნენ, მაგრამ განსხვავებული შეხედულებების მქონე ხალხს საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება არ ეძლოდა, აღზევდა რასიზმი და ეთნიკური ზიზლი.

**სემინარის ხელმძღვანელი სვამს კითხვას:** როგორ ფიქრობთ, რომელ კრიტიკულ საკითხებს არ აშუქებს მასმედია?

**სემინარის ხელმძღვანელმა ყველა პასუხი ქაღალდის დიდ ფურცლებზე უნდა ჩამოწეროს და ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას გამოაკრას.**

### სემინარის ხელმძღვანელს:

შესაძლოა ზოგიერთი პასუხი ისეთ თემებს შეიცავდეს, როგორებიცაა: რომელიმე რეგიონში არსებული ეთნიკური დაპირისპირების ისტორია; ეთნიკური დაპირისპირების ან რასობრივი დაყოფის წაქეზების პოლიტიკა; ეთნიკური, რასობრივი და რელიგიური განსხვავებების მიმართ შეურიგებლობის პოლიტიკა.

სემინარის ხელმძღვანელს შეუძლია სთხოვოს ჯგუფის წევრებს, რომ ჩამოთვალონ იმის მაგალითები, თუ როგორ უწყობს მასმედია ხელს საზოგადოების განმტკიცებას ან დასუსტებას მოვლენთა ან საკითხთა გაშუქების მეშვეობით. შესაძლებელია, რომ

მაგალითები ადგილობრივი ან წებისმიერი სხვა რეგიონის სინამდვილეს ასახავდეს. ამასთანავე, სემინარის ხელმძღვანელმა უნდა გამოიძიოს გაშუქების ის დეტალები, რომლებმაც დაპირისპირების გაღვივებასა და შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებას შეუწყო ხელი. სემინარის ხელმძღვანელმა ისიც უნდა აღნიშნოს, რომ ისტორიული კონფლიქტები ისეთი გარემოებაა, რომლის გადალახვაც ძნელია. განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ, რომ მასმედიის ერთადერთ იარაღს დაპირისპირების, მისი ისტორიისა და პოლიტიკის შესახებ მასალების გამოქვეყნება წარმოადგენს.

შეტაკებებიდან და კონფლიქტებიდან ცოტათი უკან დავიხიოთ და თვალი შევავლოთ ყოველდღიურ ცხოვრებას. სემინარის ხელმძღვანელი წინა მოდულს მიუბრუნდეს და მონაწილეებს გაახსენოს, რომ მრავალფეროვნების წამდვილი გაშუქება ყოველდღიური ცხოვრების ასახვით იწყება. ჩვენ ვეძებთ გზებს, რომ ჩვეულებრივი, ყოველდღიური გაშუქებისას, რაც შეიძლება მარტივად, ყველა ადამიანი მოვიცვათ. მაგალითად, თუ ადამიანები კითხულობენ სახელებს, რომლებიც უმრავლესობის ეთნიკურ წარმომავლობის აშკარად მიეკუთვნება – ქალების სახელების, განსხვავებული რასისა და რელიგიის მქონე ხალხის სახელების – თანდათანობით ისინი გაითავისებენ იმ აზრს, რომ ეს ხალხი ეროვნული დიალოგისა თუ დებატების წანილს წარმოადგენს.

უურნალისტებმა ინფორმაციის წყაროთა ქსელი უნდა გააფართოონ და მრავალი ჯგუფი უნდა მოიცვან. მასმედიის საშუალებისადმი წდობა გაიზრდება, თუ ხალხი დაინახავს ინტერესს იმის მიმართ, რომ მასალები საზოგადოების ყველა სეგმენტის

წარმომადგენელთა აზრებსა და გამოცდილებას მოიცვდეს.

ევროპის, აფრიკის, აზიის თუ ამერიკის მრავალი გაზეთი თუ მასმედიის სხვა საშუალება ათწლეულების მანძილზე მხოლოდ იმას აშუქებდა, თუ რა გადაწყვეტლებებს იღებდა მთავრობა და როგორ აპირებდა ამ გადაწყვეტილებების ცხოვრებაში გატარებას. უურნალისტიკის ყოვლისმომცველ, მრავალფეროვან მოდელში, მთავრობის პოლიტიკის აღწერა, კომენტირება და საზოგადოებაზე ამ პოლიტიკის სავარაუდო გავლენის ახსნა თავად მთავრობის პრეროგატივას აღარ წარმოადგენს. უურნალისტის საქმიანობა ემსახურება სწორედ იმას, რომ საზოგადოებამ მოგვითხროს მთავრობის ქმედებებისა თუ უმოქმედობის შესახებ.

მას შემდეგ, რაც საზოგადოებაში არსებული შეხედულებები ცნობილი გახდება, დებატები უფრო მეტი ხალხის მოზიდვა ხდება შესაძლებელი; მასმედია იქცევა საზოგადოებრივ ფორუმად. იგი დროთა განმავლობაში შესაძლებელს გახდის საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებას, რაც საზოგადოების ყველა წევრის ინტერესებშია.

### სემინარის ხელმძღვანელს:

ერთი რამ ცხადი უნდა იყოს; ცვლილებები-სათვის ხელის შეწყობა მათ მართვას არ გულისხმობს. მასმედია წარმოადგენს ადგილს, სადაც განსხვავებული აზრის მოსმენაა შესაძლებელი.

დასაწყისისათვის, სემინარის ხელმძღვანელმა უნდა სთხოვოს მონაწილეებს, რომ მათ ყოველდღიური ცხოვრების ამსხაველი თემები ჩამოთვალონ. სადისკუსიო თემების მაგალითებია:

- \* ჯანდაცვა,
- \* განათლება,
- \* პირადი შემოსავალი,
- \* ბავშვები და მათი განვითარება,
- \* რელიგია და მრნამსი.

სემინარის ხელმძღვანელმა ხელთ უნდა იქონიოს ამ თემებზე მომზადებული მასალების მაგალითები, რომლებიც მონაწილეებს დაურიგდებათ. მათ ეს სტატიები ანალიზისათვის უნდა გამოიყენონ და იმსჯელონ, როგორ შეიძლება მასალის ისე მომზადება, რომ საზოგადოებრივი ელემენტების უფრო ფართო სპექტრი იქნეს გათვალისწინებული. ესენია: ასაკი, ეთნიკური წარმომავლობა, გენდერი, ინვალიდები.

მაგალითი: მასალა პრენატალური ჯანმრთელობის შესახებ. თუ არიან უმცირესობების ან ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელი ექიმები? თუ არიან ქალები, რომლებიც ერთდროულად ექიმებიც არიან და პაციენტებიც? თუ არის ისეთი რელიგიური საკითხები, რომლებიც პერინატალური მოვლის შესახებ მსჯელობისას უნდა გავითვალისწინოთ? ვისი ჩართვა იქნებოდა მიზანშეწონილი იმისათვის, რომ ამ თემის განხილვისას მასალაში შემოერთებისადმი სწრაფვა შეიმჩნეოდეს? როგორ მოვიძოოთ ინფორმაციის ეს განსხვავებული წყაროები?

#### **სემინარის ხელმძღვანელს:**

გამართეთ დისკუსია თითოეულ მონაწილესთან, სემინარის დაწყებამდე მონიდებული დემოგრაფიული ინფორმაციის შესახებ, ან შეგიძლიათ იქონიოთ თქვენ მიერ მომზადებული დემოგრაფიული მონაცემე-

ბი. ეს მონაცემები დისკუსიის დაწყების საფუძვლად უნდა გამოიყენოთ, რომელიც რომელიმე საზოგადოებაში არსებული მრავალფეროვნების შესახებ წარიმართება.

პიპოთეტური შეკითხვა დისკუსიის დასაწყებად – კითხვა 1:

თუ მოსახლეობის 30%-ს, 25-დან 40 წლამდე ასაკის ქალები შეადგენენ, რა გავლენა შეიძლება იქონიოს ამ ფაქტმა მოვლენათა ან საკითხთა გაშუქებაზე?

გთავაზობთ რამდენიმე პასუხს, რომლებიც დისკუსიის წამოწყებაში დაგეხმარებათ: ეს ქალები, დედობის ასაკში არიან. მათ აღბათ დააინტერესებთ მასალები ჯანმრთელობის, განათლებისა და აღზრდის მეთოდების შესახებ. როდესაც ამ ასაკს გადააბიჯებენ, რა საკითხები იქნება მათთვის საინტერესო? მათ დააინტერესებთ ჯანდაცვის, განათლების ან სოციალური უზრუნველყოფის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების საკითხები და სურვილი ექნებათ, რომ გაიგონ, როგორ ყალიბდება პოლიტიკა და რა გავლენას იქონიებს იგი მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე?

სემინარის ხელმძღვანელი ეკითხება: არის თუ არა რაიმე სხვა საკითხები, რომლებიც მათთვის საინტერესო იქნებოდა? აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მას შემდეგ, რაც ქალები დედობის ასაკს გადააბიჯებენ, მათი ინტერესები შეიცვლება. რა საკითხები იქნება მათთვის საინტერესო, როდესაც ისინი დედობის ასაკს გადააბიჯებენ? სემინარის ხელმძღვანელმა მონაწილეებს უნდა ურჩიოს, რომ საკითხებზე მსჯელობისას, ამოსავლად საკუთარი ცხოვრება გამოიყენონ.

თქვენი გაზეთი, რადიო- ან ტელეარხი თუ აშუქებს ამ საკითხებს? რა სიხშირით აშუქებს და როგორ შეაფასებდით გაშუქების ხარისხს? ახალ ამბეჭდი დაამატებით რა საკითხებს გაშუქებდით, იმისათვის, რომ ამ ჯგუფებისათვის საინტერესო მასალები მიგენოდებინათ? ამ ჯგუფებისათვის საინტერესო საკითხების გაშუქებისას, ასევე კაცებისათვის საინტერესო მასალების გამოქვეყნებას თუ ითვალისწინებთ?

გახსოვდეთ, რომ გარკვეული ჯგუფი-სათვის საინტერესო საკითხების გაშუქება სულაც არ ნიშნავს, რომ სხვა ჯგუფების ინ-ტერესები უგულებელყოფილ უნდა იქნეს.

ჰკითხეთ სემინარის მონაწილეებს, რას ფიქრობენ ამ ბოლო წინადადების შესახებ. როგორ შეიძლება, რომ გარკვეული ჯგუფის გაშუქება, ამავე დროს სხვა ჯგუფისათვი-საც იყოს სასარგებლო? რომელიმე მონაწილეს ხომ არა აქვს რამე მოსაზრება ისეთი მასალის შესახებ, რომელიც ამას შესაძლე-ბელს გახდიდა? სთხოვთ მათ, რომ კონკ-რეტული მაგალითები მოგანოდონ.

ჰიპოთეტური შეკითხვა დისკუსიის დასაწყებად – კითხვა 2:

თუ თქვენი საზოგადოების 20%-ს, 65 წელს გადაცილებულები შეადგენენ, რა გავლენა შეიძლება იქონიოს ამ ფაქტმა მოვლენათა ან საკითხთა გაშუქებაზე?

გთავაზობთ რამდენიმე პასუხს, რომლებიც დისკუსიის წამოწყებაში დაგეხმარებათ: დასვენება და გართობა; პირადი შემოსავა-ლი [რა საარსებო საშუალებები აქვს ადა-მიანს მას შემდეგ, რაც იგი მუშაობას თავს ანებებს]; საპერსიო გეგმები; ჯანდაცვის სა-კითხები; სხვა რა ინფორმაცია შეგინყობ-

დათ ხელს, რომ ამ ჯგუფისათვის საინტე-რესო საკითხები გაგეშუქებინათ? თუ მოგ-ზაურობენ? მოგზაურობისას საკუთარი ან მეზობელი ქვეყნის რომელიმე სპეციფიკურ ადგილს ხომ არ ანიჭებენ უპირატესობას? ეთნიკური წარმომავლობა ხომ არ არის ამ ჯგუფის წარმომადგენელის სამოგზაუროდ წასვლა-არნასვლის განმსაზღვრელი ფაქ-ტორი? ან იქნებ ეს ადამიანის ეკონომიკურ მდგომარეობაზეა დამოკიდებული?

ისევე, როგორც წინა შემთხვევაში, ჰკითხეთ სემინარის მონაწილეებს, რას ფიქ-რობენ ამ წინადადების შესახებ. როგორ შე-იძლება, რომ გარკვეული ჯგუფის გაშუქე-ბა, ამავე დროს სხვა ჯგუფისათვისაც იყოს სასარგებლო? რომელიმე მონაწილეს ხომ არა აქვს მოსაზრება ისეთი მასალის შესა-ხებ, რომელიც ამას შესაძლებელს გახდი-და? წაიმუშავეთ მათთან, რომ ამის საილუს-ტრაციოლ კონკრეტული მაგალითები ჩამო-აყალიბოთ.

ჰიპოთეტური შეკითხვა დისკუსიის დასაწყ-ებად – კითხვა 3:

თუ დემოგრაფიული მონაცემები ასა-ხავს, რომ ადამიანების 30% 25-წელზე წაკ-ლები ასაკისაა, რა გავლენა შეიძლება იქო-ნიოს ამ სტატისტიკურმა მონაცემმა მოვ-ლენათა ან საკითხთა გაშუქებაზე?

გთავაზობთ რამდენიმე პასუხს, რომლებიც დისკუსიის წამოწყებაში დაგეხმარებათ: ხელოვნება [განსაკუთრებით მუსიკა]; პი-როვნების შემოსავლები; ჯანმრთელობა და კეთილმოწყობა. სხვა რა ინფორმაცია დაგ-ჭირდებათ ამ ჯგუფის ინტერესების შესა-ხებ, რომ განსაზღვროთ, სჭირდება თუ არა გაფართოება გაზეთის მიერ გაშუქებულ

თემატიკას? სპორტი და დასვენება? რომანტიკული ურთიერთობები? აშუქებენ თუ არა თქვენი გაზეთები ამ სფეროებს?

ეცადეთ გაიგოთ, რამდენად სასარგებლო იქნება ამ თემების გაშუქება ყველა სხვა ჯგუფის წარმომადგენლებისათვის?

სემინარის ხელმძღვანელმა მონაწილეთა მიერ მოწოდებული მასალებიდან შერჩეული მაგალითები უნდა გამოიყენოს, რომ ამ მოდულის მთავარი თემა განავრცოს. კითხვები ეთნიკური წარმომავლობის, ასაკის ან გენდერული საკითხების შესახებ შესაძლოა ძალზე სპეციფიკური იყოს, იმისდა მიხედვით, თუ რომელ ქვეყანასა თუ რეგიონში ჩატარდა სემინარი.

#### საკარჯიშო:

მონაწილეები დავყოთ ოთხ-ოთხკაციან ჯგუფებად. თითოეული მონაწილე იღებს სხვა მონაწილის საგაზითო, რადიო ან ტელემასალას და მათთვის დარიგებული დემოგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით განიხილავს მას. განხილვის შემდეგ, მასალის ავტორს კითხვები უნდა დაუსვას იმის შესახებ, რამდენად არის მასალაში წარმოდგენილი მისი ავტორის რეგიონის ძირითადი აუდიტორია. როდესაც მონაწილეები ერთმანეთს კითხვებს უსვამენ, მათი მკითხველისა თუ მსმენელის მრავალფეროვნებისა და გაშუქებული მასალების შესახებ, მათი პასუხების მიხედვით მოსახლეობის ერთგვარი დემოგრაფიული სურათი უნდა ჩამოყალიბდეს. განხილვის მსვლელობისას თითოეულმა მონაწილემ უნდა ჩანეროს, რომ შემდეგ მთელ ჯგუფს მოახსენოს მის მიერ ჩანიშნული შედეგები.

მონაწილეებმა უნდა მოიძიონ:

\* კერძო აზრი.

\* რა არ არის ცნობილი, რაც დაეხმარებოდა იმის გარკვევაში, აშუქებს თუ არა გაზეთი საზოგადოების ყველა სეგმენტს.

განხილვისა და მცირე ჯგუფებში წარმართული დისკუსიების შედეგები სემინარის ყველა მონაწილეს მიენობდება. უნდა აღინიშნოს ის მხარეები, რომლებსაც მრავალფეროვნების უკეთ გაშუქების მიზნით გაუმჯობესება სჭირდება, რაც ერთ-ერთი მომდევნო მოდულით გათვალისწინებული დისკუსიის საგანს წარმოადგენს.

## მოდული 4: განსაკუთრებული საკითხები ენის შესახებ

**მიზანი:** განვავითაროთ მოვლენათა ან საკითხთა მისაღები ენით გაშუქების ჩვევა, რათა თავიდან ავიცილოთ რასობრივი და ეთნიკური სტერეოტიპების ჩამოყალიბება ან გავრცელება.

**პრინციპი:** ჩვენს სიტყვებს საზოგადოებისათვის იმპულსის მიცემის ძალა შესწევთ, რომ ხალხმა ჩვენი გაზითები იყითხოს, გადაცემებს უსმინოს, უყუროს და ჩვენი დაიჯეროს. სიტყვებს ასევე ძალუძი ზოგიერთი ჯგუფის შესახებ ურყოფითი შეხედულებების გავრცელება. ამის გამო მიაჩნიათ, რომ მასმედიის საშუალებები, მიკერძოებულად და არა-ობიექტურად აშუქებენ საკითხებსა თუ მოვლენებს. უნდა გვახსოვდეს, რომ ზოგიერთი სიტყვის ხმარება უპრალოდ დაუშვებელია.

### სემინარის ხელმძღვანელს:

დისკუსიის წამოწყების მიზნით სემინარის ხელმძღვანელმა უნდა გამოიყენოს თითოეული მონაწილის მიერ სემინარის დაწყებამდე მონიდებული საგაზითო, რადიო - თუ ტელემასალებიდან ამოკრებილი მაგალითები. ნაბეჭდი მაგალითების შემთხვევაში, უნდა მომზადდეს მათი ფოტოასლები, რომლებიც თითოეულ მონაწილეს დაურიგდება, რომ წაკითხვა და მათზე მსჯელობა შეძლონ. რადიო - და ტელემასალების მაგალითები მთელმა ჯგუფმა უნდა ნახოს.

მასმედიის საშუალებების უმეტესობა, არქმნის სტერეოტიპებს და არ ისახავს მიზნად ხალხის განცალკევებას. მიუხედავად ამისა, მოვლენათა გაშუქებისას უურნალისტები ხშირად ვერ ახერხებენ, ზოგიერთი ჯგუფის განცალკევების აღსაკვეთად და მათ მიმართ არსებული სტერეოტიპების დანგრევის მიზნით, ენის ეფეტურ გამოყენებას. თუ ჩავთვლით, რომ მიუღებელი სიტ-

ყებით გამოწვეული ზიანის თავიდან აცილება, მასმედიის საშუალებების ინტერესებში შედის, ჟურნალისტმა პირველ ყოვლისა უნდა:

დაიცვას წერის წესები, რომლებიც მას, ენის სწორად გამოყენების საშუალებას მისცემს.

ჩვენ მიერ შერჩეული სიტყვები მასმედიაში მრავალფეროვნების დამიკვიდრების უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს. მთავარი მიზანია ეთნიკური და რასობრივი ჯგუფების წარმომადგენელთა ობიექტური და აკურატული წარმოდგენა. ამისათვის, სწორი სიტყვები უნდა შევარჩიოთ და მოვერიდოთ შეურაცხმყოფელი სტერეოტიპებისა და კლიშეების გამოყენებას.

მასმედიის ზოგიერთ ორგანიზაციაში ჩამოყალიბდა კომიტეტები, რომლებიც ენისა და არასწორი მიწოდების პრობლემების მოგვარებას ისახავენ მიზნად. ზოგ ორგანიზაციაში ენასა და სტილს განუყოფლად მიიჩნევენ.

უურნალისტები იშვიათად ფიქრობენ იმაზე, რატომ ხმარობენ ამა თუ იმ სიტყვას. ხშირად დროის სიმცირე და სტატიის თავი-სებურებები განაპირობებს გამოყენებული სიტყვების არჩევანს. მათ იშვიათადა აქვთ იმის დრო, რომ ამა თუ იმ აზრის გამოსახა-ტავად საუკეთესო სიტყვები შეარჩიონ.

როდესაც მასმედია საზოგადოების მრა-ვალფეროვნების მთელ სიღრმეს აცნობი-ერებს, და მას შემდეგ, რაც შევიცნობთ, თუ რა გავლენას ახდენს მრავალფეროვნება ჩვენი, როგორც უურნალისტების, საქმი-ანობაზე, იძულებულნი ვხდებით, რომ გულ-დასმით გადავხედოთ ჩვენ მიერ გამოყენე-ბულ სიტყვებს.

სინამდვილეში, ერთადერთი მიზეზი, რომ ხელახლა გადავხედოთ იმას, თუ რო-გორ მივმართავთ ხალხს და როგორ აღვ-ნერთ ადგილებს, არის ის, რომ ობიექტუ-რად და აკურატულად გავაშუქოთ საზოგა-დოების ყველა სეგმენტი. ამისათვის ჩვენ სწორად უნდა შევარჩიოთ სიტყვები. როდე-საც ენის სწორად გამოყენებას ვცდილობთ, ეს არ ნიშნავს, რომ ამას პოლიტიკური კო-რექტულობისათვის ვაკეთებთ. ჩვენ ვცდი-ლობთ, რომ ჩვენს საქმიანობაში, ჩვენთვის ხელმისაწვდომი ყველა არსებული წესი და რესურსი გამოვიყენოთ.

### ლექსიკონის გამოყენება

ჩვენ მიერ გამოყენებულ სიტყვათა გადა-ხედის პირველი ნაბიჯი ძალზე მარტივია: უნდა გამოვიყენოთ ლექსიკონი. ეს წიგნი ისეთი რესურსია, რომელიც კვლავ უნდა შემოვიტანოთ ჩვენს ყოველდღიურ საქმი-ანობაში, რომ გამოვნახოთ გზები ჩვენი საზოგადოების ყველა ნიუანსის აკურატუ-ლი და ობიექტური წარმოდგენისათვის.

ლექსიკონი იარაღია, რომლის მეშვეობი-თაც უურნალისტებს საშუალება აქვთ გაც-ნობიერებულად დაწერონ თითოეული სიტ-ყვა და იმავდროულად აღმოფხვრან სახელ-მწიფოს, საზოგადოებისა და მისი ხალხის და ჩვენი თავის შესახებ ჩვენ მიერვე ჩამო-ყალიბებული წარმოდგენა.

დრო მიდის. სიტყვების მნიშვნელობა იცვლება. ლექსიკონი გვახსენებს ჩვენი და-წერილი სიტყვის თავდაპირველ მნიშვნე-ლობას და მასალის მომზადებისას საჭირო სიტყვის შერჩევაში გვეხმარება.

სიტყვათა მნიშვნელობის ცვლის მაგალითი:

**გეტი:** სამოციან წლებში გამოცემულ ლექ-სიკონში სიტყვის ამგვარი დეფინიცია მო-ცემულია: ადგილი, ქალაქის ისეთი უბანი, რომელშიც კანონი ხალხს იძულებით ასახ-ლებს და ევროპაში მომხდარ პოგრომებს უკავშირდება. დღეისათვის სიტყვამ მეორე მნიშვნელობა შეიძინა. იგი აღნიშნავს ქალა-ქის უბანს, რომელშიც უმცირესობების წარ-მომადგენლებს უწევთ ცხოვრება სოცი-ალური, ეკონომიკური და სამართლებრივი პრობლემების გამო. სიტყვის მეორე მნიშვ-ნელობაში მთავარი ცვლილება ის არის, რომ გეტის დაარსება აღარ გულისხმობს მთავრობის განკარგულებას.

რა უნდა იცოდნენ რეპორტიორებმა და რედაქტორებმა სანამ ამ სიტყვას იხმარდ-ნენ?

- 1) მხოლოდ უმცირესობების წარმომადგენ-ლები ცხოვრობენ ამ რაიონში და
- 2) ისინი იქ სოციალური, ეკონომიკური და სამართლებრივი მიზეზების გამო ცხოვრო-ბები.

უდავოა, რომ მსოფლიოს მრავალ ქალაქში

არის ისეთი ადგილები, რომლებსაც შეიძლება გეტო ეწოდოს, მაგრამ ვიდრე უურნალისტი ასე მოიქცევა, უნდა დარწმუნდეს, რომ სიტყვის ზუსტი დეფინიციით განსაზღვრული ყველა გარემოება სახეზეა. არ დაგავიწყდეთ, რომ არ შეიძლება ამ სიტყვის გამოყენება მხოლოდ იმიტომ, რომ ქალაქის ამ რაიონში საშუალოზე დაბალი კლასის სახლები დგას. უფრო მეტიც, ხშირ შემთხვევაში, უურნალისტმა უნდა გამოიყენოს შესაძლებლობა და დაასახელოს იმ კონკრეტული უბნის სახელი, სადაც მასალაში აღწერილ მოვლენას ჰქონდა ადგილი.

**ბარიო:** ამ სიტყვასაც იმავე კონკრეტული ფაქტიდან გამომდინარე სპეციფიკური მნიშვნელობა აქვს. ლექსიკონის განმარტებით, „ბარიო“ არის ესპანურენოვანთა დასახლება ან უბანი ქალაქში. ლექსიკონის განმარტებიდან აშკარაა, რომ ჩვენ ვერ გამოვიყენებთ ამ სიტყვას გეტოს სინონიმად. უფრო მეტიც, არ არის მითითებული, რომ ასეთი უბანი შეიქმნა სოციალური, ეკონომიკური და სამართლებრივი პრიბლემების შედეგად. სიტყვა მიანიშნებს მხოლოდ იმ სპეციფიკურ უბნებზე, სადაც ესპანურ ენაზე საუბრობენ. ბარიო არ არის გეტო. ეს არ არის დანგრეული უბანი. ეს არის ადგილი, სადაც ესპანურ ენაზე მოლაპარაკენი ცხოვრობენ.

#### **სემინარის ხელმძღვანელი:**

მონაწილეებს სთხოვეთ, რომ ჩამოთვალინ ისეთი სიტყვები, რომელთა განხილვასაც ამ კუთხით შეძლებდნენ. სემინარის ხელმძღვანელს მომზადებული უნდა ჰქონდეს რამდენიმე სიტყვა, რომელთა შესახებაც იმსჯელებენ მონაწილეები. შეძლებისდაგ-

ვარად ეცადეთ, რომ მონაწილეებმა სიტყვის ზუსტი მნიშვნელობის გასარკვევად ლექსიკონი გამოიყენონ. ხშირად ამგვარი სავარჯიშოებით ძალზე ბევრ რამეს ვიგებთ. როდესაც ხედავთ, რომ პოპულარული სიტყვა არასწორი მნიშვნელობით იხმარება, მონაწილეებს ჰქითხეთ, თუ როგორ ფიქრობენ, რა შედეგები შეიძლება მოჰყევეს სიტყვის არასწორ ხმარებას? და ვისზე იქონიებს არასწორი მნიშვნელობით ნახმარი სიტყვა ყველაზე უარყოფით გავლენას?

**სპეციფიკა იარლიფების საპირისპიროდ**  
„ბარიო“ და „გეტო“ მხოლოდ ისეთი სიტყვებია, რომლებსაც ხშირად არასწორი მნიშვნელობით ვიყენებთ. ინფორმაციის კარგად გაშუქება ამბავში ნახსენები ადგილების, იქ არსებული პირობებისა და ეკონომიკური სიტუაციის აკურატულ აღწერას მოითხოვს და არა იარლიფების გამოყენებას, რომელიც სიტყვების არასწორი ხმარების გამო ხშირად გვაბნევს და ქმნის სტერეოტიპებს.

უურნალისტებმა მშედველობაში უნდა მიიღონ ისიც, რომ ხშირად შეუძლებელია, ლექსიკონში მოძებნილი სიტყვით ზუსტად დაახასიათო ადამიანები, რომლებისგანაც ინტერვიუს იღებენ. მათ უნდა გაითავისონ, რომ ეთნიკური წარმომავლობა არ არის მნიშვნელოვანი ფაქტორი, როდესაც მიღწევებსა და შემოსავლებზე ლაპარაკობენ ან, რომ სპეციფიკური ეთნიკური ჯგუფები არ წარმოადგენენ ღარიბის, დამნაშავის, გაუნათლებელის ან ზედმეტად განათლებულის, ასიმილირებულის ან უუფლებოთა სინონიმს.

## **აუხსენით მკითხველსა და ინფორმაციის მომწოდებელ წყაროებს**

რამდენ უურნალისტს დაუწერია სტატია ხანში შესული მოქალაქეების შესახებ, სა-დაც მათთვის „მოხუცი“ ისე უწოდებია, რომ მათთან საუბრისას არც უკითხავს მათი ასაკი? მიაქციეთ ყურადღება სიტყვის მნიშვნელობას. „მოხუცი“ და „ასაკოვანი“ გამოიყენება 65 წელს გადაცილებულ პირთა მიმართ.

ან რას იტყოდით სტატიაზე, რომელშიც მამაკაცს „ხეიბარს“ უწოდებენ და არც კი აღწერენ მისი მდგომარეობის დეტალებს? მონაბეჭ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობა. ამ სიტყვის დეფინიცია ძალზე კონკრეტულია და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე-თა მხოლოდ მცირე ნაწილისათვის თუ არის მართებული.

გვინიათ, რომ მიმართ ვცდილობთ რამე რეალური სხვაობის არსებობის გარეშე? სულაც არა, არსებობს თავისებურებები, რომლებიც უურნალისტს იმ ხალხისგან გა-ნასხვავებს, ვისაც იგი ემსახურება. ამ განსხვავებების შედეგია ის, რომ გრძელდება ჩვენი საზოგადოების პოლარიზება.

ჩვენ ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ 21-ე საუკუნეში, საზოგადოების პოლარიზება ჩვენი სიზარმაციის, ინდეფერენტულობის და დროის სიმცირის გამო არ გაგრძელდეს. ამისათვის დავიხმაროთ ლექსიკონი და სიტყვების ზუსტი მნიშვნელობა მოვიძიოთ.

### **რამდენიმე დამატებითი რჩევა:**

\* ყურადღებით იყავით ზედსართავი სახელებისა და ზმინზედების გამოყენებისას, რადგან მათ ადვილად შეუძლიათ სტერეოტიპების გავრცელება. უურნალისტი და

რეპორტიორი რაიმეს დახასიათებას არ უნდა ახდენდნეს. ჩვენ მკითხველს, მსმენელსა თუ მაყურებელს ვაწვდით ფაქტების აღწერას, რათა შემდგომ მათ მოვლენის ან საკითხის შესახებ საკუთარი დასკვნების გამოტანა შეძლონ. ჩვენი ფუნქცია ის კი არ არის, რომ საზოგადოებას მივუთითოთ, თუ რა უნდა იფიქროს ამა თუ იმ ფაქტისა და მოვლენის შესახებ. ჩვენი ფუნქცია საზოგადოებისათვის ფაქტების ობიექტურად და მიუკერძოებელად მიწოდებაა. ეს საზოგადოების თითოეულ წევრს საშუალებას მისცემს, რომ თავად გადაწყვიტოს, როგორ წარმართოს საკუთარი ცხოვრება და რა გზით გაიზიაროს საზოგადოების წევრობის ტვირთი თუ სარგებელი.

\* მოერიდეთ ისეთი სიტყვებსა თუ ფრაზებს, რომლებიც სიტყვის უფლების წარმევის გრძნობას გამოიწვევს იმ ჯგუფის წევრებში, ვისაც ამ სიტყვებით აღწერთ.

\* ინფორმაციის მომწოდებელს ნუ აღწერთ ბნელ და პირქუშ პიროვნებად, იმის გამო, რომ მასალაში გარკვეული ტრინის შექმნა გსურთ და ვერ აცნობიერებთ, რომ თქვენ მიერ შექმნილი ტონი სტერეოტიპების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. ნებისმიერი სიტყვისა თუ ფრაზის ხმარებისას მხედველობაში უნდა გვყავდეს საშუალო მკითხველი, მსმენელი თუ მაყურებელი. გადმოვცემთ თუ არა იმას, რის თქმაც გვინდოდა? ჩვენდა უნებურად რომელიმე ჯგუფის მიმართ არსებულ სტერეოტიპებს ხომ არ ვაძლიერებთ?

ჩვენს სიტყვებს შესწევს ძალა, საზოგადოებას მისცეს იმპულსი, რომ ხალხმა ჩვენი გაზეთები იკითხოს, გადაცემებს უსმინოს

და უყუროს და ჩვენ მიერ ყოველდღიურად მოწოდებული ინფორმაცია დაიჯეროს. რო-დესაც ჩახლართულ ფრაზებს, კლიშეებს და უარგონს ვიყენებთ, იქმნება საშიშროება, რომ საზოგადოებასა და მასმედიას შორის დამყარებული ნდობა დაიკარგოს.

ჩვენი შერჩეული სიტყვები აძლიერებს საზოგადოებაში არსებულ აზრს, რომ მას-მედია ჯერ კიდევ არაობიერტური და მიერ-ძოებულია საზოგადოების გარკვეული ნა-ნილის მიმართ, როგორც ეს წინა პოლიტი-კური რეჟიმის დროს ხდებოდა, წინა თაობე-ბის გაზეთებში, რადიოსა და ტელევიზიაში. ჩვენი სიტყვების კითხვის ან მოსმენის შე-დეგად, მსმენელის ნარსული გამოცდილება ამოტივტივდება – როდესაც სოციალურმა, პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და სამართ-ლებრივმა დინამიკამ ხელი შეუწყო ზიზდის, შიშის, განცალკევებისა და კონფლიქტების გაჩენას. ყოველი ასეთი შემთხვევა უკან გა-დაგმული ნაბიჯია, მაშინ, როდესაც წინ უნ-და ვისწრაფოდეთ, რომ ჩამოყალიბდეს ისე-თი საზოგადოება, რომელშიც სიტყვისა და განსხვავებული აზრის გამოთქმის თავი-სუფლებაა, რაც დემოკრატიული მასმედიის არსებობას განაპირობებს.

განსაზღვრეთ, რას ნიშნავს სტერეოტი-პი. სთხოვეთ მონაწილეებს, რომ იმსჯელონ რასობრივ, ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუ-ფებზე არსებული სტერეოტიპების შესახებ. ჰკითხეთ, რას გრძნობენ, როდესაც სტე-ასა თუ ტელე- ან რადიოგადაცემაში, რასობ-რივი ან ეთნიკური ჯგუფის მიმართ სტე-რეოტიპის გამოყენების ფაქტს აწყდებიან.

### სემინარის ხელმძღვანელს:

მრავალეროვნების გაშუქებისას გამოყენე-ბული ენის შესახებ მსჯელობისას მოიყვა-ნეთ მაგალითები სემინარის მონაწილეთა

მიერ მოწოდებული მასალებიდან. შეიძლე-ბოდა თუ არა მასალებში გამოყენებული ენის ისე შეცვლა, რომ შესაძლებელი გამხ-დარიყო სტერეოტიპების დანგრევა ან თა-ვიდან აცილება.

### უნდა გაკეთდეს შემდეგი განცხადებები:

\* მოერიდეთ ისეთი სიტყვებისა თუ ფრა-ზების ხმარებას, რომლებიც ნათლად ვერ ასახავენ რეალურ სურათს.

მაგალითი: ქვეყნებში, სადაც რელიგიური მრნამსის თავისუფლება ახლა მკვიდრდება, ისეთ რელიგიურ ორგანიზაციებს, რომლებ-შიც გაერთიანებული არიან იელოვას მოწ-მები, ბაჭტისტები და პროტესტანტები, ხშირად სექტებს უწოდებენ. ამგვარი მიმარ-თვა არასწორია და „ძირითად რელიგიურ ორგანიზაციებსა“ [მაგ. კათოლიციზმი, ის-ლამი, მართლმადიდებლობა] და ზემოთ აღ-ნიშნულ მიმდინარეობებს შორის არსებული დინამიკის ბუნდოვან სურათს ქმნის.

### სემინარის ხელმძღვანელს:

რომელიმე მონაწილეს სთხოვეთ, რომ სიტ-ყვა „სექტის“ დეფინიცია წაიკითხოს. შემდ-გომ დისკუსია უნდა გაიმართოს იმის შესა-ხებ, თუ რატომ უნდა ჰქონოდა ამ სიტყვას უარყოფითი გავლენა იმ რელიგიური ჯგუ-ფების წარმომადგენელებზე, რომლებიც ამ სიტყვით ამ კატეგორიაში გააერთიანეს.

\* მოერიდეთ ხალხის ისეთ დახასიათებას, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს სტე-რეოტიპებს.

\* გამოიყენეთ სიტყვები, რომლებიც ხანში შესულებს შეცოდებისა და გულმოწყალე-ბის გარეშე აღწერენ.

- \* მოერიდეთ ისეთ სიტყვებს, რომლებიც ხანში შესული ხალხის სტერეოტიპს აყალიბებს. **მაგალითად**, ხეიბარი, დაჩაჩანაკებული, ბებერი.
- \* მოერიდეთ ქალების აღწერას იმის მიხედვით, თუ ვისი მეუღლეები არიან ისინი. ჩვენს მასალებში აღწერილ ქალს უნდა შეეძლოს, რომ დამოუკიდებლად წარსდგეს საზოგადოების წინაშე. ნუ გაამახვილებთ ყურადღებას იმაზე, რომ იგი ვიღაცის ცოლია. საშუალება მიეცით, რომ საკუთარი სახე წარმოაჩინოს.
- \* ნუ დაუშვებთ ენობრივუზუსტობებს გეოგრაფიულ მდებარეობასა და ისტორიულ მოვლენებში.
- \* აღწერეთ საკითხის ან მოვლენის დეტალები და მოერიდეთ იარლიყების მიეკრას. **მაგალითად**, კრიმინალურ ქრონიკაში ეჭვმიტანილი აღწერილია, როგორც 20-30 წლის შავკანიანი მამაკაცი. პოლიციისგან მოითხოვეთ დამატებითი დეტალები ეჭვმიტანილის ჩაცმულობის, ვარცხნილობის შესახებ. სად ნახეს იგი პოლოს გაქცევის შემდეგ.
- თუ შურნალისტმა არ მოიკითხა, ხელისუფლების წარმომადგენლები შეეცდებიან დეტალები არ გაახმაურონ. ჩვენ მიერ დასმული კითხვების მიზანია, რომ საზოგადოებას ეჭვმიტანილის რაც შეიძლება დეტალური აღწერილობა მივაწოდოთ, რადგან პირის ზოგადი აღწერილობა შეიძლება გარკვეული ეთნიკური ან რასობრივი წარმომავლობის ჯგუფის წევრთა 50%-ს მიესადაგოს. იმ შემთხვევაში, თუ დეტალები მიუწვდომელია? დაფიქრდით, რა მიზნებს უნდა ემსახურებოდეს ეჭვმიტანილის ზოგადი აღწერილობის გამოქვეყნება, თუკი მის შესახებ არსებული ინფორმაცია არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ხელისუფლებამ მისი დაკავება მოახერხოს?

## მოდული 5: ჟითხვები ეთნიკური წარმომავლობის შესახებ

ქვემოთ ჩამოთვლილი კითხვები და პასუ-  
ხები სემინარის მონაწილეთათვის სადისკუ-  
სიო მასალას წარმოადგენს. მსჯელობისას  
გაამახვილეთ ყურადღება მონაწილეთა გა-  
მოცდილების შედეგად მიღებულ მაგალი-  
თებზე. თანდართული პასუხები სემინარის  
დასაწყისშივე უნდა განიხილოთ. მონაწი-  
ლებს მიეცით საკმარისი დრო, რომ განიხი-  
ლონ, არის თუ არა მისაღები ფორმით აღწე-  
რილი მასალაში რასობრივი და ეთნიკური  
წარმომავლობის საკითხები. სემინარის ხელ-  
მძღვანელი მზად უნდა იყოს, რომ აქტი-  
ურად ჩაერთოს მონაწილეთა მიერ წარმოჭ-  
რილი საკითხების განხილვაში, დაუსვას  
მათ კითხვები ან განავრცოს მათი აზრები.  
ამით იგი მთელ ჯგუფს დაეხმარება დის-  
კუსიის აზრიანად წარმართვაში. დისკუსიის  
დასრულებისას, ხელმძღვანელმა უნდა შე-  
აჯამოს დისკუსიის შედეგად გამოტანილი  
დასკვნები.

შეინახეთ სემინარის ჩანაწერები, რომ შემდ-  
გომში განავრცოთ რეგიონში ეთნიკური  
წარმომავლობის გაშუქების შესახებ არსე-  
ბული კითხვები და პასუხები.

### სემინარის ხელმძღვანელს:

სტატიები ჩადენილი დანაშაულებრივი ქმე-  
დებების შესახებ საუკეთესო მასალას წარ-  
მოადგენს ეთნიკური წარმომავლობის გა-  
შუქების შესახებ დისკუსიისათვის. მონაწი-  
ლეთა მიერ მოწოდებულ გაზეთებში ყველა-  
ზე იოლი ალბათ ამგვარი მაგალითების  
მოძიება იქნება.

კითხვა: როდის არის რასობრივი ან ეთნი-  
კური წარმომავლობა მნიშვნელოვანი?

პასუხი: ზოგადად, რასობრივი ან ეთნიკური  
წარმომავლობა არ უნდა იყოს სტატიის  
მნიშვნელოვანი ელემენტი, გარდა იმ შემ-  
თხვევებისა, როდესაც ეთნიკური წარმო-  
მავლობის ფაქტორი მასალის მთავარი თე-  
მაა. ეთნიკური წარმომავლობა არ არის  
მნიშვნელოვანი ელემენტი, თუ მასალა პო-  
ლიტიკას, სოციალურ ქმედებებს ან სოცი-  
ალურ პირობებს ეხება. ავტორმა ყურადღე-  
ბით უნდა შეარჩიოს სიტყვები, რათა მკით-  
ხველს არ ეგონოს, რომ ეთნიკური წარმო-  
მავლობა მთავარი საკითხია. წარმოადგენს.

მაგალითი: შესაძლოა დიდ ქალაქებში ერთი  
ეთნიკური წარმომავლობის ჯგუფი რაიმე  
განსაკუთრებული სახეობის მცირე მაღაზი-  
ებს ან სანარმოებს ფლობდეს. ეს მაღაზიები  
ხშირად ხდება სხვა ჯგუფების ზიზღისა და  
ვანდალიზმის ობიექტები. ასეთ შემთხვე-  
ვებშიც კი, კონკრეტული ვანდალიზმის აქ-  
ტების გაშუქებისას რეპორტიორმა არ უნდა  
ივარაუდოს, რომ ამგვარი ქმედების მოტივი  
ეთნიკური ხასიათისაა. ერთი შეხედვით შე-  
იძლება გეგონოთ, რომ ეთნიკურ მომენტია  
მთავარი. თუ დაუკვირდებით და უბანშივე  
ინფორმაციის შესაძლო წყაროებს კარგად  
გამოჰკითხავთ, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ  
ვანდალიზმის მიზეზი სულ სხვა, თუნდაც  
იმავე უბნის მცხოვრებლებს შორის არსე-  
ბული პიროვნული ურთიერთობები ყოფი-  
ლა. ამ პირობებში ეთნიკური წარმომავლო-

ბა უმნიშვნელო ფაქტორია და გაშუქების შედეგად მკითხველმა არ უნდა ჩათვალოს, რომ ერთი ჯგუფის წარმომადგენლები ყველანაირად ცდილობენ მეორე ჯგუფის წევრთა განადგურებას ან მათვის ზიანის მიყენებას.

### სემინარის ხელმძღვანელს:

ჰკითხეთ სემინარის მონაწილეებს, როგორ შეუძლიათ იმის გარკვევა, წარმომადგენს თუ არა რასობრივი წარმომავლობა ქონების ფლობის ან უქონლობის მთავარ ფაქტორს? ან იქნებ ეს უბრალოდ კრიმინალური ელემენტების პარაპშია? როგორ შეიძლება მასალაში მდგომარეობის აკურატულად ასახვა? ჰკითხეთ, აღნიშნავდნენ თუ არა პირის ეთნიკურ წარმომავლობას, უმრავლესობის წარმომადგენელი რომ ყოფილიყო? თუ პასუხი უარყოფითია, სერიოზულად უნდა განიხილოთ, არის თუ არა ეთნიკური წარმომავლობა მასალის მნიშვნელოვანი ფაქტორი?

სემინარის ხელმძღვანელმა უნდა მოიძიოს მაგალითები, სადაც პირი ეთნიკური წარმომავლობის ნიშნითაა აღნერილი, რამაც შეიძლება მიგვიყვანოს დასკვნამდე, რომ სტატია ეთნიკური ან რასობრივი მდგომარეობის შესახებაა.

კითხვა: როგორ უნდა მოვიქცეთ, როდესაც რასა და ეთნიკური კუთვნილება აქტუალურია? პასუხი: თუ რასა და ეთნიკური კუთვნილება აქტუალურია, უურნალისტმა მეტი სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს სტატიის წერის პროცესში. უურნალისტმა უნდა განიხილოს ასეთი საკითხები თავის კოლეგებთან, რათა მოუსმინოს მათ, შეამოწმოს თხრობის შესავალი ნაწილი, დარწმუნდეს, რომ ის არ შეიცავს ეთნიკურ ელემენტებს, თუ ეს აუცილებელი არ არის.

### სემინარის ხელმძღვანელს:

\* კიდევ ერთხელ გადახედეთ ზემოთ გამოყენებულ მაგალითებს. როგორ შეიძლება მოთხოვობა დაინტერის ისე, რომ არ არსებობდეს მკითხველისათვის აშკარა უარყოფითი ტონი ან ისე შეიცვალოს ეთნიკურ კუთვნილებაზე გაკეთებული აქცენტი, რომ ხაზი გაესვას მოთხოვობის ნამდვილ ასპექტს?

\* თუკი ნიმუშად გაქვთ ისეთი სტატიები, სადაც ეთნიკური კუთვნილება მართებულად იყო ხაზგასმული, გამოიყენეთ ისინი იმ სტატიებთან შესადარებლად, სადაც ადგილი ჰქონდა საპირისპიროს.

კითხვა: ვინ წყვეტს, არის თუ არა მასალაში რასობრივი ან ეთნიკური ელემენტები?

პასუხი: უურნალისტმა არ უნდა იფიქროს, რომ ინციდენტი შეიძლება რაიმე რასობრივი ან ეთნიკური სარჩული ედოს. მასალაში აღნერილი ფაქტები თავად ცხადყოფენ სინამდვილეს. ხშირად მთავრობის წარმომადგენელმა შეიძლება უურნალისტს უთხრას, რომ რასობრივი და ეთნიკური წარმომავლობა რაიმე მოვლენის ელემენტებს წარმოადგენს. ოფიციალური განცხადებების გადამოწმება შეიძლება საზოგადოების წარმომადგენლებთან გასაუბრებით. მოიძიეთ ინფორმაციის მოწოდების წყაროები სხვადასხვა ეთნიკურ და რასობრივ ჯგუფებში და ყოველთვის შეძლებთ საკითხის ბევრი სხვადასხვა თვალით დანახვას, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ოფიციალური პირები ამტკიცებენ, რომ ინციდენტი რასობრივი ან ეთნიკური კუთხით უნდა იქნეს განხილული. დაუპირისპირდით მათ და ჰკითხეთ, რატომ დაასკვნეს, რომ ინციდენტში ეთნიკური საკითხია გარეული?

**მაგალითი:** პოლიცია ამტკიცებს, რომ ბანდებს შორის გამართული ომი ეთნიკურ და-პირისპირებას წარმოადგენს. მას შემდეგ, რაც რეპორტიორი ჰყითხავს, თუ რატომ ფიქრობს პოლიცია ასე, ირკვევა, რომ პოლიციამ ეს დასკვნა დაპირისპირებული ბანდების წევრთა განსხვავებული ეთნიკურ წარმომავლობის საფუძველზე გააკეთა. რეალურად კი ამის მიზეზი ნარკოტიკებით არალეგალური ვაჭრობისათვის ქალაქის ძალზე მომგებიანი ტერიტორიისათვის ბრძოლა გამხდარა. ომი ტერიტორიის გამო გაჩაღდა და იგი ეთნიკური მიზეზებით კი არ იყო განპირობებული, არამედ ეკონომიკურით. არის თუ არა ამ მასალაში ეთნიკური ელემენტი? შეიძლება იყოს კიდეც, მაგრამ ეს არ გახლავთ დაპირისპირების ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი. ასე რომ, სიფრთხილე გვმართებს იმის გარკვევისას, თუ რამდენად მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ეთნიკური საკითხები ამა თუ იმ ინცინდენტში.

**კითხვა:** რა სახელით უნდა მივმართოთ ადამიანებს?

**პასუხი:** ერთ-ერთი გზაა ვეითხოთ თავად პირს, რომლის ციტირებასაც ვახდენთ ან ვის ნაამბობსაც გადმოვცემთ, თუ როგორ ურჩევნია მას. ეს მხოლოდ შეკითხვის დასმით შეგვიძლია გავიგოთ. ამასთანავე, ზოგადი წესია, რომ პირის ეთნიკური წარმომავლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა აღინიშნოს, თუ იგი მასალის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს.

გახსოვდეთ, სურათი ათას სიტყვაზე გაცილებით მეტს იტყვის. ხშირად გაზეთებსა და ტელევიზიაში ინფორმაციის მომწოდებელი წყაროს ეთნიკური წარმომავლობის ეფექ-

ტურად გადმოცემა ფოტოსურათების საშუალებით შეიძლება. თუ შესაძლებელია, ჯობია, რომ რეალური პიროვნება უჩვენოთ მკითხველსა თუ მაყურებელს, ვიდრე მის აღწერას ეცადოთ.

### **სემინარის ხელმძღვანელს:**

ინფორმაციის მომწოდებელი წყაროს აღწერა რაც შეიძლება დეტალური უნდა იყოს. მხოლოდ იმის აღნიშვნა, რომ იგი აზიური წარმოშობისაა, არანაირ მნიშვნელოვან ინფორმაციას არ გვაწვდის თავად პიროვნების შესახებ. განზოგადება სტერეოტიპების გავრცელებას უწყობს ხელს. კარგი შურნალისტიკა გულისხმობს ნებისმიერი საკითხის დეტალურ აღწერას – მათ შორის ეთნიკური წარმომავლობისაც. აზის რომელი ქვეყნიდანაა ეს პიროვნება?

**კითხვა:** ხოლო რაც შეეხება ემიგრანტებს? პასუხი: მათზეც იგივე წესი ვრცელდება. მოერიდეთ ემიგრანტთა კლასებად დაყოფას, მაგალითად, აფრიკელებად ან აზიელებად. მკითხველი ან მაყურებელი მეტ ინფორმაციას მიიღებს, თუ დეტალებს მიაწვდით ამ პირის ქვეყნის შესახებ. ამერიკელი შეიძლება იყოს კანადიდან, შეერთებული შტატებიდან ან ლათინური ამერიკიდან. მკითხველი ვერაფერს იგებს, როდესაც ვამცნობთ, რომ მასალაში აღწერილი პიროვნება აზიური წარმოშობისაა; უფრო მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, თუ საიდან ჩამოვიდა ეს პირი. სადაც საჭიროდ მიიჩნევთ, აცნობეთ მკითხველს მისი ქვეყნის, მხარის ან ქალაქის შესახებ. აფრიკა უზარმაზარი კონტინენტია. უთხარით მკითხველს, თუ რომელი ქვეყნიდანაა ეს ადამიანი. აუცილებელი წესი: მკითხველს ან მაყურებელს მიაწვდეთ დეტალური ინფორმაცია.

## მოღელი 6: ინფორმაციის მოწოდების წყაროები

**მიზანი:** პროგრამის მონაწილეებს დავეხმაროთ ინფორმაციის მოწოდების ახალი და მრავალფეროვანი წყაროების მოძიებაში.

**პრიციპი:** ინფორმაციის მოწოდების მრავალფეროვანი წყაროები თავისთვად განაპირობებს მრავალფეროვანი მასალის შექმნას.

ინფორმაციის მოწოდების წყაროების მოძიებისა და გამოყენების გზების შეცვლა ის ის ნაბიჯია, რომელსაც რეპორტიორის კარგად გააზრებულ ქმედება სჭირდებას. თოთოვალმა რეპორტიორმა, რომელიც დაინტერესებულია, რომ მის მიერ მომზადებულ მასალებში გაცილებით მრავალფეროვანი შეხედულებები იქნას ასახული, უნდა დაიწყოს ინფორმაციის წყაროთა ბანკის ჩამოყალიბება. მასში შევა საზოგადოების ყველა წარმომადგენელი, ვისთანაც იგი კავშირებს დაამყარებს. უბრალო თავყრილობისას უამრავ ხალხს შეხვდებით და შეიძლება სწორედ ის ექიმი ან იურისტი გაიცნოთ, რომელიც შემდგომში თქვენი რიგითი მასალისათვის საკითხის რაიმე განსხვავებულ ხედვას შემოგთავაზებთ. უბრალო თავყრილობისას შეიძლება შესაძლებლობა მოგეცეთ, რომ ინფორმაციის წყაროთა სიას ცნობილი და პატივცემული პიროვნებები ან მეცნიერები შემატოთ, რომლებიც, შესაძლოა, განსხვავებული ეთნიკური წარმომავლობისანი იყვნენ. საინტერესო პიროვნებასთან ნებისმიერი კონტაქტი ინფორმაციის წყაროების გაფართოების შესაძლებლობას წარმოადგენს. უნდა გასცდეთ ინფორმაციის სამთავრობო წყაროების ფარგლებს, რომლებიც ათწლეულების მანძილზე ინ-

ფორმაციის მიღების ძირითად კერას წარმოადგენდა. საუკეთესო რეპორტიორს ინფორმაციის წყაროთა ყველაზე ფართო და მრავალფეროვანი ქსელი უნდა ჰქონდეს.

### სემინარის ხელმძღვანელს:

მონაწილეთა მიერ მოწოდებული მასალებიდან ან სხვა წყაროებიდან შეარჩიეთ ოთხი მაგალითი, რომლებსაც ინფორმაციის წყაროთა გაფართოების საკითხებზე მსჯელობისას გამოიყენებთ. სთხოვეთ მათ, რომ წაიკითხონ თითოეული სტატია და მცირე ჯგუფებად დაიყონ. სთხოვეთ მათ, რომ თოთოვალი სტატია შეაფასონ ინფორმაციის წყაროების მრავალფეროვნების თვალსაზრისით. მასალაში ციტირებული პირები მხოლოდ მამაკაცები ან მხოლოდ მთავრობის წარმომადგენლები ხომ არ არიან? ანდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხზე სხვა, განსხვავებული რასობრივი ან ეთნიკური ჯგუფების შეხედულებებიც არსებობს, ხომ არ არის გაშუქებული მხოლოდ უმრავლესობის წარმომადგენელთა შეხედულებები?

### გაითვალისწინეთ:

\* ერიდეთ არაობიერტურ სტატიებს.  
უმცირესობებთან დაკავშირებული სა-

კითხები უმრავლესობის წარმომადგენელ-თა კომენტარს არ საჭიროებს. ებრაელების შესახებ საკითხებს, ანტისემიტების კომენტარი არ სჭირდება და არც ჰომოსექსუალი მამაკაცების თუ ქალების შესახებ საკითხები საჭიროებს ჰომოფობით შეპყრობილ ელემენტთა კომენტარებს. ინფორმაციის წყაროთა „მექნიკურმა“ დაბალანსებამ, შესაძლოა საკითხთა მიკერძოებული გაშუქება გამოიწვიოს, რადგან იზრდება სტერეოტიპებისა და კლიშეების შესაძლებლობა.

\* სიფრთხილე გმართებთ ხალხის თანაცხოვრების პირობებისა და წესის აღნერისას.

მრავალ ქვეყანაში, რაიმე განსაკუთრებულს არ წარმოადგენს თუ ქალი და მამაკაცი ქორწინების გარეშე ცხოვრობენ ერთად, ანდა თუ ორი მამაკაცი ან ორი ქალი ცხოვრობს ერთად. არაა საჭირო მორალის კითხვა, ან მორცხვობა, ან ლამაზი იარლიყების მიკერება. მრავალი უურნალისტი, ამგვარი ურთიერთობების, თანაცხოვრების აღნერისას სიტყვა „მეგობარს“ ან „ახლო მეგობარს“ იყენებს.

### **სემინარის ხელმძღვანელი:**

კიდევ ერთხელ გადახედეთ სტატიებს. სთხოვეთ, რომ თითოეულმა მონაწილემ იმსხვა კატეგორიის ხალხის სია ჩამოწეროს, რომელთანაც დაკავშირება შეიძლება, რომ სტატიის განხილული საკითხის განსხვავებული ხედვა შეემატოს. იგივე სავარჯიშო დანარჩენი სამი სტატიითაც შეასრულონ. ჰკითხეთ მონაწილეებს, როგორ შეარჩევდნენ ინფორმაციის წყაროებს, რომ სტატიებში წარმოდგენილი საკითხის ხედვა გაეფართოებინათ.

## მოღელი 7: სურათები

სურათების გამოყენება მასალის შინაარ-სთან ერთად არის ერთ-ერთი საუკეთესო გზა, რომლითაც უურნალისტს შეუძლია ნებისმიერი რასობრივი, ეთნიკური თუ რე-ლიგიური ჯგუფის წარმომადგენელს, წარ-მოჩენის საშუალება მისცეს.

### სემინარის ხელმძღვანელს:

ჰკითხეთ სემინარის მონაწილეებს, უმცირე-სობების რანაირი სურათები არის ხოლმე წარმოდგენილი მათ საგაზითო, საურნა-ლო თუ სატელევიზიო გამოშვებებში? თუ ჰყავთ უმცირესობების წარმომადგენელი ახალი ამბების წამყვანები ან რეპორტი-ორები? ქალები თუ არიან აღბეჭდილნი ისეთ მასალებში, რომლებშიც შესაძლებე-ლია, რომ მათ მასალის სახე წარმოადგი-ნონ? მასალებში წარმოდგენილი სურათები ან ვიდეო- კადრები ძირითადად მამაკაცე-ბის სახეებს ხომ არ ასახავს? მონაწილეთა მიერ მოწოდებული საგაზითო თუ ვიდეო- მასალებიდან სემინარის ხელმძღვანელმა უნდა შეარჩიოს ისეთი მაგალითები, რომ-ლებიც, მისი აზრით, მოვლენების ამსახველ სურათებსა თუ ვიდეოკადრებში მრავალფე-როვნების სიმცირეს ცხადყოფს.

\* როდესაც მაგალითებს წარადგენთ, სთხოვეთ ჯგუფს, რომ მრავალფეროვნების უკეთ გაშუქების გათვალისწინებით, მასა-ლის ილუსტრირების შესაძლებელ სხვა გზებზე იმსჯელოს.

\* მონაწილეებს სთხოვეთ, რომ გადახე-დონ სტატიებს დანაშაულებრივი ქმედებე-ბის შესახებ და თანდართულ ფოტომასა-ლებს. ამგვარი სტატიები ხშირად უფრო უხ-ვად არის ხოლმე ილუსტრირებული. ასევე მოიძიეთ საომარი მოქმედებების ან სახალ-ხო გამოსვლების ადგილებიდან გაშუქე-ბული მოვლენების ფოტო- და ვიდეომასა-ლები. ეს ფოტოები ან ვიდეოკადრები ხალ-ხის გამოსვლების ან ბრძოლის დამახინჯე-ბულ/მიკერძოებულ სურათს ხომ არ ასა-ხავს? ხომ არ არის ეს კადრები, რაიმე კონ-კრეტული პოზიციის გამოსახატად გამოყე-ნებული? განა ეს არის უურნალისტის მი-ზანი? გაშუქებულ საკითხებს ხშირად მძაფ-რი პოლიტიკური ან ისტორიული კონტექ-სტი აქვს. ამ კონტექსტის მიმართ, მთავრო-ბის პოზიციის გარდა, ყველა სხვა პოზიციის უგულებელყოფა ხდებოდა. როგორ შეიძ-ლება, რომ ასეთ შემთხვევებში თავიდან ავიცილოთ მასალებში რომელიმე ერთი პო-ზიციის გამოხატვა?

ფოტო- თუ ვიდეოკადრებმა ახალი ამ-ბები უნდა ასახოს. არ არსებობს რაიმე წესი, თუ ვინ უნდა იყოს გამოსახული მოვლენე-ბის ამსახველ კადრებზე. გარდა განსაკუთ-რებული შემთხვევებისა, ყოველთვის არის ხოლმე არჩევანის საშუალება.

### სემინარის ხელმძღვანელს:

გადახედეთ მონაწილეთა მიერ მოწოდებულ საგაზითო და ვიდეომასალებს და, თუ შე-საძლებლობა გაქვთ, სურათებსაც. ხომ არ

იყო შესაძლებელი, რომ გაზეთის ან ტელე-არხის მიერ გამოყენებული მოვლენის ამ-სახველი სურათები უფრო მრავალფეროვანი ყოფილიყო? მოწოდებული ვიდეომას-ალებიდან განიხილეთ ერთ-ერთი. ვიდეო-მასალაში ასახული მოვლენების უფრო მრავალფეროვანი გაშუქება ხომ არ იყო შესაძლებელი?

როდესაც რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა ხდება, იმის მაგივრად, რომ უმრავლესობის ჩვეულ სახეებზე გამახვილონ ყურადღება, ფოტოგრაფებმა უნდა მოახერხონ ხალხთა მასების მრავალფეროვნების დაფიქსირება.

**მაგალითი:** არჩევნების ამსახველ მასალაში ფოტოგრაფმა გადაიღო საარჩევნო უბანი, რომელზეც ქალბატონი არჩევნების მსვლელობას ადევნებს თვალყურს და ქალბატონი, რომელიც საარჩევნო უბანზე ხმის მისაცემად მოვიდა. ფოტოგრაფმა იცოდა, რომ ადრე როდესაც საზოგადოებაში მამაკაცები დომინირებდნენ, ამგვარ სურათს არ გამოაქვეყნებდნენ. ფოტოგრაფის მიერ გადაღებული სურათი ახალი დღის დადგომის მაუნყებელია. ფოტოგრაფი ალბათ სხვა საარჩევნო უბანზე წავიდოდა, ანდა, უბრალოდ, ისეთ სურათს გადაიღებდა, რომელზეც ქალების მაგივრად მამაკაცები იქნებოდნენ გამოსახული. ამ შემთხვევაში, ფოტოგრაფმა ცვლილება დააფიქსირა. ფოტოზე ასახული ცვლილება გარკვეულ გავლენას იქონიებს მკითხველსა თუ მაყურებელზე. იგი იგრძნობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარ ძვრებს და მასში ქალის როლის შეცვლას.

### სემინარის ხელმძღვანელს:

– და კვლავ, მოიძიეთ მაგალითები, რომლებიც საზოგადოებაში მომხდარ შეფარულ ცვლილებებს აღწერს. სემინარის დაწყებამდე მოწოდებულ მასალებში არის ასეთი მაგალითები? სემინარის მონაწილეთა აზრით, არის ისეთი სურათები, რომელთა სხვა სურათებით ჩანაცვლებით მრავალფეროვნება მოვლენების შინაარსის შეუცვლელად უკეთესად გაშუქდებოდა?

სურათების მრავალფეროვნების გაშუქების თვალსაზრისით შეფასების ერთ-ერთი მიზანი ის არის, რომ მკითხველსა თუ მაყურებელს საშუალება მიეცეს, თქვას: „მადლობას გიხდით, რომ თქვენს გაზეთსა თუ სატელევიზიო გადაცემაში ჩემი თავი დამანახვეთ. მადლობას გიხდით, რომ საშუალება მომეცით, იმ საზოგადოების ნაწილი გავმხდარიყავი, რომელსაც თქვენ – მასმედიის საშუალებები – აშუქებთ ახალ ამბებში“.

### სემინარის ხელმძღვანელს:

ამ ეტაპზე სემინარის ხელმძღვანელმა ხაზი უნდა გაუსვას იმას, რომ მასალებში მოვლენების ამსახველი კადრების შერჩევა და გამოყენება მასმედიის გადაწყვეტილების მიმღებ თანამშრომელთა პრეროგატივაა.

როგორ უნდა შეიცვალოს გადაწყვეტილების მიღების პროცესი, რომ საგაზეთო თუ სატელევიზიო მასალებში მრავალფეროვნების გაშუქება გაიზარდოს? გადახედეთ ამ მოდულში განხილულ ვიდეოკადრებს და საგაზეთო ფოტოებს. შეიძლებოდა თუ არა სხვა კადრების, სურათების შერჩევა? როდის ან ვის უნდა გაეკეთებინა ეს არჩევანი? ხელმძღვანელმა მონაწილეები დისკუსიიში უნდა აიყოლონ. მათ უნდა შეძლონ მოვლენების წარმოდგენა და ეცა-

დონ აირჩიონ კადრები ფოტოგრაფის ან ოპერატორის მიერ გადაღების მომენტში.

მრავალფეროვნების გაშუქებისათვის საჭირო ხდება ასევე მასმედიის მიერ გამოყენებული ფოტო - ან ვიდეოხელოვნების რამდენიმე ნიმუშიდან ერთის შერჩევა. თოთოეულმა პირმა, რომლის მოვალეობასაც კადრების გადაღება და შერჩევა წარმოადგენს, უნდა გაარკვიოს, თუ რა ჯობია მასალის ილუსტრირებისა და, იმავდროულად, რაც შეიძლება მეტი მკითხველის მოზიდვისათვის.

### **სემინარის ხელმძღვანელს:**

ადგილობრივი ან ეროვნული გაზეთებიდან შეარჩიეთ ორი-სამი დაუსურათებელი სტატია, რომელთა საფუძველზეც მონაწილეები იმსჯელებენ. მრავალფეროვნების პრინციპების გათვალისწინებით, რა სახის ფოტონიმუშები იქნებოდა საუკეთესო, ამ მასალებში აღწერილი მოვლენების ილუსტრირებისათვის. თვალსაჩინოებისათვის მათი მოსაზრებები თითოეული სტატიის შესახებ ქაღალდის დიდ ფურცლებზე ჩამოწერეთ. პროცესის დასრულების შემდეგ შესთავაზეთ მათ, რომ იგივე პროცესი გამოიყენონ იმ მასალებისათვის, რომელთა ილუსტრირებაზეც თვითონ არიან პასუხისმგებელნი. როგორ მოახერხებდა თითოეული მონაწილე საკუთარ ორგანიზაციაში ამ პროცესის დაწერვას?

### **რედაქტორული კომენტარი: კარიკატურები**

კარიკატურა ძალზე საყურადღებო ჟანრია. კარიკატურა არ უნდა იყოს რაღაც განსაკუთრებულის. ზოგჯერ ის ექსტრემალური პოლიტიკური პოზიციების ან სოციალური დაძაბულობის ასახვის მიზნით გამოიყე-

ნება. კარიკატურებში ხშირად ჩანს უმცირესობების მიმართ არსებული სტერეოტიპები.

მიუხედავად იმისა, რომ კარიკატურები სხვა სახის ფენომენია, მათი შეფასება მაინც შესაძლებელია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კარიკატურა ხელს უწყობს სტერეოტიპების გავრცელებას, საზოგადოების გაძლიერებას. ამის შველა უურნალისტებისა და მასმედიის ორგანიზაციების მიმართ მუდმივი ყურადღებითა და მსჯელობით შეიძლება.

მოიძიეთ კარიკატურის მაგალითები და მათი ასლები თითოეულ მონაწილეს დაურიგეთ. ჰკითხეთ მათ, არის თუ არა რომელიმე კარიკატურაში ისეთი რამ, რასაც ისინი შეურაცხყოფელად მიიჩნევენ; ანდა რასაც სხვა ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური წარმომავლობის ადამიანი მიიჩნევდა შეურაცხყოფად? ნუთუ მონაწილეებს სჯერათ, რომ კარიკატურით გადმოცემული აზრი შეურაცხყოფად [თუნდაც შეურაცხყოფის საშიშროებად] ლირს? მონაწილეთა პასუხები ათვლის წერტილად გამოიყენეთ, რათა გაარყვითოთ, როდის არის კარიკატურის სახით წარმოდგენილი სარედაქციო კომენტარი იმდენად შეურაცხმყოფელი, რომ საფრთხეს უქმნის მოსახლეობის რომელიმე სეგმენტს.

### **სემინარის ხელმძღვანელს:**

იმსჯელეთ კარიკატურასა და სტატიებისა თუ სატელევიზიო გადაცემების თანმხლებ ფოტომასალებს შორის არსებული განსხვავების შესახებ. რა განსხვავებულ სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს თითოეული მათგანი? საზოგადოებას თუ ესმის მათ შორის განსხვავება? როგორ ფიქრობენ მონა-

წილები, რა უნდა გაკეთდეს შეურაცხმყოფელი კარიკატურის გამოქვეყნების შემთხვევაში? რა მოხდება, თუ ვინმემ ამის გამო იჩივლა? რა მოხდება, თუ ყველამ იცის, რომ ის შეურაცხმყოფელია, მაგრამ არავინ არ ჩივის? ის ფაქტი, რომ არავინ ჩივის იმას ხომ არ ნიშნავს, რომ საზოგადოებასა და მასმედიას შორის რაღაც პრობლემა არსებობს, რომლის გამოსწორებაზეც მასმედიამ უნდა იფიქროს?

### ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა

ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა უურნალისტების მიერ მრავალფეროვნების გაშუქების ტრეინინგის დროს ჩატარებული მსჯელობის, ანალიზისა და სწავლების ძირითადი შედეგია. ეს არის საშუალება, რომელიც ხელს შეუწყობს მონაწილეებს, აქტიურად ჩაებან თავის ყოველდღიურ პროფესიონალურ საქმიანობაში. უფრო მეტიც, რადგან უურნალისტები მარტო ინდივიდუალურად კი არ მოქმედებენ, არამედ კოლეგებთან, სხვა ორგანიზაციებთან, პროფესიულ ასოციაციებთან და კავშირებთანაც თანამშრომლობენ, ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა სხვა ადამიანებზე და ორგანიზაციებზე ზემოქმედების მექანიზმი ხდება.

სემინარის ხელმძღვანელმა უნდა გამოიყენოს მომდევნო გვერდზე მოცემული ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის ფორმა და, საჭიროებისამებრ, დაუმატოს ან ამოილოს შეკითხვები. თუმცა, ასევე შესაძლებელია ზოგიერთი კითხვის დამატება ან შეცვლა. სემინარის დაწყების წინ დაურიგეთ ის თითოეულ მონაწილეს, რათა მათ პროგრამის მსვლელობისას მხედველობაში იქნიონ თავისი მონაწილეობის შედეგი. სანამ თითოეული მონაწილე ინდივიდუალური

სამოქმედო გეგმის შექსებას დაიწყებს, ის მთელმა ჯგუფმა უნდა განიხილოს. სემინარის ხელმძღვანელმა უნდა მიუთითოს მათ, რომ რაც შეიძლება კონკრეტულნი იყონ დასახული მიზნების, საჭირო საშუალებების, და განხორციელების განრიგის აღწერისას. გირჩევდით, რომ ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა ექვსთვიანი ვალიტერა და ჯგუფის გადასაწყვეტია, რომელმაც ეს გეგმა უნდა განიხილოს, სანამ ჯგუფის წევრები უკეთ გაეცნობოდნენ გეგმაში აღნიშნულ ვალდებულებებს. სემინარის ბოლოს, როდესაც მონაწილეები შეავსებენ ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმებს, სთხოვეთ, რომ თითოეულმა მათგანმა საკუთარი გეგმა მთელ ჯგუფს გაუზიაროს.

სემინარის ხელმძღვანელმა ჩანაწერები უნდა გააკეთოს თითოეული მონაწილის გეგმის შესახებ. ეს მას დაქმარება შეფასებაში, რომელიც შემდგომ არის განხილული. იდეალურ შემთხვევაში სემინარის ხელმძღვანელი გეგმაში აღნიშნული ვალიტერა დაგომისთანავე შეაფასებს მას. რადგანაც უურნალისტიკა მრავალფეროვნების გაშუქების თვალსაზრისით ხშირად პიროვნულადაც და ინსტიტუციონალურადაც რთულია, განხორციელების შეფასების განრიგი გამოქვეყნებული მასალების განხილვის საშუალებას წარმოადგენს. ის შემდგომ დისკუსიებსაც უწყობს ხელს და მრავალფეროვნების გაშუქების მიმართ დასახულ მიზნებს აძლიერებს. საუკეთესო შემთხვევაში, განხორციელების შეფასების ინსტიტუციონალიზება მოხდება ან განხორციელების შეფასების სემინარებისა და პუბლიკაციების სახით თუ სხვა, მაგალითად, სამსახურებრივი ტრეინინგისა და დახმარების ფორმით.

## ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა

**გახსოვდეთ მისია –** გაზეთის, რადიოსა თუ ტელევიზიის, როგორც საზოგადოების შეცნობისა და ტოლერანტულობის საშუალებების მიმართ ნდობისა და დაფასების გაძლიერება.

### გახსოვდეთ ძირითადი მიზნები:

- \* მოვლენების გაშუქებისას შეხედულებებისა და სურათების მრავალფეროვნების გაზრდა
- \* არსებულ და პოტენციურ მკითხველთან, მსმენელთან თუ მაყურებელთან კავშირების გაძლიერება
- \* საზოგადოების ყველა სეგმენტში მკითხველთა, მსმენელთა და მაყურებელთა აუდიტორიის გაფართოება
- \* საკუთარ ორგანიზაციაში ჯგუფური მუშაობისა და ურთიერთობების ხელ-შეწყობა

პროგრამის შედეგად ათვისებული ცოდნის გამოყენების საქმეში ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს. თითოეულმა მონაცილემ კონკრეტული გეგმა უნდა შეიმუშაოს, რომელსაც ის უურნალისტის ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებისას გამოიყენებას.

ერთი წუთით დაფიქრდით, თქვენს საქმიანობაში კონკრეტულად რა გზებით შეუდგებით აზრებისა და სურათების მრავალფეროვნების გაზრდას, სტერეოტიპების ნგრევას, ენის მართებულ გამოყენებას და, ზოგადად, მრავალფეროვნების ყველა იმ საკითხის გათვალისწინებას, რომელებიც პროგრამის მსვლელობისას განვიხილეთ.

ჩამოწერეთ იმ საქმეთა მოკლე აღწერილობა, რომელთა განხორციელებასაც აპირებთ პროგრამის დასაწყისში დასახული მიზნების მისაღწევად. თქვენი გეგმა ექვსთვიან პერიოდზე გაანაწილეთ; ყოველი ექვსთვიანი ინტერვალის შემდეგ განიხილავთ მიღწეულ შედეგებს. იმ მასმედიის ჩამოყალიბების საქმეში წინ რომ წაიწევთ, რომელიც საზოგადოების შეცნობასა და ტოლერანტულობას აფასებს, მერე ახალი მიზნები. ახალი სამოქმედო გეგმა მტკიცება განცხადებით, რომლებიც კონკრეტულ მოქმედებებს აღნიშნავს. ეს ის მოქმედებებია, რომელთა განხორციელებაც, თქვენი რწმენით, საინტერესო იქნება პროგრამის დასრულების შემდეგ. სამოქმედო გეგმა უნდა განიხილოთ როგორც თქვენი პირადი გეგმა ზემოაღნიშნული მისიის განსახორციელებლად. მნიშვნელოვანია, რომ ისეთი მიზნები დაისახოთ, რომელთა მიღწევას და შენარჩუნებას ექვსი თვის განმავლობაში ან უფრო დიდხანს შეძლებთ.

**რამდენიმე მაგალითი:** საჭიროებისამებრ გამოიყენეთ დამატებითი ადგილი, რომ განავრცოთ ან შეცვალოთ მოდელი, ანდა ისეთი სამოქმედო განაცხადი შეიმუშაოთ, რომელიც თქვენთვის იქნება მისაღები.

1) სამსახურში, სხვა უურნალისტთან განვიხილავ მრავალფეროვნების პრინციპებს და გაუზიარებ ტრეინინგის მსვლელობისას მიღებულ მასალებს. ამას [ამ დროისათვის] .....-მდე გავაკეთებ.

2) უფრო მართებულად გამოვიყენებ ენას და თვალყურს მივადევნებ ჩემს მუშაობას, რათა აღმოვფხვრა კლიშეები და ისეთი სიტყვები, რომლებიც, შესაძლოა, რომელიმე

ჯგუფისათვის შეურაცხმყოფელი იყოს.  
ამას [ამ დროისათვის] .....-მდე გავა-  
კეთებ.

3) ენის უკეთ ხმარების წარმატებულ გზებს  
სხვა უურნალისტებსაც გაუზიარებ. ამას [ამ დროისათვის] .....-მდე გავაკეთებ.

4) სხვა თანამშრომლებისათვის მოვაწყობ  
სემინარს, რომ მრავალფეროვნების პრინ-  
ციპები განვიხილოთ. ამას [ამ დროისათვის]  
.....-მდე გავაკეთებ.

5) თვალყურს მივადევნებ ჩვენი გაზეთის ან  
ტელევიზიის მიერ გაშუქებული მოვლენე-  
ბის ამსახველ სურათებს ან კადრებს და მი-  
ვუთითებ, ან ინფორმაციის შეგროვებას ისე  
დავგეგმავ, რომ ჩემ მიერ მომზადებულ მა-  
სალებში მრავალფეროვანი სახეების გაშუ-  
ქება გახდეს შესაძლებელი – დავიწყებ [ამ  
დროს] .....

**შენიშვნა:** ეს მხოლოდ სამოქმედო გეგმის  
მაგალითებია. ამ მოდელების საფუძველზე  
საკუთარი განცხადებები ჩამოწერეთ. იყა-  
ვით კონკრეტული და რეალისტური. არა  
აქვს მნიშვნელობა, რამდენად მარტივი იქ-  
ნება თქვენი განცხადებები, გახსოვდეთ,  
რომ, თუ თითოეული ჩვენგანი ნაპიჯს გა-  
დადგამს მასმედიაში მრავალფეროვნების  
ზრდისაკენ, დროთა განმავლობაში საზოგა-  
დოების შეცნობისა და ტოლერანტულობის  
დამკვიდრების საშუალების ჩამოყალიბებას  
მივუახლოვდებით.

---

**14. გლოსარიუმი**

## ბლოსარიუმი

ანტისემიტიზმი	ებრაელთა დისკირმინაცია მათი რელიგიური რწმენისა და ადათ-წესების მიმართ არსებული სტერეოტიპების ან ეთნიკურ საფუძველზე
განტევების ვაცის ქიება	ხალხის მთელი კატეგორიის ან ამ ჯგუფის წევრებად მიჩნეული პირებისათვის სოციალური, ეკონომიკური და სხვა პრობლემის გამო ბრალის დადება, როდესაც, სინამდვილეში, ეს პრობლემები მრავალი და მეტად რთული მიზიზებით არის გამოწვეული.
დისკრიმინაცია	მთელ რიგ სფეროებში სხვა კულუტურის, ეთნიკური საზოგადოების და სოციალური ჯგუფების წარმომადგენელთათვის სამართლიანად ან თანასწორად მოპყრობის უარყოფა. ეს შეეხება დასაქმებას, საცხოვრებელი ადგილით უზრუნველყოფას, პოლიტიკურ უფლებებს და საზოგადოებრივი მომსახურების ადგილებს.
დოგმატიზმი	საკუთარი შეხედულებების, ცხოვრების წესისა და რწმენის ბრძანების და უსაფუძვლო მიმდევრობა და ჯიუტი წინააღმდეგობის გაწევა განსხვავებული შეხედულებებისა და მათი მიმდევრებისათვის
ეთნოცენტრიზმი	ადამიანის მიერ, ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად, სხვა ეთნიკური ჯგუფის შეფასება, მის საკუთარი ეთნიკური ჯგუფში გაბატონებული ფასეულობების, სტანდარტებისა და კრიტერიუმების მიხედვით და ალტერნატიული შეხედულებებისა და მიღების ინგორირება.
ეიჯიზმი	ადამიანის დისკრიმინაცია ასაკობრივი ნიშნით ან მოხუცების მიმართ არსებული სტერეოტიპის საფუძველზე.
ზოზღის გამომზღავნება	პირზე ან მის ქონებაზე თავდასხმა, შევიწროება ან რაიმე სხვა აგრესიული, ძალადობრივი ქმედება, რომელიც ამ ადმიანის რასობრივი წარმომავლობის, რელიგიური მრავალსის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის ან რაიმე სხვა ნიშნის გამო ხდება.

თანასწორუფლებიანობა	მდგომარეობა, როდესაც რომელიმე პირს ისეთივე ღირსება, რანგი ან პრივილეგიები აქვს მიკუთვნებული, როგორც ყველა დანარჩენს.
ინვალიდობა	ფიზიკური ან გონებრივი ნაკლი, რომელიც აფერხებს ან ხელს უშლის ადამიანის მოძრაობას ან ქცევას ან უარყოფით გავლენას ახდენს მის ინტელექტუალურ ფუნქციონირებაზე.
კლასიზმი	ადამიანის დისკრიმინაცია სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის საფუძველზე.
მრავალკულტურულობა	კულტურათა, რელიგიათა, ეთნიკურ საზოგადოებათა და ერთ საზოგადოებაში მცხოვრებ სხვა ჯგუფთა ფართო სპექტრის აღიარება და პატივისცემა.
მრავალფეროვნება	პიროვნებებსა და ჯგუფებს შორის განსხვავებული მახასიათებლებისა და თვისებების არსებობა, მიუხედავად იმისა, ეს მისი პირადი არჩევანის შედეგი იქნება [განათლება, გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, ოჯახური მდგომარეობა, რელიგიური მრჩამსი] თუ მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით განბირობებული [ასაკი, სქესი, სექსუალური ორიენტაცია, ინვალიდობა...].
რასიზმი	დისკრიმინაცია და ცრურწმენა რასობრივი ნიშნით იმის ბრალდებით, რომ ერთი ეთნიკური ჯგუფი ბუნებრივად აღემატება მეორეს თავისი ინტელექტით, მორალური თვისებებით, რწმენით, ცხოვრების წესითა და სხვა მახასიათებლებით.
სექსუალური ორიენტაცია	პირის სექსუალური ინტერესი საპირისპირო, იმავე, ანდა ორივე სქესის წარმომადგენელთა მიმართ.
სტერეოტიპი	ფართოდ განზოგადებული შეხედულება მთელი ჯგუფის შესახებ, რომლიც გამორიცხავს მათ შორის ინდივიდუალური განსხვავებების არსებობის შესაძლებლობას.
ტოლერანტულობა	კულტურების, სოციალური ჯგუფების ან ეთნიკური საზოგადოებების წეს-ჩვეულებების და რწმენის აღიარება, მათთან საღი აზრითა და მოთმინებით მიდგომა; შემწყნარებლობა.

- ქსენოფობია** უცხოელების, სხვა კულტურისა თუ ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლების მიმართ ღრმა ანტიპათია, შიში ან ზიზღი.
- ცინასწარგანცყობა** ხალხის მთელი კატეგორიის მიმართ ირაციონალური ეჭვი ან ზიზღი. სხვა ხალხის უარყოფითი შეფასება მხოლოდ ან ძირითადად მათი ეთნიკური, რელიგიური ან სოციალური ჯგუფის წევრობის გამო.
- ჰეთეროსექსუალიზმი** ჰომოსექსუალიზმისა და პისეუალიზმის მიმართ გისებულისებრობის და გაულისხმობს.
- ჰომოფობია** ჰომოსექსუალთა და ბისექსუალთა მიმართ შიში ან ზიზღი.

## **მრავალფეროვნების გაშექების ქსელი სამხრეთ კავკასიის განყოფილება**

**აზერბაიჯანის პელსინკის მოქალაქეთა ასამბლეა – ბაქო;**  
**არზუ აბდულაევა – დირექტორი**

**ბაქოს პრეს-კლუბი – ბაქო;**  
არიფ ალიევი – დირექტორი  
URL: [www.pressclub.az](http://www.pressclub.az)

**შავი ზღვის პრესის ასოციაცია – თბილისი;**  
ალიონა იმედაშვილი – დირექტორი

**თავისუფლების ინსტიტუტი – თბილისი;**  
ლევან რამიშვილი – დირექტორი  
URL: [www.liberty.ge](http://www.liberty.ge)

**ურნალისტთა კლუბი „ასპარეზი“ – გიუმრი;**  
ლევონ ბარსეგიანი – პრეზიდენტი  
URL: <http://www.asparez.am>

**სტეფანაკერტის პრეს-კლუბი – სტეფანაკერტი;**  
გეგამ ბაგდასარიანი – პრეზიდენტი  
URL: <http://demo.ktsurf.net>

**ერევნის პრეს-კლუბი – ერევანი;**  
ბორის ნავასარდიანი – პრეზიდენტი  
URL: <http://www.ypc.am>





## მედიის მრავალფეროვნების ინსტიტუტის შესახებ

**ა** ედიის მრავალფეროვნების ინსტიტუტი არაკომერციული, არაპოლიტიკური ორგანიზაციაა, რომლის შტაბ-ბინაც ლონდონში მდებარეობს. ორგანიზაციის მიზანია, რომ განვითარებად საზოგადოებებში, მრავალფეროვნების გაშუქების საშუალებით, ხელი შეუწყოს კონფლიქტების მოგვარებას.

მედიის მრავალფეროვნების ინსტიტუტის მრავალფეროვნების გაშუქების ქსელი თავს უყრის უურნალისტებს, მასმედიის ორგანიზაციებს, მასმედიის ხელშეწყობის ცენტრებს, უურნალისტურ სკოლებს. მისი მიზანია, ერთობლივი ძალისხმევით მოხდეს მასმედიის ძალების მობილიზება, რომ ხელი შეუწყოს მრავალფეროვნების, უმცირესობაში მყოფი საზოგადებების, ადამიანთა უფლებებისა და ჯგუფებს შორის კონფლიქტის უფრო ღრმა გაგებას. მრავალფეროვნების გაშუქების ქსელი ხელს უწყობს უურნალისტიკის მაღალპროფესიული სტანდარტების დამკვიდრებას უმცირესობების, მრავალფეროვნებისა და ინტერეტნიკური ურთიერთობების გაშუქების საკითხებში. ქსელი ასევე ცდილობს, რომ ხელი შეუწყოს გაშუქების ხერხებისა და მოსამზადებელი საშუალებების შემუშავებას, ასევე პრაქტიკულ ინიციატივებს, რომლებიც ძალზე მნიშვნელოვანია ამ მაღალი სტანდარტების მიღწევისათვის.

ობიექტური, სწორი, კეთილგანწყობილი და სიღმისეული გაშუქება აუცილებელია განსხვავებულ ჯგუფებს შორის ურთიერთგაგების ხელშეწყობისათვის. მასმედია ხშირად გამხდარა ცრურწმენებისა და დასკრიმინაციის გავრცელების იარაღი. მასმედიის მრავალფეროვნების ინსტიტუტი, მიზნად ისახავს ამის შეცვლას. ჩვენ გვინდა, რომ მასმედია იქცეს ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის განმტკიცების საშუალებად.

ამ მიზნების მიღწევას ჩვენ განათლების, ტრეინინგისა და თანამშრომლობის საშუალებით ვცდილობთ. ჩვენ ვთანამშრომლობთ:

- \* მოქმედ უურნალისტებთან;
- \* უურნალისტიკის პროფესორ-მასწავლებლებთან;
- \* მასმედიის საშუალებების მფლობელებთან და გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან;
- \* მასმედიის, ადამიანის უფლებებისა და უმცირესობათა ინტერესების დამცველ ორგანიზაციებთან.

ყოვლისმომცველი მიდგომა, მრავალფეროვნების საკითხთა ნებისმიერი კუთხით განხილვა ინსტიტუტის გამორჩეულ მხარეებს წარმოადგენს. უურნალისტებსა და მას-მედიის მენეჯერებს ჩვენ უურნალისტიკის საუკეთესო მაგალითებს შევასწავლით; უმცირესობათა ინტერესების დამცველ ორგანიზაციებს მასმედიასთან ურთიერთობებს ვასწავლით; ჩვენ ვთანამშრომლობთ უმცირესობათა მასმედიის გაძლიერების საკითხებზე და ასევე ვთანამშრომლობთ უურნალიზმის პროფესორ-მასწავლებლებთან, რომლებმაც უურნალისტების მომავალი თაობები უნდა აღზარდონ.

#### **მედიის მრავალფეროვნების ინსტიტუტეს საქმიანობა ცხრა ძირითად სფეროდ იყოფა:**

- 1) უურნალისტებისა და მასმედიის საშუალებების მმართველ პირთა ტრეინინგი მრავალფეროვნების საკითხებზე
- 2) გამოცდილ უურნალისტთა პროფესიონალური განვითარება და პრაქტიკული ტრეინინგი მრავალფეროვნების გაშუქებაში
- 3) მრავალფეროვნების გაშუქების საგამომცემლო ინიციატივები, ჯგუფური გაშუქებისა და ახალი ამბების სააგენტოების ჩათვლით
- 4) უურნალისტიკის პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად მრავალფეროვნების სასწავლო პროგრამის შემუშავება
- 5) უმცირესობის წარმომადგენელთა ტრეინინგი საზოგადოებასთან და მას-მედიასთან ურთიერთობებში
- 6) მასმედიის საშუალებით შერიგების პროცესის ხელშემწყობი პროექტები
- 7) მრავალფეროვნების შესახებ ლიტერატურის და სახელმძღვანელოების გამოცემა
- 8) კონფლიქტის შემდგომი პროფესიონალური განვითარება უურნალისტებისათვის, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ტრავმისშემდგომი სტრუქტურის სინდრომს
- 9) მასმედიის მონიტორინგი მრავალფეროვნების საკითხებთან მიმართებაში

## **მეტის მრავალფეროვნების სახელმძღვანელო**

ავტორი: დევიდ ტაილერი

მედიის მრავალფეროვნების ინსტიტუტი

გამომცემები:

არტურ პაპაიანი, ელენე ალაძაშვილი, ელშად ფარზალიევი  
და ლიდია ელ-ხოური

მედიის მრავალფეროვნების ინსტიტუტი

ყდის დიზაინი:

ლეონარდ ვიცინიც

დაკაბადონება:

ბესიკ დანელია

ბეჭდვა:

შპს „სეზანი“